



მანანა მულრაძე
ალექსი ბელაშვილი
ვასილ სისაური



ტერორიზმი

და ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ
პიროვნების ტერორისტად ჩამოყალიბებაზე
მონობრაფია

თბილისი
2 0 1 6

მანანა მაღრაძე, ალექსი ბელაშვილი,
ვასილ სოსაური

ტერორიზმი და ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ
პიროვნების ტერორისტად ჩამოყალიბებაზე

მონოგრაფია

თბილისი 2015

ISBN 978-9941-0-9159-9

შინაარსი

შესავალი	5
თავი I. ოჯახური ფაქტორი.....	8
1.1. პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი.....	8
1.2. ბავშვი და ოჯახური გარემო	16
1.3. აგრესია ოჯახში.....	20
თავი II	24
2.1. სოციალური და ეკონომიური ფაქტორი.....	24
თავი III ტერორიზმი და ინფორმაციული წყაროები	35
3.1. მასმედია	35
3.2. ძალადობის ფილმების ყურება და აგრესია.....	37
3.3. ტერორიზმი ინტერნეტში	40
3.4. “ტერორის თეატრი”	42
3.5. ინტერნეტის სივრცეში მოღვაწე ტერორისტები	44
3.6. ტერორისტული საიტების შინაარსი	45
3.7. ტერორისტული რიტორიკა	48
თავი IV. ეთნიკური წარმომავლობა და პატრიოტიზმი	51
4.1. IRA	51
4.2. ირლანდიის ისტორია.....	51
4.3. ნაციონალური მიზეზები ირლანდიის კონფლიქტში.....	54
4.4. რელიგიური ფაქტორები ირლანდიის კონფლიქტში	55
4.5. ირლანდიის რესპუბლიკური არმია.....	58
4.6. ირას მოქმედებების შედეგი.....	60
4.7. ETA.....	62
4.8. ETA -ს ისტორიული წინამძღვრები	62
4.9. ETA –ს მოქმედების ეტაპები	63
4.10. ETA 1980–იანი წლების ბოლოს და 1990–იანი წლების დასაწყისში	68
4.11. ETA XXI საუკუნის დასაწყისში	69
4.12. ინსტრუმენტალიზმი	70

თავი V. რელიგია, იდეალიზმი და ფანატიზმი	73
5.1. რელიგია და კონფლიქტი	73
5.2. HAMAS.....	74
5.2.1. ჰამასის ჩამოყალიბება	74
5.2.2. ჰამასის ორგანიზაციული სტრუქტურა	77
5.2.3. ჰამასის იდეოლოგია, მიზნები და სტრატეგია.....	79
5.2.4. ერი და ნაციონალიზმი ჰამასის თვალსაზრისით	82
5.2.5. ჰამასის თვალთხედვიდან ჯიჰადი და სხვა რელიგიის წარმომადგენლები	82
5.2.6. ჰამასი მოუწოდებს.....	84
5.2.7. ჰამასის თვალისა და დანახული ისრაელი	85
5.2.8. შეჯამება.....	86
5.3. ვაჰაბიზმი	87
5.3.1. ვაჰაბიზმის გავრცელება ჩრდილო კავკასიაში	87
5.3.2. ვაჰაბიზმის იდეოლოგია.....	88
5.3.3. ვაჰაბიზმის განვითარება დაღესტანში.....	90
5.3.4. ვაჰაბიზმის გავრცელება სამხრეთ კავკასიაში.....	92
5.3.5.	93
თავი VI გლობალური პოლიტიკა-სახელმწიფოთა მიერ ტერორიზმის მხარდაჭერა .	96
თავი VII ტერორისტების ფსიქოლოგიური მოტივები.....	104
7.1. აგრესია.....	104
7.2. აგრესიის წყაროები	104
7.3. აგრესიის გადამდებობა და დეინდივიდუაცია	106
7.4. ანომია.....	107
7.5. ტერორიზმის ფსიქოლოგიური ასპექტები.....	111
7.6. „მარტოხელა მგლის“ ტერორიზმის ფენომენი.....	118
7.7. ცალკეული ისტორიები და მათი კლასიფიკაცია მოტივების მიხედვით	119
დასკვნა	124
საქართველოს პატრიარქი ილია მეორე ტერორიზმის შესახებ.....	128
გამოყენებული ლიტერატურა.....	130

შესავალი

მსოფლიოში ყოველწლიურად ასობით ტერორისტული აქტი ხდება, რომელთა წყალობითაც მრავალი ადამიანი იღუპება. უძლიერესი ქვეყნები ძალღონეს არ იშორებენ იმისთვის, რომ აღკვეთონ ტერორიზმი, მაგრამ ამაოდ, - ტერორიზმი კვლავ რჩება კაცობრიობის ურთულეს პრობლემად, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც იგი სხვადასხვა ქვეყნებში პოლიტიკური, ეთნიკური მიზნების მიწევის საშუალებად, ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად და თვით პოლიტიკური ძალადობის ფორმადაც კი იქცა. ტერორიზმი საფრთხეს უქმნის არა მარტო შიდა სახელმწიფოებრივ ღირებულებებს, არამედ იგი საერთაშორისო ურთიერთობების ნორმალური განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორია. ამდენად, ტერორიზმი განიხილება როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილურობის წინააღმდეგ.



ტერორიზმის საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა, ზოგადად ტერორიზმი გულისხმობს, ძალადობრივ აქტს, რომლის მიზანი არის შიშის დანერგვა. „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე“. სხვა განმარტებებით: ტერორიზმი არის ძალადობრივი აქტი სამოქალაქო პირების

წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია პოლიტიკური მიზნების გამო, იგი არის ომის ფსიქოლოგიური სტრატეგია. მისი მიზანია არა მოწინააღმდეგისადმი რაიმე სტრატეგიული ზიანის მიყენება, არამედ მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობას შორის შიშის კლიმატის დანერგვას და რომელიც პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალისტური ან იდეოლოგიური საფუძვლითაა ჩადენილი. ტერაქტები მიზნად ისახავენ შიშის ჩანერგვას და რაც შეიძლება მეტი ადამიანის დაშინებას მიუხედავად იმისა, რაიმე საერთო აქვთ თუ არა ტერორისტების პოლიტიკურ პოზიციასთან. აღნიშნულის ნათელი მიგალითია 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედია, რომელმაც გარდატეხა მოახდინა საზოგადოების აზროვნებაში, რამაც პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ჯერ მსოფლიო პოლიტიკაზე, შემდეგ კი ეკონომიკაზე.

ტერორიზმი შეიძლება მიმართული იყოს ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფებისკენ, ქვეყნისკენ, მთავრობისკენ, პოლიტიკური პარტიისკენ, საზოგადოებრივი აზრისკენ. ტერორიზმის მიზანია წარმოშვას ძალა, თუ ის არ არსებობს და გააძლიეროს, თუ ძალა პატარაა. საჯარო ძალადობის გზით ტერორისტები ცდილობენ მიიღონ ძალაუფლება პოლიტიკური ცვლილებების მოსახდენად ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე. ტერორიზმი მიიჩნევა ტრადიციულ საშუალებად მათთვის, ვინც ებრძვის თავისზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, რადგან ტერორიზმი წარმოადგენს ძალადობის იარაღს, რომელსაც შეუძლია ასე თუ ისე გააწონასწოროს მხარეთა საშუალებები. აღნიშნულის მაგალითია ირა, ეტა და ასე შემდეგ.

ტერორიზმთან ბრძოლის წარმატებულობა პირდაპირ არის დაკავშირებული იმ ასპექტების იდენტიფიცირებასთან, რაც კონკრეტულ ჯგუფსა თუ ინდივიდს ტერორისტული აქტის განხორციელებისკენ უბიძგებს. თანამედროვე ტერორიზმი სცდება რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალსა თუ კულტურას/რელიგიას. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს ამ გლობალური პრობლემის შესწავლის საჭიროებას. ტერორისტების მოტივების გაიგივება იმედგაცრუებასა და სასოწარკვეთილებასთან დამაჯერებლობას მოკლებულია, რაც ამ ტაქტიკის სწრაფად გავრცელებადი ბუნების ახსნისას და მის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგიანობასაც ამცირებს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ფაქტორები რომელიც ხელს უწყობს ტერორიზმს წარმოშობას და პიროვნების ტერორისტად ჩამოყალიბებას. ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას თუ რატომ ხდება ადამიანი ტერორისტი? რა მიზანი ამოძრავებს მას როცა კლავს სიცოცხლეს? რატომ გონია რომ ვინმეს მოკვლით ღმერთისგან მიიღებს ზეციურ გასამრჯელოს ანუ მოხვდება სამოთხეში? რატომ და რისთვის წირავენ თავს? რატომ არის ადვილი მისთვის უამრავი ადამიანის მოკვლა? და კიდევ მრავალ კითხვას რომელიც არსებობს საზოგადოებაში. ერთი მხრივ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია, მეორე მხრივ კი აუცილებელი. რადგან მიზეზების ცოდნამ შეიძლება შეცვალოს ის

გარემოება რაც ადამიანს ტერორიზმისკენ უბიძგებს. თუკი აღმოფხვრება ის ფაქტორები რომელიც განაპირობებს პიროვნების ტერორისტად გარდაქმნას მაშინ გლობალურ და ლოკალურ ტერორისტულ ორგანიზაციებს აღარ ექნებათ საშუალება თავისი იდეოლოგია განახორციელონ რიგითი ადამიანების ხარჯზე. არ იქნება მართალი თუ კი მტკიცებას დავიწყებთ, რომ ამ მიზეზების შესწავლით მისი სრულად აღმოფხვრა შესაძლებელია. მაგრამ რაც მეტად ექნებათ ტერორისტულ ორგანიზაციებს ადამიანური რესურსების შევსების პრობლემა მით მეტად გაუძნელდებათ დასახულ იდეოლოგიურ გზაზე წინსვა. ამასთანავე ადამიანური რესურსების უქონობა მათში გამოიწვევს მთელ რიგ უთანხმოებებს, კომფლიქტებს და შეიძლება ვიფიქროთ, რომ დანაწევრება-დაშლასაც შედარებით პატარა ჯგუფებად. აგრეთვე მოსალოდნელი იქნება რესურსების შევსების ტაქტიკის შეცვლა.

ქვემოთ განხილულია ის ფაქტორები რომელიც ადამიანში დაბადებიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში გავლენას ახდენს მის ფსიქიკაზე და შესაბამისად ქმედებებზე. ასევე, განხილულია რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ტერორისტული ორგანიზაცია რომლებზე დაყრდნობითაც განვიხილავთ რამდენიმე ფაქტორს.

თავი I. ოჯახური ფაქტორი

1.1. პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი

ოჯახი ერთი მთლიანობაა რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე და ურთიერთგაგებაზე. იგი შედგება რამდენიმე წევრისგან რომლებიც ერთმანეთზე ზრუნავენ და ერთმანეთის მიმართ აკისრიათ ვალდებულებები. ოჯახში ახლად დაბადებული ბავშვი განუწყვეტლივ იზრდება და ვითარდება იმ ატმოსფეროში რომელიც არსებობს მის გარშემო. იგი დაბადებიდანვე გრძნობს და განიცდის მის გარშემო მომხდარ მოვლენებს, კონტაქტს ამყარებს გარშემო მყოფებთან (მშობლებთან, და-ძმებთან და სტუმრად მისულ სხვადასხვა პიროვნებებთან), თანდათანობით უყალიბდება ნერვიულ-ფსიქიკური, მოტორული და ინტელექტუალური საფუძველი.

ნაშრომის ამ ნაწილში პირველ რიგში განხილული იქნება პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი. შემდეგ კი განხილულია როგორი უნდა იყოს ოჯახის წევრების მიდგომა ბავშვთან მიმართებაში, რათა მას ჩამოუყალიბდეს ჯანმრთელი ფსიქო-ნერვიული სისტემა.

პაციენტების თავისუფალი ასოციაციების ანალიზმა ფროიდი¹ მიიყვანა დასკვნამდე, რომ ზრდასრული პიროვნების ავადმყოფობები ბავშვობის განცდებზე დაიყვანება. ფროიდი ამტკიცებდა, რომ პიროვნება სამი ძირითად კომპონენტისაგან შედგება: „იგი“, „მე“ და „ზე-მე“.

„იგი“ ინსტიქტების მატარებელი უმარტივესი კომპონენტი – „ლტოლვათა მოთუხთუხე ქვაბია“. „იგი“ ირაციონალური და არაცნობიერია და ემორჩილება სიამოვნების პრინციპს.

„მე“ - ემორჩილება რეალობის პრინციპს და ითვალისწინებს გარემომცველი სამყაროს პრინციპებს, თვისებებსა და თანაფარდობებს.

„ზე-მე“ - მორალური ნორმების მატარებელია და პიროვნების კრიტიკოსისა და ცენზორის როლს ასრულებს.

თუ „მე“ „იგი“-ს სასარგებლო, მაგრამ „ზე-მე“-ს არასასურველ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ ის („მე“) ისჯება დანაშაულის გრძნობის განიცდით სინდისის ქეჯნის სახით. რადგანაც „იგი“-ს, „ზე-მე“-ს და რეალობის მოთხოვნები „მე“-ს მიმართ შეუთავსებელია, „მე“-ს ყოფნა კონფლიქტის სიტუაციაში გარდაუვალია, რაც აუტანელ დამაბულობას ქმნის და პიროვნება თავის დაცვას ცდილობს სპეციალური „დამცველი მექანიზმებით“ ისეთებით როგორებიცაა: გამოდევნა, პროექცია, რეგრესია, სუბლიმაცია.

გამოდევნა - ცნობიერებიდან გრძნობების, აზრების და მოქმედების მისწრაფების არათავისთავად ჩამოშორებას ნიშნავს.

1 **ზიგმუნდ ფროიდი** (Sigmund Freud), 1856-1939 წ. ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი

პროექცია - სხვა პიროვნებაზე საკუთარი სიყვარულის ან სიძულვილის აფექტური განცდების გადატანაა.

რეგრესია - აზროვნების ან ქცევის უფრო პრიმიტიულ დონეზე ჩამოქვეითებაა.

სუბლიმაცია - ერთ-ერთი მექანიზმია, რომლის საშუალებითაც აკრძალული სექსუალური ენერჯის გადატანა ხდება ინდივიდისთვის და მისი გარემომცველი საზოგადოებისთვის მისაღებ ქცევის ფორმებში.

ზ. ფროიდი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს რამდენიმე ნაწილად ყოფს:

- ორალური სტადია (0-1 წელი);
- ანალური სტადია (1-3 წელი);
- ფალიკური სტადია (3-5 წელი);
- ლატენტური სტადია (5-12 წელი);
- გენიტალური სტადია (12-18 წელი).

განვიხილოთ თითოეული.

ორალური სტადია (0-1 წელი) იმით ხასიათდება, რომ სიამოვნების და შესაბამისად პოტენციური ფრუსტრაციის (დამთრგუნველი დაძაბულობის, მღელვარების, გამოუვალობისა და სასოწარკვეთილების მდგომარეობა) ძირითადი წყარო კვებასთან დაკავშირებულ აქტიობის ზონაზეა კონცენტრირებული. ორალური სტადია ორი ფაზისგან შედგება – ადრეული და გვიანდელი, რომლებიც ცხოვრების პირველ და მეორე ნახევარწლებს მოიცავენ. ის ხასიათდება ორი თანმიმდევრული ლიბიდოზური მოქმედებით (წოვა და კბენა). ამ სტადიაზე წამყვანი ეროგენული ზონა პირია – კვების, წოვის და საგნების პირველადი კვლევის იარაღი. ფროიდის მიხედვით წოვა ბავშვის სექსუალური გამოვლინების ტიპია. თავდაპირველად წოვა საკვებით ტკბობასთანაა დაკავშირებული. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ წოვა ლიბიდოზურ მოქმედებად იქცევა, რომლის საფუძველზედაც ხდება „იგი“-ს ინსტიქტების დამაგრება. ფროიდი თვლიდა, რომ სიცოცხლის პირველ 6 თვეში ბავშვი თავის შეგრძნებებს ვერ გამოჰყოფს მათი გამომწვევი ობიექტისაგან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბავშვის სამყაროში ობიექტები არ არსებობს. ბავშვი ცხოვრობს პირველყოფილი ნარცისიზმის მდგომარეობაში და სამყაროში სხვა ობიექტების არსებობას ვერ აცნობიერებს. გლობალური ბაზისული ნარცისული მდგომარეობა ძილია, როდესაც ჩვილი სითბოს გრძნობს და არავითარი ინტერესი არ გააჩნია გარემომცველი სამყაროსადმი. ჩვილობის ასაკის მეორე ფაზაში ბავშვს სხვა (დედის), როგორც მისგან დამოუკიდებელი ობიექტისადმი, ეწყება ინტერესის ფორმირება. შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ბავშვი აფორიაქებულია, როდესაც დედა მიდის ან როდესაც მის ადგილს უცნობი ადამიანი იკავებს. ფროიდის მიხედვით ადამიანის მუცლად ყოფნის პერიოდი სხვა ცხოველებთან შეფარდებით შემოკლებულია. ქვეყანას ის ნაკლებად მომზადებული ევლინება ვიდრე სხვა ცხოველები. ამის გამო ძლიერდება რეალური გარე სამყაროს გავლენა, ვითარდება „მე“-ს და „იგი“-ს

დიფერენციაცია, იზრდება საფრთხეები გარემომცველი სამყაროს მხრიდან და განუსაზღვრელად იზრდება იმ ობიექტის მნიშვნელობა, რომელსაც ამ საფრთხეებისაგან მისი დაცვა შეუძლია და თითქოს ჩვილს მუცლადყოფნის დაკარგულ პერიოდს უნაზღაურებს. ეს ობიექტი დედაა. დედასთან ბიოლოგიური კავშირი იწვევს იმის მოთხოვნილებას, რომ უყვარდეთ, რაც შემდგომში არასდროს არ ტოვებს ადამიანს. ცხადია, დედას პირველივე მოთხოვნაზე არ შეუძლია ჩვილის ყველა სურვილის დაკმაყოფილება. ყველაზე სრულყოფილი მოვლის დროსაც კი შეზღუდვები გარდაუვალია. სწორედ ეს შეზღუდვები წარმოადგენენ ობიექტის დიფერენცირების, გამოყოფის წყაროს. ამრიგად, ფროიდის შეხედულებების მიხედვით, სიცოცხლის დასაწყისში შინაგანსა და გარეგანს შორის განსხვავებულობა მიიღწევა არა ობიექტური რეალობის აღქმით, არამედ სხვა ადამიანის მოქმედებებთან დაკავშირებული სიამოვნებებისა და უსიამოვნებების განცდით.

ორალური სტადიის მეორე ნახევარში კბილების გაჩენასთან ერთად წოვას კბენა ემატება, რაც მოქმედებას აგრესიულ ხასიათს აძლევს და ბავშვის ლიბიდოზურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. დედა ბავშვს მკერდზე კბენის საშუალებას არ აძლევს. ამრიგად სიამოვნებისკენ სწრაფვა რეალობასთან კონფლიქტში მოდის. ფროიდის მიხედვით ახალშობილს „მე“ არ გააჩნია. ეს ფსიქიკური ინსტანცია თანდათანობით დიფერენცირდება მისი „იგი“-სგან. „მე“ ინსტანცია რალური სამყაროს პირდაპირი გავლენით მოდიფიცირებული „იგი“-ს ნაწილია. „მე“ ინსტანციის ფუნქციონირება დაკავშირებულია პრინციპთან „დაკმაყოფილების არ არსებობის დაკმაყოფილება“. როგორც ავლნიშნეთ ბავშვის მიერ გარე სამყაროს საგნების პირველი შეცნობა დედის საშუალებით ხდება. დედის არყოფნის შემთხვევაში ბავშვი განიცდის დაუკმაყოფილებლობის მდგომარეობას და ამის გამო იწყებს დედის ცნობას, გამოყოფას, რადგან დედის არყოფნა მისთვის პირველ რიგში სიამოვნების არქონაა. ამ სტადიაზე ჯერ კიდევ არ არსებობს „ზე-მე“ ინსტანცია და ბავშვის „მე“ მუდმივი კონფლიქტის მგომარეობაშია მის „იგი“-სთან. განვითარების ამ სტადიაზე ბავშვის სურვილების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დანაკლისი ერთგვარად „ყინავს“ ფსიქიკური ენერჯის გარკვეულ ნაწილს, ხდება „ლიბიდოს“ ფიქსაცია, რაც წინ ელობება შემდგომ ნორმალურ განვითარებას. ბავშვი, რომელიც ვერ იღებს თავისი ორალური მოთხოვნილებების საკმარის დაკმაყოფილებას, იძულებულია ეძებოს ჩანაცვლება მათი დაკმაყოფილებისთვის და ამის გამო ვერ გადადის გენეტიკური განვითარების შემდგომ სტადიაზე.

ზ.ფროიდის ამ იდეებმა ბიძგი მისცა ბავშვის კრიტიკული პერიოდების შესწავლას, რომელთა განმავლობაში იქმნება ხელსაყრელი პირობები ასაკისათვის დამახასიათებელი გენეტიკური ამოცანების გადასაჭრელად. თუ ეს ამოცანები არ იჭრება მაშინ ბავშვს გაცილებით უძნელდება მომდევნო ასაკობრივი პერიოდების ამოცანების გადაჭრა. ორალურ სტადიაზე ადამიანის ლიბიდოს ფიქსაციისას

ფროიდის აზრით ყალიბდება პიროვნების ზოგიერთი თვისება: გაუმადლობა, სიხარბე, მომთხოვნელობა, ყოველივეთი უკმაყოფილება. მისი წარმოდგენით უკვე ორალურ სტადიაში ადამიანები იყოფა ოპტიმისტებად და პესიმისტებად.

ანალური სტადია (1-3 წელი), ისევე როგორც ორალური ორი ფაზისაგან შედგება. ამ სტადიაზე ბავშვის ქცევასთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ, რომ „მე“ ინსტანცია სრულადაა ჩამოყალიბებული და მას შეუძლია „იგი“-ს იმპულსების მართვა. ბავშვის „მე“ ტკობისაკენ მისწრაფებასა და რეალობას შორის წარმოშობილი კონფლიქტების მოგვარებასა და კომპრომისების პოვნას სწავლობს. სოციალური ძალდატანება, მშობლებისაგან დასჯა, მათი სიყვარულის დაკარგვის შიში, აიძულებს ბავშვს გონებაში წარმოიდგინოს, მოახდინოს ზოგიერთი აკრძალვის ინტერიორიზაცია. ასე იწყება ბავშვის „მე“-ს ნაწილის – „ზე-მე“-ს, ჩამოყალიბება, რომელშიც ძირითადად ავტორიტეტებია წარმოდგენილი, მშობლებისა და იმ მოზრდილი ადამიანების გავლენაა მოცემული, რომლებიც აღმზრდელების რანგში ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ფსიქოანალიტიკოსების აზრით ანალურ სტადიაზე ყალიბდება ხასიათის ისეთი თვისებები, როგორებიცაა: აკურატულობა, სიფაქიზე, პუნქტუალობა, სიჯიუტე, დაფარულობა, აგრესიულობა, დამგროვებლობა, ეკონომიურობა, კოლექციონირებისაკენ მიდრეკილება. ყველა ეს თვისება ბავშვის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების შედეგია იმ ბუნებრივი, სხეულებრივი პროცესებისადმი, რომლებიც ჯერ კიდევ განვითარების მეტყველებამდე დონეზე, სიფაქიზის მიჩვევის პერიოდში, მისი ყურადღების ობიექტს წარმოადგენდნენ.

ფალიკური სტადია (3-5 წელი) ბავშვური სექსუალურობის უმაღლეს საფეხურს ახასიათებს. წამყვან ეროგენულ ზონებს გენიტალური ორგანოები წარმოადგენენ. ამ სტადიამდე ბავშვური სექსუალურობა აუტოეროტიული იყო, ეხლა კი ის გასაგნდა, ანუ ბავშვები განიცდიან სექსუალურ მიკედლებულობას მოზრდილებისადმი. პირველი ადამიანები, რომლებიც ამ თვალსაზრისით ბავშვის ყურადღებას იქცევენ მშობლებია. საწინააღმდეგო სქესის მშობლისადმი ლიბიდოზურ მიკედლებულობას ზ.ფროიდმა ბიჭებისთვის ოიდიპოსის, ხოლო გოგონებისთვის ელექტრას კომლექსი უწოდა და განსაზღვრა ისინი, როგორც საწინააღმდეგოს სქესის მშობლისადმი ბავშვის მოტივაციურ-აფექტური დამოკიდებულება. ბერძნულ მითში მეფე ოიდიპოსზე, რომელმაც მოკლა მამა და ცოლად შეირთო დედა, ფროიდის აზრით ჩადებულია სექსუალური კომლექსის გასაღები: ბიჭები განიცდიან დედისადმი ლტოლვას, აღიქვამენ მამას, როგორც მეტოქეს, რაც ერთდროულად მათში სიძულვილსაც იწვევს და შიშსაც. ოიდიპოსის კომლექსის გადაჭრა, ანუ კომლექსისაგან გათავისუფლება ფალიკური სტადიის ბოლოს კასტრაციის შიშის გავლენით ხდება, რაც ფროიდის აზრით აიძულებს ბიჭებს უარი თქვან დედისადმი სექსუალურ ლტოლვაზე და მოახდინონ საკუთარი თავის მამასთან იდენტიფიცირება. ამ კომპლექსის გამოძევების საფუძველზე მთლიანად დიფერენცირდება ინსტანცია „ზე-მე“.

სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი ბავშვის ფსიქიკური განვითარებისთვის ოიდიპოსის კომპლექსის გადალახვა. ამრიგად ფალიკური სტადიის ბოლოს სამივე ფსიქიკური ინსტანცია ჩამოყალიბებულია და მუდმივ კონფლიქტის მდგომარეობაში იმყოფება ერთმანეთთან. მთავარ როლს „მე“ ინსტანცია ასრულებს. ის ინახავს წარსულის მოგონებებს, მოქმედებს რეალისტური აზროვნების საფუძველზე. თუმცა ამ ინსტანციას ეხლა ერთდროულად ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა: „იგი“-ს დამანგრეველი პრინციპებისა და „ზე-მე“-ს სიმკაცრის წინააღმდეგ. ამ პირობებში წარმოქმნილი შფოთვის მდგომარეობა ბავშვისთვის სიგნალია, რომელიც აფრთხილებს მას შინაგანი და გარეგანი საფრთხეების თაობაზე. ამ ბრძოლაში „მე“-ს დაცვის მექანიზმების მიერ გამოდევნა და სუბლიმაცია ხდება. ზ.ფროიდის მიხედვით ბავშვის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდები 5 წლამდე სრულდება. სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება პიროვნების მთავარი სტრუქტურები. ფროიდის მიხედვით ფალიკური სტადია ხელს უწყობს პიროვნების ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: თვითდაკვირვება, კეთილგონიერება, რაციონალური აზროვნება, მოგვიანებით კი მამაკაცური ქცევის უტრირება გაძლიერებული აგრესიით.

ლატენტური სტადია (5-12 წელი) სქესობრივი ინტერესის დაქვეითებით ხასიათდება. „მე“ ფსიქიკური ინსტანცია მთლიანად აკონტროლებს „იგი“-ს მოთხოვნებს. სექსუალური მიზნისგან მოწყვეტილი ლიბიდოს ენერგია მეცნიერებაში და კულტურაში არსებულ ზოგადსაკაცობრიო გამოცდილების ათვისებაზე გადადის, ოჯახური წრის გარეთ თანატოლებთან და მოზრდილებთან მეგობრული ურთიერთობები მყარდება.

გენიტალური სტადია (12-18 წელი) ხასიათდება ბავშვური სექსუალური მისწრაფებების დაბრუნებით. ყველა ყოფილი ეროგენული ზონა ერთიანდება და მოზარდი ზ.ფროიდის აზრით ერთი მიზნისაკენ – ნორმალური სექსუალური ურთიერთობისკენ მიისწრაფის. თუმცა ნორმალური სექსუალური ურთიერთობის განხორციელება შეიძლება გაძნელებული იყოს და მაშინ გენიტალური სტადიის განმავლობაში შეიძლება დავაკვირდეთ განვითარების რომელიმე წინამორბედი სტადიის მიმართ ფიქსაციის ან რეგრესიის ფენომენს ამ სტადიებისთვის დამახასიათებელი ყველა თავისებურებით. ამ სტადიაზე „მე“ ინსტანცია კვლავ უნდა ებრძოდოს ხელახლა გამოვლენილ „იგი“-ს აგრესიულ იმპულსებს. ასე მაგ., ამ ეტაპზე შეიძლება კვლავ წარმოიქმნას ოიდიპოსის კომპლექსი, რომელიც მოზარდს ჰომოსექსუალიზმისკენ, ურთიერთობისთვის თავისევე სქესის პირების არჩევისკენ უბიძგებს. „იგი“-ს აგრესიულ იმპულსებს რომ ებრძოდოს „მე“ ინსტანცია დაცვის ორ ახალ მექანიზმს იყენებს. ესენია ასკეტიზმი და ინტელექტუალიზაცია. ასკეტიზმი შინაგანი აკრძალვების დახმარებით ამუხრუჭებს ამ ფენომენს, ხოლო ინტელექტუალიზაციას ის წარმოსახვამდე დაჰყავს და მოზარდს ამ აკვიატებული სურვილებისაგან განთავისუფლების საშუალებას აძლევს. როდესაც ბავშვი მოზრდილი ხდება მისი ხასიათი „მე“-ს,

„იგი“-სა და „ზე-მე“-ს განვითარების და ურთიერთქმედების პროცესებით განისაზღვრება. ფროიდის მიხედვით, ნორმალური განვითარება სუბლიმაციის მექანიზმით ხორციელდება, ხოლო განვითარება, რომელიც გამოდევნის, რეგრესიის ან ფიქსაციის მექანიზმით ხორციელდება, პათოლოგიურ ხასიათებს წარმოშობს. ამ სტადიაზე ჩამოყალიბებულია ყველაზე მკვეთრად გამოხატული ხასიათის ორი ტიპი: ფსიქიკური ჰომოსექსუალიზმი და ნარცისიზმი. ფსიქონალიზმი ფსიქიკურ ჰომოსექსუალიზმს ყოველთვის არ განიხილავენ როგორც უხეშ სქესობრივ გაუკუღმართებას. ის შეიძლება ქცევის ისეთი ფორმები იყოს, რომელშიც სხვა სქესის მიმართ სიყვარული ჩანაცვლებულია ამხანაგური მიკედლებულობით, მეგობრობით, თავისივე სქესის პირთა გარემოცვაში საზოგადოებრივი საქმიანობით. ასეთი ადამიანები თავის ცხოვრებასა და ქცევაში ოჯახზე წინ საზოგადოებას აყენებენ და თავისივე სქესის ადამიანთა კომპანიაში მჭიდრო სოციალურ კავშირებს ქმნიან. სექსუალური ხასიათის მეორე ტიპი ნარცისიზმია. ის იმით ხასიათდება, რომ პიროვნების ლიბიდო თითქოს გამოყოფილია ობიექტისაგან და საკუთარი თავისკენაა მიმართული. ნარცისული პიროვნება თავს საკუთარი სექსუალური ზრახვების ობიექტად განიხილავს. მისთვის სიამოვნების გარე ობიექტები მეორე პლანზეა გადაწველებული და მთავარი ადგილი თვითდაკმაყოფილებას და თვითკმაყოფილებას უჭირავს. მსგავსი ხასიათები ყურადღებას, მოქმედებებს, განცდებს უპირატესად თავისივე თავისკენ მიმართავენ.

ანა ფროიდი² ბავშვურ განვითარებას განიხილავს, როგორც ბავშვის თანდათანობითი სოციალიზაციის პროცესს, რომელიც სიამოვნების პრინციპიდან რეალობის პრინციპზე გადასვლის კანონს ემორჩილება. ანა ფროიდის აზრით ფსიქონალიზის ყველაზე ადრეულ აღმოჩენად, ანუ ზრდასრული პაციენტების კვლევის შედეგს, ის ფაქტი წარმოადგენს, რომ დედის განწყობა ბავშვზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს. ბავშვებზე დაკვირვებები კვლავ ადასტურებენ, რომ დედის ინდივიდუალური მიდრეკილებები და ანტიპათიები არსებით გავლენას ახდენენ ბავშვის განვითარებაზე. „ყველაზე სწრაფად ვითარდება ის, რაც ყველაზე მეტად მოსწონს დედას და რასაც ყველაზე აღტაცებით ღებულობს, განვითარების პროცესი შეფერხებულია იქ სადაც დედა გულგრილია ან არ ამყლავნებს თავის მხარდაჭერას“ – შენიშნავს ანა ფროიდი. უსუსურობის მიუხედავად ბავშვი ძალიან ადრე ახერხებს დედის მიმართ გარკვეული დამოკიდებულების გამომჟღავნების სწავლას. უკვე ამ ადრეულ ასაკში შეიძლება განვასხვავოთ დამჯერი, „კარგი“ – ადვილად სამართავი და მოუთმენელი, თავნება – „მძიმე“ ბავშვები, რომლებიც მათთვის დაწესებული ყოველი შეზღუდვის მიმართ მძაფრ პროტესტს გამოთქვამენ. რაც უფრო დამოუკიდებელი ხდება ბავშვი

2 ანა ფროიდი, 1895-1982, ზიგმუნდ ფროიდის უმცროსი ქალიშვილი

კვებასთან, მილთან და ა.შ. მიმართებაში, მისი სხეულებრივი მოთხოვნები მით უფრო უკანა პლანზე გადაინაცვლებენ და ახალ ინსტიქტიურ სურვილებს უთმობენ ადგილს. ბავშვი მათი დაკმაყოფილებისკენ მიისწრაფის იგივე ზრახვით, რითაც ადრე, შიმშილის გრძნობის დროს, გაძლომას ცდილობდა. აი ის კვლავ შეზღუდვებს ეჯახება, რომლებსაც მას გარემო უწესებს. ცხადია, ბავშვი გაუცნობიერებლად, დაუყოვნებლივ, გარე მოვალეობების გათვალისწინების გარეშე, ცდილობს თავისი ინსტიქტური მიზნების განხორციელებას, რაც შეიძლება სახიფათო გახდეს მისი სიცოცხლისათვის. ამიტომ მოზრდილი, ბავშვის სურვილის მიუხედავად, იძულებულია შეზღუდოს ის. შინაგანსა და გარეგანს შორის – სიამოვნებისკენ სწრაფვასა და რეალობას შორის არსებული შეუსაბამობის გამო ამ ასაკის ყველა ბავშვი, ა.ფროიდის აზრით გარე სამყაროს მუდმივ სიმწელებებშია „გახლართული“. შესაბამისად ისინი ჯიუტები, უხეშები და გაუგონრები არიან. ა.ფროიდის აზრით ბავშვის შანსი ფსიქიკურად ჯანმრთელი დარჩეს ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქვს უნარი მის „მე“-ს გაუძლოს ყველა აკრძალვას, ანუ გადალახოს დაუკმაყოფილებლობა. ზოგიერთი ბავშვისთვის ყოვლად მიუღებელია სურვილის დაკმაყოფილების ნებისმიერი აკრძალვა ან გადავადება. ის ამაზე რისხვის, მძვინვარების, მოუთმენლობის რეაქციით პასუხობს. არაფერს არ შეუძლია მათი დაკმაყოფილება, ნებისმიერ ჩანაცვლებას ისინი, როგორც არასაკმარისს ისე უარყოფენ. სხვა ბავშვებში იგივე შეზღუდვები აღნიშნულ მძაფრ რეაქციებს და აღშფოთებას არ იწვევს. საინტერესოა, რომ ძალიან ადრე წარმოქმნილი ასეთი განწყობები, მრავალი წლის განმავლობაშია შენარჩუნებული. ის ვინც იმყოფება სიამოვნების პრინციპის გავლენის ქვეშ თავის ქცევაში მხოლოდ სიამოვნების დაკმაყოფილების სურვილით ხელმძღვანელობს. ა.ფროიდის თქმით მხოლოდ რეალობის პრინციპი ქმნის სივრცეს გადავადებისთვის, შეფერხებისთვის, სოციალური გარემოცვისა და მისი მოთხოვნების გათვალისწინებისთვის. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიამოვნების პრინციპი და დესოციალური ან ასოციალური ქცევა ისევე მჭიდროდაა გადანასკვული ერთმანეთზე, როგორც რეალობის პრინციპი და შემდგარი სოციალიზაცია.

ა.აიხორნმა³ შენიშნა რომ უპატრონო ბავშვებს და მცირეწლოვან დამნაშავეებს რეალობის პრინციპის განვითარების მაღალი ხარისხის მიღწევა შეუძლიათ, ისე რომ მას სოციალიზაციაში არ იყენებენ. სიამოვნების პრინციპიდან რეალობის პრინციპზე გადასვლა ინდივიდის სოციალიზაციის მხოლოდ წინაპირობაა. რეალობის პრინციპისკენ წინსვლა თავისთავად იმის არავითარ გარანტიას არ იძლევა, რომ ინდივიდი სოციალურ მოთხოვნებს დაემორჩილება. ა.ფროიდის აზრით ბავშვური ცხოვრების თითქმის ყველა ნორმალური ელემენტები, განსაკუთრებით ისეთები, როგორებიცაა: სიხარბე, შურიანობა, ეჭვიანობა, სხვისი

3 ა.აიხორნი, ფსიქოანალიტიკოსი

სიკვდილის სურვილი, ბავშვს დესოციალურობისკენ უბიძგებენ. სოციალიზაცია მათგან დაცვაა. ზოგიერთი ინსტიტუტური სურვილები ცნობიერებიდან გამოიდევენება, სხვები კი თავის საპირისპიროში გადადის (რეაქციული წარმონაქმნები), მიიმართება სხვა მიზნისაკენ (სუბლიმაცია), საკუთარი პერსონიდან სხვაზე გადაინაცვლებენ (პროექცია) და ა.შ. ა.ფროიდის თვალსაზრისით განვითარებისა და დაცვით პროცესებს შორის არავითარი შინაგანი წინააღმდეგობა არ არსებობს. ნამდვილი წინააღმდეგობები უფრო ღრმად ძვეს. ისინი იდივიდის სურვილებსა და საზოგადოებაში მის მდგომარეობას შორისაა მოთავსებული, ამიტომ სოციალიზაციის პროცესის უმტკივნეულოდ მიმდინარეობა შეუძლებელია. თავდაცვითი პროცესის ორგანიზაცია – „მე“-ს განვითარების მნიშვნელოვანი და აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ერთის მხრივ რეალურობის პრინციპის, ხოლო მეორეს მხრივ აზრობრივი პროცესების ფორმირება, გზას უხსნიან სოციალიზაციის ახალ მექანიზმებს: მიბაძვას, იდენტიფიკაციას, ინტროექციას, რომლებიც „ზე-მე“ ინსტანციის ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ეფექტური „ზე-მე“-ს ჩამოყალიბება სოციალიზაციაში ბავშვის გადამწყვეტ პროგრესს ნიშნავს. ახლა ბავშვს შეუძლია არამართო დაემორჩილოს საკუთარი სოციალური გარემოცვის მორალურ მოთხოვნებს, არამედ „თავად იღებს მასში მონაწილეობას და შეუძლია თავი მის წარმომადგენლად ჩათვალოს“. თუმცა ეს შინაგანი ინსტანცია ჯერ კიდევ ძალიან სუსტია და მრავალი წლის განმავლობაში ესაჭიროება ავტორიტეტული პირების (მშობლები, მასწავლებლები) მხრიდან მხარდაჭერა და შეიძლება მათი მიზეზით, იმედგაცრუების ან ძლიერი განცდის გამო ადვილად დაიშალოს. მიბაძვა, იდენტიფიკაცია და ინტროექცია აუცილებელი წინაპირობებია მოზრდილთა სოციალურ ერთობლიობაში შესასვლელად. შემდეგ ახალი ნაბიჯები უნდა გადაიდგას „გარეთ“: ოჯახიდან – სკოლაში, სკოლიდან – საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თითოეულ ამ ნაბიჯს თან ახლავს უარის თქმა პირად უპირატესობებზე, „ინდივიდუალურ-ყურადღებით“ დამოკიდებულებზე საკუთარი თავის მიმართ. მაგალითად სასკოლო კლასში ერთნაირი წესებია ყველა მოსწავლისთვის, თუმცა ისინი პიროვნულად ერთმანეთისგან განსხვავებული არიან. საზოგადოებრივ ცხოვრებაში კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. კანონები მტკიცე და უპირობოა, მათი დარღვევა ლეგალურ სანქციებს იწვევს მიუხედავად იმისა თუ რა მსხვერპლის გაღებას ნიშნავს მათი გამოყენება პიროვნებისთვის, ამსუბუქებს ის თუ ამძიმებს ამ მსხვერპლს, მის ხასიათს, ინტელექტუალურ დონეს” – აღნიშნავდა ა.ფროიდი. მორალის საწყისი, ძირითადი საფუძველების გარდა მას სამართლისა და კანონის პრინციპების აღიარება და მათთანადი მორჩილების მზადყოფნა მოეთხოვება. ნორმასთან შედარებით სისხლის სამართლის დამნაშავე ჰგავს ბავშვს, რომელიც მშობლების ავტორიტეტს უკეთებს იგნორირებას. გვხვდება ისეთი ადამიანებიც, რომელთა მორალური მოთხოვნები საკუთარი თავის მიმართ უფრო მაღალი და მკაცრია, ვიდრე ამას გარემომცველი საზოგადოება ითხოვს. მათი იდეალები

ეყრდნობა არა რეალურ მშობლებთან, არამედ მათ იდეალიზირებულ ხატებთან იდენტიფიკაციას. როგორც ა.ფროიდი შენიშნავს ასეთი ადამიანები თვითდაჯერებულად იქცევიან და მორალურად აღმატებიან თავიანთ ახლობლებს.

1.2. ბავშვი და ოჯახური გარემო

დედასა და ახალშობილს შორის პირველი ორი წლის, განსაკუთრებით კი პირველი 9-12 თვის განმავლობაში, არსებობს ქცევის და ურთიერთკავშირის ნორმების მრავალფეროვნება. ეს გრძნობა ვითარდება დედასა და ბავშვს შორის ურთიერთკავშირით, რამდენადაც ისინი ერთმანეთისგან სწავლობენ როგორ მოახდინონ რეაგირება ერთმანეთის ქცევაზე. დედასა და ჩვილს შორის ასეთი ურთიერთკავშირის დიდი ნაწილი, როგორცაა დედის სიცილი, მისი მოძრაობები, ის თუ როგორ უყურებს თავის შვილს თვალებში, და ასე შემდეგ და მეორე მხრივ ის თუ როგორ რეაგირებს ბავშვი დედის ქცევაზე და ყოველივე ამაზე. ეს განიხილება, როგორც მათ შორის ურთიერთობის დამყარების პროცესის ძირითადი მომენტი. ხშირად დედის და ბავშვის ურთიერთობა განიხილება როგორც ციკლი, რომელშიც ერთი მომენტი გადადის მეორეში – ბავშვი განიცდის დისკომფორტს და ტირის, დედა შემდეგნაირად რეაგირებს: აიყვანს ჩვილს ხელში, წარმოთქვამს დამამშვიდებელ ბგერებს, ბავშვი მშვიდდება. გარკვეული დროის შემდეგ ჩვილი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ ის ვინც მასზე ზრუნავს, ასრულებს მის მოთხოვნებს და შეიძლება მას ენდოს. დედას და ბავშვს შორის ყალიბდება უსაფრთხო ურთიერთობის გრძნობა და ბავშვი სწავლობს ნდობას და ხვდება, რომ მისთვის შეუცნობად სამყაროში მისი მოთხოვნილებები იქნება შესრულებული. იმ შემთხვევაში, როდესაც დედა ან მამა ვერ პასუხობს ჩვილის მოთხოვნებს, ბავშვი რეაგირებს ამაზე და უფრო ხანგრძლივად და ხმამაღლა გამოთქვავს პროტესტს. ბავშვმა თუ გარკვეული დროის შემდეგ ვერ მიიღო საპასუხო რეაქცია, მაშინ ის წყვეტს კონტაქტში შესვლის მცდელობას და მაშინაც კი აღარ შედის კონტაქტში, როცა მშობლები უღიმიან ან უყურებენ თვალებში. ასეთ შემთხვევაში ჩვილი წყვეტს გაბრაზებას და იწყება სერიოზული სიძნელები მშობლებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

პირველი 3 წლის განმავლობაში ყველაზე მეტად ვითარდება ადამიანის ტვინი და აღწევს უფროსი ადამიანის ტვინის 75%-ს. სტრესის და ძლიერი ემოციების დროს, როცა ბავშვს არ უკმაყოფილდება მოთხოვნილებები ან უგვიანდება მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ლიმფური სისტემა გადარჩენის მიზნით თავის თავზე იღებს კონტროლს. როდესაც მოთხოვნილების შესაბამისი უსაფრთხო გარემო ბრუნდება (მიიღო საკვები, ჩააცვეს, ხელში აიყვანეს, გაუღიმეს, ჩაეხუტნენ), ტვინის ქერქი ჩართავს მშვიდ და ლოგიკურ აზროვნებას. ამიტომაც როდესაც ბავშვების სიგნალები ხშირად არის უგულვებელყოფილი, ტვინის

მუდმივი დამაბულობა იწვევს ტვინის უჯრედების ზრდის შეზღუდვას. უძლიერესი მექანიზმი, რაც ხელს უწყობს ტვინის განვითარებას არის თვალებით კონტაქტი და მშობლის/აღმზრდელის სახის გამომეტყველება, დადებითი ემოციების გამოხატვა. მშობელს იმაზე მეტი აქვს საერთო შვილთან ვიდრე ის იქრობს. მაგალითად ზრდასრული ადამიანი იმედგაცრუებულია და გრძნობს ტკივილს, როდესაც კარგავს სამსახურს. არნაკლებ განიცდის ბავშვი, როცა ის კარგავს თავის საყვარელ სათამაშოს. იმედგაცრუება და ტკივილის გრძნობა ერთია ყველა ასაკისთვის. არ არსებობს ბავშვის ისეთი გრძნობები რომელიც მშობელს არ აქვს განცდილი. ბავშვებში 3 წლისთვის თავს იჩენს ჭირვეულობა, სიმორცხვე, შიში, გაკვირვება-გაოცება, ფორმირებას იწყებს ბავშვის ინდივიდუალიზმი, ხასიათისა და საქციელის თავისებურებანი. უარყოფით ემოციებს თან სდევს ისტერიკა და გამოიხატება იმაში, რომ აკრძალვის ან რაიმეზე უარის თქმის საპასუხოდ ბავშვი ხმამაღალი კივილითა, თუ სრული დაუმორჩილებლობით, ხელის მოქნევითა, თუ ფეხის ბაკუნით, იატაკზე დაცემით გამოხატავს ძლიერ, ემოციურ პროტესტს. ასეთ გამოვლენებს და ქმედებებს ბავშვი იყენებს აკრძალვებისა და უარების გადასალახავად. კრიზისული მოვლენები უფრო მწვავედ ვლინდება იმ შემთხვევაში თუ მშობლების მის გამოვლენებს ზღუდავენ ან საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. მისი პროტესტის სიმძლავრე დამოკიდებულია ოჯახში აღზრდის არჩეულ და დამკვიდრებულ სტილზე. ამდენად, ბავშვის სწორი აღზრდა თანდათანობით მისი მოვლის მთავარ ელემენტად იქცევა. რამდენადაც სწორად აღზრდება ბავშვი იმდენად ნორმალური იქნება მისი ფსიქოლოგია შემდეგი ცხოვრების მანძილზე.

უმცროსი სასკოლო ასაკის კრიზისი სხვა ასაკობრივი კრიზისების ფონზე შედარებით წყნარია. ეს ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ მშობლები ამ ასაკის ბავშვებს ხაზგასმულად ექცევიან, როგორც მცირეწლოვან ბიჭუნასა და გოგონას, ხოლო სკოლაში კი უყენებენ მაღალ მოთხოვნებს, როგორც სწავლის ასევე ქცევის კუთხით და ექცევიან როგორც მოსწავლეს, რომელსაც გააჩნია მოვალეობები. ამ მოთხოვნებსა და მიგომების დროს გამოკვეთილი თვისობრივი სხვაობები ქმნიან კრიზისულ გარემოს, მშობელთა მიდგომა რათა ბავშვმა მოამზადოს გაკვეთილი და მოემზადოს შემდეგი სასწავლო დღისათვის მათში იწვევს პროტესტის გრძნობას, რადგან მანამდე ის მხოლოდ თამაშობდა, სვავდა უამრავ შეკითხვას და ცდილობდა შეეცნო მის გარშემო არსებული სამყარო. ამ პერიოდში კი ბავშვი ვალდებულია დროებით შეიზღუდოს თავისი სკოლაში მისვლამდე არსებული უფლებები, რაც მას არ სიამოვნებს და გამოთქვამს პროტესტს. ასეთ შემთხვევაში ზედმეტად მკაცრად დასჯამ (როგორც სიტყვიერად ასევე ფიზიკურად), მშობლების მიერ გამოთქმულმა ბრალდებებმა შეიძლება ბავშვს შეუქმნას მხოლოდ ბრალეულობის შეგრძნება და ჩაუხშოს დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობისაკენ მისწრაფება. ბავშვში უპირველესად მნიშვნელოვანია ინდივიდუალურობის გამოვლენის ხელშეწყობა, რადგან ის პირველი გასაღებია

თვითღირებულებისა და მაღალი თვითშეფასების. ინდივიდუალურობის გარეშე ადამიანები მონები არიან სხვისი მიზნებისა და სურვილების განხორციელებაში. მშობლებს შორის განსხვავებები უპირველესი მაგალითია ბავშვისთვის. რა თქმა უნდა, ბავშვს უნდა ესმოდეს, რომ ყველა ადამიანი მაინც ერთნაირია, მაგრამ თავისი უნიკალურობაც გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის გრძნობებისა და ემოციების გამოხატვა. ემოციური უარყოფა, რომელიც მშობლის მხრიდან უყურადღებობაში და ნაკლები სიტბოს გამომჟღავნებაში გამოიხატება, აისახება ბავშვის განვითარებაზე. ხშირად ამის გამო ბავშვი ფიზიკურად ნორმალურად ვერ ვითარდება, იშვიათ შემთხვევებში კი შედეგად სიკვდილი მოსდევს. შვილების მიმართ უყურადღებობა გამოიხატება მშობლების მიერ მათი სანიტარიის დაუცველობით, ცივ ამინდში შეუსაბამოდ ჩაცმით, განათლების მიღების საკითხში უყურადღებობით, წარმატების მიღწევაში ხელშეუწყობით, პრობლემების გადაჭრაში დაუხმარებლობით. ასეთი ბავშვების წილი ნიუ-ჰემფშირში (აშშ) არის 3.2%, მონრეალში (კანადა) – 10%, სინგაპურში – 19.4%, ბუსანში (კორეა) – 36.4%. ზოგიერთ მშობელს სჯერა მითის, რომ თუ ის არ გამოხატავს ემოციებსა და გრძნობებს ბავშვთან, ისინი იქნებიან ავტორიტეტულები მისთვის. თუ მშობელი ასეთ გზას აირჩევს, მაშინ ის დარჩება შეუცნობელი ბავშვისთვის. ბავშვები მეტად ენდობიან გახსნილ და გამომხატველ ადამიანებს. უნდობლობის შემთხვევაში კი იკეტებიან თავიანთ თავში და იზოლაციაში იმყოფებიან. ამასთანავე არ დაგავიწყდეთ, რომ ბავშვმა შესაძლოა მშობლებისგან აიღოს ემოციების გამოხატვის მოდელი და გაუჭირდეს კომუნიკაციების დამყარება საზოგადოებაში. ემოციების გამოხატვა და ემოციური ინტელექტი ხომ ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაციის დამყარებისთვის. ასევე ბავშვს უნდა ვაცადოთ იმ ქმედების განხორციელება, რაც თვითონ სურს, რომ გააკეთოს და ამასთანავე გარკვეულწილად შეუძლია ამის გაკეთება. ეს მას დამოუკიდებლობას მიანიჭებს. დამოუკიდებლობის შეგრძნება კი თავისთავად თავდაჯერებულობას მოუტანს. წარმოიდგინეთ ბავშვი, რომლის მაგივრადაც ყველაფერს მშობელი ასრულებს. რას გრძნობს ამ დროს ბავშვი? უსუსურობასა და უუნარობას. ფიქრობს, რომ არ შეუძლია ხარისხიანად რაიმეს გაკეთება და ნელ–ნელა ინიციატივასაც კი აღარ გამოხატავს რაიმეს გასაკეთებლად. ყოველთვის უნდა ვეცადოთ არ ჩავახშოთ ბავშვის ინიციატივები. პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ბავშვის ფსიქო–ემოციური განვითარებისთვის. პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება ადამიანს ეხმარება იცხოვროს სრულფასოვნად. როცა ადამიანი საკუთარ თავსა და თავის ცხოვრებაზე პასუხისმგებელია ის ფლობს საკუთარ ცხოვრებას. ბავშვმა უნდა ისწავლოს თავის თავზე აიღოს ყველაფერი, წარმატება იქნება ეს თუ მარცხი.

უფროსი სასკოლო ასაკის კრიზისი ცნობილია როგორც სიყმაწვილის კრიზისი. ხასიათდება სულიერი, პიროვნული, სოციალური, პრაქტიკული და

პროფესიონალური თვითგამორკვევის პრობლემებით. მათ ინტერესებში და მისწრაფებებში წამყვან ადგილს იკავებენ თვითგამორკვევის მოტივები და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება. ახალგაზრდების ნაწილი ამ თვითგამორკვევაში ხელმძღვანელობს ზოგადად მიღებული ღირებულებებით, ეყრდნობა გარემოცვის შეფასებას, მოზრდილთა ავტორიტეტს. ზოგი აუჩქარებლად იძვრის განვითარების შემდეგი ეტაპისთვის და შედარებით ადვილად ერთვება ურთიერთობათა ახალ სისტემაში. ზოგისთვის კი ეს ეტაპი შეიძლება იყოს ძალიან მღელვარე და დამაბული, რაც გამოწვეული ოქნება ცხოვრების არსისა და ამ სამყაროში თავისი ადგილის მოძებნის უსისტემო მიდგომებით. თუ მოზარდი მომავალს უყურებს აწყმოს პოზიციიდან, იგი მომავლის თვალთ ხედავს აწყმოს. იგი ფიქრობს თუ როგორი სურს რომ იყოს მომავალში მისი ცხოვრება, ასევე აანალიზებს იმ ფაქტორებს რაც აწყმომი უშლის ხელს დასახული მიზნის განხორციელებაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მას აქვს თუ არა რჩევა-დარიგების მიღების შესაძლებლობა ოჯახიდან, ოჯახს შეუძლია თუ არა რომ რეალურად დაეხმაროს ახალგაზრდას თვითგარკვევაში და რამდენად შეძლებს მის დახმარებას ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ითვალისწინებს თუ არა საკუთარი ოჯახის წევრებიდან წამოსულ აზრსა და მიმართულებებს, ამ ყველაფერს მისთვის რაიმე ღირებულება გააჩნია თუ არა, ოჯახის წევრებს პატივს სცემს, თუ არ სცემს. ეს კი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ ექცეოდნენ მას დაბადებიდან მოცემულ მომენტამდე, მშობლებმა მას რამდენად გადასცეს ჰუმანური ფასეულობები.

საზოგადოებაში ყოველდღიურად მატულობს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა. ამის მიზეზი ის ყალბი ფასეულობებია, რომლებიც მათ ცნობიერებაში დამკვიდრდა. მოზარდთა უმეტესობა, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში, თავდაპირველ განათლებას სკოლაში იღებს. მათ აქვთ საშუალება მოამზადონ საფუძველი უკეთესი მომავლისათვის, მაგრამ ბოლო წლების სტატისტიკურმა მონაცემებმა გვიჩვენა, რომ სკოლა ხშირ შემთხვევაში ბავშვთა აგრესიისა და ძალადობის ერთ-ერთ კერად იქცა. მოზარდები, რომლებიც თუნდაც სულ მცირედით გამოირჩევიან თანატოლებისგან - იქნება ეს გარეგნული თუ გონებრივი მონაცემები, განსხვავებული აქცენტი - შეიძლება დამცირებისა და შევიწროების ობიექტები გახდნენ. ძალადობის ყველაზე ხშირი და გავრცელებული ფორმა ბავშვების ჩაგვრა და აბუჩად აგდებაა როგორც უმცროს სასკოლო ასაკში ასევე უფროს სასკოლო ასაკში რომელიც გარდატეხის პერიოდს ემთხვევა, თუმცა ამ უკანასკნელის შედეგები უფრო მწვავეა და მთელი სიმძიმით მოქმედებს მოზარდის ფსიქოლოგიაზე. აგრესიობა განსაკუთრებით ფართოდ ვლინდება ბავშვთა სახლებში, პანსიონებში, ობოლთა თავშესაფრებში. იგი შეიძლება გამოვლინდეს როგორც ცალკეული მოზარდებისგან, ასევე მოზარდთა ჯგუფის მიერ რომელიმე ახალგაზრდის მიმართაც. ძალადობაში გაზრდილი ბავშვი კი ხშირ შემთხვევაში თვითონ ხდება მოძალადე.

1.3. აგრესია ოჯახში

მჭიდრო ინტერპერსონალურ ურთიერთობაში, როგორცაა ოჯახი, მშობელი შვილის ურთიერთობა, მეგობრებს შორის ურთიერთობა, რომელიც ჩვეულებრივ ღრმა მოწონებით და სასიყვარულო ურთიერთობაზეა აგებული, სადი აზრი უშვებს, რომ ძალმომრეობას იშვიათად უნდა ჰქონდეს ადგილი. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი გვარწმუნებს, რომ ასეთი დასკვნა მცდარია. თანაც, როგორც მიუთითებენ საშიშად მცდარი. ორი ათასი შერჩეული ოჯახის, როგორც შეერთებული შტატების პოპულაციის რეპრეზენტაციული, შესწავლის შედეგად მკვლევარები ასკვნიან, რომ ძალადობა არის ოჯახის ცხოვრების ინტეგრალური ნაწილი. სტატისტიკა ადასტურებს ამ ფაქტს. პირველ რიგში მიუთითებენ ცოლქმარს შორის არსებულ აგრესიაზე. კითხვაზე, გამოუყენებიათ თუ არა ძალადობის მოცემული რვა ნიმუშიდან რომელიმე თავის მეუღლის მიმართ ბოლო წლების განმავლობაში, მონაწილეთა 16 პროცენტი პასუხობს “დიახ”, ე.ი. გამოუყენებიათ. ძალადობის რვა ნიმუში იყო შემდეგი: 1. მეუღლეს ესროლა რაღაცა; 2. ხელი კრა; 3. გაარტყა; 4. ფეხი კრა, მუშტით ცემა, უკბინა; 5. ცემა საგნით; 6. მაგრად ცემა; 7. დაემუქრა იარაღით ან დანით; 8. იარაღი ან დანა გამოიყენა. შედეგებში საკმაოდ მაღალი პროცენტით დაფიქსირდა აგრესიული ქცევის შემდეგი ფორმები: ხელი კრა, გაარტყა, ცემა საგნით. საინტერესოა, რომ ძალიან ცოტა იყო განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის ამ სახის აგრესიული ქცევის გამოვლენაში. ამასთან აღმოჩნდა, რომ უფრო ქალები აღნიშნავდნენ, რომ მეუღლეს ესროლა ან გაარტყა საგანი; ქმრები კი უფრო ხელის კვრას და გარტყმას აღნიშნავენ. ერთი სიტყვით, მონაცემები მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომ ბევრისთვის ქორწინების ლიცენზია (მოწმობა) არის “ცემის ლიცენზია”.

რა თქმა უნდა, როცა ცოლქმარს შორის ურთიერთობაში ადგილი აქვს ძალადობას, შემაშფოთებელია. მაგრამ, უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მშობლები ხშირად თავიანთ გაშმაგებას წარმართავენ შვილებზე, რომლებსაც ნაკლებად შეუძლიათ თავის დაცვა.



სტრავსი და მისი კოლეგების მონაცემები მიუთითებენ, რომ მშობლების უმრავლესობა (სამი მეოთხედი) აღნიშნავს შვილების მიმართ აგრესიის ამა თუ იმ ფორმის გამოყენებას. თანაც, თავდასხმა თავისი ბუნებით არ იყო სუსტი. თავიანთი კვლევითი მონაცემების ანალიზის საფუძველზე სტრავსი და მისი კოლეგები აკეთებენ განზოგადოებას, რომ დაახლოებით 2.3 მილიონი ბიჭუნა ბავშვობაში ნაცემი იქნა მშობლების მიერ და ერთ მილიონზე მეტ ბავშვს მშობელი დაემუქრა დანით ან იარაღით. ეს ნამდვილად შემაშფოთებელი სტატისტიკაა.



ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ძალადობის შემაშფოთებელი ფაქტები რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, არ შემოიფარგლება ოჯახით. ძალადობა ხშირია მეგობრებსა და ნაცნობებს შორის. ეს კარგად გამოჩნდა კოლეჯის სტუდენტების გამოკვლევებში. გამოიკვლიეს ხუთი კოლეჯის სტუდენტები. მათ სთხოვეს ეთქვათ მიუღიათ თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი ძალადობის რვა ფორმიდან რომელიმე ან თვითონ გამოუყენებიათ თუ არა რომელიმე მათგანი თავიანთი ტოლების მიმართ. ორივე სქესის სტუდენტთა 50 პროცენტზე მეტი მიუთითებდა, რომ ჩამოთვლილი რვა სახის ძალადობიდან ერთი ან მეტი გამოუყენებია თვითონ. ამასთან, უფრო მამაკაცები ვიდრე გოგონები (56,9 პროცენტი წინააღმდეგ 47,8 პროცენტისა) მიუთითებდნენ, რომ მათზე განხორციელდა ასეთი სახის ძალადობა. სქეს შორის განსხვავება მხოლოდ ერთ საკითხში იყო მნიშვნელოვანი. ბიჭები მიუთითებდნენ უფრო რომ ჩაუდენიათ სექსუალური ძალადობა ვიდრე გოგონები. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა, რა თქმა უნდა შემაშფოთებელია, მაგრამ ის არაფერს ამბობს თუ რატომაა ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა ოჯახში ან სხვა ინტიმურ ურთიერთობებში. ალბათ ამის მიზეზი უნდა იყოს კომპლექსური, და

მოიცავს მრავალ ფაქტორს. შესაძლოა იმის ერთერთი მიზეზი იყოს ის, რომ ხშირად ძალადობა ბაძებს ძალადობას. ან ინდივიდი რომელიც ხშირად გამხდარა მშობლებს შორის ძალადობის მოწმე უფრო სააღბათოა გახდეს მოძალადე ქმარი ან ცოლი, ვიდრე ის რომელსაც გამოცდილებაში არ ჰქონია ასეთი ძალადობა. ან ბავშვი, რომელიც ბავშვობაში ფიზიკურად ისჯებოდა ხშირად, მეტი ალბათობაა, რომ უფრო შეურაცკყოფს საკუთარ შვილებს, ვიდრე ის ვისაც არ განუცდია ფიზიკური დასჯა. აღმოჩნდა რომ ძალადობის ოჯახური ტრადიცია გადაეცემა თაობიდან თაობაზე.



ძალადობის მეორე მიზეზად ჩათვლილია სტრესი. მიუთითებენ, რომ ოჯახები, რომლებიც განიცდიან სტრესის მაღალ დონეს, ექნებათ ტენდენცია ჰქონდეთ ძალადობის მეტი სცენები ვიდრე ოჯახებს, რომლებიც საბედნიეროდ ახერხებენ აიცილონ ასეთი პირობები. ამ მიზეზთანაა დაკავშირებული ოჯახის ზომა (რაც უფრო დიდია ოჯახში ბავშვების რაოდენობა, მით უფრო დიდია ძალადობის ალბათობა), ეკონომიური პირობები (სამუშაოს დაკარგვა, ვალის გადახდის უუნარობა), ახლო მეგობრის სიკვდილი, არა სასურველი ორსულობა, სიძნელეები კანონთან. ვარაუდობენ, რომ რაც უფრო განიცდის ინდივიდი ამ ტიპის სტრესულ მოვლენებს, მით უფრო დიდია ოჯახში ძალადობის ალბათობა. მესამე მიზეზი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ოჯახის ძალადობასთან არის ოჯახში ძალაუფლების განაწილება და ის თუ როგორ ხდება ოჯახში გადაწყვეტილების მიღება. ოჯახში, სადაც ძალაუფლება განაწილებულია ცოლ – ქმარს შორის და რომელშიც გადაწყვეტილება დემოკრატიულად (წევრებს შორის შეთანხმების შედეგად) მიიღება, ნაკლებად განიცდიან ძალადობის განსხვავებულ ფორმებს ვიდრე ოჯახში სადაც ძალაუფლება კონცენტრირებულია ერთერთის (ქმრის ან ცოლის) ხელში და ის ვინც ფლობს ძალაუფლებას, ის იღებს კიდევ უმეტეს გადაწყვეტილებას. ცხადია, ერთად ცხოვრების პირობებში თუ არ მოხდა ძალაუფლების განაწილება და რომელიმე ვერ იღებს მონაწილეობას

გადაწყვეტილებაში, ეს შეიძლება გახდეს ძალადობის განსხვავებული ფორმების საფუძველი.



ოჯახის წევრების დაკარგვა, როგორც მთავარი მოტივაცია მნიშვნელოვანად განაპირობებს ქალი ტერორისტების ქმედებას. განსაკუთრებით ტრადიციულ საზოგადოებებში დაქვრივებული ქალი თავს გრძნობს უიმედოდ და იზოლირებულად. 2003 წელს 29 წლის პალესტინელმა მოსამართლემ თავი აიფეთქა ჰაიფას რესტორანში, 20 ადამიანი იმსხვერპლა, უფრო მეტი კი დაშავდა. ოჯახის წევრები ახალგაზრდა ქალის ამ გადაწყვეტილებას ხსნიან შურისძიების სურვილით ისრაელის სამხედრო ძალების მიერ მისი ძმისა და საქმროს მოკვლის გამო.

ეს ტენდენცია ასევე ადვილი შესამჩნევია ჩეჩენი თვითმკვლელი ქალი ტერორისტების მაგალითზე. კრემლში მათ უწოდებენ „შავ ქვრივებს“. მათ გადაწყვეტილებას, რომ საკუთარი სიცოცხლე გაწირონ უმთავრესად საფუძვლად უდევს ქმრის, ძმების, მამისა თუ შვილების რუსული სამხედრო ძალების მიერ მკვლელობა. ქალების მიერ ამ ტაქტიკით მოქმედებას ასევე განაპირობებს კონკრეტული კულტურული ასპექტები. მაგალითად, ჩეჩენეთში ქალთა ინტენსიური მონაწილეობას სუიციდურ თავდასხმებში აიხსნება აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ქალებს არსებული კულტურული ნორმები უკრძალავს ჩვეულებრივ შეიარაღებულ დაპირისპირებაში მონაწილეობას.

ქალი ტერორისტების ასეთ ქმედებას ხშირად საფუძვლად უდევს რელიგიური მოტივი რომლის მიხედვითაც ისინი თუ კი ჯიჰადში მიიღებენ მონაწილეობას და მოკვდებიან იმქვეყნად მარადიულად იცოცხლებენ მეუღლესთან ერთად.

თავი II

2.1. სოციალური და ეკონომიური ფაქტორი

მსოფლიოში 50 მილიონი ლტოლვილიდან და გადასახლებულებიდან დაახლოებით ნახევარს ბავშვები შეადგენენ. ბავშვები გარბიან საცხოვრებლიდან, რადგან მათ ეშინიათ გაუპატიურების, სექსუალური მონობის, მძიმე სამუშაოში ჩართვის. ამას ემატება სხვა ვითარებებიც, მაგალითად ყოველ წელს 40 მილიონ ბავშვს არ ეძლევა დაბადების მოწმობა, რაც ართმევს მათ კანონიერ სახელსა და ეროვნებას. არსებობს ტერმინი “გამოყოფილი ბავშვები”, რომლითაც აღნიშნავენ 18 წელს ქვემოთ ისეთ პიროვნებებს, რომლებიც ცხოვრობენ სამშობლოს გარეთ, არ ჰყავთ არც მშობლები და არც მფარველები, რომ მოუარონ. ყოველ წელს 20 000 ასეთ ბავშვს იფარებენ სხვადასხვა ორგანიზაციები ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. მაგალითად, ევროპაში 50 000 “გამოყოფილი” ბავშვია, მათგან ლტოლვილად მხოლოდ 1-5% ითვლება. 100 მილიონზე მეტ ბავშვს არ შეუძლია სკოლაში სიარული. ვისაც დაწყებით კლასებში შეაქვს განცხადება, მათგან დაახლოებით 150 მილიონი შემდეგ თავს ანებებს, რისი მთავარი მიზეზიც მსოფლიოს 92 ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სახის გადასახადია. სასკოლო განათლების მიღება განსაკუთრებით რთულია სოციალურად არახელსაყრელი სეგმენტის მოსახლეობისთვის, რომლებიც ძირითადად არიან ღარიბები, ობლები, ფიზიკური დეფექტისა და შეზღუდული უნარის მქონეები.



ამას კი შედეგად მოაქვს ის, რომ მესამე მსოფლიოს ქვეყნებში 15-24 წლის ახალგაზრდებში 15% გაუნათლებელია. ცხადია, მნიშვნელოვანია ისიც, თუ სად იზადება ბავშვი. ზოგიერთ არეალში განსაკუთრებით რთულია განათლების მიღება. მაგალითად, ინდოეთის მაღალ არეალებში წელიწადში 7 თვის მანძილზე ამინდი მკაცრია და არახელსაყრელი სკოლაში მოსიარულეთათვის, რაც აიძულებს ბავშვებს, სახლში დარჩნენ. თავისი როლი აქვს სქესსაც. 25 ქვეყანაში მაღალ კლასებში მოსიარულე ბიჭების რაოდენობა გოგონებისაზე მინიმუმ 10%-ით მეტია. ხოლო ინდოეთში, ნეპალში, ტოგოში, თურქეთსა და იემენში ეს მაჩვენებელი ადის 20%-მდე და ზოგჯერ აჭარბებს კიდევ. ყველაზე ცუდი მდგომარეობაა სამხრეთ აზიაში, სადაც სკოლის მოსწავლეა ბიჭების 52% და გოგონების 33%. სუბსაჰარულ აფრიკაში მხოლოდ 27% და 22%. ბევრ ქვეყანაში რელიგიური თუ კულტურული მოტივების საფუძველზე მიაჩნიათ, რომ გოგონებისთვის შეუფერებელია სკოლაში სიარული. მიტოვებული ბავშვების საკითხი ისევ მწვავედ დგას მსოფლიოში. ისინი ძირითადად ჩვილი ბავშვები არიან. მკვლევარ ჯეიმს გაუდინის თქმით, ასეთ ბავშვებს ძალიან უჭირთ ენის ათვისება, სიტყვების წარმოთქმა, უქვეითდებათ გაგების უნარი. უარყოფილ ბავშვებს ასევე აქვთ დაბალი შედეგები ინტელექტუალური კოეფიციენტის (IQ) ტესტებში.



შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Labor Organization)⁴ მონაცემებით, მსოფლიოში 5-14 წლის ასაკის ბავშვებიდან 211 მილიონი მუშაობს. მათგან 120 მილიონი სრული დროით, რათა ხელი შეუწყონ ოჯახს ფინანსურ საკითხებში. მილიონობით ბავშვია მსოფლიოში, რომლებზეც შეიძლება ითქვას, რომ ძალით ამუშავებენ, რადგან მუშაობისთვის მცირე ასაკისანი არიან და ხშირ შემთხვევაში ამას იძულებით აკეთებენ და არა ნებით. უმეტესად კი ამაში მშობლები არიან დამნაშავეები – ეს ხდება დამატებითი შემოსავლის მიღების ან ვალის გადახდის მიზნით.



ხშირად ბავშვებს იტაცებენ კიდეც და ოჯახიდან შორს მიჰყავთ, ან სხვაგვარად ატყუებენ, შემდეგ კი საროსკიპოებში აბარებენ ან მძიმე ექსპლუატაციაში ჰყავთ. ძალადობის რისკი კი განსაკუთრებით მაღალია როცა ბავშვი იზრდება დაბალი სოციალური კულტურის, და განათლების, მშობელთა მენტალური პრობლემების, ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის, ხშირი ოჯახური კონფლიქტების პირობებში. აქედან გამომდინარე ვითარდება ძალადობის შემდეგი ფორმები:

- **ფიზიკური**, რაც გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ზემოქმედებას, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და იწვევს სხეულის სხვადასხვა სახის

⁴ ILO- შეიქმნა 1919 წელს ვერსალის შეთანხმების შესაბამისად. ერთა ლიგის ერთადერთი შემადგენელი ნაწილი. არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი სპეციალიზირებული სააგენტო.

დაზიანებას. მაგ.: ბავშვის ცემა, ყურის აწევა, თმაში მოქაჩვა, ხელის/ფეხის კვრა.

- **ემოციური, ანუ ფსიქოლოგიური**, რომელიც არის სიტყვიერი ან ქცევითი ზემოქმედება ბავშვზე შიშის, დამცირების, მარტოობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის საზიანო სხვა მდგომარეობის პროვოცირება. მაგ.: დაყვირება, განზრახ დამცირება, შერცხვენა, ბავშვის დათრგუნვა, დამცინავი სახელით მიმართვა, ბავშვის დაჩაგვრა.

გარდა ამისა, მილიონობით ბავშვი იძულებულია, საოჯახო საქმეები – მაგალითად საქონლის მოვლა, სახლის დალაგება – ადრეული ასაკიდან იტვირთოს. მძიმე პირობების გარდა, საქმეს ისიც ართულებს, რომ უმეტესად მუშა ბავშვებს მცირე გასამრჯელოს აძლევენ. მათგან ითხოვენ იმაზე მეტს, ვიდრე ფიზიკურად შეუძლიათ. აყენებენ ისეთ სიტუაციაში, რაც ვნებს ბავშვების ჯანმრთელობას, უსაფრთხოებასა და ნორმალურ განვითარებას. ხდებიან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიზეზი.



ტრეფიკინგი თანამედროვე მონობის სწრაფად მზარდი ფორმაა, რომელიც გავრცელებულია ყველა კონტინენტზე და ქვეყნების უმეტესობაში. ბავშვებით ვაჭრობის ხშირი შემთხვევებია ბანგლადეშში, პაკისტანში, სუდანსა და იემენში, შემდეგ კი უმეტესწილად გადაჰყავთ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში და აქლემების ჟოკეიდ იყენებენ. მონობის საწინააღმდეგო არასამთავრობო

ორგანიზაციის Anti-Slavery International-ის მტკიცებით კი, იგივე შემთხვევები იმავე მიზნით ხდება სპარსეთის ყურის ქვეყნებში – ქუვეითში, კატარში, ომანში. ასეთ ბავშვებს ხშირად სჯიან, არ აძლევენ ნორმალურად კვების საშუალებას და სცემენ. ბავშვების გარიდება ოჯახებიდან და წაყვანა ისეთ ქვეყანაში, სადაც არის სრულიად განსხვავებული ხალხი, ენა, კულტურა, აიძულებს ბავშვებს მთლიანად დაემორჩილონ მათ მყიდველებს და გახდნენ მათზე დამოკიდებულნი. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით ბავშვებს ზოგჯერ იტაცებენ, ზოგჯერ მათ თავად ოჯახი ჰყიდის. ფასი კი შეიძლება სულ რაღაც \$14 იყოს.

1.9 მილიარდი ბავშვიდან 640 მილიონს არ აქვს ნორმალური თავშესაფარი. ცუდი სოციალურ-ეკონომიკური პირობები უარყოფით და ხანგრძლივ ზეგავლენას ახდენენ ბავშვზე, რაც თავის მხრივ ზრდის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკს მოზრდილობის ხანაში. სპეციალისტთა მტკიცებით, ბავშვთა მიმართ ამგვარი ძალადობები უკვალოდ არ ქრება და შედეგად ხშირად ვიღებთ: მათ სიკვდილს სკოლამდელ ასაკში, მომავლის შიშს, კონფლიქტებს, აგრესიულობას, უვითარდებათ დაბალი თვითშეფასება, იზიანებენ თავს, უქვეითდებათ სასკოლო უნარები (მეხსიერება, ყურადღება, ადაპტაცია). ხშირია ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის დარღვევები, ხშირად სახლიდანაც გარბიან, ეძალებიან ალკოჰოლს და ხდებიან ნარკოტიკების მომხმარებლები, ექცევიან კრიმინალური სამყაროს გარემოცვაში, მისდევენ პროსტიტუციას და თავადაც ხდებიან მოძალადენი. დაბადებიდან ადამიანის ცხოვრებაზე თანმიმდევრული თვალის გადევნება ადასტურებს ადრეული ბავშვობის გადაწყვეტ გავლენას პიროვნების შემდგომ მომავალ ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.



სოციალური პრობლემებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავი სიღარიბეს, რომელის შედეგებიც მძიმეა. სიღარიბე გავლენას ახდენს ოჯახებზე, გარკვეულ ჯგუფებზე და ქვეყნებზე რომლის შედეგადაც იზრდება ძალადობა, დანაშაულებრივი ქმედებები(დაყაჩაღება, გაქურდება, მკვლელობა და ა.შ.), ტერორიზმი, ძალადობა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და ა. შ. საბოლოო ჯამში კი იცვლება გლობალური სტრატეგია, სახელმწიფო რეჟიმები და ყალიბდება სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლის ნათელი მაგალითი არის სომალის რესპუბლიკა. სიღარიბეს დამანგრეველ შედეგამდე მიჰყავს ოჯახი და მომავალი თაობა, რადგან სიღარიბის ყველაზე დიდი უარყოფითი შედეგი ბავშვის განათლებაზე და ჯანმრთელობაზე აისახება. დაბალი შემოსავლის მქონე ბავშვები და მოზარდები ხშირად ფიზიკური უძლურების გამო იზღუდებიან ნორმალური ფუნქციონირებისას. ადრეული ბავშვობის სიღარიბე და აკადემიური მოსწრება უფრო არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთპროპორციული, ვიდრე მოზარდობის პერიოდის სიღარიბე. სიღარიბესთან არის დაკავშირებული ხშირად ბავშვის არსწავლა უმაღლეს სასწავლებელში.



სიღარიბე ასევე მოქმედებს ბავშვის სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე. სიღარიბეში გაზრდილი ბავშვები უფრო მეტად ამჟღავნებენ ემოციურ პრობლემებს, როგორცაა: დაუმორჩილებლობა,

იმპლუსურობა (ფეთქებადი ხასიათი) და თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემები. სიღარიბეში გაზრდილი ბავშვები ნაკლებად ამყდებიან დადებით ქცევებს, როგორცაა, მაგ: დათმობა, ხათრიანობა და ა. შ. აღმოჩნდა, რომ სიღარიბე ხელს უშლის ოჯახებს, რომ მიაღწიოს სოციალური კონტროლი და ამის შედეგად, იზრდებოდა მოზარდებში არაადეკვატური ქცევები. ბავშვობის ეს სიმწელებები შეიძლება გადაიზარდოს ზრდასრულობაშიც და თავი იჩინოს ბავშვის შემდგომ ცხოვრებაში. უმეტეს შემთხვევაში ბავშვები, რომლებიც სიღარიბეში გაიზარდნენ, მომავალშიც ღარიბებად რჩებიან, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც არ გაზრდილან სიღარიბეში. ასე რომ ეს არის მიზეზები, რომელიც ბავშვებზე ცუდ გავლენას ახდენს სიღარიბის გამო: არაადეკვატური კვება, მატერიალური ჩაგვრა, მშობლების ალკოჰოლურ და ტოქსიკურ ნივთიერებებზე დამოკიდებულება, ძალადობრივი დანაშაული, მშობლების გამორება და ბავშვზე ზრუნვის დაბალი ხარისხი.



სიღარიბე ადამიანს აიძულებს იზრუნოს უკეთეს პირობებში ცხოვრებაზე, გამოთქვამს პროტესტს, იმართება აქციები და მიტინგები. თუ სახელმწიფომ არ მიიღო გადამჭრელი ღონისძიებები ეს შეიძლება სამოქალაქო ომში გადაიზარდოს, სადაც ხელისუფლება და მოქალაქეები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ეს კი ადამიანის ფსიქოლოგიაზე და ახალგაზრდულ დინამიკურ ჯგუფების ფსიქოლოგიაზე დამანგრეველ შედეგს გამოიტანს.

მაწანწალა ბავშვების დემოგრაფიული მონაცემების ანალიზის მიხედვით, უმრავლესობას ერთი მშობელი მაინც ჰყავს და ძირითადად დესტრუქციული ოჯახებიდან არიან... სიღარიბესა და სოციალურ-ეკონომიურ გაჭირვებასთან ერთად ისინი ხშირად ემოციური, ფიზიკური და რიგ შემთხვევებში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლნიც ხდებიან. ამ ბავშვებს ქუჩაში ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულება უწევთ...” ბავშვები, რომლებიც მუდმივად ქუჩაში

ცხოვრობენ, ღამეს სხვადასხვა ტიპის სარდაფებში, მიტოვებულ შენობებში ათევენ. მათ აქვთ ჯგუფური ცხოვრების წესი და ხშირად, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ტოქსიკომანად ყალიბდება, არიან წებოზე დამოკიდებულნი.



ქუჩაში მოხვედრა და საზოგადოებასთან კავშირის გაწყვეტის მიზეზი ხშირად დაკავშირებულია თვითონ საზოგადოების წევრების სისუსტესთან, ხშირად ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით უთანასწორობის გაზრდასთან. ზოგიერთ სახელმწიფოში ხარჯების არათანასწორი გადანაწილება, იწვევს მოწყვლადი ბავშვების დაჩაგრვას. როგორც მდიდარ ასევე ღარიბ სახელმწიფოში ოჯახის გაცალკეებამ და სოციალური კაპიტალის შესუსტებამ შეიძლება გამოიწვიოს მშობლების ძალადობრივი ქცევები. ამის გარდა კიდევ არსებობს მიზეზები, რომლის შედეგადაც ბავშვები სიცოცხლეს ამთავრებენ ქუჩაში: დაბალი შემოსავალი: ბევრი ბავშვი ქუჩაში იმიტომ მუშაობს, რომ მხარში ამოუდგეს ოჯახს და გადაარჩინოს ის განადგურებისგან; უსახლკარობა: როგორც ღარიბ ასევე მდიდარ ქვეყნებში შესაბამისი სახლების უკმარისობა უბიძგებს მოსახლეობას ქუჩისკენ; საზოგადოებისგან უარყოფა და დამცირება: ეს პრობლემა დაკავშირებულია მშობლებთან, რადგან ხშირად სიღარიბეში ისინი ან ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე ხდებიან დამოკიდებულნი, ან უბრალოდ ვერ ატარებენ შვილებთან განსაზღვრულ დროს; წარუმატებლობა სკოლაში; სხვადასხვა დაავადებების გამო ან ლტოლვილობის პრობლემები; მშობლების დაკარგვა: შეიარაღებულ კონფლიქტში, ბუნებრივი უბედური შემთხვევების დროს.

უმუშევრობის ცალკეული და სოციალური შედეგებია: ფინანსური გაჭირვება და სიღარიბე, ვალი, უსახლკარობა და სტრესი, ოჯახური დამაბულობა და ოჯახის დანგრევა, დეპრესია, გაუცხოება, სირცხვილი და სტიგმა, დანაშაული, თავდაჯერებულობისა და საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვა, სამუშაო უნარების დაქვეითება და ჯანმრთელობის გაუარესება. უმუშევრობის ხანგრძლივობასთან ერთდ ეს შედეგები მწვავედება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება პირობითად განვიხილოთ ძალადობის გამომწვევ მოტივების ერთობლიობის ოთხი ფაქტორი: ინდივიდუალური, მიკროსოციუმი, საზოგადოებრივი და სოციალური ფაქტორები.

1. ინდივიდუალური ფაქტორი - პირადი ისტორია და ბიოლოგიური ფაქტორები გავლენას ახდენენ პიროვნების ქცევებზე და ზემოქმედებენ ძალადობის მხვერპლად ან დამნაშავედ მისი “გადაქცევის” ალბათობაზე. რისკ-ფაქტორები ამ დონეზე მოიცავენ ფსიქიკური ჯანმრთელობის აშლილობებს, ქცევის კონტროლის უნარის დაბალ დონეს, ალკოჰოლის და/ან ნივთიერებების მავნედ გამოყენებას, აგრესიული ქცევის ისტორიას ან ძალადობის (სასტიკი მოპყრობის) გამოცდილების ქონას.



2. მიკროსოციუმი - ახლო ურთიერთობებმა, როგორცაა წარმოადგენს ოჯახის წევრთა, მეგობრებს, ინტიმურ პარტნიორებსა და თანატოლებს შორის ურთიერთობები, შესაძლოა ასევე მოახდინონ ზემოქმედება ბავშვის/მოზარდის

ძალადობის მსხვერპლად ან დამნაშავედ გადაქცევის რისკზე. მაგალითად, მშობელთა მხრიდან არასაკმარი ზრუნვის გამოცდილებამ, მშობლებს შორის ძალადობრივი კონფლიქტის მოწმობამ ან ძალადობის “მოტრფიალე” მეგობრების ყოლამ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს იმაზე, ჩაებმება თუ არა ახალგაზრდა ძალადობრივ ქმედებაში.

3. საზოგადოებრივი ფაქტორი - ეს ის ფაქტორია რომლის ჩარჩოებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობები წარმოიქმნება. მაგალითად, სკოლები, სამეზობლო, სამუშაო და ა.შ. ეს ფაქტორები ქმნიან გარემოს, რომელიც ხელსაყრელია ან არ არის ხელსაყრელი ძალადობისათვის. რისკ ფაქტორები ამ დონეზე შეიძლება მოიცავდეს უმუშევრობის დონეს, მოსახლეობის სიმჭიდროვეს, მობილურობას და ნარკოტიკებით ან ცეცხლსასროლი იარაღით ადგილობრივი ვაჭრობის არსებობას.

4. სოციალური ფაქტორები. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ იმისდა მიხედვით, ძალადობა წახალისებულია თუ აკრძალული. მოცემული ფაქტორები მოიცავენ სიღარიბეს, სოციალური, ეკონომიკური და გენდერული უთანასწორობის დონეებს, ეკონომიკური ქსელის არასაკმარის უსაფრთხოებას, ძალადობის გარშემო შექმნილი სამართლებრივი და სოციალურ - კულტურული ნორმების სისუსტეს, მედია გაშუქებების ხასიათს.



ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან და სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე ჩნდება უმარავი კითხვა: სად მიდიან ეს ბავშვები და როგორ ცხოვრობენ? არსებობისათვის რა წინააღობების გადალახვა უწევთ მათ? როგორ

პიროვნებად ყალიბდებიან და როგორი ფსიქოლოგია უყალიბდებათ მათ? ასეთი ბავშვები უმეტეს შემთხვევაში რჩებიან ქუჩაში. იძულებულები არიან ცხოვრება გააგრძელონ იქ, სადაც მათზე არავინ ზრუნავს. უწევთ უამრავი დამცირების გადატანა. სიცოცხლის ინსტიქტი მათ გადარჩენისკენ უბიძგებს, ისინი იბრძვიან ყოველ დღე საჭმლისთვის, ტანსაცმლისთვის, გასათევი ადგილისთვის და ხშირად ერთმანეთში ძალაუფლებისთვის. წევრიანდებიან სხვადასხვა ძალადობრივ დაჯგუფებებში ან თვითონ ქმნიან ასეთ ჯგუფებს. ძალადობის “მოტრფიალე” მეგობრების ყოლამ შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მათ განსაკუთრებული სისასტიკის მქონე მოძალადედ ჩამოყალიბებაზე. რადგან დამტკიცდა, რომ ჯგუფის წევრები რომლებსაც ახასიათებთ აგრესია და ძალადობა ერთად ყოფნის დროს მრავალჯერ მეტი სისასტიკით გამოირჩევიან ვიდრე ცალცალკე. საბოლოო ჯამში კი თვითონ ყალიბდებიან მოძალადეებად და ხშირად სიცოცხლეს ნაგავსაყრელზე ან საკანში ამთავრებენ. ზოგს კი „უმართლებს“, ვინმეს მფარველობის ქვეშ შედის და მის დავალებებს ასრულებს, სამაგიეროდ კი შედარებით „ნორმალური“ ცხოვრება აქვთ ვიდრე „გარეთ“ დარჩენილებს.

თავი III ტერორიზმი და ინფორმაციული წყაროები

3.1. მასმედია

მასმედია განსაზღვრავს ადამიანთა საქმიანობას, აყალიბებს მათ ინტერესებს, განწყობას, ნერვულ-ფსიქოლოგიურ ფონს. მასმედიის საშუალებით აღიქვამს სამყაროს ადამიანთა უმრავლესობა. ინფორმაცია არამარტო გადაიცემა მასმედიის საშუალებით, არამედ იქმნება მის მიერ, ვინაიდან ჟურნალისტი იღებს გადაწყვეტილებას რა აჩვენოს, ან რა გადასცეს. რედაქტორი განსაზღვრავს რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ინფორმაციის გადმოცემის ტექნიკურმა მხარემ ან ქარგამ აუდიტორიაზე, რასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან აუდიტორიაზე ზეგავლენა ნიშნავს მათი ფიქრებით მანიპულირებას. ფუნქციათა მრავალფეროვნება ასევე მრავალფეროვან კრიტიკასაც განაპირობებს. მასმედიას ადანაშაულებენ დროის ფუჭად გაფლანგვაში, ბავშვთა ძალადობისადმი წინასწარგანწყობის შექმნაში, საზოგადოების კრიმინალიზაციაში, საზოგადოებრივი სისტემის დანგრევაში, აჯანყების, რევოლუციებისა და ხალხის მასობრივი დაღუპვის ინიცირებაში. მეორეს მხრივ, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მოდერნიზებულია მისი მასმედია. რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ მასმედია პროგრესის და განვითარების სასარგებლო ფუნქციებსაც ასრულებს.



How the Media can manipulate our viewpoint

პუბლიკის ყურადღების ფოკუსირება მედიაზე განაპირობებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების გაცნობას, ურთიერთდაკავშირებას და შედეგად, საზოგადოების განმტკიცებას. საზოგადოების მიერ ყურადღების მიპყრობის საშუალებები მრავალფეროვანია. ეს შეიძლება იყოს სიახლეების გადმოცემა, ცნობილი თემების გარჩევა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ხდება ძლიერი ემოციების, როგორც დადებითის, ასევე უარყოფითის, გამოწვევა.

კონკურენციაში უპირატესობის მოსაპოვებლად თანამედროვე მასმედია ამუშავებს უამრავ მასალას, რათა დააკმაყოფილოს საზოგადოების სხვადასხვა სფეროს ინტერესები. შედეგად, მედიის შემცველობა ხშირად წინააღმდეგობრივია ან შეიცავს საზოგადოებისათვის შეურაცხმყოფელ და პოტენციურად გამთიშველ თემებს, ვინაიდან ის, რაც ერთისთვის საინტერესოა, ხშირად მეორისთვის მიუღებელია. მაგალითად, ახალგაზრდა მამაკაცები საზოგადოების ყველაზე მძლავრი ჯგუფია. მათი ინტერესები მოიცავს დანარჩენი საზოგადოებისათვის აგრესიულ, უპატივცემულო ან სქესობრივ თემებს. თუ მასმედია ეფექტურად ახორციელებს მის ძირითად ფუნქციას, ჩამოაყალიბოს სოციალური კავშირები განსხვავებულ და გათიშულ პოპულაციაში, მაშინ თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატია სჭირდება ფართო სპექტრის ტოლერანტობა და ასევე უსაზღვრო ფსიქოლოგიური უნარი, რომ გაუძლოს უთანხმოებასა და აზრის სხვადასხვაობას. მაგალითად, ლიბერალური დემოკრატიის პირობებში ხშირად ექიმები და მეცნიერები ჩივიან, რომ მათი დარგი ამორჩევით დამახინჯებულად და სენსაციურად წარმოდგინდება. მედიის შინაარსი ხშირად მკაფიოდ გამთიშველია საზოგადოებისათვის, ვინაიდან უბიძგებს ბრაზის, შიშის, ზიზღის, შურისძიების და სხვა ნეგატიური ემოციებისაკენ. ამიტომ მასმედიის შესახებ არსებობს გავრცელებული შეხედულება, რომ ის არის ტრივიალური და პოტენციურად საშიში. მეორე შეხედულების მიხედვით მასმედია წარმოადგენს მმართველი ძალების სასარგებლო იდეოლოგიური პროპაგანდის იარაღს.

ტვინის ფუნქციურ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევით დადასტურდა, რომ რეაქცია ნეგატიური ემოციის პროცესირებაზე იწვევს ვერბალური და მოტორული ცენტრების გააქტივებას. საინტერესო ისაა, რომ ვერბალური ცენტრის განმუხტვა, ანუ აზრის გამოთქმა ნეგატიურ მოვლენაზე, იწვევს მოტორული ცენტრის ინჰიბიციას, რაც გამორიცხავს ფიზიკურ რეაქტიულობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტელედებატები ან ტელედისპუტი, ან მათი ყურება და მოსმენა ხალხთა მასებში, ისევე, როგორც პოლიტიკურ ლიდერებში ხელს უწყობს ფიზიკური დაპირისპირების პრევენციას. ამგვარად, ტელემედიის როლი საზოგადოების შეკავშირებაში მით უფრო საგრძნობია, რაც მეტია მასში მოცემული დაპირისპირებები. თანამედროვე მასმედია ამჟამად სოციალური შეკავშირების მთავარი წყაროა, რაც პუბლიკის ყურადღების მიზიდვისთვის მზარდი კონკურენციის არაწინასწარგანზრახული შედეგია. ე. ი. მასმედიის სისტემა თანამედროვე დემოკრატიაში ფუნქციონირებს, როგორც სოციალური

შეკავშირების მთავარი წყარო, მაგრამ ეს ფუნქცია თვითგაუცნობიერებელი, არაგანზრახული და არადაგეგმილია, ვინაიდან ის განვითარდა ყურადღების მიპყრობის კონკურენციის გამო.

3.2. ძალადობის ფილმების ყურება და აგრესია

ბოლო პერიოდში სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა კინოფილმებსა და ტელე ეკრანებზე მოჭარბებული ე.წ. ძალადობის ფილმების ჩვენება. ფსიქოლოგების კვლევის საგანი გახდა, საკითხი თუ რა კავშირია ტელეეკრანებზე ძალადობის ფილმების ხშირ ექსპოზიციასა და მაცურებლის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, აგრესიულობის დონეს შორის. უამრავი გამოკვლევა მიემდინა ამ საკითხს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ პასუხი არ არის ერთმნიშვნელოვანი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოს, გაკეთდა დასკვნა, რომ მედიუმების საშუალებით ძალადობის ხშირი ექსპოზიცია წარმოადგენს ერთერთ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებაში აგრესიულობის მაღალ დონეს. კვლევების მრავალი განსხვავებული მიმართულება, შესაძლოა განსხვავებული საშუალებებით, თითქოსდა ადასტურებს საკითხის ასეთ ინტერპრეტაციას. ამას ადასტურებს ლაბორატორიული კვლევებიც.



ერთერთ ადრინდელ კვლევაში, ბავშვები უყურებდნენ მოკლე ფილმს, სადაც მოზრდილი წარმოადგენდა აგრესიულ მოდელს (ბანდურა, 1965). ფილმში მოზრდილი რომელიც გარკვეულ საქმიანობას ეწეოდა, გამოხატავდა გამოკვეთილ აგრესიას რეზინის თოჯინის მიმართ. ბავშვების მეორე ჯგუფი ასევე უყურებდა იმავე მოკლე ფილმს, იმ განსხვავებით, რომ ფილმიდან ამოღებული იყო აგრესიის გამოხატვითი სცენები. ამის შემდეგ ბავშვებს ტოვებდნენ მარტო და აკვირდებოდნენ მათ ქცევას. სიტუაციაში არსებობდა რეზინის თოჯინა რომლის მიმართ ფილმში ხორციელდებოდა აგრესია. შედეგები აჩვენებდა, რომ ბავშვები

რომლებმაც ნახეს ფილმი აგრესიული მოდელით თვითონაც გამოხატავდნენ გამოკვეთილ აგრესიას რეზინის თოჯინის მიმართ. მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფის ბავშვები რეზინის თოჯინის მიმართ ინდიფერენტულები იყვნენ. მსგავსი ეფექტი დადასტურდა ტელეგადაცემების ყურებისას, სადაც ხდებოდა ძალადობის ფილმების დემონსტრირება. სუბიექტებს ფილმის ყურების შემდეგ შესაძლებლობა ჰქონდათ თვითონ გამოეხატათ აგრესია. აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომლებმაც ნახეს ძალადობის ფილმი ავლენდნენ გაცილებით მეტ აგრესიას ვიდრე ის ბავშვები, რომლებმაც ნახეს არა ძალადობრივი ფილმი. ანალოგიური კვლევა ჩატარდა მოზრდილებზეც, და მიღებულ იქნა იგივე შედეგი. ერთი სიტყვით, დღეისათვის სოციალურ ფსიქოლოგიაში უფრო მხარდაჭერილია მოსაზრება, რომ სუბიექტები, რომლებიც უყურებენ ე.წ. ძალადობის ფილმებს ძალადობის უფრო მაღალ დონეს ამჟღავნებენ ვიდრე ისინი რომლებიც არ უყურებდნენ ასეთ ფილმებს. ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული კვლევებიდან, რომელიც განსხვავებული მეთოდოლოგიით ჩატარდა. ე.წ. ხანგრძლივი ველის კვლევებში, სუბიექტების განსხვავებულ ჯგუფებს ეძლეოდათ შესაძლებლობა ენახათ განსხვავებული რაოდენობის ძალადობის გამომხატველი ფილმები. შემდეგ ბუნებრივ სიტუაციაში აკვირდებოდნენ სუბიექტების ქცევას და ხდებოდა აგრესიის გამოვლენის დონის ფიქსირება. მაგ. ლეგენსი და მისო კოლეგები (ლეგენს და სხვ. 1975), პრიატ-სკოლის მოსწავლე ბიჭების ორ ჯგუფს უჩვენებდნენ ფილმებს. ერთი ჯგუფი ნახულობდა ძალადობის გამომხატველ ხუთ ფილმს, თითოს ყოველ დღე, მაშინ როცა მეორე ჯგუფი ნახულობდა ხუთ ნეიტრალურ ფილმს, თითოს ყოველდღე. ამის შემდეგ აკვირდებოდნენ ამ ბიჭებს, თუ როგორ იქცეოდნენ ისინი მათ ყოველდღიურ სიტუაციაში - მეგობრებთან ურთიერთობაში პედაგოგებთან ურთერთობაში და ა.შ. კვლევის შედეგები ადასტურებდა მედიუმებით ძალადობის ფილმების ყურებასა და მაყურებლებში აგრესიას შორის კავშირს. იგივე ეფექტი დადასტურდა მოზრდილებშიც. მაგ. აღმოჩნდა, რომ (ფილიპს, 1983) შეერთებულ შტატებში მკვლევლობების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება მძიმე წონის მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლის მომდევნო რამოდენიმე დღის განმავლობაში. ვარაუდობენ, რომ ყოველივე ეს მიუთითებს მედიუმების საშუალებით ძალადობის ფილმების ჩვენების მნიშვნელოვან სოციალურ ეფექტზე. როგორც ვხედავთ, განსხვავებული მეთოდებით ჩატარებული კვლევები მხარს უჭერენ თვალსაზრისს, რომ მასიური მედიუმებით ძალადობის ხშირი ექსპოზიცია იწვევს მაყურებელში. მსგავსი ქცევის განხორციელების ტენდენციას. თუმცა უნდა აღიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი მკვლევარი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, მაგ. ფემზახ და ზინგერ, 1971; ფრიდმანი 1984. საერთო ჯამში, თუ განვაზოგადებთ კვლევით მონაცემებს, ისინი აშკარად მიუთითებენ ასეთ კავშირზე. ასეთ კავშირს კი, როგორც აღვნიშნეთ დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. ამიტომ გასაგებია ფსიქოლოგების ინტერესი გასცენ პასუხი კითხვას, ძალადობის ფილმების ხშირი ექსპოზიცია რატომ ზრდის

აგრესიულობის დონეს ადამიანებში? ამასთან დაკავშირებით რამოდენიმე არსებობს რამოდენიმე თვალსაზრისი:

1. მიუთითებენ, რომ მედიუმებით ძალადობის ექსპოზიცია ასუსტებს მაყურებელში ანალოგიური ქცევის განხორციელების შეკავებას. ასეთი ფილმების ნახვის შემდეგ მაყურებელი ნაკლებად იგრძნობს თავს შეზღუდულად მსგავსი ქცევის განხორციელებისათვის. ისინი, ჩანს ფიქრობენ, რომ ბოლოსდაბოლოს “თუ მათ შეუძლიათ ამის გაკეთება, მეც შემიძლია”.

2. ვარაუდობენ, რომ მედიუმებით ძალადობის ექსპოზიცია აიარაღებს მაყურებელს ახალი ტექნიკით თუ როგორ შეუძლია შეუტიოს და ავნოს სხვას უფრო დახვეწილი მანერებით. ერთი სიტყვით მაყურებელი ამით იძენს აგრესიის გამოხატვის ისეთ “დახვეწილ” მანერებს, რომელიც მის დისპოზიციაში მანამდე არ ყოფილა. და რაკი ეს მიღწეულია, ე.ი. თავდასხმის ახალი ხერხია შეძენილი, შემდეგი ნაბიჯი მისი პრაქტიკაში გამოყენება უნდა იყოს, როცა შესატყვისი სიტუაცია გაჩნდება (როცა პროვოცირებული იქნება).

3. სხვის მიერ განხორციელებული აგრესიული ქცევის ხშირმა ყურებამ, შეიძლება გავლენა მოახდინოს მაყურებლის კოგნიციაზე (ბერკოვიცი, 1984). ნავარაუდევია, რომ ძალადობის ხშირმა ყურებამ შეიძლება მოახდინოს საფუძვლის მომზადების (პრაიმინგის) მსგავსი ეფექტი. ძალადობის ხშირმა ყურებამ შეიძლება მაყურებლის კოგნიციაში განსაზღვროს დამატებითი იდეების და აზრების არსებობა. ყოველივე ამის შემდეგ მედიუმებით ძალადობის ხშირი ექსპოზიციის შემდეგ ადამიანები უფრო მიდრეკილნი ხდებიან მოვლენები აღიქვან ნეგატიურად და მტრულად. ან ორაზროვანი სიტუაციის ინტერპრეტაცია მოახდინონ, როგორც ბუნებით უფრო აგრესიული. ასევე, შესაძლოა ინდივიდმა გააზვიადოს მის ირგვლივ სოციალურ სამყაროში აგრესიის სიხშირის შეფასება, შეიძლება აგრესია დაინახოს როგორც ჩვეულებრივი და ამდენად უფრო მისაღები. ასეთმა იდეებმა და აზრებმა თავის მხრივ შეიძლება გაზარდოს სხვის წინააღმდეგ ღია აგრესიის ალბათობა.

4. ბოლოს, ვარაუდობენ, რომ მედიუმებით ძალადობის ხშირმა ექსპოზიციამ შეიძლება შეამციროს ძალადობისა და მისი მტკივნეული შედეგების მიმართ ინდივიდის ემოციონალური მგრძნობიარობა. მოკლედ, უამრავი მკვლევლობების, თავდასხმების და ბრძოლების ყურების შემდეგ, შესაძლოა, ზოგიერთი მაყურებელი არა მგრძნობიერი ხდება ასეთი მასალის მიმართ და შედარებით სუსტ ემოციონალურ რეაქციას გამოავლენს მასზე. ემოციონალური დამოკიდებულების ასეთი გადაწევა ინდივიდს გაუადვილებს თვითონაც განხორციელოს აგრესია.

3.3. ტერორიზმი ინტერნეტში

ინტერნეტი თავისი სტრუქტურით ანონიმურია, გააჩნია ქაოტური ბუნება, ატარებს საერთაშორისო ხასიათს და ხელმისაწვდომია თითქმის ყველასათვის. ეს კომპონენტები საკმაოდ ადვილ და ეფექტურ სამოქმედო ასპარეზს უქმნის ტერორისტულ ორგანიზაციებს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. დღეს აღარავინ დაობს, რომ უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინტერნეტი, ისე როგორც მასზე დამყარებული კომუნიკაციის სხვა საშუალებები, თავისი დადებითი თვისებების გარდა, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ უდიდეს საფრთხეებსაც შეიცავს (იხ. Dowling: 1986). გაჩნდა კიბერტერორიზმის ცნება, რომლის თანახმადაც ტერორისტთა “ტრადიციული” შეიარაღება და მეთოდები არც თუ ისე შორეულ მომავალში ანაქრონიზმად იქცევა. მეცნიერთა შორის დაიწყო მწვავე პოლემიკა არა მარტო კიბერტერორიზმის ცნების, არამედ ამ საფრთხის თავიდან აცილების პრინციპებისა და მეთოდების დამუშავების შესახებ.



მკვლევარები თანამედროვე ტერორიზმის განხილვისას ამტკიცებენ, რომ იგი შეიცავს ოთხ კომპონენტს: შემსრულებელს (ტერორისტს), სავარაუდო მსხვერპლს (სამიზნე), შეტყობინებას, გზავნილს (ბომბი, თავდასხმა) და საზღაურს (აუდიტორიის რეაქციას)”.

ზოგიერთი სპეციალისტი ხაზს უსვამს იმას, რომ ტერორიზმი წარმოადგენს “თეატრს”, რომლისთვისაც კონკრეტული მსხვერპლი მეორადი მნიშვნელობის მატარებელია, მთავარი მიზანი კი იმ ხალხზე ზეგავლენის მოხდენაა ვინც ტელევიზორს უყურებს. (იხ. Dowling: 1989; Jaffe: 1994).



სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი აპრობირებული ხერხია მსგავსი ფაქტების მასმედიის მხრიდან ნაკლები აფიშირება, რადგან ხშირად ტერორისტები ამა თუ იმ ტერაქტს ახორციელებენ საზოგადოებრივი აზრის, ყურადღების მიპყრობის მიზნით და თუ მათი ნამოქმედარი და მოთხოვნები არ გადაიცემა ტელევიზიით, არ გაშუქდება პრესით, მაშინ ტერორისტული ორგანიზაციებისათვის ტერაქტების ჩადენა ყურადღების მიქცევის მიზნით, აზრს დაკარგავს. ამგვარ ტაქტიკას გასულ საუკუნეში საკმაო წარმატება მოჰყვა, როდესაც ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში ხელისუფლებამ ამ ქვეყნებში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლაში ეს ხერხიც გამოიყენა.

ამგვარად, თანამედროვე ტერორიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ძალადობის მეშვეობით ტერორისტთა პოლიტიკური მოთხოვნებისა და მიზნების აფიშირებისა და პროპაგანდის საშუალება. სწორედ ამ თვალსაზრისით წააგავს ტერორიზმი თავისებურ თეატრს. ჩვენთვის საინტერესოა შევისწავლოთ თუ როგორ იყენებენ ტერორისტები მედია ტექნოლოგიებს თავიანთი მოთხოვნების აფიშირების მიზნით.

პოლიტიკური მიზნებისათვის ინტერნეტის პოტენციალის გამოყენება ტერორისტულ ორგანიზაციებს განსაკუთრებით ხიბლავს. ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად გამოიყენონ ეს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგია. რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციები, (მათ შორის არიან ანარქისტები, ნაციონალისტები, სეპარატისტები, რევოლუციონერები, ნეომარქსისტები და ფაშისტები) იყენებენ ინტერნეტის ქსელს საკუთარი მიზნების წარმოსაჩენად, პროგრამებისა თუ პროპაგანდისტული ლოზუნგების განსათავსებლად და ასევე თავიანთ მხარდამჭერებთან კავშირის დასამყარებლად. ისინი ცდილობენ ფართო აუდიტორიისათვის თავიანთი საქმიანობისა და მიზნების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მათი კეთილგანწყობის მოპოვებას,

პარადოქსია ის, რომ ყველაზე დეცენტრალიზებული სტრუქტურა (ინტერნეტი), რომლის შექმნის თავდაპირველი მიზანი, თავის დროზე, ამერიკის უშიშროების სამსახურების მიერ საბჭოთა ბირთვული შეტევის საფრთხის შეკავება იყო, ცივი ომის დასრულების შემდეგ ემსახურება დასავლეთის უდიდეს მტერს, სახელდობრ საერთაშორისო ტერორიზმსაც.

3.4. “ტერორის თეატრი”

ტერორისტული ორგანიზაციების ვებ-გვერდების განხილვისას შესაძლოა დავასკვნათ, რომ არსებობს გარკვეული სახის პარადიგმა, რომელსაც “ტერორის თეატრი” შეიძლება ვუწოდოთ. საერთაშორისო ტერორიზმის ცნების გაანალიზებისას, საკმაოდ ხშირად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ტერორისტული აქტები ხშირად სრულდება ელექტრონული მედიისა და საერთაშორისო პრესის ყურადღების მიპყრობის მიზნით. მძევლების აყვანა კი ხშირად სიტუაციის კიდევ უფრო დრამატიზებისთვის ხდება. ტერორისტებისათვის ხშირად თავად მძევლები არაფერს წარმოადგენენ, უბრალოდ, მსგავსი სახის მოქმედებები გათვლილია ხალხის ყურადღების მისაპყრობად და არა თავისთავად მძევლების აყვანის აუცილებლობით.



მკვლევართა შორის გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ “მედია არის ტერორისტების საუკეთესო მოკავშირე, თავისთავად ტერორისტული აქტი არაფერია, ხოლო მის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება კი ყველაფერი”. საფუძველს მოკლებული არც შემდგომი მოსაზრებაა, კერძოდ ტერორისტებისათვის გაცილებით უფრო მიმზიდველი გახდა საერთაშორისო

მედიის ყურადღების მიპყრობა, ვიდრე ანონიმებად დარჩენა. ტერორისტულმა პარადიგმამ მოახდინა მას-მედიის პოტენციალის რეალიზება. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების განვითარებასთან ერთად, ტერორისტული აქტები სულ უფრო მეტად იძენდა იმ იარაღის სახეს, რომლითაც მსხვერპლი ფართო აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის ინსტრუმენტი ხდებოდა (Shmid & DeGraaf: 1982, 14).



მედიაზე ორიენტირებული ტერორიზმის გამოჩენამ ამ საკითხის ზოგიერთი მკვლევარი მიიყვანა თანამედროვე ტერორიზმის ახალ კონცეფციის ჩამოყალიბებამდე. მათი ერთი ნაწილი მიუთითებს, რომ “ტერორისტთა ძალადობრივი პროპაგანდა აუცილებლად საჭიროებს მსხვერპლს, იქნება ეს რიგითი მოქალაქე თუ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი.” მეორე ნაწილი კი უშვებს თანამედროვე ტერორიზმში “რიტორიკული ჟანრის” კონცეფციის გამოყენებას და ამტკიცებს რომ ხშირად ტერორისტები თავიანთ მოქმედებებს მასმედიის მხრიდან ყურადღების მიპყრობის მიზნით ახორციელებენ, რადგან მედიის ყურადღების გარეშე მათ საქმიანობას სათანადო ეფექტურობა არ გააჩნია (Karber: 1971, 529).

ტერორისტული ორგანიზაციების მიერ თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებების მზარდი გამოყენება და ამ საშუალებებით მანიპულირება აიძულებს მთავრობებს და ზოგ მედია ორგანიზაციას, რომ გადადგან სათანადო ნაბიჯები ამ მოვლენის საპასუხოდ. ამისათვის საჭიროა მაქსიმალურად შეიზღუდოს

ტერორისტთა კონტაქტი მედიასთან, შემცირდეს და ცენზურას დაექვემდებაროს ტერაქტებისა და მის ჩამდენთა შესახებ გასული ახალი ამბები. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ტერორისტების მიერ მედიით მანიპულირების შესაძლებლობა. ასეა თუ ისე, ახალი ელექტრონული მედიატექნოლოგიები საშუალებას აძლევს ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომ უფრო ადვილად და თავისუფლად მოახდინონ საკუთარი იდეებისა და მიზნების პროპაგანდა, ვიდრე სხვა მედია საშუალებების მეშვეობით. კომპიუტერული მედია კომუნიკაციების ქსელი (კმკქ) იდეალურია ტერორისტებისთვის, როგორც საკომუნიკაციო საშუალება: იგი დეცენტრალიზებულია, არ ექვემდებარება კონტროლსა და შეზღუდვას, მასზე არ ვრცელდება ცენზურა და ნებისმიერს შეუძლია მისით სარგებლობა.

3.5. ინტერნეტის სივრცეში მოღვაწე ტერორისტები

ბევრმა ორგანიზაციამ მიმართა კიბერსივრცეს და შექმნეს ინტერნეტ საიტები. ეს საიტები ეკუთვნის ჰამასს, ლიბანის ჰიზბალაჰს, ეგვიპტის ალ-ჯამაა ალ-ისლამიას (ისლამური დაჯგუფება), პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტს, პალესტინის ისლამურ ჯიჰადს, პერუს თუფაქ ამარუს და “მანათობელ გზას” (სენდერო ლუმინოსო), კაჰანეს მოძრაობას (ისრაელი), ბასკურ ეტას, ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას, იაპონურ “უზენაეს სიმართლეს” (აუმ შინრიკიო), კოლუმბიის ნაციონალურ გამათავისუფლებელ არმიას, განმათავისუფლებელ თამილელ ვეფხვებს (შრი ლანკა), კოლუმბიის შეიარაღებულ რევოლუციურ ძალებს, სახალხო დემოკრატიული თავისუფლების ფრონტის პარტიას თურქეთში, ქურთების მუშათა პარტიას, ზაპატისტას ნაციონალურ გამათავისუფლებელ არმიას, იაპონიის წითელ არმიასა და უზბეკეთის ისლამურ მოძრაობას. არის კიდევ ერთი საიტი, ირანის სახალხო მოჯაჰედები, რომელსაც მხოლოდ სპასრულენოვანი საიტი აქვს და არ გააჩნია ინგლისურენოვანი ვერსია. ეს ორგანიზაციები არა მარტო მშვიდობიანი პროპაგანდისათვის ქმნიან ინტერნეტ საიტებს, არამედ ეწევიან დასახული მიზნების ძალადობის გამოყენებით მიღწევის პროპაგანდასაც (მკვლევლობები, გატაცებები, თავდასხმები და აფეთქებები).

ბოლო წლების განმავლობაში ტერორიზმის ინტერნეტ-საიტებზე გამოჩენა რამოდენიმე განსხვავებული ნიშნით გამოირჩევა. ამ ნიშანთაგან ყველაზე დრამატული ალბათ მიაწვდის ტერორისტული დაჯგუფებების მიერ შექმნილი ვებსაიტების მასიური გავრცელება. ყველა მნიშვნელოვანი ტერორისტული დაჯგუფება, როგორც რელიგიურ, ასევე ნაციონალურ პრინციპებზე დამყარებული, ამა თუ იმ სახით სრულად არის წარმოდგენილი ინტერნეტში. ამ ვებსაიტთა ყველაზე დიდი ნაწილი ალ-ქაიდას მიეკუთვნება. ავღანეთის, როგორც თავშესაფრის დაკარგვის შემდეგ, ამ ორგანიზაციამ დაიწყო მსოფლიო საინტერნეტო ქსელების მასიური გამოყენება. ექსპერტებმა ამ პროცესს ფიზიკური სივრციდან ინტერნეტ სივრცეში მიგრაციაც კი უწოდეს (Weiman & Winn: 1994, 20).

ამ ორგანიზაციათა უმრავლესობა, რომლებიც ინტერნეტში გვხვდება, დაარსებულია მესამე სამყაროს ქვეყნებში (სამხრეთ ამერიკა, აღმოსავლეთი აზია და ახლო აღმოსავლეთი) და მხოლოდ ორი მათგანია ევროპული (ერთი იაპონურია). ეს შესაძლოა იმით არის გამოწვეული, რომ 1980-1990-იან წლებში მკვეთრად დაეცა ტერორისტთა აქტივობა ევროპაში და გაიზარდა მესამე სამყაროს ქვეყნებში. ორგანიზაციათა კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ისინი იყოფიან ნაციონალურ, რევოლუციურ და რელიგიურ მოძრაობებად (ან გვხვდება ამ ტიპების კომბინირებული მოდელი). ინტერნეტში თითქმის არ გვხვდება კრიმინალური და ფსიქოტიკური ტიპის ტერორისტული მოძრაობები, შესაძლოა ეს გამოწვეულია იმით, რომ არაპოლიტიკურად მოტივირებული ტერორიზმი უინტერესოა მედიისათვის (Shmid: 1983, 73-100)..

არ არის გასაკვირი ის, რომ ამა თუ იმ რეჟიმის მოწინააღმდეგე ორგანიზაციების ვებ-გვერდები ჩვეულებრივ ოპერირებენ იმ სახელმწიფოს საზღვრებს გარედან, რომლის წინააღმდეგაც ისინი მუშაობენ.

3.6. ტერორისტული საიტების შინაარსი

განხილული საიტების საერთო შინაარსი უმეტეს შემთხვევაში ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. ისინი ჩვეულებრივ შეიცავენ ისტორიას ორგანიზაციის და თავიანთი ლიდერების, დამფუძნებლების, “გმირებისა” და ხელმძღვანელების შესახებ, მათთვის პატივსაცემი პირების ბიოგრაფიებს; ინფორმაციას პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების შესახებ და ასევე ახალ ამბებს. სისტემების უმრავლესობა იძლევა ორგანიზაციის ან მოძრაობის დეტალურ ისტორიულ ანგარიშს, სოციალური და პოლიტიკური ფონის მიმოხილვას, წარსულში მათი მოღვაწეობის აღწერას და ასევე გამოქვეყნებულია მათი მიზნები. ნაციონალური ორგანიზაციები (სეპარატისტული ან ტერორისტული) ყოველთვის ანთავსებენ სადავო ტერიტორიების რუკას: ჰამასი ანთავსებს პალესტინის რუკას; კოლუმბიური საიტები უჩვენებენ კოლუმბიის დროშას, ზაპატისტთა საიტი აქვეყნებს თავის დროშას და ინფორმაციას ამის შესახებ; თამილელთა საიტზე კი შესაძლებელია შრი-ლანკის რუკა იხილოთ. ყველა ტერორისტულ საიტებზე ამა თუ იმ გზით ხდება მათი მიზნების დეტალურად წარმოდგენა. ზოგჯერ ეს პირდაპირ კეთდება, ზოგჯერ ირიბად. ხანდახან ეს არის ცალკე განყოფილება, ზოგჯერ კი შერეულია ძირითად შინაარსში. მათი უმრავლესობა მიზნად ისახავს თავიანთი მტრების და მოწინააღმდეგეების კრიტიკას. მაგალითად, ჰამასის საიტზე ვრცელი ინფორმაციაა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება “სიონისტური კლასის ჩამოყალიბება პალესტინაში”, “მანათობელი გზის” საიტზე არის ინფორმაცია “ფუჰიმორის კრიმინალური რეჟიმის” შესახებ (რომელსაც მათი აზრით, მხარს უჭერდა აშშ); ჰიზბალაჰის საიტის მნიშვნელოვანი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ისრაელის აქტივობაზე (“ისრაელის ტერორიზმი” -

ჰიზბალაჰის თვალსაზრისით); თამილელთა საიტი კი უტევს ადგილობრივ რეჟიმს. ასე რომ ტერორისტული საიტები არა მხოლოდ თავიანთი ორგანიზაციების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე ახდენენ კონცენტრირებას, არამედ ინტერნეტ ტერორისტების ძირითად მიზანს და საერთო სტრატეგიას თავიანთ მტრებზე შეტევაც წარმოადგენს.

საიტების უმრავლესობა თავს არიდებს თავიანთი ძალადობრივი აქტივობის გამოუქვებას. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენენ ჰიზბალაჰი და ჰამასი. ჰიზბალაჰი უჩვენებს განახლებულ მასალებს თავისი აქტივობის შესახებ, იქ არის წუთობრივად დეტალური ინფორმაცია ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ოპერაციების შესახებ. სხვა გვერდზე კი ხდება დალუპულ “მოწამეთა” რიცხვის დადგენა, აქვე მოყვანილია ის რაოდენობაც, თუ რამდენი “ისრაელელი მტერი” და მათი “თანამშრომლები” მოკლეს. ჰამასის საიტი თავისი ახალი ამბების განყოფილებაში შეიცავს გრძელ მონათხრობს არაბულ ენაზე თავის საბრძოლო “ოპერაციების” შესახებ. სხვა ორგანიზაციების უმრავლესობა, თუნდაც ისინი აღწერდნენ (მათი თვალთახედვიდან) ძალადობის ლეგიტიმურად გამოყენების მორალურ საფუძვლებს (და, როგორც ზოგიერთი მათგანი ამტკიცებს, ლეგალურს), თავს არიდებენ თავიანთი ძალადობრივი აქტების და მათი ფატალური შედეგების აფიშირებას. შესაბამისი ლინგვისტური და ტექნიკური განათლებით აღჭურვილი ინდივიდები აშკარად ამჩნევენ მნიშვნელოვან წინსვლას ტერორისტული საქმიანობის სფეროში შემუშავებულ სტრატეგიებსა და გეგმებში. მაგალითად, ახალი ასაფეთქებელი მოწყობილობების შექმნისა თუ მათი მოპოვების გზები ერაყში აღმოჩენილი იყო იმ საიტების განხილვის შემდეგობით, რომლებიც აქვეყნებენ საბრძოლო მოსამზადებელ ვიდეომასალებს.

მაშინ, როდესაც ტერორისტები თავს არიდებენ თავიანთი აქტივობის ძალადობრივი ასპექტების წარმოჩენას, იმავდროულად ყურადღებას ამახვილებენ ორ საკითხზე: სიტყვის თავისუფლებას და პოლიტიკურ პატიმრებზე. მაგალითად, თამილელი ვეფხვები უკმაყოფილებას გამოთქვამენ შრი ლანკის ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონებზე, რადგან მათი აზრით იგი ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას. ებრაული ტერორისტული ორგანიზაცია კაჰანე თავისი საიტის მნახველებს მოუწოდებს, რომ გამოთქვან პროტესტი ორგანიზაციის მოღვაწეობის აკრძალვის თაობაზე (აშშ-სა და ისრაელში); სიტყვის თავისუფლებისა და პოლიტიკური აქტივობის შეზღუდვა არის ძირითადი თემები ბასკური ეტა-ს საიტზე; კოლუმბიური ორგანიზაციაც უკმაყოფილებას გამოთქვამს სიტყვის შეზღუდული თავისუფლების გამო; მათ საიტზე გამოქვეყნებულია შემდეგი შინაარსის განცხადება: “კოლუმბიაში არ არის სიტყვისა და პრესის თავისუფლება. სამპარის მთავრობა მტკიცედ აკონტროლებს მედიას და მკაცრ ცენზურას უქვემდებარებს. უფრო მეტიც, კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტებს კლავენ ან აწამებენ. ყოველ კვირა ეწყობა შეტევები კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ”. აქედან ჩანს, რომ პოლიტიკური ისტებლიშმენტის მოწინააღმდეგე ტერორისტები

იმავედროულად თავის თავს როგორც მსხვერპლს, ისე წარმოაჩენენ და აპელირებენ დემოკრატიულ ფასეულობებზე დასავლური საზოგადოებისა და ინტერნეტის მომხმარებელთა წინაშე. ტერორისტთა ეს ქმედება გათვლილია იმაზე, რომ დასავლური აუდიტორია ძალზე მგრძობიარეა სიტყვის თავისუფლების მიმართ და ამ ფასეულობაზე აპელირება გამოიწვევს დემოკრატიული საზოგადოების სიმპათიას, რაც ხელს უწყობს ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც თამაშობენ “უძანკოთა” როლს, უწოდებენ რა თავიანთ თავს “არამალადობრივ პოლიტიკურ დაჯგუფებებს”. ყოველივე ეს აშფოთებს იმ ხელისუფალთ, ვის წინააღმდეგაც ისინი იბრძვიან. ეს ტაქტიკა გამართლებულია ინტერნეტის დონეზე, რადგან ეს უკანასკნელი აბსოლუტურად თავისუფალი კომუნიკაციის სიმბოლოა.

როგორც უკვე აღინიშნა, ტერორისტთა ვებ-გვერდებზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ პატიმართა თემას. პოლიტპატიმრების თემა დომინირებს ქურთისტანის მუშათა პარტიისა და პალესტინური ორგანიზაციების საიტებზე; აღწერილია, თუ რა ტანჯვას უძლებენ ზემოთ ხსენებული პატიმრები; თუფაქ ამარუს საიტზე განთავსებულია პოლიტპატიმართა გათავისუფლების მოწოდებები; კაჰანეს საიტზე გამოქვეყნებულია ბენიამინ ზევ კაჰანესგან (ორგანიზაციის დამაარსებელი) აღებული ინტერვიუ; ბასკური საიტი ირიბად ეხება პარტიულ აქტივისტთა დაკავების თემას.

ტერორისტული საიტები არა მხოლოდ ინფორმაციას შეიცავენ, არამედ გაფორმებულია გრაფიკულადაც. ყველა მათგანზე განთავსებულია ემბლემები და მათი უმრავლესობა შეიცავს ძალადობრივ ელემენტებს, როგორებიცაა იარაღები და ძალის გამოყენების სხვა საშუალებები. ჰიზბ ალ-ლაჰს აქვს დანის ემბლემა საიდანაც სისხლი წვეთავს; “მანათობელი გზისა” და ირა-ს ემბლემებზე გამოსახულია ნიღბიანი და შეიარაღებული მებრძოლები. ზოგიერთი საიტი გაფორმებულია დროშის ფერებში და შეიცავენ არატექსტუალურ ელემენტებსაც – სიმღერებს, გამოსვლებს და ვიდეოკლიპებს. მათი უმრავლესობა ინგლისურენოვანია, ტერორისტული საიტების საერთო ელემენტს წარმოადგენს საორგანიზაციო კომუნიკე, მათი დამფუძნებლების, ლიდერებისა და იდეოლოგების გამოკვლევები და ნაშრომები. თუფაქ ამარუს და ზაჰატისტას ორგანიზაციები აუდიტორიას მოუწოდებენ მსგავსი კომუნიკაციების სხვადასხვა ენაზე თარგმნასა და გავრცელებას; ჰამასის საიტზე განთავსებულია შეიხ აჰმედ იასინის რადიოინტერვიუ; კაჰანეს გვერდი იძლევა ბენიამინ ზევ კაჰანეს მიერ გაკეთებულ კომენტარებს თორას შესახებ. ექსპერტებმა ასევე შენიშნეს სეგმენტაციის ტენდენცია, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტულ აუდიენციაზე კონცენტრირებას. ბევრი ასეთი ვებგვერდი ძალიან დიდი სიფრთხილითაა შერჩეული კონკრეტულ დემოგრაფიულ ჯგუფებზე გავლენის მოსახდენად. მაგალითად, ჰიზბალაჰმა და ჰამასმა შექმნეს რამოდენიმე საიტი, რომლებიც გამიზნულია სპეციალურად ბავშვებისთვის (იხ. Schmid & Jongman: 1988). ამ

საიტების პირველი გვერდი არის დეკორირებული ანიმაციური ელემენტებით და ბავშვებისთვის განკუთვნილი ისტორიებით, მაგრამ მათი მომდევნო ბმულები და ფურცლები ასახავენ დასახიჩრებულ გვამებს და კამიკაძეების გაბრწყინებულ და გაღმერთებულ იმიჯს.

3.7. ტერორისტული რიტორიკა

საიტების უმრავლესობა თავდადებით იცავს აზრს იმის შესახებ, რომ მათი მხრიდან ძალის გამოყენება აუცილებლობით არის გამოწვეული. ეს უპირველესად განპირობებულია “არჩევანის უქონლობის” მოტივით. დანარჩენი ვებგვერდების უმრავლესობა კი ამტკიცებს, რომ მათ არ შეუძლიათ გამორიცხონ საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის შესაძლებლობა. ძალადობა არის წარმოდგენილი როგორც აუცილებლობა, რომელიც სუსტის ერთადერთი საშუალებაა ძლიერი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. “თამილელი ვებგვერდები” ამტკიცებენ, რომ ძალის გამოყენება გამართლებულია რადგან შრი-ლანკა ზღუდავს თამილელი უმცირესობის უფლებებს. ისინი ეყრდნობიან ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციებსა და ჟენევის კონვენციას იმის შესახებ, რომ თამილელ ხალხს გააჩნია თვითგამორკვევის უფლება და მათ კი მეტი გზა აღარ დარჩენიათ ამ მიზნის მისაღწევად.

სამხრეთამერიკული ტერორისტული ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ შეიარაღებული ბრძოლა ლეგიტიმურია, რადგან “გერილიას” გარეშე ძალადობა, შიმშილი, რეპრესიები და დანაშაული დღითიდღე იზრდება და მათი ორგანიზაციის მიერ ჩადენილი ძალადობაც ამის შედეგია”.

ჰიზბალაჰი ამტკიცებს, რომ ისლამური წინააღმდეგობა არის სიონისტური აგრესიის პასუხი, რომელიც მიზნად ისახავს სამხრეთ ლიბანზე ბატონობას და “როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციაში წერია, „ჩვენი უფლებაა ვიბრძოლოთ მანამდე, სანამ ჩვენი უფლებები შელახულია და მიწები კი მიტაცებული”. ჰამასი ამტკიცებს, რომ როგორც ფრანგები ეწინააღმდეგებოდნენ ნაცისტებს ორმოციან წლებში, ისინიც ისევე ეძებენ თვითმკვლელ პატრიოტებს სამშობლოს გასათავისუფლებლად. ინტერნეტი ასევე გამოიყენება მიმართვებისა და მოწოდებების გავრცელებისათვისაც. მაგალითად, 2000 წლის ნოემბერში გაკეთებული მიმართვა, რომელშიც შეიხი მაჰმუდ ალ-უკლა აშ-შუბაი (მოდრაობა თალიბანის ერთ-ერთი ლიდერი) მოუწოდებს თალიბებს, რომ ისინიც, თავის მხრივ, ვალდებული არიან პასუხი გასცენ ამერიკის მუქარას; მუქარაში კი აშშ-ს მიერ გაცემული ბრძანება იგულისხმება, რომელიც მიზნად ისახავს ავღანეთში მოქმედი ტერორისტების განეიტრალებას. Azzam-ის ვებ-გვერდზე (ბენ ლადენისა და მოჯაჰედების მხარდამჭერი შეიხ აზამ-ის მიმდევრები) გამოქვეყნებულია პენტაგონის ფოტო 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. იქვეა ბენ ლადენის განცხადებაც, სადაც ის ამბობს, რომ ეს ტერაქტი ჩადენილია რომელიღაც

ამერიკული დაჯგუფების მიერ და თვითონ მას კი არაფერი აქვს საერთო ამ ფაქტთან. მისი სიტყვებით, აშშ-მა დაიმსახურა ალაჰის რისხვა, რადგან მას სურს, რომ ძალის გამოყენებით კონტროლი დააწესოს მთელ სამყაროზე. ასევე არსებობს უამრავი საიტები, რომლებიც პირდაპირ ასოცირდებიან Azzam-ის პუბლიკაციებთან და დარეგისტრირებულია ჩრდილოეთ ლონდონში, მათი საშუალებით დღემდე გრძელდება ინტერნეტ სივრცეებისა და კაპიტალის მოძიება. იქვე გამოქვეყნებულია ჯიჰადის მხარდამჭერი მოსაზრებები, იქნება ეს ჩეჩნეთში, ავღანეთში თუ სადმე სხვაგან. ასეა თუ ისე, ეს ვებ-გვერდები 2001 წლის ნოემბერში დახურეს და ისინი ხელახლა გამოჩნდნენ 2002 წლის თებერვალში azzam.co.uk-სა და azzam.com-ის საიტების სახით.

თალიბანის მოძრაობასთან დაკავშირებული საიტების უმრავლესობა, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგაც აგრძელებდა თავის არსებობას. მართალია მათი მთავარი საიტები აღარ ფუნქციონირებდა, მაგრამ იყო მსგავსი შინაარსის მქონე ალტერნატიული ინტერნეტ მისამართები, სადაც ძირითადად აღწერილია ავღანეთის ომით გამოწვეული თალიბანის შეცვლილი მდგომარეობა. საიტში მთავარი აქცენტი გაკეთებულია ყურანზე, ავღანეთის რუკასა და შეიარაღებაზე. თალიბანის საიტს გააჩნია კიდევ ერთი არაბულენოვანი განშტოება, ეს არის Jihad.net-ი. მის პირველივე გვერდზე გამოსახულია პირისპირ მდგარი ჯორჯ ბუში და ოსამა ბენ ლადენი. საიტი შეიცავს საინფორმაციო არქივს, რომლის განახლებაც ხდება რეგულარულად და ასევე მოიცავს აუდიო-ვიდეო მასალებს, გამოსვლებსა და სტატიებს. მთავარ გვერდზევა განთავსებული ჯიჰადზე ორიენტირებულ დაჯგუფებათა ჩამონათვალი და ანტიამერიკული ლოგო. იქვე მოთავსებულია 25 ფაილი (გადმოწერის საშუალებით) ჩეჩნეთის, ავღანეთის, პალესტინისა და სხვა კონფლიქტების შესახებ და ყურადღება გამახვილებულია ჯიჰადის მილიტარისტულ ასპექტებზე. ერთ კლიპში ნაჩვენებია დაბომბვის შედეგად დაღუპულები ჩეჩნეთსა თუ სხვა ადგილებში. სხვაგან შესაძლოა დანგრეული სავაჭრო ცენტრისა და პენტაგონის ნახვა, რომელიც შეპირისპირებულია ბენ ლადენის გამოსვლასთან და ერაყის, პალესტინის, ავღანეთისა და ქაშმირის კონფლიქტებში დაღუპულთა ფოტოებთან. Jihad.net-ისთვის უფრო “სულიერი” შინაარსია დამახასიათებელი, რომელსაც ყურანთან აკავშირებენ. საიტი შექმნილია კუვეიტში მცხოვრები ვინმე აჰმად ალის მიერ 2001 წლის დეკემბერში, თუმცა ვებგვერდი დაარეგისტრირა უორჩესტერში (დიდი ბრიტანეთი), ISP-ის კომპანიაში. მსგავსი მასალების გამოჩენა ბრიტანულ და ამერიკულ ISP-ში, 2002 წლის აპრილში განხორციელებული ავღანეთის კონფლიქტის ფონზე, ნამდვილად კუროზული მოვლენა იყო. Jihad.net-ი არის ერთ-ერთი ყველაზე მილიტარისტული მიმართულების მქონე საიტი. ვებგვერდი რომელსაც ეწოდებოდა Taliban News, გაუქმდა, მაგრამ მისი აღდგენა მოხდა 11 სექტემბრის ტერაქტიდან 6 თვეში. იგი დაარეგისტრირა ვინმე აბუ ჰადიაჰმა 2001 წლის დეკემბერში. ეს ადამიანი იყო ნიუ-იორკში არსებული ერთ-ერთი კომპანიის

(Halal Flowers) თანამშრომელი. საიტი საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული და მისი ძირითადი შინაარსია თალიბანის პერსპექტივები ავღანეთში, ჩეჩნეთში, პალესტინასა და სხვა რეგიონებში. ვებ გვერდზე საკმაოდ ბევრი ინფორმაციაა და გააჩნია ბმულები Azzam-ისა და სხვა საიტებისაკენ.

ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად ტერორისტების მიერ ინტერნეტის გამოყენებაც უფრო მეტად გავრცელდა. ტერორისტების საინტერნეტო კომუნიკაცია ხშირად შეიცავს მათ ოპერატიულ გეგმებს და მეთოდებს, რომელთა გაშიფვრის შემთხვევაშიც შესაძლებელია ანტიტერორისტული ბრძოლის მეთოდების შემუშავება, მათი ვინაობის დადგენა და ფონდების გადარიცხვების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

თავი IV. ეთნიკური წარმომავლობა და პატრიოტიზმი

4.1. IRA

IRA არის ირლანდიაში არებული ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც წლების განმავლობაში იბრძოდა ირლანდიის დამოუკიდებლობისთვის, შემდეგ კი ირლანდიის გაერთიანებისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ირლანდიის გაერთიანებისთვის იგი იბრძვის ტერორიზმით და არა სხვა რაიმე ფორმით. იმისათვის რომ კონფლიქტის არსს ჩავწვდეთ და ირას ტერორისტული მოძრაობის მიზანი გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ ირლანდიის ისტორია, მის გარეშე ჩვენ ვერ გავიგებთ, თუ რატომ აწარმოებს ირა ბრძოლას, რომლის ფორმაა ტერორისტული აქტები. ვერ გავიგებთ იმას, თუ რატომ მიაჩნია მას სწორი და პერსპექტიული სწორედ ესეთი ძალადობრივი გზა, რატომ აირჩია ირამ ბრძოლის ძალადობრივი ფორმა და არა კონსტიტუციური მშვიდობიანი გზა. ამის მიზეზი სწორედაც რომ ისტორიული გამოცდილებაა.

4.2. ირლანდიის ისტორია

რადგან ირლანდიის ისტორიაზე მეტად ჩვენ ირას მოქმედების მოტივების გაგება გვინტერესებს, მოკლედ შევხები ისტორიას და ყურადღებას გავამახვილებ არჩეული სტრატეგიის ანუ ტერორიზმის გამომწვევ ფაქტორებზე.

1175 წელს ბრიტანიასა და დამარცხებულ ირლანდიას შორის დაიდო ხელშეკრულება რომლის მიხედვით ირლანდია გაიყო ორად: აღმოსავლეთ ნაწილი ინგლისს, ხოლო დასავლეთ ნაწილი კი ირლანდიას დარჩა, ამასთან ერთად ირლანდიამ აღიარა საკუთარი თავი ინგლისის გვირგვინის ვასალად და მოხარკედ. ამ ხელშეკრულებამ გადაწყვიტა კუნძულის ბედი მრავალი ასწლეულის განმავლობაში. ინგლისელი ბარონები ძალით დაეუფლნენ მათთვის ფეოდეების სახით მიცემულ მიწებს, განდევნეს იქაური ბელადები და შემოიღეს ინგლისური კანონები და მმართველობის სისტემა. დროდადრო ირლანდიელები აწყობდნენ აჯანყებებს რათა თავი დაეღწია ინგლისური უღელისგან მაგრამ უშედეგოდ. ინგლისელები ყოველ აჯანყებას სასტიკად ახშობდნენ და მოსახლეობას უმკაცრესად უსწორდებოდნენ. ასე გრძელდებოდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე.

1790-იან წლებში დაარსდა მოძრაობა „გაერთიანებული ირლანდიელები“, რომლის იდეალიც იყო ამერიკის ომი დამოუკიდებლობისთვის და საფრანგეთის რევოლუციის დემოკრატიული იდეალები. მოძრაობა „გაერთიანებული ირლანდიელები“ ისწრაფოდა ირლანდიელ ერის გაერთიანებისკენ, რათა მიღწეულ ყოფილიყო თავისუფლება და თანასწორობა. თავდაპირველად თავიანთი მიზნის მისაღწევად მათ აირჩიეს მშვიდობიანი გზა, მაგრამ „გაერთიანებულ ირლანდიელებს“ ბრიტანული ხელისუფლება დაუპირისპირდა

რეპრესიებით. სწორედ ამ რეპრესიებმა გამოიწვიეს უკურეაქცია და ამას მოყვა შეიარაღებული აჯანყებები: 1798, 1803. 1848 და 1867 წლებში. 1803 წლიდან 1848 წლამდე ირლანდიელ ერმა მობილიზაცია მოახდინა და გადაიქცა ერთ-ერთ პირველ მასობრივ მოძრაობად პოლიტიკური რეფორმებისთვის ევროპაში. ისინი ავტონომიას მოითხოვდნენ, მაგრამ ბრიტანული ხელისუფლება მათ მოთხოვნებს უარყოფდა.

1845-1852 წლებში დიდი შიმშილობის დროს, რომლის დროსაც დაახლოებით მილიონამდე ადამიანი დაიღუპა, ხოლო მილიონზე მეტმა ირლანდია დატოვა. (ძირითადად გადასხლდნენ ა.შ.შ-ში) ამ პერიოდისთვის ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობის გარკვეული დაღმასვლა შეინიშნება. ადგილი ჰქონდა მხოლოდ მცირე მაშტაბის აჯანყება 1848 წელს, რომელიც მალევე სისხლში იქნა ჩახშობილი.

1850-60-იან წლებში ირლანდიელი პატრიოტების ახალმა თაობამ დაარსა მოძრაობა *Fenian*, რომელიც პოპულარული გახდა ირლანდიის მოსახლეობის საშუალო და ქვედა ფენებში. მათი მთავარი მიზანი გახლდათ ირლანდიის ოკუპანტებისგან შეიარაღებული გზით გაენთავისუფლება და ირლანდიის რესპუბლიკის დაარსება. 1867 წელს მათ მოაწყეს აჯანყება, თუმცა ის უშედეგო გამოდგა. ეს აჯანყება ისეთ სისასტიკით იყო ჩახშული, რომ შემდეგი 49 წლის განმავლობაში ირლანდიელებმა ვეღარ გაბედეს მსგავსი აჯანყების მოწყობა. ამ 49 წლის განმავლობაში ირლანდიის ისტორიაში დაიწყო ინტენსიური კონსტიტუციონალური ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. მათ დაიწყეს საარჩევნო პოლიტიკა და მიწის რეფორმის კამპანია და ასევე ბრძოლა იმისთვის, რომ „ირლანდიული პარტია“ ბრიტანულ პარლამენტში მოხვედრილიყო. იმის მიუხედავად, რომ ირლანდიული პარტიამ მოახერხა თავისი ხალხის გაყვანა ბრიტანულ პარლამენტში, ამ ორგანომ უარყო ირლანდიის თვითმართველობის კანონი. ეს მოხდა 1886 და 1893 წლებში.

ინგლისის ლიბერალურმა პარტიამ, რომელსაც მხარს უჭერდა „ირლანდიური პარტია“ წარადგინეს ირლანდიის თვითმართველობის კანონპროექტი 1911 წელს. მაგრამ ამჯერადაც ირლანდიის უმრავლესობის ნება იგნორირებულ იქნა. ოპოზიციურმა კონსერვატულმა პარტიამ ბრიტანულ პარლამენტში იუნიონისტებთან ერთად ჩააგდეს ლიბერალთა კანონპროექტი ირლანდიის თვითმართველობის შესახებ. (დღესაც კი კონსერვატიული პარტია ანუ ტორები ოფიციალურად ცნობილები არიან როგორც იუნიონისტების მხარდამჭერი პარტია). იმ დროს როდესაც რესპუბლიკელები (ანუ ირლანდიელები) არ ეწეოდნენ სამხედრო ბრძოლას, იუნიონისტურბმა და კონსერვატორებმა დაიწყეს ირლანდიის ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღების შეტანა და 1913 წელს შექმნეს უკანონო შეიარაღებული ფორმირება „ოლსტერის მოხალისეთა ძალები“. კონსერვატიული პარტია და ბრიტანეთის არისტოკრატია ემუქრებოდნენ და აშანტაჟებდნენ, ბრიტანეთის ლიბერალურ პარტიას, ირლანდიაში აჯანყებით, თუ

კი ლიბერალები ირლანდიას მისცემდნენ ავტონომიას. ამის საპირისპიროდ ირლანდიელმა ხალხმა შექმნა „ირლანდიის მოხალისეები“, რომლებიც შემდგომში იქცნენ ირლანდიის რესპუბლიკურ არმიად (ი.რ.ა). ის დაარსდა 1913 წ ნოემბერში, რათა უზრუნველყო ირლანდიის მოსახლეობის უფლებების და პრივილეგიის დაცვა.

1914 წელს ნება დართულ იქნა ირლანდიის ტერიტორიაზე ყოველგვარი დაპრკოლების გარეშე იარაღის შეტანა. ლიბერალები ბრიტანეთის პარლამენტში შეეწინააღმდეგენ ამას და სცადეს ჯარის მეშვეობით იარაღის შეტანის შეჩერება. ბრიტანელმა ოფიცრებმა და ამ ქვეყნის სამხედრო ელიტამ დაიწყეს აჯანყება. ლიბერალებმა ამის გამო სასწრაფოდ დაიხიეს უკან და მეტი ამ საკითხს აღარ შეხებიან. ხოლო მაშინ, როდესაც „ირლანდიელმა მოხალისეებმა“ დაიწყეს იარაღის შეტანა, (გაცილებით ნაკლები რაოდენობით ვიდრე იუნიონისტებს შემოჰქონდათ), ბრიტანულმა სამეფო პოლიციამ შეუტია მათ. დუბლინის ქუჩებში მოხდა შეჯახება, რის შედეგადაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

როდესაც დაიწყო პირველი მსოფლიო ომი (1914 წ), პარტია „თვითმართველობის“ ლიდერმა მოუწოდა „ირლანდიის მოხალისეებს“ ებრძოლათ ინგლისელებთან ერთად. ამ მოწოდებამ გაყო ირლანდიის მოხალისეები ორ ნაწილად - პირველები შევიდნენ ბრიტანულ არმიაში, ხოლო მეორე ნაწილმა კი დაიწყო აჯანყებისთვის მზადება. ეგრეთწოდებული „სააღდგომო აჯანყება“. 1916 წელი იყო მნიშვნელოვანი თარიღი ირლანდიის ისტორიაში. ბევრს მიაჩნია, რომ „პროკლამაცია რესპუბლიკაზე“ არის ირას ოფიციალურად დაარსების თარიღი. ეს პროკლამაცია აცხადებდა ირლანდიის დამოუკიდებლობას და დეკლარაციას „თანაბარი უფლებები და თანაბარ შესაძლებლობის“ ყველა ირლანდიის მოქალაქისთვის. სააღდგომო აჯანყება ჩახშობილი იქნა სისხლში ერთი კვირის შემდეგ და აჯანყებულთა 16 ლიდერი ბრიტანულმა სასამართლომ სიკვდილით დასაჯა. ამ პერიოდში პარტია „თვითმართველობამ“ დაკარგა ყველანაირი გავლენა ირლანდიელებზე. ირლანდიელები ხედავდნენ რომ მშვიდობიანი გზა წარუმატებელი აღმოჩნდა, რომ ბრიტანეთს მხოლოდ ძალის პოლიტიკა ესმოდა. ამიტომ 1918 წლის არჩევნებზე ირლანდიელებმა ხმა მიცეს პარტია შინ ფეინს, პარტია რომლის მიზანიც იყო ირლანდიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნა. შინ ფეინმა „ირლანდიელ მოხალისეთა“ მხარდაჭერა მოიპოვა და იქცა მის სამხედრო ძალად. 1919 წელს იმის შემდეგ რაც ბრიტანეთმა ისევ უარყვეს ირლანდიის თვითმართველობის კანონ-პროექტი, შინ ფეინი გადავიდა აქტიურ პარტიზანულ მოძრაობაზე. „ირლანდიის მოხალისეებმა“ შეიცვალეს სახელი „ირლანდიის რესპუბლიკური არმიად“ ამის საწინააღმდეგოდ ბრიტანელებმა საშინელი რეპრესიები დაიწყეს. მათ მოკლეს ირლანდიურ სამი ქალაქის მერი რომელიც ასევე ირას წევრები იყვნენ, (დახოცეს ისინი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე). ამ პერიოდში საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო ბრიტანელების მოქმედება ირლანდიაში. სამხედრო სიტუაცია იყო ირლანდიის

მთელ ტერიტორიაზე, უამრავი სახლი, ფაბრიკა განადგურებული იყო. ციხეებში ირლანდიელებს აწამებდნენ და კლავდნენ. საპასუხოდ ირა უფრო ეფექტურად იბრძოდა, პარტიზანულ ბრძოლებს. პარტიზანულ ბრძოლების ხელმძღვანელი და ტაკტიკოსი-თეორეტიკოსი იყო ტომ ბერი. რომელიც ასევე ირას ლიდერი იყო. პარტიზანულმა ომებმა, დიდმა ეკონომიკურმა ზარალმა და საერთაშორისო იმიჯის შელახვამ, ბრიტანეთის ხელისუფლება აიძულა 1921 წელს ეცნო ირლანდიის დამოუკიდებლობა. 1921 წლის ირლანდიის დამოუკიდებლობის შემდეგ 6 საგრაფომ განაცხადა ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენის შესახებ. მათი და დანარჩენი ირლანდიელების განმასხვავებელი ნიშანი რელიგია აღმოჩნდა.

სწორედ ჩრდილო პროვინციების დაკარგვის შემდეგ 1922 წელს ირა ორ ნაწილად გაიყო, ერთი მოითხოვდა მთლიანად ირლანდიის განთავისუფლებას. ეს გახდათ სამოქალაქო ომის მიზეზი რომელიც გაგრძელდა 1923 წლამდე. 1923 წელს ირამ უბრძანა თავის ჯარისკაცებს იარაღი ჩაებარებინათ. თუმცა ირამ არ აღიარა 6 საგრაფოს გამოყოფა და მხოლოდ ჩრდილო ირლანდიის ანუ ოლსტერის ტერიტორიაზე განაგრძო სამხედრო კამპანია.

ისტორიიდანაც კარგად ჩანს რომ ბრიტანეთისთვის კომპრომისზე წასვლა ძალზე ძნელი იყო. იგი სულ უხეში ძალის პოლიტიკას აწარმოებდა ირლანდიელ ხალხის წინააღმდეგ. ირლანდიელებმა როდესაც დაიწყეს მშვიდობიანი კონსტიტუციური გზით ბრძოლა, ბრიტანეთთან მოლაპარაკებებზე, კომპრომისზე წასვლა, მათ მიიღეს რეპრესიები. ირლანდიელებს მეტი აღარაფერი არ დარჩენოდა იმის გარდა რომ სამხედრო ძალადობრივი გზით თავის უფლებები დაეცვა. არც ერთი მშვიდობიანი ბერკეტი არ დაუტოვეს ბრიტანელებმა ირლანდიელებს რომ ზემოთ ნახსენები პრობლემები გადაჭრილიყო. ბრიტანულ-ირლანდიურ ურთიერთობას მრავალ საუკუნეებს ითვლის და ყოველთვის ამ ორ ქვეყნის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა სამხედრო ძალა. ბრიტანეთის იმპერია არსდროს, პატარა დათმობებზეც კი არ მიდიოდა ირლანდიელ ხალხთან. თავის თავად ირლანდიელებიც შეეჩვიენ რომ თუ კი ბრიტანეთს არ აჩვენე ძალა, იგი დათმობებზე არ წავა. ირლანდიის დამოუკიდებლობის აღიარება ხომ მხოლოდ მაშინ მოხდა რაც ირამ მძლავრი პარტიზანული ომი წამოიწყო და ირლანდიელებმა აჩვენეს თავის ძალა ბრიტანელებს. ასევე მიაჩნიათ დღესაც.

4.3. ნაციონალური მიზეზები ირლანდიის კონფლიქტში

ირლანდიის დაპყრობის მიზეზი იყო კოლონიზაცია და მიწების გაფართოების სურვილი. ინგლისელმა და შოტლანდიელმა ფეოდალებმა წაართველ ირლანდიელებს მიწები და დაიწყეს ინგლისელთა მასიური ჩამოსახლება. ინგლისელი კოლონისტები დასახლდნენ ირლანდიის აღმოსავლეთ და ჩრდილო რაიონებში. ძირითადად ინგლისელი და შოტლანდიელი

ფეოდალებმა დაიწყეს მიწების ათვისება. ფეოდალები აღმოჩნდნენ ბრიტანეთის იმპერიის დასაყრდენი ირლანდიაში. იმ დროს როდესაც ირლანდიის მოსახლეობის უმრავლესობას საკუთარი მიწა არ გააჩნდა, ბრიტანელი ფეოდალებს ყველაზე მდიდარი მიწები ჰქონდათ ხელთ ჩაგდებული. 1921 წელს როდესაც დამოუკიდებლობა მოიპოვა ირლანდიამ, სწორედაც რომ ოლსტერის ტერიტორიაზე სადაც ბრიტანელი მოსახლეობა ცხოვრობდა, გამოეყო დანარჩენ ირლანდიას. გამოყოფის მიზეზად წარმოაჩინეს რელიგიური ფაქტორი, რადგან მთლიანად ირლანდიის უმრავლესობა კათოლიკე იყო, ხოლო ჩამოსახლებული კოლონისტები კი პროტესტანტები. იმ პერიოდში ირლანდიის ხელისუფლება დათანხმდა 6 საგრაფოს დაკარგვას მაგრამ მეორე ნაწლი ირა-სი წინააღმდეგი აღმოჩნდა რამაც გამოიწვია 1922 წლის სამოქალაქო ომი. 1923 წელს ირა დამარცხდა. ასე რომ საგრაფოები ოფიციალურად ირლანდიას გამოეყო. თუმცა დამარცხებულ ირას მიზანი გახდა ოლსტერის დაბრუნება. ირამ 1949 წლიდან განაახლა ტერორისტული და პარტიზანული მოქმედებები ოლსტერისა და დანარჩენ ინგლისის ტერიტორიაზე. ეს საქციელი გასაგები იყო, რადგანაც თავის დროზე სწორედაც რომ იგივე მეთოდების გამოყენებით, ირამ მოახერხა ირლანდიის განთავისუფლება.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა აფხაზეთში, რუსების მიერ ოკუპირებულ საქართველოში ჩამოსახლებული აფსუების შედეგად, აფხაზეთმა ჯერ ავტონომია მიიღო, ხოლო შემდგომში კი რუსეთის დახმარებით ომი წამოიწყო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლების წინააღმდეგ და რუსეთის დასაყრდენი გახდა საქართველოში.

ბრიტანელებმა შეძლეს კონფლიქტი წარმოეჩინათ რელიგიურ ფაქტორებით. თუმცა ჩრდილო ირლანდიის კონფლიქტი თავის არსით და ბუნებით არის ეთნიკური კონფლიქტი.

4.4. რელიგიური ფაქტორები ირლანდიის კომფლიქტში

ჩრდილო ირლანდიის გამოყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო რელიგიური ფაქტორი. იმ დროს როდესაც მთლიანად ირლანდიაში კათოლიკეები ცხოვრობდნენ, ჩრდილო ირლანდიის ტერიტორიაზე პროტესტანტები ცხოვრობდნენ (მათ შორის თავად ეთნიკურად ირლანდიელიც იყო პროტესტანტი, რომელიც თავის თავს უკვე ბრიტანელად მიიჩნევდა). ჩრდილო ირლანდიაში დაარსებულმა ორგანიზაციამ „ფორთოხლისფერიანმა სამომ“ (რომელიც დაარსებაშიც ბრიტანეთის სპეცსამსახურები აქტიური ძალისხმევით) 1921 წელს ირლანდიის დამოუკიდებლობის დროს, დიდი როლი ითამაშა, ჩრდილო ირლანდიის ისტორიაში. მათ მოახერხეს ყველა პროტესტანტის შეკრიბა დაახლოებით 70 ათასი კაცის და მათი მემშვეობით შეძლეს კათოლიკებთან დაპირისპირება. სწორედ ფორთოხლისფერიანმა სამომ, გააღვივა რელიგიური

კომფლიქტი ირლანდიელებს შორის. ერთ-ერთი მოვლენა, რომლის გამოაშკარავებაც ხელი შეუწყო ფუნდამენტალიზმმა, ეთნიკური ნაციონალიზმია. ასე მოხდა ჩრდილოეთ ირლანდიაში სადაც ევანგელისტური პროტესტანტიზმის აღმავლობა 1969 წლის ბობოქარი მოვლენების ერთ-ერთი შედეგი იყო. იან პეისლის მიერ გამოყოფილი თავისუფალი პრესვიტერიანული ეკლესიისა და დემოკრატიული იუნიონისტთა პარტიის მეშვეობით პოლიტიკურად ორგანიზებული ოლსტერის ფუნდამენტალიზმი ირლანდიის გაერთიანებას კათოლიციზმისა და რომის გამარჯვებას უთანაბრებდა. თვით პეისლი აქტიურად არასოდეს უწყობდა ხელს ამბოხებას, მაგრამ, მისი განცხადებით, თუ გაერთიანება გაგრძელდებოდა, ეს პროტესტანტთა შეიარაღებულ წინააღმდეგობას გამოიწვევდა. პროტესტანტ, ისევე როგორც ფუნდამენტალისტ მშორომელთა მიმართ აპელირების მეშვეობით პეისლიმ და მისმა მომხრეებმა „რკინისებურ უდრეკი ნებით“ აღჭურვეს ოლსტერის იუნიონიზმი და გზა გადაუღობეს იმ პოლიტიკურ მოძრაობებს. რომელთაც საბოლოო ანგარიშში, ირლანდიის გაერთიანებისთვის შეეძლოთ მიეღწიათ.

ბრიტანელების ხელშეწყობით ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჩრდილო ირლანდიაში გადაიზარდა რელიგიურ კონფლიქტად კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის. ირასთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა რელიგია არ ყოფილა, მათი იდეალი არა კათოლიციზმის გამარჯვება არამედ ირლანდიის მთლიანად განთავისუფლებაა და გაერთიანება წარმოადგენდა, რაც განასხვავებს იუნიონისტებისგან, რომლებიც ამ ბრძოლას წარმოაჩენენ რელიგიურ კუთხით.

არსებობს ნეოკონსერვატორული თეორია, რომლის მიხედვითაც თუ კი გინდა საზოგადოება ერთიანი იყოს, უნდა შექმნა მტრის ხატი. ბრიტანელებმა მტრის ხატად ოლსტერში კათოლიციზმი შექმნეს და სწორედ რელიგიურ გრძნობაზე აპელირებენ დღემდე. როგორ ახერხებენ ბრიტანელები რელიგიურ გრძნობებზე აპელირებას? მარტივად. ბრიტანელებმა შექმნეს ირას ალტერნატიული ტერორისტული დაჯგუფება, რომლების ძირითადი მიზანი არა ირას წვრების განადგურება არამედ კათოლიკეების მოკვლა. სწორედაც ამ გზით შეძლეს ბრიტანელებმა რელიგიური კონფლიქტის გაჩაღება. მაშ ასე, ახლა განვიხილოთ ირლანდიაში არსებული პროტესტანტული ტერორისტული დაჯგუფებები რომელიც თვითონ ბრიტანეთის მიერ არის აღიარებული.

ა) ვოლონტერ ოლსტერელთა ძალები

გასამხედროებული პროტესტანტული დაჯგუფება. რომლებიც ტერორისტებად არიან აღიარებული ირლანდიის, ბრიტანეთის და ა.შ.შ-ს მიერ. როგორც კი შეიქმნა მან ომი გამოუცხადა ირას და 1966 წელს მოკლა კათოლიკე-ბარმერი. მაგრამ პირველივე ლიკვიდაციის შემდეგ, ძალოვნებმა დააკავეს მათი ლიდერი ავგუსტ სპენსი და სასიცოცხლო პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ ტერაქტები მაინც გაგრძელდა 1969 წელს ტერაქტების მოაწყვეს „დროებით“ ირას აქციების საპირისპიროდ. 1971 წ. 4 დეკემბერს ააფეთქეს მაკჰურკას ბარი ბელფასტში

რომლის დროსაც 15 კათოლიკე მოკვდა. 1974 წ. 17 მაისს დუბლინში და მონჰანაში მოაწყვეს ტერაქტები რომლის დროსაც 33 ადამიანი მოკვდა. 1980-იან წლებში მათ განაახლეს ტერაქტები. 1980-1994 წლამდე მათ ტერაქტებს ემსხვერპლა 350 სამოქალაქო პირი, 8 პოლიტიკური შინ ფეინის წევრი, 12 ირას წევრი.



ბ) ოლსტერის დაცვის ასოციაცია

სამხედრო დაჯგუფება შეიქმნა ოლსტერში ირასგან დასაცავად. მისი ძირითადი მოთხოვნაა ოლსტერის დამოუკიდებლობის მოპოვება. თავს ესხმოდა კათოლიკებს და ირას წარმოადგენლებს. მათმა ტერაქტებმა შეიწირა 112 ადამიანი მათგან 78 მოქალაქე კათოლიკე. ამ ტერორისტულ დაჯგუფებების მთავარი მიზანი არის არა ირას განადგურება, არამედ კათოლიკების, რაც იწვევს შუღლს რელიგიურ ნიადაგზე. ირა-ს მთავარი მსხვერპლი არა მშვიდობიანი პროტესტანტი მოქალაქეები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ის პირები ვინც თანამშრომლობენ და მუშაობენ ბრიტანულ ძალოვან სტრუქტურებში. ირა არ აღვივებს რელიგიურ გრძნობებს. არც ერთი ირა-ს ლიდერის განცხადება არ ყოფილა ანტიპროტესტანული. ისინი მხოლოდ და მხოლოდ მოითხოვდნენ ირლანდიის განთავისუფლებას და გაერთიანებას. თავად ირლანდიის სამფეროვან დროშაზე სტაფილოსფერი-ანუ პროტესტანტების ფერი, მწვანე ანუ ირლანდიელების ნაციონალური ფერი და თეთრია გამოსახული, რაც იმაზე მეტყველებს რომ ირლანდიისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რელიგიურ ფაქტორს.

4.5. ირლანდიის რესპუბლიკური არმია

როგორც ზემოთ ვახსენეთ ირა ოფიციალურად დაარსდა 1916 წელს. იგი აქტიურად მოქმედებდა ირლანდიის განთავისუფლებაში. ძირითადად იმ პერიოდში პარტიზანულ ომებს, აფეთქებებს, ბრიტანელ მაღალჩინოსნების მკვლავობებით იყო დაკავებული (ანუ ის რასა დღეს ჩვენ ტერორიზმს ვუწოდებთ, თუმცა იმ პერიოდში და დღესაც კი, ირლანდიის განთავისუფლებისთვის წარმოებულ ომს ისტორიკოსები არ აღიქვამენ როგორ ტერორისტების ომს კანონიერ ხელისუფლების წინააღმდეგ, არა ამ ომს ისტორიკოსები წარმოაჩენენ როგორც სამართლიან ომს დამოუკიდებლობისათვის) დღეს დღეობით ირა-ს მიზანია გაანთავისუფლოს და გააერთიანოს ჩრდილო ირლანდია (ოლსტერი) ირლანდიასთან. მას უპირისპირდება ბრიტანული ძალოვანი ორგანიზაციები და ასევე პროტესტანტული ტერორისტული დაჯგუფება, „ოლსტერის ლოიალიზმი“.

1949 წელს თავის მოქმედების ცენტრი გადაიტანა ჩრდილო ირლანდიაში. 1969 წელს ირამ დაიწყო საქალაქო პარტიზანული ომები, და დაიწყო რამოდენიმე ავტონომიურ დაჯგუფებად. ამ დაჯგუფებებმა დაიწყეს ტერორისტული აქტების გამოყენება როგორც ჩრდილო ირლანდიის ტერიტორიაზე ასევე ბრინტანეთშიც.

1969 წლის 14 აგვისტოს კომფლიქტის მოგვარების მიზნით ლონდონმა რეგიონში ჯარები გაგზავნა. ძალადობა დაიწყო ე.წ „სისხლიან კვირის“ (1972 წლის 30 იანვარი) შემდეგ, როდესაც ბრიტანელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს მომიტინგეებს რომლებიც ითხოვდნენ სამოქალაქო უფლებას ლონდონდერში (ჩრდილო ირლანდია), სროლი შედეგად დაიღუპა 13 ირლანდიელი.

1972 წლის 30 მაის ირამ გამოაცხადა სამხედრო წარმოების შეჩერების შესახებ, მაგრამ რადგან ბრიტანული ხელისუფლება არ წავიდა მათთან მოლაპარაკებებზე, ირამ განაახლა ტერაქტების მოწყობა ოლსტერიტში და ინგლისში.

ირას მახასიათებელი იყო - სატელეფონო ზარი 90 წუთით ადრე სანამ ტერაქტი მოხდებოდა და მერე აფეთქება რომელიმე ობიექტის, ეს იმიტომ ხდებოდა რომ ადამიანთა მსხვერპლი მინიმუმამდე დაყვანილიყო, მაგრამ ამის და მიუხედავად ის აჩვენებდა უხეშ ძალას. ირა იარაღს ღებულობდა ლიბიიდან. ირას მთავარი სამიზნე იყო ბრიტანული არმია, პოლიციელები და მოსამართლეები.

ირას პოლიტიკური ფრთა - შინ ფეინია, 1969 წელს პარტია დაიყო „დროებით“ და „ოფიციალურ“ ფრთად. თუმცა ირას ორივე ფრთის მსხვერპლი იყო ბრიტანული არმია და სამეფო პოლიცია ოლსტერიტში. „ოფიციალურ“ ფრთას წარმოადგენდნენ მარქსისტები და „შინ ფეინის მუშათა პარტიის“ სახელს ატარებდნენ



ირას ჰქონდა ორი პარალერული ორგანიზაცია:

პირველი, რომელიც ჰგავდა რეგულარულ არმიის სტრუქტურას და რომელიც იყოფოდა ბატალიონებად, ბრიგადებად და „სამხედრო ზონებად“ ბელფასტის ბრიგადა „დროებითმა“ ირამ 1969-1970 წ ჩამოაყალიბა და მასში შედიოდა 1200-მდე კაცი.

მეორე, ავტონომიური „აქტიური დაჯგუფებები“ რომლებიც შედგებოდნენ 5-8 კაციან დაჯგუფებებისგან, რომლებიც ძირითადად მოღვაწეობდნენ 1980-90 წლებში. 1990 წ. ესეთი დაჯგუფებები 300 კაცს ითვლიდა.

„დროებითი“ შედიოდა „შიდა უშიშროების განყოფილება“ რომლებიც სამოქალაქო პირების ლიკვიდაციაზე მუშაობდნენ, რომლებიც ბნრიტანელ ხელისუფლებას ემსახურებოდა. „დროებითები“ ასევე პატრულირებას აკეთებდნენ ბევრ კათოლიკურ უბანში, განსაკუთრებით დერში, რომლებიც მათ „თავისუფალ ზონად“ აღიარეს. ბრიტანელ და ოლსტერის ძალოვნების იქ ყოფნა არასასურველად გამოაცხადეს. ბრიტანელმა უარყვეს ბოევიკების მიერ წარდგენილი სტატუსის აღიარებამ, „სპეციალურ კატეგორიის“ შესახებ, რომელსაც მოყვა რამოდენიმე აქცია ციხეში (შიმშილი ციხეში და თვითმკვლელობები) ოლსტერის უნივერსიტეტის მონაცემებით „დროებითმა“ ირამ გაანადგურა 1800 ადამიანი: 1100 ბრიტანეთის ჯარისკაცი, ოლსტერის სამეფო პოლიციელი, ოლსტერის დამცველი პოლკი. დაახლოებით 600 სამოქალაქო პირი, დანარჩენი- რესპუბლიკელი ან ლოიალისტი ბოევიკი, დაახ. 100 კაცი.

4.6. ირას მოქმედებების შედეგი

1985 წლის 15 ნოემბერს ციხე-სიმაგრე ჰილსბოროში (ჩრდ. ირლანდია) დაიდო ხელშეკრულება ირასა და დიდი ბრიტანეთის შორის, რომლითაც ირას მიეღოთ კონსულტატის სტატუსი, ჩრდილო ირლანდიის საკითხის მოგვარებაში.

დიდ ხნიანი მოლაპარაკებების შემდეგ ბრიტანეთსა და ირლანდიას შორის 1993 წლის 14 დეკემბერს ხელი მოეწერა (დაუნგ-სტრიტის დეკლარაციას) რომლითაც მხარეები უარს ამბობდნენ ძალადობის ყველანაირი ფორმის გამოყენებაზე და უნდა შექმნილიყო საერთო პარტლამენტი და ხელისუფლება ჩრდ. ირლანდიაში. მაგრამ ხელშეკრულების განხორციელება გადაიდო რადგან, ამ დროს ირამ ტერაქტები მოაწყო, ტყვიამრქვევით ჩაცხრილა ლონდონის აეროპორტი ჰიტროუ.

1994 წლის გაზაფხულზე ირამ გამოაცხადა „სამხედრო ოპერაციების შეწყვეტი შესახებ“ მაგრამ ბრიტანულ-ირლანდიურ ხელშეკრულების შემდეგ, მათ უარი განაცხადეს განიარაღებაზე.

1998 წლის 15 აპრილს ბელფასტში დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ და ჩრდილო ირლანდიის პარტიების ლიდერებმა ხელი მოაწერეს „ხელშეკრულება ემოციურ პარასკევის“ რომ შექმნილიყო საერთო ორგანო რომელიც განიხილავდა და იმსჯელებდა ჩრდილო ირლანდიის სტატუსის შესახებ. მაგრამ კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის მოლაპარაკება ჩაიშალა ახალმა ტერაქტმა ჩრდ. ირლანდიის ქ. ომაში 1998 წლის 10 სექტემბერს, რომლის დროსაც დაიღუპა 29 ადამიანი.

2000 წელს მოლაპარაკებები ჩაიშალა ირასთან, ირას განიარაღების შესახებ. ჩრდ. ირლანდიის ასამბლეამ იარსება მხოლოდ ორი წელი, რომელიც დაითხოვეს.

2004 წლის იანვარს ლონდონში და დუბლინში შეიქმნა დამოუკიდებელი მონიტროინგის კომისია, რომელიც რეგულარულად აკვირდებოდა ჩრდ. ირლანდიაში სიტუაციებს. კომისიაში შედის ოთხი ადამიანი. (ბრიტანელი, ირალანდიელი, ოლსტერელი და ამერიკელი)

2005 წელს ირას ხელმძღვანელებმა ოფიციალურად განაცხადეს შეიარაღებული მოქმედების შეწყვეტის შესახებ, იარაღის ჩაბარების შესახებ და კომფლიქტის პოლიტიკურ გადაწყვეტის შესახებ. დაიწყო მოლაპარაკებების ახალი ეტაპი.

კომისიის უკანასკნელ შეფასებით (2006) ირამ განიცადა რადიკალური ცვლილება. მისი დიდი სტრუქტურული ნაწილი დაითხოვეს, ხოლო მათი რიცხით შესაბამისად შემცირდა. დამკვირვებლების თვალსაზრისით ირა აღარ აპირებს ტერორისტულ აქტების მოწყობას და ოლსტერის შეიარაღებულ დაჯგუფებების დაფინანსებას. კომისიის დასკვნას ირას მოწინააღმდეგეებიც ეთანხმებიან - იან პეისლი, პროტესტანტულ დემოკრატიულ იუნიონისტური პარტიის ლიდერი აღნიშნავს რომ ირამ დიდი პროგრესი განიცადა იმით რომ ტერორისტულ აქტებზე უარი განაცხადა.

2006 წლის ოქტომბერში შოტლანდიის ე. სენტ-ენდრიუში დაიწყო მოლაპარაკებები ჩრდილო ირლანდიის ყველა პარტიის ლიდერს, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტერს და ირლანდიის შორის, რომ ოლსტერისთვის გადაეცათ ადგილობრივი სამთავრობო ორგანოები.

დასკვნა: ირას მოქმედებებმა ამჯერადაც აიძულა ბრიტანეთის ხელისუფლება დათმობებზე წასულიყო. 1972 წლიდან ჩრდ. ირლანდია იმართებოდა უშუალოდ გაერთიანებულ სამეფოს ცენტრალურ ხელისუფლების მიერ. ირამ კი აიძულა ბრიტანეთის სახელმწიფო დათმობებზე წასულიყო. აქაც კარგად ჩანს რომ სწორედაც აქტიურ ტერორისტულ მოქმედებების შედეგად ირ-მ მოახერხა ბრიტანულ სახელმწიფოსთვის აეძულებინა დათმობებზე წასულიყო. სხვა გზამ არ გაამართლა. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ბრიტანელი ძალოვნები ყოველგვარ კანონის დარღვევით, აკავებდნენ და ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები (მაგალითად პარტია შინ ფეინის ლიდერი ადამს ჯერი, რომელიც დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს სასამართლო პროცესების გარეშე. იგი ციხეში იმყოფებოდა 1973 წლიდან 1977 წლამდე.) ირამ ხელი ააღებინა ბრიტანულ სახელმწიფოს უხეშ და უკანონო პოლიტიკის წარმოებაში. ასევე ბრიტანეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ირა მხარედ ეცნოთ. ასე რომ დასკვნაში ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ტერორისტულმა მოქმედებებმა შედეგი გამოიღო. როგორც აქამდე მთლიანად ირლანდიისთვის წარმოებულმა ომმა მოიტანა შედეგი, ასევე ზუსტად ასევეთივე მოქმედებებმა ჩრდ. ირლანდიაში მოიტანა შედეგი და აიძულა ბრიტანელები მთელ რიგ პოლიტიკურ დათმობებზე წასულიყვნენ.

მრავალი წლების მანძილზე ეს ადგილი გახლდათ მწარე ეთნო – პოლიტიკური კონფლიქტების ასპარეზი, ცნობილი როგორც “უსიამოვნებები”. დაპირისპირებული მხარეები იყვნენ ერთის მხრივ, ისინი, ვინც თავს ნაციონალისტებად აცხადებდნენ, რომელთა უმეტესობა რომაელი კათოლიკეები არიან და მეორეს მხრივ ისინი, ვინც თავს იუნიონისტებად მიიჩნევდნენ, რომელთა უმეტესობა პროტესტანტები არიან. იუნიონისტებს სურთ ჩრდილოეთ ირლანდია დარჩეს გაერთიანებული სამეფოს ნაწილად, მაშინ როცა ნაციონალისტებს სურვილი აქვთ ის პოლიტიკურ ერთიანობაში იყოს დანარჩენ ირლანდიასთან. ზოგადად იუნიონისტები თავს თვლიან ბრიტანელებად (“ალტერმენებად”) ხოლო ნაციონალისტები კი ირლანდიელებად. თუმცა ეს იდენტობები არ არის ორმხრივად ურთიერთგამომრიცხავი.

4.7. ETA

ევროპაში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ბასკების ტერორისტული ორგანიზაცია - ETA, რომელიც დაარსდა 1959 წელს. იგი გამოდის პროკომუნისტური ლოზუნგებით და მიზნად ისახავს ბასკების ეროვნული სახელმწიფოს შექმნას და საფრანგეთის პროვინცია - ნავარის - მიერთებას.



4.8. ETA - ს ისტორიული წინამძღვრები

ბასკების ქვეყანა ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. მასში სამი ისტორიული პროვინცია შედის: ალავა, ბისკაია და გიპუსკოა. ასევე ბასკური პროვინციაა ნავარა, მაგრამ ესპანეთის მთავრობა მას ბასკურად არ აღიარებს.

ბასკეთი ესპანეთის შემადენლობაში XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში შევიდა, თუმცა XIX საუკუნის შუა წლებამდე გარკვეულ უფლებებს (ე.წ. ფუეროსი) ინარჩუნებდა, კერძოდ, ჰქონდა საკუთარი კორტესი, სასამართლო, საბაჟო და საგადასახადო პრივილეგიები. სამხედრო სამსახურსაც ბასკები საკუთარ ტერიტორიაზე გადიოდნენ.

XIX საუკუნეში ესპანეთმა ეროვნული რაიონების – ბასკონიის, კატალონიისა და გალისიის ცენტრალიზაციისა და ძალდატანებით გაესპანელების პოლიტიკა

გაადლიერა, რასაც ბასკები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ეს იყო ბასკების ე. წ. კარლისტურ ომებში მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის შედეგადაც ალფონსო XII-ის მთავრობამ 1876 წელს თითქმის ყველა ფუეროსი გააუქმა. ამან გაამძაფრა ბასკების ნაციონალისტური მისწრაფებები. მით უმეტეს, რომ XIX საუკუნის ბოლოს ბისკაიასა და გიპუსკოას პროვინციებში სწრაფად ვითარდებოდა სამთამადნო და მეტალურგიული მრეწველობა, რის გამოც ეს პროვინციები ესპანეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრად იქცა. ამავე პერიოდში ეროვნული აღმავლობის ფონზე ბასკების ნაციონალისტური პარტია შეიქმნა, რომელიც კათოლიკურ ეკლესიასთან იყო დაკავშირებული.

მიგელ პრიმო დე რივერას მმართველობის წლებში (1922–1930) ბასკების ეროვნული მოძრაობა იატაკქვეშეთში გაგრძელდა. 1931 წელს ესპანეთში რესპუბლიკური წყობის დამყარების შემდეგ ბასკების ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობა დაიწყო. 1932 წლის 19 იანვარს პამპლონაში (ნავარა) შეიკრიბა ალავის, ბისკაიის, გიპუსკოას და ნავარას მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა ასამბლეა, რომელმაც ბასკეთის ავტონომიის სტატუსი მოიწონა. მაგრამ ბასკეთმა ავტონომია მხოლოდ 1936 წლის ოქტომბერში, სახალხო ფრონტის გამარჯვების შემდეგ მიიღო. ავტონომია, ფაქტობრივად, 9 თვის განმავლობაში არსებობდა. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქ გერნიკას დაბომბვის შემდეგ, 1937 წლის ივნისის მეორე ნახევარში ფრანკოს მომხრეებმა ბასკების ქვეყანა დაიკავეს, რის შემდეგაც ავტონომია დაკარგა. 1939 წელს ფრანკოს მთავრობა ესპანეთის სათავეში მოვიდა და დაუყოვნებლივ გააუქმა რესპუბლიკის ყველა საკანონმდებლო აქტი, მათ შორის, კატალონიის და ბასკეთის ავტონომიური უფლებები. ეკლესიის გარდა, ყველა დაწესებულებაში ბასკური ენა აიკრძალა. ავტონომიების გაუქმებამ ეროვნული მოძრაობის აღმავლობა გამოიწვია. ბასკების ნაციონალისტურმა პარტიამ არალეგალური მოღვაწეობა ემიგრაციაში გააგრძელა.

ფრანკოს დიქტატურასთან ბასკების ბრძოლა თავისუფლებისათვის სრული მარცხით დასრულდა. ამიტომ ბასკი ნაციონალისტების ერთმა ნაწილმა ბრძოლის სხვა ფორმას–ტერორს მიმართა. მათ 1959 წელს დააარსეს ორგანიზაცია ეტა.

4.9. ETA –ს მოქმედების ეტაპები

პირველი ეტაპი

ეტა (ბასკ. Euskadi Ta Askatasuna – ბასკების სამშობლო და თავისუფლება), შეიარაღებული ბასკური ნაციონალისტური და სეპარატისტული ორგანიზაციაა. ჯგუფი 1959 წელს დაარსდა და თავიდან სოციალურ მოძრაობას წარმოადგენდა და ანტიკოლონიალური ხასიათის იყო. შემდეგში თავი მან მარქსისტულ–ლენინურ დაჯგუფებად გამოაცხადა, რომლის მიზანი არამარტო ბასკეთის მშენებლობა, არამედ სოციალიზმის მშენებლობაც იყო. მიზნის მისაღწევად ასეთი ტაქტიკა

აირჩიეს: მოქმედება–რეპრესია–მოქმედება. პრაქტიკაში ის შემდეგნაირად ტარდებოდა:

1. ეტა ახორციელებს პროვოკაციული ხასიათის ძალადობრივ აქტს პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ;
2. სისტემა პასუხობს „მასების“ წინააღმდეგ რეპრესიით;
3. მასები პანიკითა და პროტესტით რეაგირებენ. ამის შემდეგ ეტა ძალადობრივ აქტს ახორციელებს, რასაც მასა რევოლუციურ სიტუაციამდე მიჰყავს.

ეტა–ს მოქმედების პირველი ეტაპი დაარსებიდან 1975 წლამდე პერიოდს მოიცავს. ამ დროს ესპანეთში ფრანკოს ავტორიტარული რეჟიმი ბატონობდა. ამ დროს ეტა–ს შეიარაღებული ბრძოლა ეროვნული, სოციალური და რელიგიური სამართლიანობისთვის განიხილებოდა როგორც ბრძოლა ფრანკისტული რეჟიმის წინააღმდეგ, ამიტომ მას მხარს უჭერდა არა მარტო ბასკების დიდი ნაწილი, არამედ მთელი ესპანეთის მოსახლეობის უმრავლესობა.

ეტა–ზე პირველად 1968 წელს ალაპარაკდნენ, როცა მან თავისი პირველი მკვლელობა ჩაიდინა: სან სებასტიანში მოკლეს საიდუმლო პოლიციის უფროსი. ამ წელს 1900 კაცი დააპატიმრეს და ზოგიერთი მათგანი სიკვდილით დასაჯეს. 1969–1970 წლებში ეტა–ს თითქმის ყველა ლიდერი დააპატიმრეს და სამხედრო სასამართლოში გაასამართლეს.

1970–იან წლებში ეტა–მ ბრძოლის ფორმები შეცვალა, რომლებიც ლათინური ამერიკის ტერორისტებისგან გადმოიღო. ეს იყო, ძირითადად, პოლიტიკური მოღვაწეებისა და დიპლომატების გატაცებები. სულ 1968–1975 წლებში ტერორისტებმა 40 ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. ამის გამო, 1973 წელს ხელისუფლებამ დაპატიმრებული ტერორისტების დიდი ნაწილი სიკვდილით დასაჯა.

1973 წლის 20 დეკემბერს ეტა–მ თავისი ყველაზე გახმაურებული ტერაქტი მოაწყო: ტერორისტებმა გზის საფარქვეშ გვირაბი გაიყვანეს და იგი ასაფეთქებელი ნივთიერებით ამოავსეს. ამ გზაზე ესპანეთის პრემიერ–მინისტრს ადმირალ ლუის კარერო ბლანკოს უნდა გაევიდა. აფეთქების შედეგად ბლანკო და ორი თანმხლები პოლიციელი დაიღუპა.

1960–1970–იან წლებში ორგანიზაციაში განხეთქილება მოხდა. უთანხმოება გამოიწვია კამათმა რეჟიმის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის შესახებ. 1968 წელს ეტა–ს „ახალი ეტა“ გამოეყო, რომელიც, 1974 წელს თავის მხრივ „სამხედრო“ და „პოლიტიკურ“ ფრაქციებად დაიყო. პირველი წმინდა ტერორისტული სსხის ორგანიზაცია იყო, მეორე კი, არსებულ რეჟიმთან ბრძოლის მშვიდობიან, უმსხვერპლო გზას ქადაგებდა.



მეორე ეტაპი

1975 წელს ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ მეფე ხუან კარლოსმა თითქმის რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში არსებული ვითარება. 1978 წელს ესპანეთში მიიღეს დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც სრულ პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებებს უზრუნველყოფს ისევე, როგორც ხელისუფლების განაწილებას ცენტრსა და რეგიონებს შორის. ლოგიკურად, ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ ეტა უნდა დაშლილიყო, რადგან პოლიტიკური სისტემა, რომლის წინააღმდეგაც ის იბრძოდა, აღარ არსებობდა. მაგრამ ეტა–ს სამხედრო ფრაქციის გეგმებში კვლავ შედიოდა ბასკების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეა. ასეთი პოზიცია ესპანეთის ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევდა.

1976 წლის ბოლოდან ეტა–მ ტერორისტული აქტები განაახლა. თავდასხმის მთავარ ობიექტებად იქცნენ სახელმწიფო აპარატის, სამხედრო და პოლიციის მაღალჩინოსნებ. იმ დროს ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 500 კაცს აღწევდა, მათ შორის 200 მებრძოლი იყო, დანარჩენები კი მათი ხელშემწყობები იყვნენ. მებრძოლები 20–30 კაციანი ჯგუფებით მოქმედებდნენ, ძირითადად, ბასკეთსა და ესპანეთის დიდ ქალაქებში. მკვლელობის ყველაზე „საყვარელი“ მეთოდი მსხვერპლისათვის კეფაში ტყვიის სროლა იყო. დაზარალებულთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. ბასკები სიამაყით აცხადებდნენ, რომ ესპანეთს არც ერთ ომში არ დაუკარგავს იმდენი გენერალი, რამდენიც ეტა–მ შეიწირა.

მკვლელობათა სერიამ ხელ–ფეხი გაუხსნა სამხედროებს, რომლებიც გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავდნენ. მათი სქმიანობის კულმინაციას ესპანეთის პარლამენტარების წარუმატებელი მცდელობა წარმოადგენდა. ეტა–ს იდეოლოგთა მოსაზრებით, სამხედრო გადატრიალება

მათთვის მომგებიანი იყო, ვინაიდან ეს ესპანეთის დემოკრატიის მოჩვენებით ხასიათს გამოააშკარავებდა. მაგრამ ესპანეთის დემოკრატია ამ გამოცდას გაუძლო.

მესამე ეტაპი

ეტა–ს მოქმედების მესამე ეტაპი 1981–1986 წლებს მოიცავს. 1979 წლის 25 ოქტომბერს ბასკონიის მცხოვრებთა უმრავლესობამ, მიუხედავად ეტა–ს მხრიდან შანტაჟისა, მხარი დაუჭირა ავტონომიური სტატუსის მიღებას. ესპანურ ნაწილში სამმა ბასკურმა პროვინციამ ფართო ავტონომია მიიღო: ბასკები საკუთარ გადასახადებს თვითონვე აგროვებენ და ანაწილებენ; აქვთ საკუთარი პოლიცია და განათლების სისტემა; ბასკური ენა ისწავლება სკოლებში; ხელისუფლებამ ბასკების ქვეყანას გადასახადები და განაკვეთები შეუმცირა. ყველაფერმა ამან ბასკონიის ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია. მოსახლეობაში რადიკალური განწყობილება შესუსტდა. კანონმა ავტონომიის შესახებ ეტა არ დააკმაყოფლა. ის გადავიდა მოქმედების ახალ პრინციპებზე–„ტერორი ტერორისათვის“. ამით ის საკუთარი მოსახლეობის უმეტესობის წინააღმდეგ გამოვიდა. ავტონომიის შესახებ რეფერენდუმის მეორე დღესვე ეტა–ს წევრებმა მოკლეს ბასკი მუშა ჰერმან გონსალესი, რომელმაც სეპარატიზმი დაგმო. ამ მკვლელობამ ბასკი მოსახლეობის დიდი პროტესტი გამოიწვია. მოეწყო ფართომასშტაბიანი გაფიცვა ეტა–ს წინააღმდეგ.

1982 წლის ოქტომბრის არჩევნებში ფილიპ გონსალესის სოციალისტური პარტიის გამარჯვება დემოკრატიისაკენ საბოლოოდ შემობრუნების ათვლის წერტილი იყო. ფრანკოს დიქტატურის შემდეგ ეს იყო პირველი ხელისუფლება, რომლის წევრებსაც დისკრედიტირებულ რეჟიმთან კავშირი არ ჰქონია და პირველი მემარცხენე მთავრობა რესპუბლიკის შემდეგ. ახალი ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ეტა მოკლევადიან ზავს დათანხმდებოდა, მაგრამ ეს იმედი მალე გაქარწყლდა. ახალი მთავრობის არჩევნიდან რამდენიმე დღეში ეტა–ს ტერორმა კიდევ ერთი მაღალჩინოსანი გენერალი იმსხვერპლა. მართალია, იმ წელს ეტა–მ საკუთარი „რეკორდის“ (1980 წლის 91 მკვლელობა) მოხსნა ვერ მოახერხა, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობაში შემთხვევითი მსხვერპლის რაოდენობა. სეპატარისტული ორგანიზაციიდან ეტა თანდათან მაფიოზურ, კრიმინალურ დაჯგუფებად იქცა, რომელიც ნაციონალურ და რევოლუციურ ლოზუნგებს იყო ამოფარებული. გახშირდა ბანკების ძარცვა. ფართო ხასიათი მიიღო ბანკებიდან ე.წ. „რევოლუციური შესაწირის“ აკრეფამ, რასაც ყოველწლიურად მილიარდ პესეტამდე შემოსავალი მოჰქონდა. ეტა–ს წევრებმა დაიწყეს ადამიანების გატაცება, ყოველგვარი პოლიტიკური მოტივების გარეშე, მხოლოდ გამოსასყიდი თანხის მოთხოვნით; ჩაერთნენ ნარკოტიკების ბიზნესში; ფულს „ათეთრებდნენ“ ბანკებისა და სათამაშო დაწესებულებების დახმარებით.

ეტა–ს პროვოკაციების საპასუხოდ, გონსალესის ადმინისტრაცია „ბინძურ ომში“ ჩათრეული აღმოჩნდა, რომლის მძიმე შედეგები ბასკურ საზოგადოებაში

გამოძახილს დღემდე პოულობს. 1983–1987 წლებში ოფიციალური მიერ ჩამოყალიბებული ანტიტერორისტული განმათავისუფლებელი ჯგუფის ე.წ. გალ–ის (ესპ. GAL-Grupos Antiterrorista de Liberación) ოპერაციებს 27 ადამიანი ემსხვერპლა. მათი უმრავლესობა ეტა–ს სახიზრად ქცეული საფრანგეთის ტერიტორიაზე განხორციელდა. მართალია გალ–ის მსხვერპლთა მნიშვნელოვან ნაწილს ტერორისტთა ლიდერები შეადგენდნენ, მაგრამ ამ ოპერაციებს საფრანგეთის მრავალი უდანაშაულო მოქალაქის სიცოცხლეც ემსხვერპლა. გალ–ის მიზანს მხოლოდ ეტა–ს ლიდერების განადგურება არ წარმოადგენდა. მათი საქმიანობის ძირითადი მიზანი საფრანგეთის ხელისუფლებაზე ზეწოლა და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება იყო, რომელიც ეტა–ს გახიზნული წევრების მიმართ ტოლერანტობით გამოირჩეოდა. ფრანკოს რეჟიმის დროს ეტა–ს მებრძოლებს საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის უფლება ჰქონდათ. ესპანეთსა და საფრანგეთს შორის 1984 წლის 14 ივნისის ხელშეკრულებით, ეტა–ს წევრებს წაერთვათ საფრანგეთში პოლიტიკური დევნილის სტატუსი. ამ ხელშეკრულებამ ეტა–ს 200 წევრს სამშობლოში დასაბრუნებელი გზა გაუხსნა, მხოლოდ იმ პირობით, თუ დანაშაულს აღარ ჩაიდენდნენ, საზღვრის უკანონო გადაკვეთის შემთხვევაში კი მათ დააკავებდნენ. ესპანეთის იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ბარიონუევომ (ის მოგვიანებით, 1998 წელს გალ–ის მიერ ინსპირირებულ ადამიანთა გატაცებებში ამხილეს) პირველად ქვეყნის ისტორიაში ეტა–ს ერთ–ერთ ხელმძღვანელს დომინგო იტურბო აბასოლოს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეხვედრა შესთავაზა პრობლემების საბოლოო მოსაგვარებლად. 1984 წელს ანდორაში მკაცრად გასაიდუმლოებული შეხვედრა გაიმართა. ეტა–ს ხელმძღვანელობამ შემდეგი პირობები წამოაყენა: ნავარიის ინტეგრაცია ბასკთა ქვეყანაში, ყველა პარტიის (უმთავრესად იგულისხმებოდა ბასკების ნაციონალისტური პარტია ბატასუნა) ლეგალიზაცია, ესპანეთის პოლიციისა და ჯარის დანაყოფების ბასკეთიდან გაყვანა. მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

სამაგიეროდ, 1986 წელს ესპანეთისა და საფრანგეთის ხელისუფლებამ დადო ახალი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივ ბრძოლას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ და კრძალავდა ეტა–ს წევრებისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას. ამის გამო ეტა–ს ერთ–ერთმა ლიდერმა მუხიკო გარმენდამ თავის ქვეშევრდომებს მოუწოდა ყველა საქმისათვის თავის დანებება და მხოლოდ თავდასხმებსა და ტერორზე გადასვლა ფრანგი ტურისტების, სატვირთო ავტომობილებისა და საექსკურსიო ავტობუსების წინააღმდეგ.

გარდა იმისა, რომ 1984–1986 წლებში ეტა–მ სერიოზული დანაკარგები განიცადა, ასევე გაიზარდა ბასკი მოსახლეობის უკმაყოფილება მისი საქმიანობით. შეკრებაზე გაისმოდა მოწოდება: „რატომ უნდა ვიბრძოლოთ ეტა–ს

ხელმძღვანელობით, როცა ასეთი სახელმწიფო ისტორიულად არასოდეს არსებობდა“. ამის შედეგად, ეტა–მ საგრძნობლად შეასუსტა აქტიურობა.

4.10. ETA 1980–იანი წლების ბოლოს და 1990–იანი წლების დასაწყისში

1987 წელს ტერორი ფრანგების წინააღმდეგ გაგრძელდა. საპასუხოდ, 1987–1992 წლებში საფრანგეთისა და ესპანეთის სპეცსამსახურებმა ტერორისტებს საპასუხო დარტყმა მიაყენეს. მათ ეტა–ს 500–ზე მეტი აქტივისტი, მათ შორის, თითქმის ყველა ხელმძღვანელი დააპატიმრეს და გაასამართლეს. ორგანიზაცია უფრო მეტ იზოლაციაში აღმოჩნდა, ვიდრე მანამდე იყო. მეწარმეები უარს ამბობდნენ ეტა–სთვის ფულის გადახდაზე, „რევოლუციურ შესაწირზე“. თავი იჩინა შიდა უთანხმოებამაც. ორგანიზაცია ათობით ძველმა აქტივისტმა დატოვა. 1990–იანი წლების დასაწყისში ეტა–ს წევრთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. მიუხედავად ამისა, 1990–იან წლებში ეტა–მ გააგრძელა ტერორისტული საქმიანობა. მოხდა მისი „ახალი თაობის რეპროდუქცია“, რასაც უმთავრესად გალის მიერ წარმოებულმა კამპანიამ, ე.წ. „ბინძურმა ომმა“, შეუქმნა საფუძველი. 1996 წელს ესპანეთის ხელისუფლების სათავეში მოსულმა ხოსე მარია აზნარის მემარჯვენე–ცენტრისტულმა სახალხო პარტიამ დაგმო ტერორიზმის წინააღმდეგ ყოველგვარი უკანონო მეთოდის გამოყენება, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები სრულიად საპირისპიროზე მეტყველებდა.

1995 წელს პალმა დე მალიორკაში დააკავეს მებრძოლები, რომლებიც ესპანეთის მეფე ხუან–კარლოსზე აპირებდნენ თავდასხმას. ტერორისტები კვლავ აფეთქებდნენ სარკინიგზო სადგურებს, ბანკებს, კლავდნენ პოლიციელებს, პოლიტიკოსებს, მოსამართლეებს. 1997 წელს მათ დიდი შეცდომა ჩაიდინეს– გაიტაცეს და მოკლეს ბასკეთის მუნიციპალური საბჭოს წევრი, ახალგაზრდა ეკონომისტი მიგელ ბლანკო. მთელი ქვეყანა, დაწყებული მეფით, დამთავრებული რიგითი ესპანელით, ტერორისტებს უდანაშაულო ადამიანის განთავისუფლებას სთხოვდა. ამ მკვლელობამ კიდევ ერთხელ დაანახა ყველას მათი ნამდვილი სახე. ეტა–ს ავტორიტეტი მკვეთრად შეილახა. ქვეყანაში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც 1,5 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა. მათი საერთო ლოზუნგი იყო: „გუმინ არ გვიყვარდით, დღეს გვძულხართ!“ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არ წავა მოლაპარაკებაზე ტერორისტებთან, სანამ იარაღს არ დაყრიან.

1998 წელს ორგანიზაციამ ე.წ. ლიზარას დეკლარაციით ტერაქტებზე დროებით უარი განაცხადა. ეს ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესის ანალოგიური იყო. თვითგამორკვევის მოთხოვნა დეკლარაციის ბოლო სტროფი იყო. ამასვე ითხოვდნენ ბასკეთის ნაციონალისტური პარტიის ზომიერი ფრთის წარმომადგენლები, რომლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს ეტა–სთან ერთად დამოუკიდებელი ბასკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მიღებაზე. სწორედ ამის სანაცვლოდ ეტა შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე უარს

ამბობდა. საყურადღებოა, რომ აღნიშნული დეკლარაცია მადრიდის მედიამ და პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა ლანძღვის საგნად აქცია. ბასკეთის სუვერენიტეტისათვის მშვიდობიანი ბრძოლის გზა მათ გაცილებით მეტ საფრთხედ აღიქვეს, ვიდრე ეტა–ს ტერორისტული კამპანია. ესპანეთის მთავრობა შიშობდა, რომ ამის შემდეგ ბასკი და კატალონიელი რადიკალები ერთიან ნაციონალისტურ ალიანსს ჩამოაყალიბებდნენ.

4.11. ETA XXI საუკუნის დასაწყისში

ესპანეთის პოლიციის განცხადებით, 2000 წლისათვის ეტა–ს მხოლოდ სამი დაჯგუფება მოქმედებდა, თითო 5–6 კაცის შემადგენლობით, ერთი ბასკების ქვეყანაში, მეორე–მადრიდში, მესამე კი– მობილური ჯგუფი. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა თითქოს ეტა–ს ტერორზე ხელი ააღებინა, მაგრამ უკვე ოქტომბერში მოხდა მორიგი აფეთქება მადრიდსა და ვიქტორიაში, რამაც ასობით ადამიანი დააზარალა. ბატასუნამ დაგმო ეტა–ს ძალადობა, თუმცა ბასკთა ქვეყნის სუვერენიტეტის მიმართ თავის პოზიციაზე უარი არ უთქვამს. პარტია ორმხრივი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა, ერთი მხრივ, მადრიდი მას ტერორისტებთან და „სეპარატისტებთან თანამშრომლობაში“ ადანაშაულებდა, მეორე მხრივ კი, ეტა–ს მხარდამჭერები მას ესპანეთის მთავრობასთან კოლაბორაციონიზმში სდებდნენ ბრალს.



2003 წელს ესპანეთის სასამართლომ აკრძალა ბატასუნას საქმიანობა. ერთხანს მან არალეგალურად გააგრძელა მუშაობა. დრესაც ამ ორგანიზაციას ეტა–ს პოლიტიკურ ფრთად განიხილავენ.

2004 წელს მადრიდის ცენტრალურ სადგურზე აფეთქებების სერია მოხდა. ეჭვი ეტა–ზე აიღეს, თუმცა ბატასუნას ლიდერმა არნოლდო ოტეგამ ეტა–ს კავშირი ამ სისხლიან და ტრაგიკულ მოვლენასთან გამორიცხა. მან დამნაშავედ არაბული წინააღმდეგობა დაასახელა. სამართალდამცავები ამ ვერსიას არ გამორიცხავდნენ, მით უმეტეს, რომ ესპანეთი როგორც აშშ–სა და დიდი ბრიტანეთის სტრატეგიული მოკავშირე, უკვე დიდი ხანია ალ–ქაიდას პოტენციურ სამიზნედ განიხილებოდა. თუკი ტერაქტის უკან ეტა–ს კვალი იქნებოდა, ეს ბასკი ტერორისტების ტაქტიკის შეცვლის ნიშანი გახდებოდა. აქამდე ისინი მხოლოდ ლოკალური და მცირემასშტაბიანი აფეთქებებით იფარგლებოდნენ და მათ მსხვერპლს, ძირითადად, ესპანეთის შეიარაღებული ძალების ან მთავრობის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

4.12. ინსტრუმენტალიზმი

ირა–ს და ეთა–ს მაგალითში გარკვევით გამოჩნდა ინსტრუმენტალიზმი, რომელიც გულისხმობს, რომ ეთნიკური და ნაციონალური იდენტურობა არის მოხერხებული ინსტრუმენტი დაპირისპირებული ელიტარული ჯგუფების ხელში მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად ძალაუფლებისთვის ბრძოლაში.

პოლ ბრასის (ინსტრუმენტალიზმის დამაარსებელი) თეორია რამდენიმე საბაზისო წინამძღვარს ეყრდნობა:

1) ეთნიკური იდენტურობის ცვალებადობა, ეთნიკური თვითშეგნების ზრდა და მისი ტრანსფორმაცია ნაციონალიზმში არავითარ მოულოდნელობას არ წარმოდგენს. პირიქით, კულტურული იდენტურობის პოლიტიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკური თვითშეგნების გარკვეულ დონეზე და გარკვეულ წინააღმდეგობის გაწევა ზრდა და მისი ტრანსფორმაცია ნაციონალიზმში არავითარ მოულოდნელობას არ წარმოდგენს. პირიქით, კულტურული იდენტურობის პოლიტიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ეთნიკური თვითშეგნების გარკვეულ დონეზე და გარკვეულ პირობებში.

2) ეთნიკური კონფლიქტები არ წარმოიშვება კულტურული განსხვავებებისა და შეუთავსებლობის გამო, არამედ მისი მიზეზია პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ელიტარულ ჯგუფებს შორის დაპირისპირების ფორმას იღებს.

3) ეს დაპირისპირება გავლენას ახდენს შესაბამის ეთნიკურ ჯგუფებზე, რადგან მათი კულტურული ფორმები, ფასეულობები და პრაქტიკული ქმედებები ხდება პოლიტიკური რესურსი ელიტარებისთვის, მათ ბრძოლაში ძალაუფლების

და პრესტიჟისათვის. ისინი გადაიქცევიან სიმბოლოებად, რომლებიც აადვილებენ პოლიტიკური იდენტურობის ფორმირებას.

4) ყველა წინამძღვარი გვიჩვენებს, რომ ეთნიკური იდენტურობის პროცესი და მისი ტრანსფორმაცია ნაციონალიზმში შეუქცევადია. დამოკიდებულნი არიან რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოებებზე, ელიტარებმა შეიძლება „გადაითამაშონ“ ეთნიკურ განსხვავებებზე და ეძებონ თანამშრომლობის შესაძლებლობები სხვა ჯგუფებთან და სახელმწიფო ხელისუფლებასთან.

ეთნორელიგიური ტერორიზმის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვყოთ თანამედროვე ტერორიზმის გამომწვევი რამოდენიმე ძირითადი მიზეზი.

1. ეთნიკური და რელიგიური საზღვრების შეუთავსებლობა და აქედან გამომდინარე ერთი ნაციის მხრიდან მეორის მიმართ, ერთი აღმსარებლობის მხრიდან მეორის მიმართ ტერიტორიული და პოლიტიკური პრეტენზიების წარმოშობა, ასევე გადამეტებული მისწრაფება, რომ გახადონ ქვეყანა მონორელიგიური ან მონონაციონალური.

2. რომელიმე ეთნორელიგიური, ნაციონალური ჯგუფის ან ორგანიზაციის მისწრაფება ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო ხელისუფლება დანარჩენი სახელმწიფოსაგან გამოყოფის (სუვენერიზაციის) გზით (მაგ. ავღანეთი). ამგვარი მისწრაფება ხშირად წარმოიქმნება ცალკეული ეთნიკური და რელიგიური რეგიონების მიმართ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებული მოუქნელი და გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგად, ასევე იერარქიული სტრუქტურების შეცვლის პროცესში ნეიტრალიზაციის აუცილებელი პირობების გაუთვალისწინებლობის, არსებული ძალთა და შესაძლებლობების ბალანსის დარღვევის, არსებული ეთნოსისა ან აღმსარებლობის წარმომადგენლების უფლებების შელახვის შედეგად.

3. რომელიმე ნაციის ან რელიგიური (პროფესიული) ჯგუფის საკუთარი ნაციონალური (რელიგიური) იდენტურობის შენარჩუნებისკენ მისწრაფება. სხვა კულტურების, ხელისუფლების ან სხვა სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მიერ უცხო ცხოვრების წესის, კულტურის, ღირებულებებისა და სოფლმხედველობის თავზე მოხვევისათვის წინააღმდეგობის გაწევა. არსებობს ვარაუდი, რომ ზოგიერთი მუსლიმანური თანამეგობრობის დასავლური კულტურისადმი განსაკუთრებით მტრული დამოკიდებულება, რომელიც თავის მხრივ საზრდოს აძლევს მათ ტერორისტულ მისწრაფებებს, გამოწვეულია სწორედ დასავლური და მთლიანად ქრისტიანული (ზოგჯერ საკმაოდ აგრესიული) სტანდარტებისა და მიზნებისადმი აქტიური შეუთავსებლობით.

4. ნაციონალური ან რელიგიური ჯგუფის საკუთარი მიწის, კულტურის, ენის, სიმბოლოების და სულიერებისადმი ზედმეტი სიმბიოზური კავშირი, რომელიც ჩამოყალიბებულია „დიდი დედის“ ხატის სახით. მისი ნებისმიერი სახით ხელყოფა

კი, წარმოქმნის ტოტალური კატასტროფის შიშს და შესაბამისად ხდება მისი დაცვისათვის განკუთვნილი ზოგჯერ ყოვლად მიუღებელი საშუალების გამართლებაც კი. აღზრდიდან გამომდინარე, ამგვარი დამოკიდებულება წარმოშობს, როგორც პატრიოტიზმს, ასევე უკიდურეს ნაციონალიზმს, მისი ტერორისტული გამოვლინებებითურთ.

5. ერთი კულტურის, ქვეყნის ან სოციალური და ეთნორელიგიური ჯგუფების მიერ სხვა ჯგუფებისადმი, რომლებიც არიან უფრო მდიდარი და ძლიერი, რომელთა წარმომადგენლები ეწევიან უფრო პრესტიჟულ და უზრუნველყოფილ ცხოვრების წესს, შეუძლიათ თავზე მოახვიონ და უკარნახონ საკუთარი ცხოვრების წესისა და სტანდარტის პირობები, მიმართული მწვავე შური, ზიზღი და სიძულვილი. სწორედ ასეთი გრძნობა შეიძლება დაეუფლოს ქრისტიანული რელიგიის მიმდევარსაც, რომელიც არის ლატაკი (თუნდაც იმის გამო, რომ არ სურს მუშაობა) თავისი მდიდარი მეზობლის მიმართ, რომლის სახლი და საკუთრებაც ხსენებული მიზეზის გამო შეიძლება უბრალოდ გადაწვას.

თავი V. რელიგია, იდეალიზმი და ფანატიზმი

5.1. რელიგია და კონფლიქტი

1998 წლის ოსლოს დეკლარაცია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ აცხადებს, რომ: „რელიგიები და აღმსარებლობები ასწავლიან მშვიდობასა და კეთილ ნებას“. მშვიდობა და შერიგება, ყველა რელიგიური დოქტრინის არსებითი ნაწილია. მაშინ, რატომ ხდება, რომ დღეს მოწმენი ვართ რელიგიების სულ უფრო ხშირი თანამონაწილეობისა კონფლიქტებში? ხშირად რთულია იმის გარჩევა, რელიგია კონფლიქტის საფუძველია თუ ის, უბრალოდ, ბოროტად არის გამოყენებული სხვა მიზნებისთვის. ამ ორი პოზიციის გამიჯვნა აუცილებელია. თ. კ. ოომენი ამბობს, რომ „რელიგია, როგორც ასეთი, არ შეიძლება საკუთარ თავში კონფლიქტის დამოუკიდებელ წყაროს მოიცავდეს.“თუ კოსოვოს კრიზისს, სუდანსა და ჩრდილოეთ ირლანდიის მაგალითებს გადავხედავთ რელიგია ძალადობის წყაროდ მაშინ იქცევა, როცა მას სახელმწიფოსთან, ერთან ან ეთნოსთან აიგივებენ.

XX ს.-ის 80-იანი წლებიდან მუსლიმურ სამყაროში გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია – ნეოფუნდამენტალიზმი, რომლის წარმომადგენლები აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკურ პროცესებში და ცდილობენ სხვადასხვა, არჩევნების თუ შეიარაღებული, გზით მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში. საშიში ფორმები მიიღო ისლამურმა ექსტრემიზმმა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაციების რიცხვის ზრდა არაბულ ქვეყნებში (სირია, ეგვიპტე, ალჟირი, საუდის არაბეთი, იორდანია, ლიბანი, ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინელთა ტერიტორიებზე) შეიძლება დაკავშირებული იქნას, პირველ რიგში, იმ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან, რომლებიც დამახასიათებელი იყო არაბული და მუსლიმური სამყაროს დიდი ნაწილისათვის. კომუნიზმის და აღმოსავლეთის ბლოკის სოციალისტური ბანაკის რღვევამ შექმნა იდეოლოგიური ვაკუუმი. მას წინ უძღოდა საშინაო და საგარეო წარუმატებლობები არაბული სახელმწიფოების რეჟიმებისა, რომლებიც თავიანთ იდეოლოგიურ შთაგონებას იღებდნენ გარედან, ლიბერალიზმის და სოციალიზმის კონცეფციების სახით. ამ სიძნელეებმა აიძულა ბევრი მუსლიმი, მიბრუნებულიყო რადიკალური ისლამისკენ, რომელიც სთავაზობდა მათ ხსნას ყოველდღიური ცხოვრების სიძნელეებისგან, აძლევდა სოციალური სამართლიანობის იმედს და იმის იმედს, რომ რელიგია გასცემდა პასუხს ყველა მათ სურვილზე. მაგრამ თუ “ისლამისკენ მიბრუნება” მიზნად ისახავს საზოგადოების ეტაპობრივ “გამოსწორებასა” და ყოველდღიურ ცხოვრებაში რელიგიის ფასეულობების დანერგვას, ექსტრემისტულმა ისლამურმა ორგანიზაციებმა ეს მოწოდება გადააქციეს თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევ იარაღად – იქნება ეს ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში დემოკრატიული პროცესების თუ არალეგალური საშუალებების ძალადობის და ტერორის გამოყენება. ტერორითა და მოსახლეობის

დაშინებით ექსტრემისტები ცდილობენ სეკულარიზაციის ტემპების შეჩერებას და საზოგადოებრივი ცხოვრების სრულ ისლამიზაციას. არაბული სამყაროს ზოგიერთ ნაწილში ექსტრემიზმი გახდა რიგი ისლამისტური ორგანიზაციების იარაღი ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ორგანიზაციებია, მაგალითად, ჰიზბ ალლაჰი ლიბანში, ისლამური ჯიჰადი და ჰამასი პალესტინაში.

იმისათვის რომ ნათლად გამოჩნდეს თუ რა წვლილი შეაქვს რელიგიის გამიზნულად ქადაგებას, რომელიც ძირითადად ხორციელდება თარიკატების, სხვადასხვა სექტებისა და ჯემათების მიერ, რას იწვევს რელიგიისადმი ფანატიზმი როცა იგი გამოიყენება სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ, ამისათვის ვამჯობინებ განვიხილო ჰამასის იდეოლოგია, სტრატეგია, მიზნები და კავკასიაში დამკვიდრებული ვაჰაბიზმი.

5.2. HAMAS

5.2.1. ჰამასის ჩამოყალიბება

გაეროს 1947 წ. №181 რეზოლუციით განსაზღვრული პალესტინის ტერიტორიის სრული ოკუპაცია და იქ ებრაული დასახლებების შექმნა, არაბთა შეურიგებელი პოზიცია ისრაელისადმი, რომელსაც მორალურად და მატერიალურადაც მხარს უჭერდა ისლამური სამყარო (ამის ნიმუშია ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის დადგენილებები), იყო საფუძველი მუდმივი უნდობლობისა და დაპირისპირების შემდგომი ესკალაციისა, რაც 1987-1993 წლებში გადაიზარდა პალესტინაში ინთიფადას (სახალხო აჯანყების) სახელით ცნობილ დიდ ამბოხებაში. პალესტინის გადაუჭრელმა პრობლემამ ბიძგი მისცა ტერორისტული ორგანიზაციების აღმოცენებას. საფრთხე შეექმნა მშვიდობას არა მარტო რეგიონალური, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. პალესტინის ლოკალური პრობლემა გლობალურში გადაიზარდა. მის გადაწყვეტაში, საკუთარი იდეოლოგიური, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მონაწილეობდნენ როგორც რეგიონის ქვეყნები, ისე მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები.

ჰამასი არის ნაწილი მუსლიმი ძმების ორგანიზაციისა, რომელიც XX ს. 80-იან წლებამდე მთავარი ისლამური მოძრაობა იყო პალესტინაში. მუსლიმი ძმების ეს ორგანიზაცია, რომელიც 1928 წ. ჩამოაყალიბა ეგვიპტელმა რელიგიურმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ჰასან ალ-ბანამ, მთლიანად უარყოფს დასავლურ პრინციპებს და ეფუძნება პანისლამიზმის იდეებს, მიზნად ისახავს ისლამის გავრცელებასა და ისეთი საზოგადოების აშენებას "ისლამური სამართლიანობის პრინციპებზე", სადაც მკაცრად იქნებოდა დაცული ყურანისა და შარიათის ნორმები. მუსლიმი ძმების პირველი კონტაქტი პალესტინელებთან 1935 წ. დამყარდა, ხოლო ორგანიზაციის პირველი განყოფილება 1945 წ. გაიხსნა

იერუსალიმში. ისრაელის მიერ ღაზას სექტორისა და იორდანეს დასავლეთი ნაწილის ოკუპაციას (1967 წ.) თანდათან მუსლიმი ძმების აქტივიზაცია მოჰყვა. მათ მოახერხეს თავიანთი მოღვაწეობის ლეგალიზაცია და 1973 წ. დააარსეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია ალ-ისლამია/ისლამური ასოციაცია. ასოციაციის წევრები, თავდაპირველად, თავს არიდებდნენ ისრაელის საოკუპაციო არმიასთან შეტაკებებს და იფარგლებოდნენ ფართო საქველმოქმედო საქმიანობით.

1987 წ. დეკემბერში, ისრაელის მიერ (1967 წ. ივნისის ექვსდღიანი ომის შედეგად) ოკუპირებულ ღაზას სექტორსა და მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე დაიწყო პალესტინელ არაბთა ამბოხი - ინთიფადა ისრაელის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. დემონსტრაციები, გაფიცვები, ისრაელის საქონლის ბოიკოტი და არეულობები (ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გარეშე), მიუხედავად ისრაელის ხელისუფალთა საპასუხო მკაცრი ღონისძიებებისა, 1993 წლამდე გრძელდებოდა. ინთიფადას ხელმძღვანელობდა იატაკქვეშეთში მოქმედი გაერთიანებული ეროვნული ხელმძღვანელობა (გეხ). გეხი გამოსცემდა პროკლამაციებს, მოსახლეობას აძლევდა სათანადო ინფორმაციასა და დირექტივებს. მას ჰქონდა კავშირი პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციათან (პგი) თუნისში. გეხ-თან თანამშრომლობდა პალესტინის ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაცია ისლამური ჯიჰადი, მაგრამ არ ემორჩილებოდა მას და ინარჩუნებდა მოქმედების თავისუფლებას. ინთიფადას (ამბოხების) დაწყებამ დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში მუსლიმი ძმები უპრეცედენტო პრობლემის წინაშე დააყენა. წლების განმავლობაში, სოციალურ და საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონცენტრაციის შემდეგ, მოძრაობის ლიდერებმა აღმოაჩინეს, რომ ჩამორჩნენ იმ პროცესებს, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა. მათი ორგანიზაციის მნიშვნელობა ეჭვის ქვეშ დადგა. ამ ტენდენციას უფრო საგრძნობს ხდიდა ისლამურ ბანაკში მუსლიმი ძმების მეტოქის - ისლამური ჯიჰადის გავლენის ზრდა. მუსლიმი ძმების ორგანიზაციის წევრებმა ასპარეზი, ძალაუნებურად, ამ მეამბოხე ორგანიზაციას დაუთმეს, რამაც მათი ხელმძღვანელობის ავტორიტეტის საგრძნობი დაცემა გამოიწვია. ისლამური ჯიჰადის მიერ მუსლიმი ძმების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა გამოწვეული იყო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტსა და ეროვნულ ბრძოლაში სამშოს პასიური პოზიციით. მუსლიმმა ძმებმა აუცილებლად ჩათვალეს პალესტინელი ხალხის მხარდაჭერის დაბრუნება. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად, ჩამოყალიბდა ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა, ჰამასი. (ჰამასი არაბულად ნიშნავს “ენტუზიაზმს”, “გულმოდგინებას”. თავად ჰამასი თავის სახელს განმარტავს როგორც “ძალასა და მამაცობას”) მისი ხელმძღვანელი გახდა ალ-მუჯამმა'ა ალ-ისლამიას ყოფილი ლიდერი, ისრაელის საპატიმროდან განთავისუფლებული შეიხი აჰმედ იასინი. ეს მოხდა 1987 წ. 14 დეკემბერს.

ჰამასის მუშაობის ტაქტიკა ეყრდნობოდა ისლამური ფუნდამენტალიზმის პრინციპებს. მისი მიზანი ინთიფადაში პირდაპირი მონაწილეობის მიღება და მისთვის ისლამური აზროვნების მორგება იყო. დამკვირვებლებს მიაჩნდათ, რომ ინთიფადას დაწყება სპონტანური იყო და რომ ჰამასის დამაარსებლები, ისევე როგორც სხვა ოპოზიციური ჯგუფები, მაგალითად პგო, ცდილობდნენ დემონსტრაციებზე კონტროლის მოპოვებას ისრაელთან შეიარაღებულ ბრძოლაში თავიანთი დაგვიანებული გამოჩენის გასამართლებლად, ჰამასის ხელმძღვანელობა იხსენებდა იმ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელსაც მუსლიმური სამშო პალესტინელთა შორის ეწეოდა და ეს შეიარაღებული ბრძოლის ტოლფასად მიაჩნდა. ჰამასის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ ანტიისრაელური საქმიანობის დაწყებამდე აუცილებელი იყო ისრაელის კორუმპირებული გავლენის აღკვეთა და მუსლიმთა ფასეულობების დაცვა. სწორედ ამას უწყობდა ხელს მეჩეთების მშენებლობა, მოსახლეობის მობილიზაცია და გაერთიანება, ისლამური სულისკვეთების პრინციპების გაღრმავება. ჰამასის აზრით, მხოლოდ ამ სულისკვეთებითა და რწმენით გაძლიერებული პალესტინის საზოგადოება შეძლებდა ძირითადი მიზნების მიღწევას. ჰამასის წარმომადგენლის განცხადებით, სწორედ ინთიფადას წინა წლებში მოხდა ხალხის გაერთიანება ერთიან ისლამურ ბანაკში; ეს ბანაკი მალე პოლიტიკურად გაძლიერდა და ჩამოაყალიბა ის აზროვნება, რომელმაც ხელი შეუწყო ინთიფადას დაწყებას.

ინთიფადას დაწყების მეორე წლიდან ჰამასი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ძალადობის ესკალაციაში თვით პალესტინელი საზოგადოების შიგნით. პალესტინელთა წინააღმდეგ ძალადობა ჰამასის სამხედრო ფრთის საქმიანობის უმთავრესი ასპექტი იყო. მსხვერპლს ის ადამიანები წარმოადგენდნენ, ვინც ისრაელთან თანამშრომლობაში იყო ეჭვიმტანილი ან ისეთ ამორალურ საქმიანობაში იყო გახვეული, როგორცაა პროსტიტუცია, ნარკობიზნესი ან პორნოგრაფიის გავრცელება.

მოგვიანებით, ჰამასი დაშორდა ამბოხების ხელმძღვანელობას და ინთიფადა გადააქცია კონკურენციის ასპარეზად ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ინთიფადას წლებში (1987-1993) მოხდა რელიგიურ და ეროვნულ ბანაკებს (პგოს სახით) შორის კონფლიქტის წარმოშობა. რელიგიური ბანაკის ქმედება, მხარდაჭერა მოეპოვებინა ხალხის მასებში ინთიფადას საწყის ეტაპებზე, დამაჯერებელი იყო. ეს ხდებოდა ბრწყინვალე ისლამური რიტორიკის წყალობით: ისლამისტი ლიდერების უმეტესობა სრულყოფილად ფლობდა ყურანის ენას, სწავლობდა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში. ღაზას სექტორსა და დასავლეთ ნაპირზე მოსახლე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ პალესტინელებს ხიბლავდა ისლამისტი შეიხების თითქმის ასკეტური ცხოვრების წესი. მასების ცნობიერებისათვის სოციალური თანასწორობის ისლამური ლოზუნგები მარტივი და ხელმისაწვდომი იყო. ამასთან, რელიგიურმა ბანაკმა შექმნა საბავშვო დაწესებულებებისა და ღარიბთა თავშესაფრების ფართო ქსელი,

რითაც მიიმხრო პალესტინელთა ყველაზე გაჭირვებული ფენა. სწორედ ისინი გახდნენ დასაყრდენი ისლამისტი ექსტრემისტებისათვის.

ინთიფადას ადრეულ წლებში, ჰამასი შეეცადა შეექმნა ბრძოლის ისეთი ფორმები, რომლებიც მის იმიჯს ჩამოაყალიბებდა, მაგალითად, დემონსტრაციები, ქვების სროლა, თავდასხმები, ქუჩის ძალადობის ძირითადი ფორმები. ამგვარ, თუნდაც არაორგანიზებული ხასიათის საქმიანობასთან ერთად, რომელიც დაფუძნებული იყო მასების მონაწილეობაზე, შეიარაღებული კამპანია წარიმართებოდა მეზობელი ქვეყნებიდანაც. ინთიფადას პირველ წლებში ჰამასის როლი ძალადობაში მაინც მცირე იყო, მიუხედავად იმისა, რომ 'იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადა აქტიურად იყენებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს და მუდმივ მზადყოფნაში იყვნენ ისრაელის უშიშროების ძალებთან შესატაკებლად. მაგრამ 1992 წ. ბოლოს 'იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადების საქმიანობა გაიზარდა, როგორც რაოდენობრივად, ისე ძალადობის მასშტაბითაც.

5.2.2. ჰამასის ორგანიზაციული სტრუქტურა

ჰამასის სტრუქტურული ევოლუცია ასახავს გარემოსთან მისი ადაპტაციის პროცესს, რომელიც განისაზღვრა ორგანიზაციის ზრდითა და მისი ბაზების გავრცელებით. ჰამასის მიზანი - ისრაელის წინააღმდეგ საყოველთაო ბრძოლა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ფართო მხარდაჭერას პოულობდა. ჰამასი სახალხო მოძრაობა გახდა. პგოს ძალადობის ფონზე პალესტინელ საზოგადოებაში გამოჩნისთანავე ფართო მასების მხარდაჭერა მოიპოვა. პგოს აქტივისტების მსგავსად ჰამასის ლიდერებმა პროკლამაციების გავრცელება დაიწყეს. პირველი ასეთი დოკუმენტი ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის სახელწოდებით, 1988 წ. 11 თებერვალს გავრცელდა. მოძრაობის პროკლამაციები ინთიფადას პირველ თვეებში ინტენსიურად ვრცელდებოდა.

1988 წ. 18 აგვისტოს ჰამასმა გამოაქვეყნა თავისი ქარტია . აგვისტოში შეიხმა იასინმა ღაზას სექტორში შეკრიბა ექვსი თანამოაზრე და მათ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის იდეა გაანდო. ღაზა დაიყო ექვს სექტორად, რომლებიც მოექცნენ თითოეული ამ პირის პასუხისმგებლობის ქვეშ. მათ დაუყოვნებლივ შექმნეს ჰამასის უჯრედები და დაიწყეს წევრების მოზიდვა. თანდათანობით ჰამასის არსებობა შესამჩნევი გახდა დასავლეთ ნაპირზეც, რომელიც, ასევე, პასუხისმგებლობის სექტორებად დაიყო.

ჰამასის საქმიანობის ცენტრები იყო მეჩეთები, სადაც ხდებოდა შეხვედრები, დემონსტრაციები, პროკლამაციების გავრცელება და ტერორისტული თავდასხმების მზადებაც კი. 1987 წლიდან 1989 წლის 18 მაისამდე, დაპატიმრებამდე, იასინი ჰამასს ცენტრალიზებულად მართავდა. ის აკონტროლებდა პროკლამაციების ტექსტებს და მათ გავრცელებას, ფინანსების შეგროვებას, რომლებიც, მოთხოვნებისამებრ, გადაეცემოდა რეგიონალურ ხელმძღვანელებს და ინთიფადას დროს დალუპულ პირთა ოჯახებს. ამასთან,

იასინი მოქმედებდა საკონსულტაციო საბჭოს (მაჯლის-შურა) მეშვეობით, რომლის წევრები ცხოვრობდნენ პალესტინის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

თავდაპირველად, ჰამასი სამ დამოუკიდებელ უჯრედად ჩამოყალიბდა:

1. პოლიტიკური ფრთა, რომელშიც იასინის უახლოესი მოკავშირეები გაერთიანდნენ ავრცელებდნენ პროკლამაციებს, აგროვებდნენ ფულს (განსაკუთრებით სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან), იზიდავდნენ ახალ წევრებს, თანამშრომლობისკენ მოუწოდებდნენ მეჩეთებს. დაზვერვის აპარატი, რომელიც ცნობილი იყო ალ-მაჯლის (დიდება) სახელით, ჩამოყალიბდა შიდა პოლიტიკის შესაქმნელად. მოგვიანებით, ის შეუერთდა სამხედრო ფრთას. ჰამასი ოპერირებდა (ოპერაციის ჩატარება) სხვადასხვა ფრთის საშუალებით, რაც ისრაელელებისთვის შეუძლებელს ხდიდა მათში შეღწევას.

შემდეგ ჰამასი გაფართოვდა და ორგანიზაციაში შეიქმნა: ადმინისტრაციული, საქველმოქმედო, საინფორმაციო და პოლიტიკური, უშიშროების და სამხედრო ფრთები და მოვლენების ერთეულები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი ქვედანაყოფები. ადმინისტრაციული ფრთა კოორდინაციას უწევს ორგანიზაციის საქმიანობას; საქველმოქმედო საქმიანობა ხორციელდება ჰამასის თანამოაზრე ისლამურ ცენტრებთან თანამშრომლობით. საინფორმაციო და პოლიტიკური ფრთა, რომელმაც მოქმედება დაიწყო ინთიფადას დაწყებისა და ჰამასის შექმნისთანავე, პასუხისმგებელი იყო ჰამასის პუბლიკაციებზე - ბიულეტენების, სხვადასხვა ინფორმაციისა და კვლევითი მასალის ჩათვლით.

2. სამხედრო ფრთა, რომლის მთავარ მიზანს ისრაელის ოკუპაციასთან ბრძოლა წარმოადგენდა, ყველაზე აქტიური იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სამხედრო ფრთის ფარგლებში 80-იან წლებში ჩამოყალიბდა 'იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადები, რომელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ლიდერი და სულისჩამდგმელი იყო იაჰია აიაში. თავდაპირველად, 'იზზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადების მებრძოლთა ვინაობა მათ სიკვდილამდე უცნობი რჩებოდა. სხვადასხვა უჯრედი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, რაც მათი რეგენერაციისთვის უაღრესად ხელსაყრელი იყო – მოკლული წევრების სხვებით შეცვლა მარტივად ხდებოდა.

3. უშიშროების ფრთა პასუხისმგებელი იყო ურთიერთობაზე იმ პალესტინელებთან, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ისლამის პრინციპების დარღვევაში. მის სამიზნეებს წარმოადგენდნენ პალესტინელები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ისრაელთან თანამშრომლობა. ბევრი ეჭვმიტანილი იქნა მოტაცებული და დაკითხული. ზოგჯერ ბრალდებები სიკვდილით დასჯის მიზეზიც კი ხდებოდა. მოვლენების ერთეულის დანიშნულება ინთიფადაში მონაწილეობა და მისი ესკალაცია იყო. ეს გულისხმობდა გაფიცვების, სამოქალაქო არეულობებისა და დემონსტრაციების ინიციატივასა და ორგანიზაციას, ქუჩების ჩახერგვას, ეროვნული და რელიგიური წარწერების გაკეთებას კედლებზე, იმ

ოჯახების დახმარებას, რომლებმაც დანაკარგი განიცადეს აჯანყების დროს, ასევე ისრაელის უსაფრთხოების ძალებთან შეტაკებაში დაღუპული პალესტინელების დაკრძალვას.

ორგანიზაციის სხვადასხვა ფრთა ერთმანეთის საქმიანობაში არ ერეოდა. ეს ხელს უწყობდა ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის დაცვას ისრაელის უსაფრთხოების ძალებისაგან, შემდგომში კი პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციისაგან (პეა), რომელიც 1994 წ. ივნისში ჩამოყალიბდა. მოგვიანებით ეს ასევე გახდა ერთ-ერთი ის ფაქტორი, რომელსაც შეეძლო ჰამასის შიგნით უთანხმოების გამოწვევა. პოლიტიკური და სამხედრო ფრთა გახდნენ ნახევრად დამოუკიდებლები, თავიანთი პოლიტიკური ლიდერების დაცვის მიზნით. ამის გამოყენება მოგვიანებით სცადა არაფათმა ჰამასში მეტი უთანხმოების შესატანად, როცა მოლაპარაკებებს აწარმოებდა პოლიტიკურ ფრთასთან და იმავდროულად ებრძოდა სამხედრო ფრთას - 'იზ ად-დინ ალ-კასამის ბრიგადებს.

5.2.3. ჰამასის იდეოლოგია, მიზნები და სტრატეგია

ჰამასი ეს არის ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს პალესტინის განთავისუფლებას ისრაელისგან, ანუ მისი ლიდერების და ორგანიზაციის წევრებისთვის მიუღებელია ავტონომია ისრაელის სახელმწიფოს ქვეშ, სწორედ ამით განსხვავდება პალესტინის განთავისუფლებელი ორგანიზაციისგან (პგო), რომლის ძალადობის ფონზე ჰამასს უამრავი მიმდევარი გაუჩნდა. ჰამასისა და პგოს შორის მუდმივი დაპირისპირება არსებობდა. ეს გამოწვეული იყო მათი განსხვავებული წარმოდგენებით ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მომავლის შესახებ. ჰამასი წინააღმდეგია ნებისმიერი სახის მოლაპარაკებისა. სამშვიდობო ინიციატივები და ე.წ. სამშვიდობო გადაჭრა-მოგვარება და საერთაშორისო კონფერენციები ეწინააღმდეგება ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის პრინციპებს. ეს კონფერენციები სხვა არაფერია, თუ არა საშუალება, დანიშნონ ურწმუნოები ისლამის მიწებზე არბიტრებად. არ არსებობს პალესტინის პრობლემის გადასაჭრელად სხვა გზა ჯიჰადის გარდა. ინიციატივები, წინადადებები და საერთაშორისო კონფერენციები მხოლოდ დროის ხარჯვა და უსარგებლო საქმიანობაა. მე-13 მუხლით, ყველა ინიციატივა და საერთაშორისო კონფერენცია დროის ტყუილი ხარჯვა და ფუჭი თამაშია. ამგვარად, პალესტინელი მორწმუნის მოვალეობაა, გაჰყვეს სამშობლოს განთავისუფლების ერთადერთ ჭეშმარიტ გზას - შეიარაღებულ ბრძოლას. სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რიგების დატოვება დიდი ღალატია და წყეულიმც იქნება ის, ვინც ჩაიდენს ამას (32-ე მუხლი).

ჰამასის იდეოლოგია პანარაბული ისლამური რელიგიური იდეალების და პალესტინის ეროვნული მოძრაობის სინთეზია. იგი უარყოფს ნებისმიერ დასავლურ ფასეულობასა და კომუნიზმის პრინციპებს. მისი "უმაღლესი მიზანია

ისლამი, ნიძუში – მოციქული, ხოლო ყურანი მისი კონსტიტუციაა”. მისი მიზანია პალესტინის მიწის თითოეულ ნაწილზე ისლამის გავრცელება. ამის განსახორციელებლად საჭიროა შეიარაღებული ბრძოლა სიონისტების წინააღმდეგ. მან აღიარა პალესტინის ეროვნული მოძრაობის არსებობა, რითაც მისი იდეოლოგია რამდენადმე დაუპირისპირდა მუსლიმი ძმების უნივერსალურ რელიგიურ მიზნებს. 60-იანი წლებიდან მუსლიმმა ძმებმა უარყვეს ტერიტორიული ნაციონალიზმი და ქადაგებდნენ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს იდეას. ჰამასის ლიდერები აცნობიერებდნენ იმ წინააღმდეგობას, რომელიც მათ შორის გაჩნდა. ამიტომაც პალესტინის განთავისუფლებას რელიგიური მნიშვნელობა მიანიჭეს და ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ჭეშმარიტი მუსლიმის მოვალეობად გამოაცხადეს. ეს უნდა ყოფილიყო არა მარტო პოლიტიკური ბრძოლა, არამედ მუსლიმური საზოგადოების ძირითადი ფასეულობებისა და იმ მსოფლიო წესრიგის აღდგენა, რომლის სათავეშიც ისლამია.

ჰამასის დაარსებიდან რამდენიმე თვეში მისმა ლიდერებმა წამოიწყეს ინტენსიური პროპაგანდა პალესტინის ხალხის მასების მობილიზაციისათვის. იდეების გავრცელების ძირითადი საშუალება იყო პროკლამაციები. **1988 წ. 18 აგვისტოს, შეიქმნა ჰამასის ქარტია.** ეს არის ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობის ქარტია, რომელიც წარმოაჩენს მის სახეს, ახსნის მის პოზიციას, განმარტავს დანიშნულებას, განიხილავს მის იმედებს; მოუწოდებს მისი მიზნის მხარდაჭერის, დახმარებისა და მასში გაწევრიანებისაკენ.

ჰამასის ქარტია: ო, ხალხო! უბედურებათა შუაგულიდან, ტანჯვის სირღმიდან, მორწმუნეთა გულებიდან და განწმენდილი ხელებიდან; ჩვენი მოვალეობების გაცნობიერებითა და ალლაჰის მითითების პასუხად, მოგიწოდებთ, კვლავ გავერთიანდეთ და შევკავშირდეთ. ჩვენ, განათლებას ალლაჰის გზის თანახმად ვიღებთ და მტკიცე გადაწყვეტილებით ვცდილობთ, რომ მან დაიკავოს შესაფერისი როლი ჩვენს ცხოვრებაში, რათა გადავჭრათ სიძნელეები და გადავლახოთ ყველა ბარიერი. ამით აიხსნება ჩვენი მუდმივი მზადყოფნა, შევწიროთ ჩვენი სულები და ყველაზე უძვირფასესი ალლაჰს. ამგვარად ჩამოყალიბდა ჩვენი ბირთვი, რომელმაც რწმენისა და იმედების, სურვილებისა და ოცნებების, საშინაო თუ საგარეო საშიშროებისა და სიძნელეების, უკანდახევებისა და გამოწვევების მღელვარე ოკეანეში გაკაფა გზა. როდესაც აზრი მომწიფდა, თესლი გაიზარდა და ნაყოფმა ფესვი გაიდგა რეალობის მიწაში დროებითი ემოციებისა და არასასურველი აჩქარებისაგან მოშორებით, აღმოცენდა ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა, რათა თავისი როლი ითამაშოს ალლაჰის გზაზე. ამის განსახორციელებლად მან ხელი ჩასჭიდა ყველა იმ მუჯაჰიდს, რომელთაც მიზნად დაუსახავთ პალესტინის განთავისუფლება. მუჯაჰიდათა სულები შეუერთდებიან ყველა მუჯაჰიდის სულებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე გაწირეს პალესტინის მიწაზე, მას შემდეგ, რაც ის დაიპყრეს მოციქულის - ალლაჰის აკურთხებს მას და მიესალმება - მიმდევრებმა დღევანდელ დღემდე. ჩვენი ბრძოლა

ებრაელების წინააღმდეგ იმდენად ფართო და სახიფათოა, რომ მას სჭირდება ფართოდ მობილიზებული გულწრფელი ძალისხმევა; ეს არის ნაბიჯი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება სხვა ნაბიჯები; რაზმს (ალ-ქათიბა), უცილობლად, მხარს დაუჭერს სხვა რაზმები და დაცალკევებული არაბული და ისლამური სამყაროს სხვა რაზმები; და ასე გაგრძელდება, ვიდრე მტერი არ დამარცხდება და ალლაჰის გამარჯვება არ გარდმოველინება. ამგვარად აღვიქვამთ მათ ჰორიზონტთან მიახლოებას და თქვენ უეჭველად შეიტყობთ მის ჭეშმარიტებას რამდენიმე ხნის შემდეგ (ყურანი, 38:88). ალლაჰმა დაადგინა: "ჭეშმარიტად, გავიმარჯვებთ მე და ჩემი მოციქულები" . (ყურანი, 58 :21). თქვი: «ასეთია ჩემი გზა. მე და ჩემი მიდევრები მოგიწოდებთ თქვენ ალლაჰისაკენ, შეგნებით. დიდება ალლაჰს! და არ ვეკუთვნი მათ, ვინც მრავალ ღმერთს აღიარებს" (ყურანი, 12:108)." ასე იწყება ქარტია და მასში წარმოდგენილია ჰამასის ძირითადი მიზნები: ჯიჰადის საშუალებით ისრაელის სახელმწიფოს განადგურებისა, ახსნილია ორგანიზაციის იდეოლოგიური წყაროები, თვალსაზრისი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის შესახებ, დამოკიდებულება პგოს მიმართ, ბრძოლის წარმოების სტრატეგია და ა.შ.

ქარტიის მე-6 მუხლი. ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა გამორჩეული პალესტინური მოძრაობაა, რომელიც ერთგულია ალლაჰის და რომლის ცხოვრების წესიც არის ისლამი. ის იბრძვის იმისთვის, რომ ალლაჰის დროშა ფრიალებდეს მთელ პალესტინაზე.

ქარტიის მე-7 მუხლი. ჰამასის ლიდერებმა სცადეს, ებრაელებისთვის ჩამოერთმიათ უფლება პალესტინაზე და განაცხადეს რომ ისტორიულ თვალსაწიერში დღევანდელ ებრაელებს, რომლებიც თავს დაესხნენ პალესტინას, კავშირი არა აქვთ იმ ებრაელებთან, ისრაელის ნამდვილ შვილებთან, რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ პალესტინაში. ქარტია მოუწოდებს ებრაელთა ხოცვისაკენ. განკითხვის დღე მანამდე არ დადგება, ვიდრე მუსლიმები არ დაამარცხებენ ებრაელებს და არ დახოცავენ მათ. მერე, როცა ებრაელები დაიძალებიან კლდეებში და ხეების მიღმა, ეს კლდეები და ხეები დაიძახებენ: "მუსლიმებო! ებრაელი იძალდება ჩვენს უკან, მოდიით და მოკალით ის"

ქარტიის მე-11 მუხლით პალესტინის ტერიტორია არის ისლამური ვაკფი (საკუთრება-ქონება, რომლის განსხვავება არ შეიძლება და გამიზნულია გარკვეული მიზნებისთვის. ყველაზე ფართო მნიშვნელობით - ის მუსლიმების მიერ დაპყრობილი ყველა მიწაა, საიდანაც იხდიან ხარაჯას მუსლიმებისთვის.), განკუთვნილი მომავალი მუსლიმური თაობებისთვის, ვიდრე არ დადგება განკითხვის დღე. არავის შეუძლია, უარი თქვას მასზე ან მის რომელიმე ნაწილზე, მიატოვოს ის ან რომელიმე მისი ნაწილი.

5.2.4. ერი და ნაციონალიზმი ჰამასის თვალსაზრისით

მუხლი მეთორმეტე. ჰამასს პატრიოტიზმი მიაჩნია რელიგიური იდეოლოგიის ნაწილად. პატრიოტიზმში არაფერია უფრო მაღალი ან ღრმა, ვიდრე ჯიჰადი მტრის წინააღმდეგ, რომელიც მუსლიმთა მიწაზე დადგამს ფეხი. მტერთან ბრძოლა ხდება ყველა მუსლიმი მამაკაცის და ქალის ინდივიდუალური მოვალეობა; ქალს ნება აქვს გავიდეს მტერთან საბრძოლველად ქმრის ნებართვის გარეშეც კი, ასევე ნება აქვს მონას - პატრონის ნებართვის გარეშე. მსგავსი პრინციპი არ მოიძებნება სხვა სისტემაში. ის სიმართლეა, რომლის ჭეშმარიტება უეჭველია. მაშინ, როდესაც სხვა ნაციონალისტურ მიმდინარეობებს აქვთ მატერიალური, ჰუმანური და ტერიტორიული მიზნები, ჰამასს, ამ ყოველივეს გარდა, ამოძრავებს მნიშვნელოვანი ღვთაებრივი ფაქტორებიც, რომლებიც აძლევს მას სულსა და ცხოვრებას, რითაც ის უკავშირდება სულის საწყისსა და სიცოცხლის წყაროს, და აღმართავს ღვთაებრივ დროშას, რომელიც მტკიცედ დააკავშირებს დედამიწას ზეცასთან. როდესაც მოსე მოვიდა და გადააგდო თავისი კვერთხი, ჯადოქრობა და ჯადოქრები უსარგებლონი გახდნენ. ჭეშმარიტება განირჩევა სიცრუისაგან. ვისაც არ წამს კერპებისა და წამს ალლაჰის, ის მოეჭიდა მაგარ შტოს, რომელიც არ გატყდება. ალლაჰს ესმის და მცოდნეა (ყურანი. 2:256).

მე-13 მუხლი. პალესტინა ისლამური მიწაა და რადგანაც ასეა, პალესტინის განთავისუფლება ყველა მუსლიმის პირადი მოვალეობაა 'აზდ ალ-'აზიზ არ-რანტიის განცხადებით: "პალესტინის მიწა ისლამური რწმენის ნაწილია და ხალიფა ომარ იბნ ალ-ხატაბმა ის ყველა მუსლიმის მიწად გამოაცხადა. ამგვარად, არც ერთ ადამიანსა ან ჯგუფს არ აქვს მისი გაყიდვის და დათმობის უფლება".

5.2.5. ჰამასის თვალთხედვიდან ჯიჰადი და სხვა რელიგიის წარმომადგენლები

მუხლი მეთხუთმეტე. პალესტინის განსათავისუფლებლად მიმართული ჯიჰადი ყველას პირადი ვალდებულებაა როდესაც ჩვენი მტრები ისლამურ მიწებს ხელყოფენ, ჯიჰადი ყველა მუსლიმის ვალდებულება ხდება. ებრაელთა მიერ პალესტინის ოკუპაციასთან საბრძოლველად ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, თუ არა ჯიჰადის დროშის აღმართვა. ეს კი მოითხოვს ისლამური აზროვნების მომზადებას მასებს შორის, ყველა - ადგილობრივ, არაბულ და ისლამურ დონეებზე. ჩვენ უნდა გავავრცელოთ ჯიჰადის სულისკვეთება ისლამურ უმმას შორის, დავეცეთ მტერსა და შევუერთდეთ ჯიჰადის მეზრძოლთა რიგებს. 'ალიმები, ასევე განმანათლებლები და მასწავლებლები, ცნობილი პირები, მედიის წარმომადგენლები, განათლებული მასები, განსაკუთრებით კი ისლამური მოძრაობის ახლაგაზრდა და უფრო უხუცესი წევრები უნდა ჩაერთონ შეგნების ამ აღზევებაში. ვერ გავეჩვენით ფუნდამენტური ცვლილებების შეტანას

საგანმანათლებლო კურსში, რათა გავწმინდოთ იგი იმ იდეოლოგიური შემოტევის კვალისაგან, რომელიც შემოიტანეს ორიენტალისტებმა და მისიონერებმა. ეს შემოტევა დაიწყო სალაჰ ად-დინ აიუბის მიერ ჯვაროსანთა ლაშქრების დამარცხების შემდეგ. ჯვაროსნები მიხვდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ მუსლიმთა დამარცხება თუ ამისთვის არ მოამზადებდნენ იდეოლოგიურ საფუძველს, რომელიც დააბნევედა მუსლიმთა აზროვნებას, შეურაცხყოფდა მათ მემკვიდრეობას, დაამცირებდა იდეალებს. ამას შემდეგ სამხედრო შემოტევა მოჰყვებოდა. ეს იქნებოდა იმპერიალისტური შეჭრის სამზადისი, როგორც სინამდვილეში გენერალმა ალლენბიმ განაცხადა იერუსალიმში შესვლისას: «ახლა ჯვაროსნული ლაშქრობები დასრულდა». გენერალი გორუ დადგა სალაჰ ად-დინის საფლავზე და განაცხადა: “ჩვენ დავბრუნდით, ო, სალაჰ ად-დინ!” იმპერიალიზმი წამყვანი ფაქტორი იყო იდეოლოგიური შემოტევის მოსამზადებლად და მისი ფესვების გასაღრმავებლად, იგი ახლაც ამ მიზნისათვის იღწვის. ყოველივე ამან გზა გაუხსნა პალესტინის დაკარგვას. ჩვენ უნდა ჩავუბეჭდოთ ტვინში მუსლიმთა თაობებს, რომ პალესტინის პრობლემა რელიგიურია, ის ამგვარად უნდა განვიხილოთ. პალესტინაშია ისეთი წმინდა ისლამური ადგილი, როგორიცაა აკსას მეჩეთი, რომელიც სანამ ზეცა და დედამიწა არსებობს, დაკავშირებულია მასჯიდ ალ-ჰარამთან (მექა) და ალაჰის მოციქულის, ალაჰიმ აკურთხებს მას და მიესალმება, მოგზაურობასთან და მის ამალგებასთან. ალაჰის გზაზე ერთი დღე ცხოვრება უკეთესია ქვეყანაზე და ყოველივეზე, რაც მასშია. სამოთხეში ერთ-ერთი თქვენთაგანის მათრახისხელა ადგილიც კი უკეთესია ვიდრე მთელი ქვეყანა და ყოველივეზე, რაც მასშია. თაყვანისმცემლების სვლა ალაჰის გზით უკეთესია მთელ ქვეყანაზე და რაც მასშია (გადმოცემულია ბუხარის, მუსლიმის, თირმიზისა და იბნ მაჯის მიერ). ვფიცავ მას, ვისაც საკუთარ ხელში უჭირავს მუჰამედის სული! მე ჭეშმარიტად მსურს საომრად წასვლა ალაჰის გულისთვის! მე ვიბრძოლებ და მოვკლავ, ვიბრძოლებ და მოვკლავ, ვიბრძოლებ და მოვკლავ (გადმოცემულია ბუხარისა და მუსლიმის მიერ). ეს არის ისლამური სული, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს ყველა მუსლიმურ საზოგადოებაში. საზოგადოება, რომელიც უპირისპირდება ბოროტ, ნაციტურის მსგავს მტერს, რომელიც არ ასხვავებს მამაკაცსა და ქალს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, პირველმა უნდა დაიმშვენოს თავი ამ ისლამური სულით. ჩვენი მტერი მიმართავს კოლექტიური დასჯის მეთოდს, ხალხის მიწებისა და საკუთრების ძარცვას, გასახლებას. მან გამოიყენა ისეთი ზომები, როგორიცაა ძვლების დამტვრევა, მიზეზითა თუ უმიზეზოდ ცეცხლის გახსნა ქალების, ბავშვებისა და მოხუცების წინააღმდეგ, პატიმართა ბანაკების შექმნა, სადაც არაკუმანურ პირობებში ათასობით ადამიანს ათავსებენ. გარდა ამისა, ის ანადგურებს სახლებს, აობლებს ბავშვებს და დესპოტური განაჩენი გამოაქვს

ათასობით ახალგაზრდის წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის საუკეთესო წლებს ციხის წყვიდადში ატარებენ. ებრაელთა ნაციზმი ქალებისა და

ბავშვების წინააღმდეგაც არის მიმართული, ის ყველას აშინებს. ისინი ებრძვიან ოჯახებს, იტაცებენ მათ სიმდიდრეს და ემუქრებიან მათ ღირსებას. თავიანთი საშინელი საქციელით ხალხს ექცევიათ ომის ყველაზე საზარელი დამნაშავეებივით. საკუთარი მიწებიდან ხალხის დეპორტაცია მკვლელობის კიდევ ერთი ფორმაა. ამგვარი საქციელის აღსაკვეთად აუცილებელია ხალხში სოციალური სოლიდარობის ჩამოყალიბება, მტერს ყველანი ერთიანად უნდა დაუპირისპირდეთ, როგორც ერთი ორგანიზმი: ერთ-ერთი ორგანოს დაზიანებისას, სხეულის დანარჩენი ორგანოები განგაშითა და შემფოთებით უნდა პასუხობდნენ.

ჰამასი ჰუმანური მოძრაობაა მუხლი ოცდამეთერთმეტე. ჰამასი ჰუმანური მოძრაობაა, რომელიც ზრუნავს ადამიანთა უფლებებზე და ისლამისთვის დამახასიათებელი შემწყნარებლობით ეკიდება სხვა რელიგიებს. ის მტრულადაა განწყობილი მხოლოდ მათ მიმართ, ვინც მისადმია მტრული, ან ცდილობს, შეაყოვნოს მისი მოძრაობა და ჩაშალოს მისი მონდომება. ისლამის ჩრდილქვეშ შესაძლებელია სამი რელიგიის: ისლამის, ქრისტიანობისა და იუდაიზმის წარმომადგენლების თანაარსებობა მშვიდობასა და უსაფრთხოებაში. მშვიდობა და უსაფრთხოება იბატონებს მხოლოდ ისლამის ჩრდილქვეშ, ამის საუკეთესო მოწმეა წარსული და ახალი ისტორია.

სხვა რელიგიების წევრებმა უნდა შეწყვიტონ ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ ამ რეგიონში. რადგან მათ ბატონობას ბრძოლა, წამება და გაძევება მოსდევს; ისინი ართულებენ ცხოვრებას საკუთარი ხალხისთვის, რომ არაფერი ვთქვათ სხვა რელიგიების მიმდევრებზე. წარსული და აწმყო ამის საუკეთესო მაჩვენებელია. ისინი არ შეგებრძობებიან ყველანი ერთად, თუ არა გამაგრებული ადგილებიდან ან გალავნებიდან. „მათი მეომრული სული მხოლოდ მათ წრეშია ძლიერი. შენ თვლი, რომ ისინი ერთნი არიან სულით, მაგრამ მათი გულები დაცალკევებულია, რადგანაც საღი აზრი არ გააჩნიათ“ (ყურანი, 59:14) ჩვენს სიტყვაში ჩვენს მოციქულებს ვუთხარით, რომ აუცილებლად ექნებათ დახმარება. და ჭეშმარიტად, ჩვენი ლაშქარი ყოველთვის იმარჯვებს (ყურანი, 37:171- 172). . უთხარ ო, მუჰამად მათ, ვინც არ იწამა: ძლეულ იქნებით და ჯოჯობეთს შთახვალთ. ცუდია ეს თავშესაფარი (ყურანი. 3:12). ალლაჰი არ გიკრძალავთ კეთილგანწყობასა და სამართლიანობას მათ მიმართ, ვინც არ გებრძოდათ რწმენის საფუძველზე და არ გაუძევებიათ თქვენი სახლებიდან. ალლაჰი ხომ ყოველისშემძლეა, ის მპატიებელი და მოწყალეა (ყურანი. 60:8).

5.2.6. ჰამასი მოუწოდებს

ეროვნული და რელიგიური ასოციაციები, ინსტიტუტები, ინტელიგენცია, არაბული და ისლამური სამყარო. მუხლი ოცდამეცხრე. ჰამასი იმედოვნებს, რომ ეს ასოციაციები მის გვერდზე დადგებიან, დაეხმარებიან, მიიღებენ მის პოზიციებს,

ხელს შეუწყობენ მის საქმიანობასა და ღონისძიებებს, მოუწოდებენ სხვებს მათ მხარდასაჭერად, რათა გააქტიურდეს მუსლიმი ხალხისა და მის დამხმარეთა ძალა, გაძლიერდეს მისი სტრატეგიული სიღრმე სულიერ და მატერიალურ სფეროში, ასევე ინფორმაციაში, დროსა და სივრცეში. ამასთან, ისინი გამართავენ სოლიდარობის გამომხატველ შეხვედრებს, გამოუშვებენ განმარტებით პუბლიკაციებს, მხარდამჭერ სტატიებსა და პროკლამაციებს, რათა მასებმა უკეთ გააცნობიერონ პალესტინის საკითხი, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გეგმები; იდეოლოგიურ, საგანმანათლებლო და კულტურულ მობილიზაციას გაუკეთებენ მუსლიმ ხალხს, რათა მათ აღასრულონ თავიანთი როლი განთავისუფლებისათვის მიმართულ გადამწყვეტ ომში, როგორც მანამდე ეს გააკეთეს ჯვაროსნების დამარცხების, თათართა განადგურებისა და ადამიანთა ცივილიზაციის გადარჩენისას. ყოველივე ეს ძვრიფასია ალლაჰისათვის! ალლაჰმა ბრძანა: ისმინეთ! ჭეშმარიტად გავიმარჯვებთ მე და და ჩემი მოციქულები. ჭეშმარიტად, ალლაჰი დიდია, ყოვლისშემძლე. (ყურანი, 58:21).

მუხლი ოცდამეათე. მწერლებსა და მეცნიერებს, მედიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, მქადაგებლებს, მასწავლებლებსა და განმანათლებლებს, არაბული და ისლამური სამყაროს ყველა სექტორს მოვუწოდებთ, შეასრულონ თავიანთი როლი და ვალდებულება სიონისტური ექსპანსიის ბოროტების წინააღმდეგ, მისი გავრცელების, მატერიალურ საშუალებებსა და მედიაზე კონტროლის (ყველა მისი განშტოებით-მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში) მოპოვების წინააღმდეგ.

5.2.7. ჰამასის თვალისა და დანახული ისრაელი

32-ე მუხლი. ჰამასის ქარტია არ ცნობს ისრაელს. მის პრეამბულაში დამოწმებულია ჰასან

ალ-ბანას სიტყვები: ისრაელი იარსებებს და გააგრძელებს არსებობას მანამდე, ვიდრე ისლამი არ გაანადგურებს მას, ისევე, როგორც მისი წინამორბედი მოსკო. ისრაელისა და ებრაელების მიმართ ქარტია რადიკალურად უარყოფით და ანტისემიტურ ტერმინოლოგიას იყენებს. ებრაელები დახასიათებულია როგორც ბოროტი ძალა, რომლებიც თავიანთი ბოროტი მიზნების მისაღწევად მანიპულირებენ ფართო ძალებით, დააგროვეს დიდძალი და მნიშვნელოვანი სიმდიდრე, თავიანთი ფულით დაამყარეს კონტროლი მსოფლიოს მედიაზე. ისინი იდგნენ საფრანგეთის რევოლუციის და კომუნისტური და სხვა ცნობილი რევოლუციების უმეტესობის უკან. თავიანთი ფულით შექმნეს საიდუმლო ორგანიზაციები - როგორცაა მასონების, როტარის კლუბები, რომლებიც გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რათა გაანადგურონ საზოგადოებები და განახორციელონ სიონისტური ინტერესები. ისინი იდგნენ I მსოფლიო ომის უკან და შექმნეს ერთა ლიგა, რომლის საშუალებითაც შეეძლოთ ემართათ მსოფლიო.

ებრაელებმა მოიპოვეს ბალფურის დეკლარაცია. ისინი იდგნენ II მსოფლიო ომის უკან, რაზედაც გააკეთეს დიდი ფული. არცერთი ომი არსად არ მიმდინარეობს ისე, რომ მათი ხელი ამ საქმეში არ ერიოს. სიონიზმის გეგმებს ბოლო არა აქვს და პალესტინის შემდეგ ისინი ოცნებობენ ექსპანსიაზე ნილოსიდან ევფრატამდე. როცა ისინი დაასრულებენ ათვისებას იმ ტერიტორიისა, რომელზედაც დაადეს ხელი, დაელოდებიან ახალ ექსპანსიას

33-ე მუხლი. მოჯაჰედების რიგები შემჭიდროვდება, მებრძოლები სხვა მებრძოლებს შეუერთდებიან და მასები ისლამურ სამყაროში ყველგან გამოვლენ პასუხად მოწოდებისა, შეასრულონ თავიანთი ვალი და ხმამაღლა იტყვიან: ვაცხადებთ ჯიჰადს. ეს მოწოდება მიაღწევს ზეცას და ექნება გამოხმაურება, ვიდრე არ დადგება განთავისუფლება, არ დამარცხდებიან დამპყრობლები და მათ არ გარდმოევილინება ალლაჰის გამარჯვება.

5.2.8. შეჯამება

ისრაელთან პირდაპირმა კონფრონტაციამ მოახდინა მოძრაობის სტრუქტურისა და საქმიანობის ტრანსფორმაცია. თავად ჰამასის შექმნა, ცვალებადობა საქმიანობის სხვადასხვა კურსს შორის, შეიძლება განისაზღვროს როგორც გრძელვადიანი, მოთმინებით აღსავსე სტრატეგია. ჰამასის იდეოლოგიასა და სტრატეგიას შორის ცვლილებები კარგად აისახა მათ პროკალამაციებსა და ბროშურებში. ჰამასის საქმიანობის ყველაზე დამახასიათებელი თვითმკვლელთა აფეთქებები გახდა. ის, თუ რატომ აირჩია ორგანიზაციამ ეს ხერხი თავისი ბრძოლის მიზნების მისაღწევად, რიგი კვლევა-ძიების მიზეზი გახდა. ზოგიერთის აზრით, პალესტინელი თვითმკვლელები ასეთ ნაბიჯზე რელიგიური მოსაზრებების გამო მიდიან; სხვებს მიაჩნიათ, რომ მათ გარკვეული ფსიქოლოგიური ნაკლი აქვთ; თუმცა ალი უეინის მიხედვით, ეს სტრატეგიულად მომგებიანი ტაქტიკაა. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ჩვეულებრივი ბრძოლის წარმართვისას, ისრაელი ჰამასს მარტივად გაანადგურებდა. ისრაელს რეგიონში ყველაზე ძლიერი სამხედრო აღჭურვილობა აქვს: 100-200 ბირთვული ერთეული, ატომური იარაღი. მისი მაღალი დონის ტექნოლოგიური მომზადება ჰამასს არანაირ შანსს არ უტოვებს. სწორედ ამიტომ განაცხადა ჰამასის გენერალურმა მდივანმა რამადან შალაჰმა, რომ «ჩვენი მტერი ფლობს ყველაზე მაღალი დონის იარაღს მსოფლიოში და მისი ჯარი მეტად მაღალი სტადარტების მიხედვითაა გაწვრთნილი. ჩვენ არაფერი გვაქვს, რომლითაც შეგვიძლია ჩვენს წინააღმდეგ მიმართული მკვლევლობებისა და ძარცვის აღკვეთა, თუ არა მოწამეობის იარაღი. ეს მეტად მარტივია და მხოლოდ ჩვენი სიცოცხლის ფასი გვიჯდება. “ადამიანი-ბომბების” დამარცხება შეუძლებელია, თუნდაც ბირთვული ბომბების საშუალებით (270a). 1993 წ.

აპრილსა და 2004 წ. სექტემბრის განმავლობაში ჰამასმა თვითმკვლელთა 27 აფეთქება განახორციელა, რომელმაც 120 ადამიანი იმსხვერპლა. 2000 წ. სექტემბრიდან 2004 წ. ნოემბრამდე კი მან თვითმკვლელთა 112 აფეთქება მოაწყო, რომელმაც 474 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მეორე, თითქმის ორჯერ მცირე პერიოდში ჰამასმა ოთხჯერ მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ზოგიერთის მოსაზრებით, სწორედ ამ ტაქტიკის გაძლიერებამ აიძულა ისრაელის ძალები 1994 წ., დაეტოვებინათ ღაზა, ხოლო 1995 წ. – დასავლეთი ნაპირი. ზოგიერთის აზრით კი, ღაზას სექტორიდან ისრაელის დასახლებების დაშლაც სწორედ პალესტინის წინააღმდეგობის გამარჯვება იყო. აღსანიშნავია, რომ ჰამასის თვითმკვლელთა მხარდაჭერა მოსახლეობაში 2000 წ. შემოდგომამდე არ აღემატებოდა 33%-ს. ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაიზარდა სამშვიდობო პროცესისადმი მოსახლეობის იმედგაცრუების გამო.

5.3. ვაჰაბიზმი

5.3.1. ვაჰაბიზმის გავრცელება ჩრდილო კავკასიაში

მეოცე საუკუნის 90ანი წლების დასაწყისში ე.წ. პერესტროიკის პარალელურად, ჩრდილო კავკასიაში აშკარად გამოიღვიძა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა. ამ გარემოებამ დიდი პრობლემები შეუქმნა რუსეთის ფედერაციის ერთიანობას. რუსეთის სპეცსამსახურების შესაბამისმა ანალიტიკურმა სამსახურებმა გადაწყვიტეს ეს საკითხი მოეგვარებინათ „შიგნიდან აფეთქების“ პრინციპით, ანუ მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის, სხვადასხვა ეთნიკური და იდეოლოგიური ჯგუფების დაპირისპირების გამოწვევით. ამისთვის კი მეტად ხელსაყრელი პოზიცია ეკავა ვაჰაბიზმს. ამ პერიოდში რუსეთის მმართველი წრეები თვლიდნენ, რომ ვაჰაბიტები ჩრდილო კავკასიაში საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, რადგან ისინი ამჟღავნებდნენ უარყოფით დამოკიდებულებას ტრადიციული ისლამის წარმომდგენლების მიმართ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით რუსეთის ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ვაჰაბიტები დაასუსტებდნენ ტრადიციულ ისლამის მიმდევრებს, მეორე მხრივ კი მიაჩნდათ, რომ შეძლებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის „სეპარატისტული“ განწყობილებების შესუსტებას, რადგან ისინი ჩაერთვებოდნენ ტრადიციულ და ფუნდამენტურ ისლამურ მიმართულებებს შორის დაწყებულ რელიგიურ დაპირისპირებაში. ჩრდილო კავკასიის ეთნიკურმა სიჭრელემ და იქ მაცხოვრებელმა მუსლიმანურმა მოსახლეობამ, ძნელად მაგრამ მაინც დაიწყო ვაჰაბიზმის იდეების შეთვისება. ამან გამოიწვია ტრადიციული ისლამის დაპირისპირება, ვაჰაბიტურ მიმართულების მიმდევრებთან. მაგრამ შედეგი მაინც რუსეთისთვის სავალალო აღმოჩნდა.

1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, ჩრდილო კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ არსებული დაპირისპირების ერთ-ერთ მამოძრავებელ და დასაყრდენ ძალად ტრადიციულ ისლამთან ერთად სწორედ ვაჰაბიზმის იქცა. 1990-იან წლებში ჩეჩნეთში სერჟენიურტის რაიონში, ყოფილი პიონერთა ბანაკის ტერიტორიაზე განლაგებული იყო „ისლამური“ უნივერსიტეტი „კავკაზი“. იქ ასწავლიდნენ ყურანის სურებს, მათ განმარტებებს, არაბულ ენას, ისლამურ სამართალი – შარიათის კანონებს და სხვა საგნებს. ვაჰაბიზმის მიმდევრებმა 1994 წელს დაიწყო ჩეჩნეთ - რუსეთის პირველი ომი და ძირითადად სწორედ აქედან იწყება ჩეჩნეთში უკვე აქტიურად ვაჰაბიზმის გავრცელება. ამავე წლებში ჩეჩნეთში და საერთოდ ჩრდილო კავკასიაში, არაბული სამყაროდან იწყეს ჩამოსვლა ვაჰაბიტმა მისიონერებმაც. საბოლოო ჯამში არაბი მისიონერების იდეოლოგიურმა თუ ფინანსურმა სიძლიერემ თავისი შედეგი მოიტანა და ვაჰაბიზმმა მყარად მოიკიდა ფეხი კავკასიაში. 1997 წელს, დაღესტნის მაღალმთიან რეგიონში, ე.წ. კადარის ზონაში გააუქმეს რუსეთის ფედერაციის კანონები და შარიათის წესებით დაიწყეს ტერიტორიული ერთეულის მართვა. მხოლოდ 1999 წელს ბასაევ-ხატაბის დაღესტანზე თავდასმხმის მოგერიების შემდეგ მოახერხა რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ აღედგინა თავისი იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე. ზემოთ აღნიშნულ წლებში ჩეჩნეთში ვაჰაბიტების ცენტრი გახდა ურუს-მარტანი, სადაც იყო რამზან ახმადოვის „ჯამაათი“. ვაჰაბიტები ამჟამად მოქმედებენ ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა ავტონომიურ რესპუბლიკაში. ბოლო წლებში რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, მართალია ჩრდილო კავკასიაში შეცვალა თავისი მოქმედების ტაქტიკა და დაიწყო ტრადიციული ისლამის მხარდაჭერა, მაგრამ ვაჰაბიზმმა შეძლო მორგებოდა ჩრდილო კავკასიის სპეციფიკას.

2007 წლის ოქტომბრის თვიდან, ვაჰაბიზმის მიმდევრებმა ჩრდილო კავკასიაში შექმნეს თვითაღიარებული ისლამური სახელმწიფო - კავკასიის ემირატი, რომელიც ემყარება შარიათის კანონებს.

კავკასიის ემირატი დაყოფილია ვილაიეთებად:

1. დაღესტანის ვილაიეთი;
2. ვილაიეთი ნოხჩიჩო - იგივე ჩეჩნეთის ვილაიეთი;
3. ვილაიეთი ლალღაი - იგივე ინგუშეთის ვილაიეთი, მის შემადგენლობაში ასევე შედის ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორია;
4. ჩერქეზეთის ვილაიეთი;
5. გაერთიანებული ყაბარდო - ბალყარეთის და ყარაჩაის ვილაიეთი;
6. ნოღაის ვილაიეთი;

5.3.2. ვაჰაბიზმის იდეოლოგია

„მოჯაჰედების“ აზრით, კავკასია ისლამის მიწაა და ბრძოლა „ურწმუნოებისგან“ მის გასათავისუფლებლად ყველა მუსლიმის ვალია.

გავრცელებისთანავე ტრადიციული ისლამის შეურიგებელ მოწინააღმდეგეებად იქცნენ სალაფიტები – ისლამის რადიკალური, ფუნდამენტალისტური მიმართულების მიმდევრები, რომლებიც ღმერთთან შუამავლებად შეიხებს და რომელიმე სხვა ავტორიტეტებს არ აღიარებენ. სალაფიტები (რეგიონში გავრცელებული ტერმინოლოგიით – ვაჰაბისტები), ისლამური სარწმუნოების პირველადი სახით, დაუმახინჯებლად შენარჩუნებას და მუჰამედის სწავლების ზედმიწევნით ერთგულებას ქადაგებენ. მათი აზრით ისლამი უნდა განიწმინდოს მისი წარმოშობის შემდგომ პერიოდში მიტმასნილი სხვადასხვა სახის დანამატისაგან. ისლამი მაღლა უნდა იყოს ნებისმიერ სხვა სოციალურ ელემენტზე თუ ნიშან-თვისებაზე, მაგალითად: ეთნიკურობაზე, ნაციონალურობაზე და ა.შ. უნდა მოხდეს რელიგიური რიტუალების მაქსიმალური გაუბრალოება და გამარტივება. ვაჰაბიტური რელიგიისათვის ეთნიკურობა და მისი გამომხატველი ნიშან-თვისებები ნაკლები ღირებულებითი მნიშვნელობის მატარებელია. კავკასიაში ვაჰაბიზმის გავრცელების მიუხედავად, ეთნიკურობა და მისი გამომხატველი ნიშან-თვისებები ინარჩუნებს სოციალურ მნიშვნელობას, სადაც იგი ამ პერიოდისათვის ერთ-ერთი ჯერ კიდევ ქმედითი აქტორია. ვაჰაბისტების აზრით, ისლამს საფუძვლად მხოლოდ ორი რამ: ყურანი და სუნა – მუჰამედის გამონათქვამები, ქცევა უდევს. მათი შეხედულებით წინასწარმეტყველი მუჰამედი იყო ჩვეულებრივი ადამიანი. ამიტომ, არ უნდა მოხდეს მისი გაღმერთება. ისინი უარყოფენ ისლამს დამატებულ ადგილობრივ ტრადიციებს, წმინდანების კულტებს, ყოველგვარ წარმართულ გადმონაშთებს, მაგიას, ჯადოქრობას. თვლიან რომ არ შეიძლება ადამიანების განსხვავება, წარმოშობის და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ეს მოძღვრება არეგულირებს ადამიანის საქციელს – აძლევს რჩევას, ფაქტიურად კი უწესებს დოგმად როგორ ჩაიცვას, მოიქცეს საზოგადოებაში. ვაჰაბიტებს ეკრძალებათ თამბაქოს, ჰამისის მოწევა, კრიალოსნის ხმარება, ხმამაღალი სიმღერა, ცეკვა და სხვა. ამ მოძღვრების მიხედვით ნებისმიერი ადამიანი, ვინც ლოგიკურად აზროვნებს მივა ერთღმერთიანობამდე“ და, თუ მიიღებს ვაჰაბიზმს, გახდება ჭეშმარიტი მორწმუნე მუსლიმანი. ვაჰაბიზმში, როგორც საერთაშორისო ისლამური ტერორიზმის იდეოლოგიაში, ორი მნიშვნელოვანი დებულება დევს – „ტაკფირზე“ და „ჯიხადზე“ (საღვთო ომი). „ტაკფირი“ ნიშნავს, რომ ყველა ვინც არ ეთანხმება ვაჰაბისტებს, არ არის ჭეშმარიტი მუსლიმანი. მათი აზრით, ასეთი მუსლიმანები არიან რჯულისაგან გადახვეულები და ამ გადახვევისათვის, შარიათის კანონებით სიკვდილით უნდა დაისაჯონ. „ჯიხადი“ – ბრძოლა ურწმუნოების წინააღმდეგ კი, თითოეული მუსლიმანის მოვალეობაა. ეს ორი დებულება აქცევს ვაჰაბიზმს იმ საშიშ ძალად, რაც მისი იდეოლოგიის საფუძველზე მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებს აყენებს, საერთაშორისო ისლამური ტერორისტული მოძრაობის სათავეში.

ვაჭაბისტები ჯიჰადის წარმოებას ოთხ ძირითად ტიპად ყოფენ:

1. ჯიჰადი შაიტანის (ემშაკის) წინააღმდეგ. ეს პროცესი ხორციელდება ემშაკის მიერ მოწოდებული ცდუნებებისაგან უარის თქმით;
2. ჯიჰადი მტრის იდეოლოგიის წინააღმდეგ;
3. ჯიჰადი ურჯულოების წინააღმდეგ („კიაფირები“);
4. ჯიჰადი მუნაფიკების(რჯულისგან განდგომილები) წინააღმდეგ.

5.3.3. ვაჭაბიზმის განვითარება დაღესტანში

სუფიზმი, როგორც ისლამის მისტიკური მიმდინარეობა და ისლამური ფილოსოფიის ერთ-ერთი ტრადიციული მიმართულება, დაღესტანში მე-18-მე-19 საუკუნეებიდან დომინირებს. ამ მიმართულების განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს ტარიკატები – სუფიური ორდენები. თითოეულ მათგანს სათავეში მოძღვარი (შეიხი) უდგას, რომელსაც, თავის მხრივ, უამრავი მიურიდი – მოწაფე და მიმდევარი, ჰყავს. იმამი შამილი, მე-19 საუკუნეში რუსეთის წინააღმდეგ ომში კავკასიელების ლიდერი, ნაკშბადის ტარიკატს ედგა სათავეში. ამგვარი ტრადიციული ისლამის შეურიგებელ მოწინააღმდეგეებად იქცნენ სალაფიტები. მათი გავლენა წლიდან წლამდე იზრდებოდა. ტრადიციული სუფიური ისლამის ლიდერები და „ტარიკატისტები“ კი სალაფიტების თვალში მოღალატეები და ჭეშმარიტი რწმენის მტრები იყვნენ, რომლებიც უნდა განადგურებულიყვნენ. ჯიჰადის სამიზნედ, რუსი ფედერალების გარდა, სუფიური ისლამის სასულიერო პირები იქცნენ. 1998 წელს ტერორისტებმა დაღესტნის მუფტი საიდ-მოჰამად ჰაჯი აბუბაქაროვი მოკლეს. მომდევნო წლებში – კიდევ რამდენიმე სასულიერო პირი. 1999-2001 წლებში, "ისლამური ტერორიზმის" მთავარ ნაციონალურ საფრთხედ აღიარების შემდეგ, ათასობით ახალგაზრდა დაღესტნელი ტერორიზმისა და ვაჭაბიზმის ბრალდებით ადგილობრივმა ხელისუფლებამ გისოსებს მიღმა ჩასვა, სადაც მათ ხშირად საბჭოთა სტილის "დაკითხვას" უწყობდნენ. ღრმა რელიგიურობას ხელისუფლება განსაკუთრებული ეჭვით უყურებდა და, პროფილაქტიკის მიზნით, რეალური და სავარაუდო ვაჭაბისტებისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ სრულმასშტაბიან ომს აწარმოებდა. კორუმპირებული და დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული ბევრი მილიციელისთვის გამოსასყიდის მიზნით ადამიანთა დაკავება შემოსავლის სოლიდურ წყაროდ იქცა. ხშირად ხელისუფლებას სავარაუდო ვაჭაბისტების გასამართლებისა და ციხეში ჩასმისათვის საკმარისი მტკიცებულებები არ ჰქონდა. ამ უკანასკნელებს რამდენიმეთვიანი წამების შემდეგ ათავისუფლებდნენ. ბევრმა მათგანმა საკუთარი შეურაცხყოფისთვის სამაგიეროს გადახდის მიზნით, ძალადობას მიმართა. ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ერთი ადამიანისთვის საკმაოდ რთული ამოცანაა, ამდენად, ბევრი ახალგაზრდა დაღესტნელი მთებში ამბოხებულთა მოძრაობას შეუერთდა, სადაც ისინი სალაფიზმის საფუძვლებს

ეზიარნენ. ჩამოყალიბდა წინააღმდეგობის საერთო იდეოლოგია. მემბოხეთა მთავარი მიზანი მოსკოვისაგან დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს შექმნა გახდა, მთავარი სამიზნე კი რუსი დამპყრობლები და მათი დაღესტნელი "მარიონეტები".

ბევრი დაღესტნელი აჯანყებას სახელმწიფოს ცოდვების მიმართ პროტესტის ნიშნად შეუერთდა. მათი პროტესტი კორუფციულმა განუკითხაობამ, მოსკოვის მხრიდან ადგილობრივი ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლამ, საკუთარი თავის რეალიზების შეუძლებლობამ და საკუთარი სამშობლოსთვის უკეთესი - სავარაუდოდ, ისლამური - მომავლის ძიებამ განაპირობა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჯამაათების (ამ სახელწოდებით მოიხსენიებენ ისლამისტურ ტერიტორიულ-ეთნიკურ იატაკქვეშა ჯგუფებს, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობას ეწევიან) წევრობამ ინდივიდუალურ მეომრებს საშუალება მისცა, ეთნიკური და კლანური ერთგულების ხლართებისათვის დაეღწია თავი და რელიგიაზე დაფუძნებული სოციალური სოლიდარობის უპრეცედენტო გრძნობის ირგვლივ გაერთიანებულიყო. შესაბამისად, წინააღმდეგობის მოძრაობის იდეოლოგია, ძალადობის პოლიტიზაციასთან ერთად, ვითარდებოდა. ამ ყველაფრის შედეგად, დაღესტანში ახლა სამოქალაქო ომი მძვინვარებს. სავარაუდოდ, დაახლოებით 2500 ახალგაზრდა დაღესტნელი აჯანყებაშია ჩართული. მათი რიცხვი უფრო და უფრო მეტი განწირული ახალგაზრდის შესვლის შედეგად გამუდმებით იზრდება. ზოგიერთი ჯამაათი საკმაოდ დამოუკიდებელი ერთეულია, ეთნიკური პრინციპის ნაცვლად ტერიტორიულ პრინციპს ეფუძნება და საკუთარი შეხედულებებით მოქმედებს, რაც მათ ხელში ჩაგდებას ართულებს. თუმცა ჯამაათებს შორის ბევრი მსგავსებაცაა: მათ წინააღმდეგობის საერთო იდეა, პირადი შურისძიების გრძნობა და მოძულე მტერი აერთიანებთ. ისინი ადგილობრივი მოსახლეობის მზარდ მხარდაჭერას ეფუძნებიან. ჩრდილოეთ კავკასიის ბევრ რესპუბლიკაში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არსებობს, რომელიც რუსეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გაამძაფრა - ხელისუფლების მიერ შევიწროებულებისადმი დახმარების გაწევა. დაღესტნელი აჯანყებულები თანდათან პარტიზანული ომის უნარებსაც ითვისებენ. მათი თავგანწირული ბრძოლა დაღესტნელ, ჩეჩენ, ინგუშ, ბალყარ, ჩერქეზ თანამოაზრეებს რეგიონული სოლიდარობის გრძნობას უღვივებს.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტული თავდასხმების 70 პროცენტი სწორედ დაღესტანზე მოდის. ФСБ-ს სტატისტიკით, 2011 წელსა და 2012 წლის პირველ თვეებში დაღესტანში მემბოხეთა ხელით 160 ძალოვანი განადგურდა. მემბოხეთა შორის მსხვერპლმა კი 200-ს გადააჭარბა. ამ ბრძოლის სისასტიკეს ისიც განაპირობებს, რომ დაღესტანში ერთმანეთს არა მხოლოდ მემბოხეები და ხელისუფლება, არამედ ისლამის სხვადასხვა მიმართულების მიმდევრებიც უპირისპირდებიან

ერთმანეთს. ხშირად ეს ბრძოლა შეურიგებელ და უკომპრომისო ხასიით იძენს, რაც შეიხ საიდ აღ-ჩირკავის მკვლელობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა.

5.3.4. ვაჰაბიზმის გავრცელება სამხრეთ კავკასიაში

ვაჰაბიზმი სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულია ორ ქვეყანაში აზერბაიჯანში და საქართველოში. ამ ქვეყნებში ვაჰაბიზმის გავრცელება მოხდა 90-იანი წლების შუა პერიოდიდან. საქართველოში ვაჰაბიზმის მიმდევრები ძირითადად წარმოდგენილნი არიან პანკისის ხეობაში, სადაც მისი გაძლიერება დაკავშირებულია აბუ ჰავსთან.

აბუ ჰავს აღ-ურდუნი – ამჟატი

დაიბადა იორდანიაში 1973 წელს და 2006 წლის 26 ნოემბერს მოკლული იქნა დაღესტანში, კონკრეტულად კი ხასავ-იურტის რაიონში, რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ვაჰაბიტ მებრძოლებთან შეიარაღებული შეტაკების დროს.

1994 წლის ნოემბერში, იჩქერიაში რუსეთის სამხედრო ნაწილების შესვლის შემდეგ მოძმე ჩეჩნების დასახმარებლად გროზნოში პანკისიდან უამრავი ახალგაზრდა წავიდა, საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ ლტოლვილ ჩეჩნებთან ერთად ხეობაში უამრავი იარაღი გამოჩნდა. ამ ფონზე 1996 წელს, აბუ ჰავსი პირველად ჩამოდის საქართველოში კონკრეტულად კი პანკისის ხეობაში. იგი ექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ხეობის ერთ-ერთ სოფელში ამჟატის სახელით. აბუ ჰავსმა პანკისის ხეობაში ჩამოსვლისთანავე გააძლიერა ვაჰაბიზმის მიმდევრების მიერ ადრე დაწყებული იდეოლოგიური მუშაობა. მის ხელში ხვდებოდა სხვადასხვა ვაჰაბისტური ფონდების მიერ გამოყოფილი თანხები და თავად წყვეტდა თუ როგორ უნდა განეკარგა მიღებული თანხები

ადგილობრივ მოსახლეობაში გავლენის გაძლიერების, რელიგიურ-იდეოლოგიური მუშაობის წარმოების მიზნით, აბუ ჰავსმა დააფინანსა პანკისის ხეობის, სოფელ დუისში ვაჰაბიტური მეჩეთის მშენებლობა. იგი აგრეთვე აფინანსებდა ადგილობრივ ვაჰაბიტურ „ჯამათს“, მისი ფინანსური და იდეოლოგიური მხარდაჭერით ხეობის რამოდენიმე სოფელში მოქმედებდა დაწყებითი სასულიერო სკოლა. ამ სკოლებში ასწავლიდნენ ვაჰაბიტურ დოგმებს, ასევე გახსნილი იყო კომპიუტერული კლასები. აბუ ჰავსი ადგილობრივ მაცხოვრებლებს აგზავნიდა სენჟენ-იურტის რაიონში არსებულ ვაჰაბიტების სასწავლო ბანაკებში და ასევე ხდებოდა ახალგაზრდების გაგზავნა, საუდის არაბეთში უმაღლესი სასულიერო განათლების მისაღებად. ეს ახალგაზრდები არ იყვნენ მხოლოდ ეთნიკურად ქისტები. მათში ასევე ერივნენ პანკისის ხეობის მცხოვრები სხვა ეთნიკური წარმომშობის პირები. პანკისის ხეობის ადგილობრივ „ჯამათში“ შესულ პირებს, შესვლისათვის თავდაპირველად ურიგებდნენ 200 აშშ დოლარს, შემდეგ კი ყოველთვე 100 დოლარს, 2003-2004 წლებში კი მხოლოდ 50 დოლარს. ამ ბოლო წლებში დაფიქსირდა ასეთი ფაქტიც, რომ რელიგიურ

დღესასწაულზე ვაკაბიტებმა სამოცდაათამდე მსხვლიფეხა საქონელი(ძროხა) შეიძინეს, დაკლეს და ადგილობრივ მატერიალურად გაჭირვებულ მოსახლეობას გაუნაწილეს. პანკისის ხეობაში, ქართული პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვაკაბიზმის მიმდევრების ახლანდელი ემირია(მეთაური) აჰმად იაცი მარგოშვილი. რომლმაც განათლება მიიღო საუდის არაბეთში და საქართველოში დაბრუნდა 2005 წელს.

აზერბაიჯანის სახელმწიფოს მიერ აზერბაიჯანში არსებული ვაკაბიზმის მიმდევრები მიჩნეულნი არიან სამიშ რადიკალურ ჯგუფად. 2007 წლის ოქტომბრის თვეში აზერბაიჯანის მთავრობის განცხადებით, გამოააშკარავეს ვაკაბიტური რადიკალური დაჯგუფების მიერ ორგანიზებული, მოსალოდნელი თავდასხმები სახელმწიფო შენობებზე, კერძო კომპანიებზე და დიპლომატიურ მისიებზე. კონკრეტულად კი ვაკაბიტური დაჯგუფება გეგმავდა სახელმწიფო დაწესებულებებზე, ამერიკის და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ მისიებზე და კერძო ნავთობ-კომპანიებზე თავდასხმას. ამ პერიოდში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, ამერიკის დიპლომატიურმა მისიამ აზერბაიჯანში შეაჩერა თავისი მუშაობა, ანალოგიურად მოიქცა დიდი ბრიტანეთის საელჩოც.

5.3.5. ვაკაბიზმის მეორე სახე

"ვაკაბიზმი" ნიშნავს "ხალას ისლამს". იგი მიმართულია ამ რელიგიის სათავე-საწყისისაკენ და შეიცავს ყველაზე რეაქციულსა და აგრესიულს რელიგიაში, ეს არის შემტევი ფუნდამენტალიზმი, რომლის მთავარი მიზანია "საღვთო ომი, ანუ ჯიჰადი" ნებისმიერი ურწმუნოების სხვა რელიგიების- წინააღმდეგ. ბოლო წლებში ვაკაბიტებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ჩრდილო კავკასიაში ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებით. მათი ძირითადი საყრდენი იყო ჩეჩნეთის სოფლები ყარამახისი და ჩუბანმახი, მაგრამ ეს სოფლები რუსეთის არტილერიამ მიწასთან გაასწორა და ისინი სხვაგან გაიფანტნენ. გადარჩა მათი არქივის ნაწილი, სადაც ნათლად ჩანს, რას ფიქრობენ ვაკაბიტები ვაკაბიზმზე და რა გეგმები ამოძრავებთ. მათი უმთავრესი იდეაა ღმერთის ანუ ალაჰის ერთიანობის უმკაცრესი და განუხრელი დაცვა. "ჭეშმარტი" ვაკაბიტებისათვის არ შეიძლება არსებობდეს სხვა რელიგიები და ღმერთები, გარდა ალაჰისა - სხვა რწმენა დანაშაულია და სასტიკად ისჯება. ვაკაბიტები არ თვლიან მუჰამედს, ანუ წინასწარმეტყველს ალაჰის მოციქულად, მით უფრო ღმერთად, რომ არაფერი ვთქვათ სხვა წმინდანებზე. ვაკაბიზმი მიზნად ისახავს ისლამის გაწმენდას ყოველგვარი სიახლისაგან, ამას "ბიდა" ეწოდება და იგი შორსაა პოლიტიკისაგან. ებრძვიან ერეტიკულ სიახლეებს, და უმკაცრესად სჯიან ყოველგვარ გადახრებს ვაკაბიზმისაგან. არ შეიძლება ადამიანმა დაბადების დღე იდღესასწაულოს, აკრძალულია მეგობრისა და ქანდაკებების დადგმა, თუ ასეთი გააკეთე, შენ უკვე ერეტიკოსი, მოღალატე ხარ და მკაცრად უნდა დაისაჯო.

აქედან მოდის ვაჰაბისტების კარჩაკეტილობა და პატარ-პატარა აგრესიულ თემებად დაყოფა, მათი ქმედებების უმკაცრესი რეგლამენტირება მარგილობა-აქედან ნაკარნახევია ვაჰაბისტების ფანატიკური თავგანწირულობაც მთის აულებსა და სოფლებში, როცა მხოლოდ გწამს ჯიუტურად შენი რწმენა და პათოლოგიურად გმულს მოწინააღმდეგე, მზად ხარ ეწამო, იტანჯო, მოკვდე კიდევ რწმენისათვის, რაც საბოლოოდ ღმერთის სამოთხეში მიგიყვანს. ეს მტკიცედ სწამს ნებისმიერ ვაჰაბისტს და "ნეტარობს", ვინაიდან იცის, რომ სწორად იქცევა. მართლმადიდებლობა მათთვის დაუძინებელი მტერია და მზადაა ყოველ წუთს გაანადგუროს იგი. მათი აზრით, კანონებს მხოლოდ ალაჰი გამოსცემს. ადამიანისათვის კანონშემოქმედების მინიჭება დიდი მკრეხელობაა და სასტიკად უნდა დაისაჯოს, ე.ი. ასეთი ადამიანი უნდა მოკვდეს.

მათთვის სრულიად მიუღებელია ისეთი ცნებები, როგორცაა მარქსიზმი, სოციალიზმი, კომუნიზმი, ათეიზმი, დემოკრატია და ა.შ. ვაჰაბისტებს ეკრძალებათ ყველა სხვა რწმენის ადამიანისათვის მხარდაჭერა და დახმარება. აკრძალულია იმაზე საუბარი და ბჭობა, რომ შესაძლებელია სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფა. ეს უნდა დაისაჯოს და ამას ალაჰი არასდროს გაპატიებს. აქედან ცხადია, რომ ვაჰაბისტები არ არიან რაღაც აბსტრაქტული ისლამური ფუნდამენტალიზმის მომხრენი და სხვათა რელიგიების შემწყნარებლები. პირიქით! მათ სურვილი არ აქვთ მშვიდობიანად იცხოვრონ საერო ხელისუფლებასთან და სხვა რელიგიებთან. ვაჰაბისტებს ევალებათ კეთილმეზობლური შემწყნარებლობა გამოიჩინონ მხოლოდ თავისიანებთან ე.ი. მუსულმანებთან, ე.ი. ვაჰაბიზმის ამლიარებლებთან, რომლებიც აღიარებენ მხოლოდ შარიათით ალაჰის ხელისუფლებით!- დაშვებულ ცხოვრების წესებს, ხოლო ის, ვინც არღვევს შარიათის კანონებს, უნდა გაუსწორდე სიძულვილით, მოეკიდო როგორც მოსისხლე მტერსა და აწარმოო მის წინააღმდეგ ჯლჰადი, ანუ საღვთო ომი, რაც ნებისმიერი ვაჰაბისტისათვის ძირითადი საპატიო მოვალეობაა, რელიგიის დაცვის მწვერვალია, მოწოდებაა, რომ აწარმოო ომი ნებისმიერი საშუალებით.

ვაჰაბიზმი ითვალისწინებს ომში ბავშვების აქტიურ მონაწილეობასაც. "მალა-სროლაშია!.." ქადაგებენ ისინი, ბავშვებს კი შეუძლიათ იარაღი აიღონ და დაუმიზნონ, ესროლონ, ხოლო თუ ბავშვებს მოკლავენ - მერე რა, ისინი ხომ ბოლოს ალაჰის სამოთხეში მოხვდებიან - ამტკიცებენ ვაჰაბისტები. აი, საიდან მოდის მათი ფანატიკური თავგანწირვა და საშინელი სისასტიკე. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ სროლის სწავლა უნდა იყოს ვაჰაბისტის ძირითადი სწავლა და სინანულით ქადაგებენ, რომ ახალგაზრდებს ტვინს უწყალებენ ისეთი თეორიებით, რომლებიც ვაჰაბიზმისათვის სრულიად უსარგებლოა. იმის მაგივრად, რომ იარაღი და სროლა შეასწავლონ, სისულელეებით უჭედავენ თავს.

ვაჰაბისტები სრულიად კანონიერად თვლიან ადამიანის გატაცებას გამოსყიდვის მიზნით და აქ ყურანს იშველიებენ. ისინი აცხადებენ: "მას შემდეგ,

რაც ალაჰმა მაჰმადს ისლამის რელიგია აჩუქა, უქმდება ყველა სხვა რელიგია და ადამიანმა მთელ დედამიწაზე - ვინც არ უნდა იყოს იგი უნდა იწამოს ახალი, უკანასკნელი და დასრულებული რელიგია ალაჰისა - ვაჰაბიზმი", წინააღმდეგ შემთხვევაში იგი "კაფირად" ანუ მოღალატედ ცხადდება და მოელის სამუდამო სატანჯველი ჯოჯობეთში!

თავი VI. გლობალური პოლიტიკა-სახელმწიფოთა მიერ ტერორიზმის მხარდაჭერა

ტერორიზმი ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომლის წინაშეც კაცობრიობა დგას, უქმნის რა საფრთხეს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას. ბევრი ქვეყანა დამოუკიდებლად თუ ერთობლივი ძალისხმევით ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას, თუმცა მნიშვნელოვანი წინსვლა ნამდვილად არ არის, რაც მთელი რიგი მიზეზებით არის განპირობებული. სახელმწიფოები არა მხოლოდ იბრძვიან ტერორიზმის წინააღმდეგ, არამედ ზოგჯერ ჩართულებიც კი არიან მასში, იყენებენ რა მას საკუთარი ინტერესებისთვის, როგორც პოლიტიკურ იარაღს. ბრიუს ჰოფმანი მასზე ამბობდა, რომ მომავალში იგი გახდებოდა ერთ-ერთი ეფექტური გზა ძლიერი მეტოქისათვის ფარული ომის საწარმოებლად, მეზობელი სახელმწიფოს ან რეჟიმის დასამხობად. ტერორიზმში სახელმწიფოს ჩართულობა სხვადასხვა დონეზე ხდება.

ბოზ გარნერი გამოყოფს სახელმწიფოს ტერორიზმში ჩართულობის სამ დონეს: სახელმწიფოები შეიძლება მხარს უჭერდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებს, უშუალოდ მონაწილეობდნენ მასში ოპერაციების ინიცირებითა და მართვით მათი საკუთარი ინსტიტუტების გარეთ არსებული ტერორისტული დაჯგუფებების საშუალებით ან ახორციელებდნენ ტერაქტებს საზღვარგარეთ თავიანთი ოფიციალური შენაერთების საშუალებით, რათა ამა თუ იმ პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიონ ამ ქვეყნებთან ომის გამოცხადებისა თუ სხვა პირდაპირი დაპირისპირების გარეშე. ტერორისტული ორგანიზაციებისათვის სახელმწიფოთა მხარდაჭერა, რაც სხვადასხვანაირად გამოიხატება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და სრულიადაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ბევრი ტერორისტული ორგანიზაცია სახელმწიფოთა მხარდაჭერის გარეშე დიდხანს ვერ იარსებებდა. ორმხრივი დაინტერესება კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ამ კავშირს და ართულებს ტერორიზმთან ბრძოლას. საერთაშორისო საზოგადოება ხშირად ავლენს თანამშრომლობისა და კოორდინაციის ნაკლებობას, ასევე ერთჯერადი საპასუხო ქმედებებით შემოიფარგლება და სხვა მრავალი მიზეზია, რაც პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს.

სახელმწიფოს მიერ ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა მის მიერ ტერორიზმში მონაწილეობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და საგანგაშო ფორმაა. სახელმწიფოს მიერ ტერორიზმის მხარდაჭერაში იგულისხმება, მის მიერ სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის ხელის შეწყობას ფინანსური, სამხედრო დახმარებით, იდეოლოგიური მხარდაჭერითა და ა.შ. სამხედრო დახმარება გულისხმობს როგორც ტერორისტული ორგანიზაციების წევრებისათვის საწვრთნელი ღონისძიებების განხორციელებას მათი საბრძოლო უნარ-ჩვევების გამომუშავება-განვითარების მიზნით, ისე იარაღის მიწოდებას. ასევე ქვეყნებმა შეიძლება შესთავაზონ მათ უსაფრთხო თავშესაფარი, როგორც თავიანთ ტერიტორიაზე, ასევე თავიანთ საელჩოებში სხვადასხვა ქვეყნის

ტერიტორიაზე. ზაიმენის მიხედვით, უსაფრთხო თავშესაფარი წარმოადგენს დახმარების ყველზე მნიშვნელოვან ფორმას, რადგანაც ეხმარება საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მის წევრებს გადარჩენაში. მათ ასევე შეუძლიათ საშუალება მისცენ ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომ განათავსონ თავიანთი ბაზები მათ ტერიტორიებზე, ასევე შეუძლიათ უზრუნველყონ ტერორისტული ორგანიზაციების წევრები ყალბი დოკუმენტაციით, რომელსაც გამოიყენებენ გადაადგილებისათვის თუ ფინანსური ტრანსაქციებისა და იარაღის შესყიდვისათვის. ეს და კიდევ სხვა მრავალი სახით შეუძლიათ სახელმწიფოებს ხელი შეუწყონ ტერორისტულ ორგანიზაციების საქმიანობას.

წლების განმავლობაში ტერორიზმი ითვლებოდა ტერორისტულ დაჯგუფებებს ან ორგანიზაციებს და სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებად. თუმცა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სიტუაცია შეიცვალა, რადგანაც სახელმწიფოებმა დაიწყეს ტერორისტული ორგანიზაციების გამოყენება თავიანთ ეროვნული ინტერესებისათვის. თუ ადრე ტერორიზმი წარმოადგენდა „სუსტის იარაღს“, იყენებდნენ რა მას ეთნიკური უმცირესობები, განმათავისუფლებელი მოძრაობები თუ რევოლუციური ორგანიზაციები, ბოაზ განორის აზრით, დღეს ტერორიზმი გახდა სახელმწიფოებისა და სუპერძალების იარაღი. სახელმწიფო უზრუნველყოფს თავისი ბენეფიციარი ტერორისტული ორგანიზაციისათვის ფინანსურ დახმარებას, პოლიტიკურ მხარდაჭერას და სხვა ნებისმიერ სახის დახმარებას, რაც კი საჭიროა, რომ ამ ორგანიზაციამ შეინარჩუნოს და გააფართოვოს ბრძოლა იქამდე, სანამ მისი მიზნები არ იქნება მიღწეული. რეი ქლაინისა და იონა ალექსანდერის მიხედვით, სახელმწიფოთა მიერ ტერორიზმის მხარდაჭერა ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას ისეთი გარემოებების არსებობის დროს, როდესაც შეიარაღებული ძალების გამოყენება არის არაეფექტური, ზედმეტად სარისკო და რთული. გარდა ამისა, დღეს ომის წარმოება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, არსებობს დამარცხების საფრთხე და სურვილი, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ აგრესორად არ აღიქვას.

კენ დუნქანი ბოაზ განორისაგან განსხვავებით სახელმწიფოთა მიერ ტერორიზმის მხარდაჭერას საკუთარი მიზნების მისაღწევად არ მიიჩნევს თანამედროვე მოვლენად და თვლის, რომ მსგავსი მოვლენები 2 საუკუნის წინაც არსებობდა. და თანაც სახელმწიფოები, რომლებიც იმ დროს ტერორიზმს უჭერდნენ მხარს, იმდროინდელ ლიბერალ დემოკრატებს წარმოადგენდნენ. მას მაგალითად მოჰყავს მე-19 საუკუნის დასაწყისში როიალისტების კონტრ-რევოლუციური ბრძოლა ნაპოლეონ ბონაპარტის წინააღმდეგ. დიდ ბრიტანეთს სურდა, რომ ბურბონების მმართველობა კვლავ აღმდგარიყო საფრანგეთში, ამიტომაც აქტიურად უჭერდა მხარს როიალისტებს, მათი აჯანყების გაძლიერებასა და მათ მიერ ჩადენილ პოლიტიკურ მკვლევლობებს. დიდი ბრიტანეთი გამართლება იმ არგუმენტით, რომ ის აჯანყებას უჭერდა მხარს და არა ტერორიზმს არასწორია, რადგანაც აჯანყებულთა მხარე ბძოლის დროს გარკვეულ წესებს იცავს

ტერორისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც არანაირ შეზღუდვებს არ ემორჩილებიან. როიალისტების კი ბრძოლის დროს ტერორისტულ ტაქტიკას აქტიურად იყენებდნენ.

სახელმწიფოთა მიერ ტერორიზმის მხარდაჭერა აახლოებს ერთმანეთთან სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს, თუნდაც მათ შორის იდეოლოგიური კავშირი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. საბჭოთა კავშირი ითვლებოდა ერთ-ერთ პირველ სპონსორად ტერორისტული ორგანიზაციებისა, ის მათ ეხმარებოდა პირდაპირ ან სატელიტი ქვეყნების დახმარებით. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება კლიენტ ქვეყნებს აქეზებდა, რომ ტერორისტული ორგანიზაციების წევრებისათვის წვრთნები ჩატარებინათ, დახმარებოდნენ ფინანსურად ან უშუალოდ მათი ოპერაციების განხორციელებაში შეეტანათ წვლილი. ის ერთდროულად ეხმარებოდა იაპონელთა წითელ არმიას, პალესტინურ ტერორისტულ დაჯგუფებებს, ირლანდიის რევოლუციურ არმიას და ა.შ. ასევე ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კორეაში, რომელიც სსრკ-ს მთავარ მოკავშირეს წარმოადგენდა, 5000-მდე ტერორისტული ორგანიზაციის წევრი გადიოდა წვრთნებს. ეს არის მცირე ჩამოთვალი იმისა, თუ როგორ იყო ჩართული საბჭოთა კავშირი ტერორისტულ საქმიანობაში, რომელსაც იყენებდა საკუთარი ეროვნული ინტერესების მისაღწევა ცივი ომის პერიოდში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მისი ადგილი ირანმა დაიკავა და თუ გავითვალისწინებთ ტერორისტულ საქმიანობაში მის მონაწილეობის მასშტაბებს, შეიძლება ვთქვათ ფეკლებების დინასტიის მმართველობის დასრულების შემდეგ ირანი პირველობას არავის უთმობს ამ საკითხში. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია მისი ურთიერთობა ჰეზბოლასთან, რომლის დაარსებაში აიათოლა ხომეინმა დიდი როლი ითამაშა და მას შემდეგ მათ შორის მჭიდრო ურთიერთობა არსებობს. ირანი ჰეზბოლას ყოველწლიურად 70-100 მილიონ დოლარს აძლევს, უზრუნველყოფს შეიარაღებითაც და მხარს უჭერს ყველანაირად მის ოპერაციებს საერთაშორისო არენაზე. რაც შეეხება ირანის ინტერესს, ჰეზბოლას საშუალებით ის ცდილობს თავისი მიზნების მიღწევას საერთაშორისო და რეგიონულ არენებზე და ასევე მის მთავარ იარაღს წარმოადგენს ისრაელთან არაბულ კონფლიქტში. რეგიონში ირანის მთავარი მოკავშირე-სირია ასევე მთავარი სპონსორია მისთვის. სირია უწევს მას ფინანსურ დახმარებას, ეხმარება იარაღითა და ასევე მის პოლიტიკურ ზურგსაც წარმოადგენს. ბევრი კონფლიქტური სიტუაციის მიუხედავად სირიასა და ჰეზბოლას შორის მაინც გძელდება თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად, რაშიც მათ ირანი ეხმარება. აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ირანს უწოდა „მსოფლიოში ტერორის მთავარი სპონსორი სახელმწიფო“. ირანი ჰეზბოლას გარდა მხარს უჭერს ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს, როგორც არის ჰამასი, პალესტინური ისლამური ჯიჰადი და ალ-მადის არმია.

პაკისტანი ითვლება ასევე ტერორიზმის ერთ-ერთ მთავარ მხარდამჭერად, მიუხედავად იმისა, რომ პაკისტანის მთავრობა უარყოფს ამას. ინდოეთი,

ავღანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, აშშ, კანადა მას ადანაშაულებენ კაშმირსა და ავღანეთში ტერორისტულ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობაში. 2008 წლის ბრუკინგის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევებით პაკისტანი იყო ყველაზე აქტიური მხარდამჭერი იმ ტერორისტული დაჯგუფებებისა, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდნენ. არსებობს საფუძვლიანი ბრალდება მის მიმართ, რომ იგი ჯამუსა და კაშმირის განმათავისუფლებელი ფრონტის მთავარი სპონსორია. იგი ეხმარება მას იარაღით, ფინანსებით და ასევე ატარებს მათთვის საწვრთნელ ღონისძიებებსაც. თუმცა იგი უარყოფს ამას და ამბობს, რომ პაკისტანი მხოლოდ პოლიტიკურად და მორალურად უდგას უჭერს მხარს კაშმირის განთავისუფლებას ინდოელთა მმართველობისაგან. ასევე, მას ხშირად ადანაშაულებენ თალიბანის მხარდაჭერაში, რომლის წევრებიც გაერომ ტერორისტებად აღიარა. გაერო ცდილობს, რომ აიძულოს პაკისტანი აკონტროლოს ავღანეთის საზღვარი და თალიბანის ლიდერების მოქმედებები და საქმიანობა შეზღუდოს, თუმცა ამას შედეგი ჯერ არ გამოუღია. სხვა მხრივ რომ არ ეხმარებოდეს პაკისტანი ავღანეთის ტერორისტულ დაჯგუფებებს, ზემოხსენებულის გამო ტერორიზმის პასიურ მხარდაჭერაში მაინცაა დამნაშავე. თუმცა პაკისტანში დღეს თალიბანის მთავარი საწვრთნელი ბაზაა და ასევე მთავარი თავშესაფარი მისი წევრებისათვის. ასევე ცნობილი ფაქტია, რომ თალიბანის ლიდერებს „მეგობრები“ ჰყავთ პაკისტანის მთავრობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ალ-ქაედას ლიდერი - ოსამა ბინ-ლადენი სწორედ იქ იქნა მოკლული 2011 წელს. დანიელ ბაიმანი მას ასევე ყველაზე აქტიურ ტერორიზმის მხარდამჭერ ქვეყნად მიიჩნევს. ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნის მისეული განმარტება ყველაზე უკეთ აღწერს პაკისტანის საქმიანობას კაშმირში. დანიელ ბაიმენისაზრით, სახელმწიფოები ეხმარებიან ტერორისტულ ორგანიზაციებს, რათა ხელი შეუწყონ მეამბოხეთა მოძრაობის გაძლიერებას, დაეხმარონ მათ პარტიზანულ ბრძოლასა და ტერორისტული თავდასხმების განხორციელებაში. იგი უჭერს მხარს კაშმირის გამოყოფას ინდოეთისაგან და ეს საუკეთესო სტრატეგიაა მიზნის მისაღწევად.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოები აქტიურად არიან ჩართულნი ტერორიზმში, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ბევრი წინააღმდეგობა ხვდებათ. საინტერესოა, რა განაპირობებს ამას. ბოაზ განორის აზრით, სახელმწიფოს მიერ ტერორიზმში მონაწილეობა მის მიერ საკითხის რაციონალური განხილვის შედეგია. სახელმწიფო ადარებს ერთმანეთს იმ დანაკარგებს, რასაც მოუტანს მას ტერორისტული ორგანიზაციებისათვის მხარდაჭერა, და იმ სარგებელს, რასაც მიიღებს ამგვარი პოლიტიკის გატარებით და მხოლოდ ამის შემდეგ წყვეტს, როგორ მოიქცევა. აღსანიშნავია, რომ ტერორიზმში ჩართული სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, არადემოკრატიული სახელმწიფოები არიან, რომლებიც ერთპიროვნულად იმართებიან ან მცირერიცხოვანი ელიტით. მათ

გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს ისეთი ცვლადები, როგორცაა იდეოლოგია, რელიგია, ემოცია, რაც დასავლურ საზოგადოებაში ნაკლებ რაციონალურად შეიძლება იქნას მიჩნეული, ასეთ ქვეყნებში კი დიდი გავლენა აქვს. ასე რომ, ქვეყნის მმართველი განსაზღვრავს რა მიზნების მიღწევა უნდა და შემდეგ განიხილავს, თუ რის დათმობა მოუწევს სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სულ უფრო აქტიურად მონაწილეობა შეიძლება უნდოდეს ტერორიზმში, იგი აანალიზებს, რომ დანაკარგებიც იზრდება და როდესაც იმ ზღვარს მიაღწევს, რომლის იქითაც დანაკარგი მოგებას გადააჭარბებს, იგი იძულებულია შეზღუდოს თავისი ტერორისტული საქმიანობა. სახელმწიფოს მიერ ტერორიზმის მხარდაჭერით მიღებული ზარალი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. აქედან გამომდინარე საუკეთესო სტრატეგია ტერორიზმთან ბრძოლის არის მისი მხარდაჭერსათვის სახელმწიფოების დანაკარგების გაზრდა. დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ სახელმწიფოები, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორისტულ ორგანიზაციებს მიზნების მიღწევაში სხვადასხვა დონეზე, შეეჩვივნენ და შეეგუენ არსებულ დანაკარგებს, ამაზე მიუთითებს პრობლემის აქტუალობა, ამიტომაც საჭიროა უფრო ქმედითი ზომების მიღება.

ტერორიზმი აღარ წამოადგენს კონკრეტული ქვეყნების პრობლემას საკითხს აქვს ბევრი საერთაშორისო ასპექტი. ტერორისტული ორგანიზაციები შეიძლება ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეები არ ჰყავდეთ მიზანში, მიუხედავად ამისა, სხვა ქვეყანაში ტერაქტმა სრულიად შემთხვევით შეიძლება შეიწიროს ისინი. ტერორისტული ორგანიზაციების დიდ უმრავლესობას აქვს შტაბები, ოფისები, საწვრთნელი ბაზები სხვადასხვა ქვეყნებში და არაერთ არალეგალურ საქმიანობაში არიან ჩართულნი, რაც ზარალს აყენებს ადამიანთა უსაფრთხოებას, თუნდაც ეს ადამიანები მათ სამიზნეებში არ შედიოდნენ. ასევე მათ აქვთ მხარდაჭერა და დახმარება სხვადასხვა ქვეყნებისაგან და მათი მცხოვრებლებისაგან. ასე რომ, ტერორიზმი გლობალურ საფრთხედ ჩამოყალიბდა, რაც საჭიროებს მასთან აქტიურ და კოორდინირებულ ბრძოლას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხში საერთაშორისო საზოგადოება მეტ-ნაკლებად თანამშრომლობს, მაინც არ არის ეს თანამშრომლობა ეფექტური რიგი მიზეზების გამო. საინტერესოა, ამ მიზეზების კვლევა-ძიება, რადგანაც პრობლემის არსის გაგების გარეშე ძნელია მისი გადაწყვეტა. ტერორიზმის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მიზნით ბევრი სადამსჯელო ზომები მიუღიათ, რომელთა ეფექტურად განხორციელებას ვერ მოხერხდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა ითვალისწინებდა მათ და შესაბამისად მოქმედებდა, ზოგჯერ კი იმით იყო განპირობებული, რომ შეესაბამებოდა გაეროს რეზოლუციებს, თუმცა წინააღმდეგობაში მოდიოდა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან. სახელმწიფოთა მიერ ტერორიზმის მხარდაჭერის წინააღმდეგ ბრძოლაში ნათლად აისახება საერთაშორისო არენაზე არსებული ის ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც არსებობს სუპერძალებსა და სახელმწიფოებს, სახელმწიფოთა ალიანსებსა და

ორგანიზაციებს, ლიგებს, ჯგუფებს შორის. ასევე კონტრ-ტერორისტული მცდელობები ქმნის კონფლიქტს უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ ინტერესებს შორისაც ქვეყნის შიგნით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქვეყანა აანალიზებს თუ რაოდენ დიდი ზიანის მიყენება შეუძლია მისთვის ტერორიზმს, ისინი მაიც თავიანთ ეკონომიკურ ინტერესებს ანიჭებენ ხოლმე უპირატესობას. საერთაშორისო საზოგადოების მიერ დაწესებული სადამსჯელო ზომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრი ქვეყანა უარს ამბობს, ტერორიზმთან ბრძოლას ეკონომიკური ინტერესები შესწიროს. ამ ტენდენციას ავლენს ირანის მიმართ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, მაგალითად, გერმანია, იტალია, საფრანგეთი, რომლებიც აშშ-ს ბევრი მცდელობის მიუხედავად ირანთან ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტას ეწინააღმდეგებიან. გერმანია ყოველწლიურად 1,737 მილიონი დოლარის ღირებულების საქონლის ექსპორტს ახდენს ირანში, საფრანგეთი 907 მილიონი დოლარისა, ხოლო იტალია კი 787 დოლარის. აქედან გამომდინარე ძნელია მათთვის მთავარ ეკონომიკურ პარტნიორზე უარი თქვან, მიუხედავად იმისა, რომ ირანს პირველი ადგილი უჭირავს ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებს შორის. სახელმწიფოები, რომლებიც უარს ამბობენ ტერორიზმის მხარდამჭერი სახელმწიფოების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებებში მონაწილეობაზე, თავიანთ პოზიციას ამართლებენ არა ეკონომიკური, არამედ სხვა არგუმენტით. ისინი ამტკიცებენ, რომ მსგავსი სანქციების შემოღება მდგომარეობას კიდევ უფრო გააართულებს, უბიძგებენ რა მათ უფრო ექსტრემალური, ძალადობრივი ტაქტიკის არჩევისაკენ. საუკეთესო პოლიტიკა, მათი აზრით, არის დიალოგი მხარეებს შორის, რითაც მათთან ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს შეინარჩუნებენ. ამ ე.წ. „ღია არხების“ საშუალებით ისინი შეეცდებიან ანტიტერორისტული პროპაგანდის წარმოებასა და ქვეყნებისათვის ტერორიზმის მხედდაჭერაზე ხელის აღებას. ამგვარი პოზიცია წარმოადგენს ოპორტუნიზმის საუკეთესო გამოხატულებას, რომელიც დავის კიდევ ერთი საგანი ხდება. რომლის ერთ მხარეს ის სახელმწიფოები დგანან, რომელთათვისაც უპირატესი არის ეკონომიკური ინტერესები, მეორე მხარეს კი ისინი, რომლებიც განსაკუთრებით მწარედ განიცდიან იმ საფრთხეს, ტერორიზმი რომ უქმნის საზოგადოებას. ამგვარი პოზიცია, რამდენად მომგებიანიც არ უნდა იყოს, მაინც დიდ საშიშროებას უქმნის მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას სრული უმოქმედობითა და დანაშაულებზე თავალის დახუჭვით. ეს კი კიდევ უფრო აძლიერებს ტერორისტულ ორგანიზაციებსა და მათ მხარდამჭერი ქვეყნების პოზიციას. სახელმწიფოები ასევე უარს ამბობენ სანქციების შემოღებაზე იმ არგუმენტით, რომ უსამართლო და ამორალური იქნება სანქციების დაწესებით ზარალის მიყენება მთელი მოსახლეობისათვის, რომელთა დიდი წილი სრულიად უდანაშაულოა. ასევე ისინი ამტკიცებენ, რომ ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოები ძირითადად ავტოკრატიული ან დიქტატორული რეჟიმის ქვეყნები არიან და საზოგადო აზრს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება

პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრისას, არადა სანქციების დაწესებით ყველაზე მეტად ისინი დაზარალებიან და ხელისუფლებაში მყოფ პირებს მაინც არაფერი არ მოაკლდებათ. ასევე გაჭირვება, უსამართლობა უფრო მეტად რადიკალურს გახდის მოსახლეობას და შეიძლება, რომ მათ ძალადობის სხვადასხვა ფორმით გამოხატონ თავიანთი პროტესტი. რაც არ უნდა ძლიერ არგუმენტად მოგვეჩვენოს ეს პოზიცია, მაინ არასწორია, რადგანაც სანქციები მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, რის გამოც ეს ქვეყანა ვეღარ შესძლებს დახმარებას ტერორისტული ორგანიზაციებისათვის, მოახმარს რა მთელი რესურსებსა და ძალებს ქვეყნის შიგნით წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტას. ასევე კონტრ-ტერორისტულ მცდელობებს ეწინააღმდეგებიან ის ქვეყნები, რომლებიც თვლიან რომ ის ამერიკას ეროვნული ინტერესია, თანაც ეგოისტური, ვინაიდან უნდა რომ სხვებს საკუთარ ინტერესებზე ხელი ააღებინოს საკუთარი მიზნების მისაწევად. ალბათ, ეს ყველაზე ნაკლებად დასაჯერებელი არგუმენტია, რომლითაც სანქციებისა და სხვა სადამსჯელო ღონისძიებების დაწესებაზე ამბობენ უარს, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტებისათვის მთავარი სამიზნე აშშ და მისი მოქალაქეები არიან, იგი მაინც გლობალური პრობლემაა და ყველა ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს. ამას გარდა, სახელმწიფოები, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორიზმს, შეეცდებიან სხვა სახელმწიფოთა გადმობირებას, რათა შეინარჩუნონ მათთან ეკონომიკური, კულტურული და დიპლომატიური ურთიერთობები ღიად ან საიდუმლოდ და ამისათვის მზად იქნებიან, რომ მათთვის თანამშრომლობა უფრო მომგებიანი გახადონ. ეს მათი მხრიდან იქნება ჭკვიანური სტრატეგია.

შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმი და სახელმწიფოთა მიერ მისი მხარდაჭერა სერიოზული გლობალური პრობლემაა, რომლის გადაჭრის გზაზე ბევრ სირთულეს ვაწყდებით. სახელმწიფოები სულ უფრო აქტიურად უწყობენ ხელს ტერორისტულ ორგანიზაციებსა და მათ საქმიანობას, იყენებენ რა მათ პირადი ინტერესებისათვის. როგორც ჩანს, ისინი ამგვარი სტრატეგიით ბევრად მეტს იგებენ, ვიდრე აგებენ, ამიტომაც პრობლემის გადაწყვეტას უახლოეს მომავალში ნაკლებად უნდა ველოდოთ, თუ ქვეყნების პრობლემისადმი დამოკიდულება არ შეიცვლება. ზემოთ განხილული მიზეზების გამო ტერორიზთან და მის მხარდამჭერ სახელმწიფოებთან ბრძოლა არაეფექტურია. ეს პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს, საჭიროა უფრო ქმედითი ზომების მიღება, რაც საერთაშორისო საზოგადოების ერთსულოვნებას, მეტ თანამშრომლობასა და კოორდინირებულ მოქმედებებს გულისხმობს. ასევე მათი კონტრ-ტერორისტული პოლიტიკა მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით არ უნდა შეიზღუდოს, საჭიროა მთელი რიგი სამართლებრივი, დიპლომატიური, ეკონომიკური და შეტევითი მოქმედებების განხორციელება, რაც ტერორიზმის მხარდაჭერით გამოწვეულ დანაკარგებს გაზრდის ქვეყნებისათვის და უბიძგებს მათ, რომ უარი თქვან ტერორისტული ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების დახმარებაზე. ტერორიზმი

გლობალური პრობლემაა, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას, ამიტომ ინტერესთა იერარქიაში მას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს, თუ ამას შეიგნებენ სახელმწიფოები, მაშინ პრობლემის გადაჭრას წინ ვეღარაფერი აღუდგება.

თავი VII ტერორისტების ფსიქოლოგიური მოტივები

7.1. აგრესია

სამყარო ჯერ კიდევ გაჯერებულია ომებით, ტერორიზმით, მკვლევლობებით, ადამიანების გატაცებებით, ბავშვების ძალადობრივი ხასიათის მქონე დასჯით და ა.შ. ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგვრჩეს, რომ აგრესია სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იშვიათია ადამიანი, რომელსაც არ განუცდია კრიტიკა, დაცინვა, არ მიუღია შენიშვნა, ან არ დაუკარგავს მოთმინება სხვისგან გაღიზიანებულს.

7.2. აგრესიის წყაროები

დგება საკითხი, რატომაა ადამიანი აგრესიული? რატომ შეუძლია ადამიანს იყოს ასეთი სასტიკი თავისივე მოდემის მიმართ? ეს საკითხი ყოველთვის იყო ადამიანების განსჯის საგანი. გამოითქვა მრავალი მოსაზრება, ხშირად ურთიერთ საწინააღმდეგოც. ამ აზრთა სხვადასხვაობაში მაინც მოხერხდა ამხსნელი თეორიების კლასიფიკაცია და გამოიყო აგრესიულობის სამი ბაზისური წყარო:

1. შინაგანი დეტერმინანტები;
2. გარეგანი პირობებით აღძრული მითხოვნილება;
3. არსებული სოციალური პირობა, მიმატებული ადრინდელი შექმნილი გამოცდილება.

აგრესია როგორც შინაგანი ტენდეცია: ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, ეთოლოგები, ფილოსოფოსები დიდი ხანია დაიბნევიან იმაზე აგრესიულობა არის თანდაყოლილი ფენომენი თუ შექმნილია გამოცდილებით. კამათი დღესაც გრძელდება. საკითხი ეხება იმას ადამიანი თავისი ბუნებით არის კეთილი თუ ბოროტი. ჯერ კიდევ ჟან ჟაკ რუსო თვლიდა, რომ ადამიანები თავიანთი ბუნებრივი მდგომარეობით არიან კეთილები, მაგრამ საზოგადოება თავისი აკრძალვებით თავს ახვევს მათ აგრესიას და ცოდვებს. ამის საწინააღმდეგოდ, ჩამოყალიბდა თეორიები, სადაც უხეშობა და აგრესიულობა ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობადაა მიჩნეული, ხოლო საზოგადოება თავისი კანონებით და წესებით ახდენს ადამიანის ინსტინქტური აგრესიულობის მოთოკვას, მის სუბლიმირებას. ასეთ ცნობილ ინსტინქტ თეორიას წარმოადგენს ფროიდის ფსიქოანალიზური თეორია, ლორენცის თეორია და მაკდაუგოლის ფსიქოლოგიური თეორია.

ზ. ფროიდის აზრით ადამიანის საფუძვლებში დავს ორი ბაზისური ინსტინქტი ეროსი და თანატოსი –სიცოცხლის და სიკვდილის ინსტინქტი. მისი აზრით აგრესიულობის საფუძვლები სიკვდილის ინსტინქტში უნდა ვეძებოთ. როცა სიკვდილის ინსტინქტი მიმართულია შიგნით, ის ვლინდება თვით-დასჯის, თვით-დარღვევის ფორმით, რომლის უკიდურესი გამოხატულება

თვითმკვლელობაა. როცა ეროსის გავლენით სიკვდილის ინსტინქტი მიმართულია გარეთ, ის ვლინდება სხვებისადმი მტრობის, სხვათა მკვლელობის ფორმით. ფროიდს მიაჩნია, რომ აგრესიის ენერგია რაღაც ფორმით უნდა გამოვლინდეს, ანუ უნდა მოხდეს მისი განტვირთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი დაგროვება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი ფსიქიკური დარღვევები. ამიტომ მის თეორიას უწოდებენ აგრესიის “ჰიდრავლიკურ თეორიას”, რომელიც დახურულ ქვაბში დუღილის მსგავსად მოქმედებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ აგრესიას არ მიეცა გამოვლენის საშუალება, ადრე თუ გვიან “აფეთქდება.” შესაბამისად, ფროიდის აზრით საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქცია მდგომარეობს იმაში რომ მოახდინოთ ამ ენერგიის რეგულირება, დაეხმაროს ადამიანს მოახდინოს ამ ენერგიის სუბლიმირება, დამანგრეველი ენერგია მიმართოს საზოგადოებისათვის სასარგებლო ქცევის განხორციელებისაკენ.

ლეონარდ ბერკოვიცს, ადამიანური აგრესიის ერთერთ წამყვან სპეციალისტს, მიაჩნია, რომ ადამიანი არსებითად იმით განსხვავდება არაადამიანური არსებისაგან, რომ ადამიანის აგრესიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასწავლა. მისი აზრით, ადამიანურ დონეზე აგრესია წარმოადგენს თანდაყოლილი მიდრეკილებების და დასწავლილი რეაქციების ურთიერთქმედების რთულ ფუნქციას.

განვითარების ევოლუციური თეორიის მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს ახალი მეცნიერება ე.წ. სოციობიოლოგია, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ლორენცის ინსტინქტ თეორიას და განსხვავებულ ბიოლოგიურ იდეებს. სოციობიოლოგები ამტკიცებენ, რომ სოციალური ქცევის ყველა ასპექტი, მათ შორის აგრესია, შეიძლება აიხსნას ევოლუციური თეორიის პოზიციებიდან. სოციალური ფსიქოლოგიის მრავალი წარმომადგენელი ეთანხმება სოციობიოლოგიის აქ წარმოდგენილ მოსაზრებას, მაგრამ ზოგიერთი მაინც ვარაუდობს, რომ ასეთი მიდგომა ვერ მოგვცემს სრულ სურათს ადამიანური აგრესიის მიზეზების შესახებ. მიაჩნიათ, რომ ადამიანური აგრესია ბევრად უფრო რთული ფენომენია, და ხშირად განსხვავებული სოციალური კონტექსტის გავლენას განიცდის. ამიტომ ასკვნიათ, რომ სოციობიოლოგიური მიდგომა ვერ მოგვცემს ადამიანური აგრესიის სრულ გაგებას. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბიოლოგია უმნიშვნელო როლს თამაშობს ადამიანური აგრესიის გაგებაში. დადასტურებულად ითვლება, რომ ფიზიკურ აგრესიაზე გავლენას ახდენს მამაკაცის სექსუალური ჰორმონი ტესტოსტერონი. გავლენას ახდენს აგრეთვე სისხლში შაქრის რაოდენობა და ა.შ. მტკიცდება აგრეთვე გენეტიკური ფაქტორების მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, როგორც არ უნდა იყოს აგრესიის გენეტიკური და ბიოქიმიური წანამდღვრები, ამკარაა, რომ ადამიანების აგრესიის გამოვლენის ფორმებზე, პირველ რიგში, გავლენას ახდენს სოციალური ფაქტორები.

აგრესია როგორც შეძენილი ქცევა: ადამიანური აგრესიის მეოთხე თეორიულ პერსპექტივას წარმოადგენა ე.წ. სოციალური დასწავლის თეორია. ამ თვალსაზრისის მხარდამჭერები (ბანდურა, ბერკოვიცი, ბერონი) ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ აგრესია, პირველ რიგში, განიხილება როგორც სოციალური ქცევის ფორმა. ინსტინქტთეორიის ცენტრალური დაშვების წინააღმდეგ, ეს მიდგომა ამტკიცებს, რომ ადამიანი არ იბადება აგრესიული რეაქციების ფართე არეალების დისპოზიციით. ქცევის აგრესიულ ფორმებს ისინი განიხილავენ როგორც ქცევის შეძენილ ფორმებს და მათი დასწავლა ხდება ასევე, როგორც ნებისმიერი სხვა რამის დასწავლა. ამ თვალსაზრისის თანამედროვე მხარდამჭერები უფრო შორს მიდიან და უშვებენ, რომ აგრესიის ბუნების სრულყოფილად გასაგებად საჭიროა გვექონდეს ინფორმაცია სამ ბაზისურ საკითხზე:

1. მანერა, რომელშიც ასეთი ქცევაა შეძენილი;
2. ჯილდო და დასჯა, რომელიც მოქმედებს მის შესრულებაზე;
3. სოციალური და გარემოსეული ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენენ მოცემულ კონტექსტში მის შესრულებაზე.

განსხვავებით სხვა თეორიებისაგან, სოციალური დასწავლის თეორია აგრესიის საფუძვლად არ განიხილავს ერთ ფაქტორს ან ფაქტორების მცირე რაოდენობას. დასწავლის თვალსაზრისი უშვებს, რომ აგრესიული ქცევის საფუძველს წარმოადგენს ფაქტორების მთელი წყება და ამ ფაქტორებს შორის რთული ურთიერთობა, კერძოდ: აგრესიის წარსული გამოცდილება (რა აგრესიული ქცევაა წარსულში შეძენილი? რა არის დასწავლილი ასეთი ქცევების გამოყენების შესახებ?); მიმდინარე პირობები რომლებიც განაპირობებენ აგრესიის როგორც წახალისებას ისე დასჯას; მრავალი სოციალური, კოგნიტური და გარემოსეული ცვლადები რომლებსაც ტენდენცია აქვთ როგორც აგრესიის აღძვრისა ისე შეკავებისა. როგორც ვხედავთ, სოციალური დასწავლის თვალსაზრისი არის უფრო რთული ვიდრე აგრესიის სხვა პერსპექტივები, მაგრამ მიუთითებენ მის ორ მნიშვნელოვან უპირეტესობაზე: 1. ის არის უფრო ცხოვრებისეულად გამოცდილი და ამდენად უფრო ზუსტი ვიდრე სხვა მიდგომები; 2. აგრესიის არიდებისა და კონტროლის თვალსაზრისით ის უფრო ოპტიმისტურია. ბოლოსდა ბოლოს, ამ თვალსაზრისით ქცევა არის შეძენილი და ამდენად ღიაა მოდიფიცირებისა და შეცვლისადმი. ყოველივე ამის გამო აღნიშნული მიდგომა მხარდაჭერას პოულობს ფსიქოლოგებისგან

7.3. აგრესიის გადამდებობა და დეინდივიდუაცია

მიბაძვითი აგრესიის თავისებურ ფორმას წარმოადგენს აგრესიის გადამდებობა (ინფექცია), რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კრიმინალურ და ბრბოს ქცევაში. ფრანგი სოციოლოგი ტარდი ლაპარაკობს ძალადობის გადამდებ ბუნებაზე იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ეფექტური კრიმინალის განხორციელების

შესახებ ცნობას მოჰყვება მისი მიზანძვის მთელი ტალღა. აგრესიულობის გადამდებობის მაგალითად განიხილება აგრეთვე ბრბოს ქცევა. ზიმბარდომ ამ ფენომენს უწოდა დეინდივიდუაცია და ივარაუდა მისი გამომწვევი ფაქტორების არსებობა: ანონიმურობა, პასუხისმგებლობის დიფუზია, ჯგუფის სიდიდე, ქცევის ხასიათი, ახალი არასტრუქტურირებული სიტუაცია, ხმაური და დაღლილობა. მაგ. ომებში ძალადობის განსაკუთრებით მკაცრი ფორმების გამოყენებისას პრიმიტივები დეინდივიდუაციის ისეთ საშუალებებს იყენებდნენ როგორცაა მასკები, სახის და სხეულის შეღებვა, სპეციალური ტანსაცმელი. დაახლოებით ასევე აკეთებდნენ მეოცე საუკუნეში თეთრკანიანები, როცა ახდენდნენ შავკანიანების ლინჩირებას. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, რომ ნამდვილად იწვევენ დეინდივიდუაციას დადასტურდა ექსპერიმენტული გამოკვლევებით. ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა დასწავლის პროცედურა, სადაც ხდებოდა ელექტრო შოკის გამოყენება. ექსპერიმენტულ სიტუაციაში, რათა გამოეწვიათ დეინდივიდუაცია, სუბიექტებს არ მიმართავდნენ სახელებით, სუბიექტებს ეუბნებოდნენ, რომ ექსპერიმენტატორისთვის არ იქნებოდა ცნობილი თუ რა ინტენსიობის ელექტრო შოკი იქნებოდა გამოყენებული, რომ თავიანთ “მსხვერპლს” არასოდეს შეხვდებოდნენ. “მსხვერპლის” მდგომარეობაზე მთელ პასუხისმგებლობას თავისთავზე იღებდა ექსპერიმენტატორი. ოთახი სადაც ტარდებოდა ექსპერიმენტი სუსტად იყო განათებული. ხოლო ექსპერიმენტულ სიტუაციაში სადაც არ იყო განზრახული დეინდივიდუაციის გამოწვევა, სუბიექტებს მიმართავდნენ სახელებით, მკერდზე მიმაგრებული ჰქონდათ ნიშანი მათი საკუთარი სახელებით, ექსპერიმენტატორი ამჟღავნებდა ინტერესს თუ რა სიძლიერის ელექტრო შოკს გამოიყენებდა სუბიექტი, ამასთან სუბიექტებს ეუბნებოდნენ, რომ ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ ისინი შეხვდებოდნენ თავიანთ მსხვერპლს და რომ მსხვერპლის კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ სუბიექტებს. ოთახი კარგად იყო განათებული. აღმოჩნდა, რომ დეინდივიდუაციის გამომწვევ ექსპერიმენტულ სიტუაციაში სუბიექტები იყენებდნენ გაცილებით ძლიერ ელექტრო შოკს, ნაკლებ კონტროლს უწევდნენ იმპულსებს და უგულბებელყოფდნენ მსხვერპლის, ექსპერიმენტატორის და ჯგუფის სხვა წევრების რეაქციებს. მკვლევარები მიუთითებენ, რომ დეინდივიდუაციას ჩვეულებრივ თან ახლავს დეჰუმანიზაცია. აღმოჩნდა, რომ როცა ადამიანები ამა თუ იმ მიზეზით ახორციელებენ აგრესიულ ქცევას სხვის მიმართ, ისინი იწყებენ თავიანთი მსხვერპლის დეჰუმანიზირებას იმით, რომ აგრესიის ობიექტს მიაწერენ განსხვავებულ ღირებულებებს და რწმენებს.

7.4. ანომია

ანომია არის საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით, ან მათ

მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით. ეს ცნება პირველად გამოიყენა დიურკემმა შრომაში „თვითმკვლელობა“ (1897), რათა აღწერა ისეთი საზოგადოება, რომელშიც ინდივიდებს არა აქვთ, ან არ ცნობენ არანაირ მყარ სახელმძღვანელო პრინციპებს იმ გზების შესახებ, თუ როგორ მოექცნენ ერთმანეთს. ასეთი უნორმოზა, დიურკემის აზრით, დამახასიათებელია მისი თანამედროვე (არატრადიციული) საზოგადოებებისათვის, რომლებშიც დომინანტურია ინდივიდუალიზმის პრინციპი და იკარგება კოლექტიური ცნობიერების, სოციალური სოლიდარობის პრიმატი. ამ პირობებში აქცენტი კეთდება კერძო, ეგოისტური სურვილების დაკმაყოფილებაზე სავალდებულო (საყოველთაო) ნორმების გათვალისწინების გარეშე. როდესაც შეუზღუდავი სურვილების დაკმაყოფილებისათვის რესურსები მწირია, ეს ინდივიდს უბედურს ხდის და თვითმკვლელობისაკენ უბიძგებს. მაშასადამე, დურკემის აზრით, აუცილებელია საზოგადოებაში არსებობდეს მყარი ნორმატიული ჩარჩოები, რომლებიც შეზღუდავს კერძო სურვილების პრიმატს. ა. სწორედ ის ვითარებაა, როდესაც ამგვარი ნორმატიული ჩარჩოები დარღვეულია. სტერილური საზოგადოება არ არსებობს. ამიტომ დიურკემი მართებულად მიუთითებს, რომ დანაშაულის არსებობა თავისთავად ნორმალურია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ის არ აჭარბებს თითოეული სოციალური ტიპისთვის განსაზღვრულ დონეს. თუ ნორმალურსა და პათოლოგიურ ფაქტებს შორის მიმართებაში პათოლოგიური დომინანტობს, ანომიასა და ანომიურ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე. ანომიის ცნებას ანალიზებს ამერიკელი მეცნიერი რობერტ მერტონი. იგი აკრიტიკებს ადამიანის ქცევის ბიოლოგიური ფაქტორებით ახსნის თეორიას და ქცევის განმსაზღვრელად სოციალურ-კულტურულ პირობებს მიიჩნევს. იგი აანომიასს უკავშირებს სოციალურ სტრუქტურას, რომელშიც მოიაზრებს გარკვეული მიზნებით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფს და იმ საშუალებებს, რომელთაც ადამიანები ამ მიზნების მისაღწევად იყენებენ; ამ საშუალებებს იგი ყოფს ორ ჯგუფად: კანონიერად და უკანონოდ. ეს უკანასკნელი მიზნების მიღწევაში უფრო ეფექტურია. ა. კულტურაში მიზნებსა და მათი მიღწევის კანონიერ საშუალებებს შორის წონასწორობის დარღვევაა. მერტონი მიზნებსა და საშუალებებს შორის მიმართებათა ხუთ ძირითად ტიპს განასხვავებს: კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, რეტრიტიზმი, ამბოხი.

1. კონფორმიზმი – ქცევა, რომელიც კონტროლდება ჯგუფური დაწოლის მეშვეობით. ჯგუფი, მის მიერ შემოღებული ქცევის ნორმების დახმარებით, ინდივიდს აიძულებს დაიცვას ისინი ჯგუფის წევრების ინტერესების გასატარებლად.

კონფორმულია ადამიანი, რომელსაც აქვს ტენდენცია მოერგოს რეფერენტული ჯგუფის სხვა წევრების ქცევებს, განწყობებსა და ღირებულებებს. მას განაპირობებს: 1) ინფორმაციული გავლენის პროცესები (მოთხოვნილება, მოცემულ სიტუაციაში ვიყოთ კორექტულები და მოვიქცეთ სწორად); 2)

ნორმატიული გავლენის პროცესები (გარშემომყოფთაგან მოწონების, აღიარების და მიღების მოთხოვნილება)

რეფერენტული ჯგუფი: სოციალური კატეგორიაა, რომელსაც ინდივიდი ადარებს თავის სოციალურ მდგომარეობას, ატიტუდებს(მიდგომა-დამოკიდებულებები), მოქმედებებს, მრწამსსა და ა.შ. სოციალური ფაქტორი ახდენს თვითიდენტიფიკაციას რეფერენტულ ჯგუფთან და საკუთარი ქცევის მასზე ორიენტირებას ცდილობს. რეფერენტულ ჯგუფი შეიძლება იყოს სხვადასხვა სოციალური ერთობა, სინამდვილეში არსებული თუ წარმოსახვითი, მაგაგალითად, ოჯახი, სკოლა, მეგობრების წრე, სტუდენტური ჯგუფი, სპორტული ორგანიზაცია და სხვა. ტერმინი რეფერენტულ ჯგუფი შექმნა ამერიკელმა სოციალურმა ფსიქოლოგმა ჰ. ჰაიმანმა ისეთი ჯგუფის აღსანიშნავად, რომლის წევრი ინდივიდი არ იყო, მაგრამ სურდა გამხდარიყო და რომელთან მიმართებაშიც იგი საკუთარ სიტუაციას აფასებდა. მეორე ამერიკელმა მკვლევარმა მ. შერიფმა (M. Sherif) ეს ტერმინი გამოიყენა 1948 წელს, როდესაც მცირე სოციალური ჯგუფები, რომლებიც ზემოქმედებენ ინდივიდის ქცევაზე, დაყო ორ ჯგუფად: ჯგუფები, რომელთა წევრია ინდივიდი (membership groups), და ჯგუფები, რომელთა წევრი არ არის ინდივიდი (nonmembership groups), მაგრამ ცდილობს თავისი შეხედულებები და ქცევა შეუფარდოს მათ ღირებულებებსა და ნორმებს. ასეთ ჯგუფებს მ. შერიფმა რეფერენტულ ჯგუფები უწოდა. ნორმატიულია ჯგუფი, რომელთანაც ასოცირდება განწყობების, ღირებულებების, ნორმების, შეხედულებებისა ერთიანობა და რომელიც ინდივიდის ქცევის მარეგულერებელ როლს თამაშობს. ნორმატიულ ჯგუფში ინდივიდი ისწრაფვის, მიიღოს ან შეინარჩუნოს აღიარება. რეფერენტულ ჯგუფის არჩევასა ინდივიდი ითვალისწინებს ჯგუფის მახასიათებლებს (როგორცაა, მაგ., ცხოვრების წესი, პრესტიჟი, შემოსავალი, მრწამსი, ღირებულებები, ქცევის ნორმები, ინტერესები და სხვა).

ნონკომფორმულია ადამიანი, რომელსაც აქვს ტენდენცია მოერგოს უმცირესობის ქცევებს, განწყობებსა და ღირებულებებს ან შეგნებულად მოიქცეს ასოციალურად... ჰიპები და პანკები ნონკომფორმიზმის კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენენ.

2. ინოვაცია: მერტონის მიხედვით, დევიაციის სანიმუშო ფორმა, როდესაც საზოგადოებაში (კულტურაში) აქცენტირებული და გაზიარებული მიზნების (ღირებულებების) რეალიზაცია ხდება სოციალურად დაუშვებელი, არაინსტიტუციური, თუმცა, შესაძლოა, ტექნიკურად ეფექტური საშუალებების გამოყენებით. ინოვაცია ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ფორმას იღებს. ინოვაციური ქცევისაკენ გაძლიერებული მისწრაფება აქვთ დაბალი (შემოსავლის მიხედვით) სოციალური ფენების წარმომადგენლებს: ერთი მხრივ, ისინი თავიანთი მოქმედების ორიენტაციას ახდენენ სიმდიდრის მიღწევაზე, როგორც საზოგადოებაში აქცენტირებულ მიზანზე, ხოლო მეორე მხრივ, მოკლებულნი

არიან შესაძლებლობას, კანონიერი გზით მიაღწიონ ამ მიზანს. ამ შემთხვევაში ხდება სტრუქტურული შეუთავსებლობა, როდესაც არსებული სოციალური გარემო ზღუდავს ან, საერთოდ, კეტავს მიზნის მიღწევის კანონიერ გზებს ღარიბთათვის. დანაშაულსა და სიღარიბეს შორის კავშირი აშკარაა სწორედ მაშინ, როდესაც სიღარიბე „უერთდება“ სოციალური გარემოს შეზღუდულ შესაძლებლობებს. ის, ვინც აცნობიერებს საკუთარი წარუმატებლობის სტრუქტურულ წყაროებს, მოსალოდნელია გაუცხოვდეს მისგან, მეტიც - აჯანყდეს მის წინააღმდეგს. ამ შემთხვევაში, ინოვაცია გადაიზრდება ისეთ ფორმაში, როგორცაა ამბოხი. ამგვარი რეაქციის გასანეიტრალებლად ხშირად მიმართავენ მისტიკურ მიზეზებს, რომლებიც ფსიქოლოგიურ კომპენსაციას ახდენს. კერძოდ, წარმატება ან წარუმატებლობა აიხსნება „ბედის“, „შემთხვევითობის“, „გამართლების“, „იღბლის“ და სხვ. გავლენით.

3. რიტუალიზმი: მერტონის მიხედვით, საზოგადოებაში ინდივიდთა შეგუების ტიპი, როდესაც ხდება ინსტიტუციური ნორმების გამძაფრებული, უპირობო დაცვა კულტურის აქცენტირებული მიზნების გათვალისწინების გარეშე. რიტუალიზმი არ ითვალისწინებს სოციალურ იერარქიაში წინ და მაღლა მოძრაობას, არამედ ორიენტირდება არსებულის შენარჩუნებაზე. მოქმედებს ამ შემთხვევისათვის ტიპური ლოგიკა: „არ დაისახოთ მაღალი მიზნები - არ იქნება იმედგაცრუება“, ანდა, „ვცდილობ, ვითამაშო ფრთხილად და თავი არ წამოვყო.“

4. რეტრიტიზმი: მერტონის მიხედვით, დევნიების ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ინდივიდები უარყოფენ როგორც საზოგადოებაში (კულტურაში) აქცენტირებულ (გაზიარებულ) მიზნებს, ისე მიზნის მიღწევის ლეგიტიმურ (ინსტიტუციურ, კანონიერ) საშუალებებს. ეს ადამიანები „ამოვარდნილები“ არიან საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, თავს გრძნობენ „უცხოებად“, განდგომილნი არიან ადამიანებისაგან, იკეტებიან თავიანთ სამყაროში, ხდებიან მარტოსულები. ასეთ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნიან მაწანწალები, ლოთები, ნარკომანები... მერტონი ყურადღებას ამახვილებს რეტრიტიზმის სოციალურ-სტრუქტურულ წყაროებზე - ხშირად არსებული სოციალური გარემო ზღუდავს ან საერთოდ კეტავს ინდივიდისათვის ხელმისაწვდომი ინსტიტუციური საშუალებებით წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. იქმნება ორმაგი კონფლიქტი - მორალური ვალდებულება იმისა, რომ გამოყენებული იქნეს მხოლოდ კანონიერი საშუალებები, წინააღმდეგობაში მოდის გარეგან იძულებასთან - მიზნის მისაღწევად მოხდეს აკრძალული, მაგრამ ეფექტური საშუალებების გამოყენება. ამდენად, ინდივიდს ერთმევა შესაძლებლობა, გამოიყენოს საშუალებები, რომლებიც კანონიერიც იქნებოდა და ეფექტურიც. კონფლიქტი გადაიჭრება როგორც მიზნების, ისე საშუალებების უარყოფის გზით, ინდივიდი ხდება ტოტალურად გაუცხოებული. მარტოობაში გაქცევა არის არჩევანის შედეგი და არა დამარცხების სიმპტომი.

5. ამბოხი: მერტონის მიხედვით, დევნიების ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ხდება როგორც საზოგადოებაში (კულტურაში) აქცენტირებული (გაზიარებული) მიზნების, ისე მიზნის მიღწევის ლეგიტიმური (ინსტიტუციური, კანონიერი) საშუალებების უარყოფა, თუმცა ამას მოსდევს არა საზოგადოებისაგან განდგომა (როგორც ეს რეტრიტიზმის შემთხვევაშია), არამედ მისწრაფება ახალი სოციალური გარემოს შექმნისაკენ - არსებული მიზნების და საშუალებების გადაფასებისა და მათ ნაცვლად ახლის შემოტანის (დაფუძნების) გზით.

7.5. ტერორიზმის ფსიქოლოგიური ასპექტები

ტერორიზმის ფსიქოლოგიური საფუძვლების აღიარება გულისხმობს ამ დანაშაულის მოტივების ანალიზს. ფსიქოლოგიის თანახმად, ადამიანის მოქმედება განპიროვნებულია განსაზღვრული მოტივებით და წარმართულია გარკვეული მიზნისაკენ. ქცევის შეფასება მისი მოტივისა და მიზნის მხედველობაში მიუღებლად შეუძლებელია.

მოტივი არის განსაზღვრული მოთხოვნილებითა და ინტერესით განპიროვნებული შინაგანი მამოძრავებელი მიზეზი, რომელიც წარმოშობს სუბიექტში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას და რომელთაც იგი ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩადენის დროს.

ანგარების მოტივი, ერთი მხრივ არის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა, მაგრამ მის, სიღრმეში, გაუცნობიერებელ დონეზე, ფუნქციონირებას კიდევ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი და ძლიერი განზრახვა, რომელიც ძალზე ხშირად წამყვანი მოტივია. ვარაუდის გამოთქმა იმის შესახებ, რომ ანგარების მოტივი იწვევს ტერორიზმის აქტივიზაციასა და სტიმულირებას, ბადებს შეკითხვას: რატომ ირჩევენ ტერორისტები თავიანთი მიზნის მისაღწევად სიკვდილს, განადგურებას, მუქარას და არა სხვა საშუალებებს? მაგალითად, საზოგადოების გარდაქმნა და სარგებლის მოტანა ერისათვის შეიძლება რეგალური, პოლიტიკური ბრძოლის მეშვეობით. ფულის შოვნაც შესაძლებელია სხვა გზებით, თუნდაც კომერციით, მითუმეტეს, რომ ტერორიზმში ხშირად მატერიალურად უზრუნველყოფილი პირები მონაწილეობენ. ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ტერორიზმის მამოძრავებელი ძალაა ე. წ. ფანატიზმის იდეა, ერთგულების პრინციპი „ერის დაცვა“. შეიძლება გამოვყოთ იმ ტერორიტთა ჯგუფები, რომლებიც სჩადიან ამ დანაშაულს ეროვნულ ნიადაგზე. თანამედროვე მსოფლიო იცნობს არა ერთ მაგალითს, როდესაც ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები იცავენ თავიანთ პოლიტიკურ ინტერესებს ტერორისტული აქტების ჩადენის გზით, რითაც ცდილობენ თავიანთი იდეოლოგიისა და პოლიტიკური კრედოს დამკვიდრებას. ამ სახით ტერორიზმი განსაკუთრებით გავრცელებულია იმ სახელმწიფოში, სადაც არსებობს ძლიერი სეპარატისტული მოძრაობები. ეს

კარგად აისახა იმ ეთნიკურ კონფლიქტების მაგალითზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში.

საზოგადოებაში დამკვიდრების ან საკუთარი თავის გამოვლინების მცდელობა, საკუთარი თავისათვის და სხვებისათვის პიროვნული ღირებულებების დამტკიცება, ნაცრისფერი სამყაროსაგან გაქცევა ტერორიზმის სულისჩამდგმელი მიზეზია. ამაზე ძირითადად მიდიან წარუმატებელი ადამიანები ან ისინი, რომლებიც თავს ასეთებად გრძნობენ.

ერთ-ერთ საინტერესო მოტივად უნდა ჩაითვალოს ცალკეულ პირთა ლტოლვა სიკვდილისაკენ, განადგურებისაკენ, ისეთივე ძლიერი, როგორც ლტოლვა სიცოცხლისაკენ. ნეკროფილია (ლტოლვა სიკვდილისაკენ) აერთიანებს ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფებს, რომლებიც წყვეტენ თავიანთ მნიშვნელოვან პრობლემებს სიკვდილის თესვით, მისი გამოყენებით ან მასთან მაქსიმალური მიახლოებით. ძალადობისაკენ ლტოლვა, რა თქმა უნდა, დამახასიათებელია არა მარტო ტერორისტებისათვის, არამედ დაქირავებული მკვლავლებისათვის, დაქირავებული სამხედროებისათვის, სექსუალური მანიაკ-მკვლავებისათვის, ე.ი. ყველა იმ პირებისათვის, რომლებიც უსპობენ სხვებს სიცოცხლეს, არა შემთხვევით, გარემოებების ზეგავლენით, აფექტის მდგომარეობაში, არა ერთხელ, არამედ მუდმივად და თანდათანობით, დაწყებული წვრილმანი ძალადობის აქტებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემული მოტივი როგორც დანარჩენის უმრავლესობა, არსებობს გაუცნობიერებელ დონეზე და ძალზე იშვიათად შეიძლება გააცნობიეროს იგი მოქმედმა სუბიექტმა. ზოგიერთი ტერორისტი, განსაკუთრებით ტერორისტი - თვითმკვლელი, აღფრთოვანებულია სიკვდილით, მაგრამ, ამავე დროს, თავისი ნებაყოფილობითი სიკვდილით ცდილობს უკვდავყოს თავი და ამ საშუალებით გადალახოს საკუთარი სიკვდილის შიში. საქმე იმაშია რომ სიკვდილის თესვა არის ერთ-ერთი საშუალება შიშის სინდრომის დაძლევისა. ტერორისტი - თვითმკვლელი, ეს არის პიროვნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მღელვარების მაღალი დონე, ამიტომ იგი მუდმივად, თუმცა გაუცნობიერებელ დონეზე, ეძებს იმას, რაც მასში იწვევს შიშს, მღელვარებას და ჰპოვებს ყოველივე ამას სიკვდილში.

თუ ძალადობისაკენ ლტოლვა დამახასიათებელია სხვა მოძალადეებისთვისაც, მაშინ რით განსხვავდებიან ისინი ტერორისტებისაგან? ჯერ ერთი, რომ ტერორის მიზანი არ არის დაშინება, სწრაფვა იმისაკენ, რომ დაშინებით მოახდინოს მოწინააღმდეგის პარალიზება; მეორეც, ტერორისტი დაქირავებული მკვლელისა და მანიაკისაგან, წყვეტს არა მხოლოდ თავის სუბიექტურ პრობლემებს, არამედ საზოგადოებრივსაც, დაკავშირებულს ერის ინტერესებთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ტერორისტი უანგარომ მოქმედებს, ისინი არიან „იდიალისტი“ დამნაშავეები. ასეთები შეიძლება იყვნენ დესპოტური სახელმწიფოების ცალკეული ხელმძღვანელები, გულწრფელად

დარწმუნებული იმაში, რომ გენოციდის გაჩაღებას კი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არის მოქმედება მხოლოდ უზენაესი მიზნებისათვის.⁷

როგორც მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, ზომიერად მჭიდრო კავშირი რასასტან, რელიგიასთან, სოციალურ ჯგუფთან ძალზე საშიშია. ამ შემთხვევაში იზღუდება ადამიანის თავისუფლება, რაც აფერხებს მის განვითარებას. ასევე, იგი ხდება წყარო ნაციონალიზმის, შოვინიზმის, რასიზმის, რელიგიური და პოლიტიკური მოუთმენლობის, ყველა სახის ფანატიზმისა.

ნაციონალური დაჯგუფებები ან რელიგიური თანამოაზროვნეები, უკომპრომისო პატრიოტები ხშირად შედეგებიან მარტოსული, ფსიქოლოგიურად სუსტი პირებისაგან, რომლებიც თავს ძლიერად მხოლოდ ბრბოში გრძნობენ. მარტოხელა ტერორისტები იშვითად გვხვდებიან, უმეტესად ტერორისტები ერთიანდებიან ჯგუფებად, რომლებშიც მნიშვნელოვანია ლიდერის როლი. ყველაფერი - მოძრაობა ჯგუფში, სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთქმედება მის ხელმძღვანელ ბირთვში, შიდა იერარქია დამოკიდებულია ლიდერის ნებაზე. მისი ზალაუფლება არა მხოლოდ აბსოლუტურია, მისგან ელიან სასწაულს და მას თვითონაც სჯერა მაგიური შესაძლებლობების. (ჰიტლერი, სტალინი). ამიტომ, გვაქვს ობიექტური საფუძველი ჩავთვალოთ, რომ ტოტალური ლიდერი არის პირდაპირი მემკვიდრე პირველყოფილი მამა-ღწერისა, ბელადი-მაგი, ბრძენი-სამართლიანი, მზრუნველი-თუმცა უხეში წინამძღოლი, ტერორისტული ჯგუფების წევრების ფსიქოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება საკმაოდ დიდი და მყარია. ტერორისტული ჯგუფების ორგანიზებული ფორმა პირამიდის მოგვაგონებს, რომლის სათავეში მოქცეული ხელმძღვანელი. შემდეგ მოდიან ჯგუფის აქტიური წევრები. პირამიდის საფუძველია ის პირები, რომლების აქტიური და პასიური მოქმედებით მხარს უჭერენ ტერორისტულ ღონისძიებებს. როგორ წესი, ტერორისტული ჯგუფების ხელმძღვანელი არ ამყარებს უშუალო კონტაქტს რიგით წევრებთან. ის მოქმედებს შუამავლის მეშვეობით. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება უზრუნველყოფს მაქსიმალური კონსპირაციის დაცვას, მაგრამ ეს დაქვემდებარებულებზე ასუსტებს კონტროლს.

ტერორისტებისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი ღირებულებების უარყოფა, აგრესიულობისა და სისასტიკის მაღალი დონე, თვითდარწმუნებულობა და მსხვერპლის მიმართ ყოველგვარი განცდისა და შებრალების არარსებობა. ამასთან, ტერორისტები ესწრაფვიან თავიანთი ნამოქმედარის გამოაშკარავებას, თავდასხმის შემდეგ აცხადებენ, რომ სწორედ მათ მიერ იქნა განხორციელებული ტერორისტული აქტი. აღნიშნული მისწრაფება მიუთითებს იმაზე, რომ ტერორისტებს შორის ბევრია ისტერიული ადამიანი, რომელიც სცდება ფსიქიკური ნორმების ჩარჩოებს.

ტერორისტებისათვის გარკვეულ წილად დამახასიათებელია ნარცისიზმი. ნარცისიზმი არის ემოციური მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი რეალურად ავლენს ინტერესს მხოლოდ საკუთარი პიროვნების მიმართ, თავის

მოთხოვნილებებზე, აზრებზე, საკუთრებაზე და ა.შ. ამ დროს დანარჩენები, რომლებიც არ განეკუთვნებიან მას და არ წარმოადგენენ მისი მისწრაფებების ობიექტს, არ წარმოადგენენ მათთვის ცხოვრებისეულ რეალობას. ნარცისიზმის ზომა ადამიანში განისაზღვრება საკუთარი თავისადმი ეჭვიანობის გრძნობით, რაც იწვევს მის აფრესიულ რეაქციას. ყველაზე დამანგრეველი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფურმა ნარცისიზმმა. მისი ფსიქოლოგიური საფუძველია რომელიმე ერზე, რელიგიაზე ან სოციალურ ჯგუფზე მიკუთვნება, მათი გაღმერთება, მათით აღფრთოვანება, რაც აღიქმება პატრიოტიზმით. ის, რაც ნამდვილად ფანტაზიაა, ზოგჯერ კი ძალზე საშიში, ნარცისისტული პიროვნებისათვის რეალობაა, რომელიც მას სწამს და ეს რწმენა გამყარებულია ჯგუფური სოლიდარობით. ნარცისისტული განწყობა და ემოციები შეიძლება შეგვხვდეს როგორც დიდ, ასევე მცირე ერებში.

ძალზე ხშირად ტერორისტული მოღვაწეობის სფეროში, მის ნებისმიერ ნაირსახეობაში მონაწილეობენ ადამიანები, რომელთაც შეენიშნებათ ფსიქიკური გადახრები, ადამიანები, რომლებიც იტანჯებიან მაზოხიზმის კომპლექსით, არიან მორალურად და გონებრივად არასრულფასოვანი, ფანატიკოსები. სწორედ ყველაზე საშიში ტერორისტია ფანატიკოსი, უნივერსალური ტიპაჟია, რელიგიური, ნაციონალური, პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენელი და საშიშია ის იმიტომ, რომ ტერაქტის ჩადენისას, წინასწარ გაცნობიერებული აქვს და მზადაა საკუთარი სიკვდილისათვის. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან რელიგიური ფანატები, რომლებიც მზად არიან შეეწირონ „იდეებს“. რელიგიური ფანატიკოსების იდეოლოგიაა ფუნდამენტალიზმი.

და ბოლოს, არსებობს კიდევ ერთი ყველაზე სასტიკი და კორუმპირებული ტიპი ტერორისტების აქტების აღმსრულებლისა. კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები „ფსევდო-არისტოკრატები“, „კანონიერი ქურდები“ განაგებენ დამნაშავეთა ფენებს. ისინი განასახიერებენ არაადამიანურ ანტიკულტურას, რომელთაგან გამომდინარეობს ბოროტება და რომელთა მიმართ ნორმალურ ადამიანს არ გააჩნია კომპრომისი და თანაარსებობა. სწორედ მათი ფენებიდან გამოსული „მოდერნისტები“ წარმოადგენენ დიდ საშიშროებას და სწორედ მათგან ყალიბდება ახალი კადრები პროფესიონალი ქილერებისა კრიმინალური ტერორის ამსრულებლები. დამნაშავეთა სამყარო ყოველთვის ბადებდა იმას, ვინც კლავს, ძარცვავს. ეს არის გამოყვანის (სელექციის) საკვები ნიადაგი, ტერორის ამსრულებელთა.

როგორც ცნობილია, მთავარი მიზეზი და ფაქტორი, რომელიც ბადებს ტერორიზმს სოციალური ხასიათისაა. ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორებიცაა: ტერორისტული დიქტატურა პარანოიკი ბელადით სათავეში, სარგებლის არსებობა, მწვავე სოციალური და ნაციონალური წინააღმდეგობები, წარმოადგენს რეალურ ნიადაგს ძალადობისა და ტერორიზმის განხორციელებისთვის. აღნიშნული მდგომარეობა იმდენად აშკარა და უდაოა, რომ

არ საჭიროებს კომენტარს და მტკიცებულებებს. თუმცა, ტერორიზმის წყაროებისა და მიზეზების გამოვლენისა და დადგენის პრობლემა მეტად სადაო და აქტუალურია. აქედან დამომდინარე, მსურს ყურადღება გავამახვილო ძალადობისაკენ ადამიანის ბიოლოგიურ გენში არსებულ მიდრეკილებებზე. აგრესიული იმპულსი ყველა ადამიანშია, ოღონდ დიდი ნაწილი მათ „სუბლიმაციას“ ახერხებს, საზოგადოების მისაღებ ფორმებში ავლენს. ტერორიზმის ფენომენი ნებისმიერ ფორმასა და გამოვლინებაში ხასიათდება ღრმა ბიოლოგიური ფესვებით ისევე, როგორც ძალადობის სხვა სახეები - ომი, კონფლიქტი, წამება, მკვლელობა და ა.შ., რომლების განპირობებულა უკონტროლო ინსტიქტური აგრესიული მოქმედებით. აქედან დამომდინარე, უდავოა ის ფაქტი, რომ ტერორიზმს ბადებს არა მარტო სოციალური ფაქტორები, არამედ ბიოლოგიურიც, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ბუნებასთან, როგორც სოციალურ-ბიოლოგიურ არსებასთან. ზ. ფროიდის ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ტერორიზმი ცნობიერების სფეროდან მომდინარეობს როგორც პირდაპირი შედეგი ფიზიოლოგიური ინსტიქტებისა, პირველ რიგში სქესობრივი და აგრესიის ინსტიქტით. ადამიანის ძალადობრივი მოქმედება დამოკიდებულია მის ბიოლოგიურ ბუნებასა ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რაც დამახასიათებელია არა ერთი ადამიანისათვის.

გზა ძალადობისკენ: მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარებს ცალკეული ტერორისტის პროფილი არ გააჩნიათ, მაინც ეთანხმებიან იმას, რომ ამ საქმეში ჩართულობა სარისკოა. ისინი აღნიშნავენ ჯეროლდ პოსტის (ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის პოლიტიკური ფსიქოლოგიისა და საერთაშორისო საქმეთა პროფესორი) ნააზრევს: მისი აზრით, ექსტრემისტთა რწმენა "თაობიდან თაობას გადაეცემა", რაც ცხოვრების ადრეული ასაკიდან იწყება; ტერორისტებს აქვთ მსხვერპლთშეწირვისა და გაუცხოების ძლიერი შეგრძნება და იმის რწმენა, რომ "უფრო მაღალი მორალის" მისაღწევად მტერი მორალურ პრინციპებს არღვევს და ამას ამართლებს კიდევ; აქვთ იმის რწმენა, რომ ტერორისტთა ეთნიკური, რელიგიური და ეროვნული დაჯგუფება განსაკუთრებულია და ის გაქრობის პირასაა და პოლიტიკური ძალაუფლება აკლიათ იმისთვის, რომ ცვლილებას ძალადობის გარეშე მიაღწიონ. გამოკვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ზოგ ტერორისტს კრიმინალის აზროვნება აქვს და ის ადრე კრიმინალურ ცხოვრებას ეწეოდა. ახალმა კვლევამ პარადოქსული ფაქტი გვიჩვენა: ტერორისტებისა და თვითმკვლელთა წვრთნაში სიკვდილის შიში მნიშვნელოვან როლს ასრულებს - მათ აქვთ არაცნობიერი შიში იმისა, რომ მოკვდავები არიან და მათგან შთამომავლობაც არ დარჩება. ბევრი მკვლევარი ეთანხმება იმ აზრს, რომ სანამ ღმერთად აღიარების მომენტი არსებობს, მას თან ახლავს რადიკალიზაციის დაჩქარების საფრთხეც - მაგალითად, პოლიტიკური მიზნებისთვის მეგობრის ან ნათესავის მკვლელობა.

ცხოვრება დაჯგუფებაში: ბოლო წლებში კოლექტივის და არა ცალკეული პიროვნების, იდენტურობამ მიიპყრო ყველაზე მეტი ყურადღება. გამონაკლისი იშვიათად ხდება ხოლმე - მაგალითად, ტერორისტი ტედ კაჩინსკისა და ვაშინგტონელი სნაიპერის, ჯონ ალენ მუჰამედის შემთხვევაში, რომლებიც ინდივიდუალურად მოქმედებდნენ, დაჯგუფებასთან რაიმე კავშირის გარეშე. ერვინ სტაუმმა, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის გადამდგარმა პროფესორმა (რომელიც ამთავრებს წიგნს თემაზე, თუ რა წარმოქმნის ტერორიზმს და კონფლიქტს) ტერორისტები სამ ტიპად დაყო. "იდეალისტები" იგივეებიან ზოგიერთი დაჯგუფების ტანჯულებად; "რესპოდენტები" თავიანთი საკუთარი დაჯგუფების გამოცდილებაზე რეაგირებენ (ალბათ, ისინი ლტოლვილთა ბანაკებში გაიზარდნენ ან ნათესავთა მკვლელობის მომენტი დაინახეს; ან, შესაძლოა, ფარული ტრავმა აქვთ გადატანილი, მაგალითად, ბავშვობაში მათზე განხორციელებული ძალადობა). და ბოლოს, "დაკარგული სულები" - მიტოვებულები, იზოლირებულები და, ალბათ, განდევნილები - მათ ცხოვრების აზრი რადიკალურ დაჯგუფებაში იპოვეს. დოქტორ პოსტის თქმით, დაკარგული სულები "მზად არიან, ნაკუწებად იქცნენ" თავიანთი ლიდერებისთვის. რელიგიურ თუ საერო დოქტრინას, ავითარებს და აძლიერებს დაჯგუფების მამოძრავებელი ძალა. ინტერნეტმა ჯიჰადის დაჯგუფებების რაოდენობის გაზრდაში დიდი როლი ითამაშა. ბევრი მათგანი უფრო ფართო ქსელების განშტოებაა, ბევრიც - ალ ქაიდას მიერაა შთაგონებული. დოქტორი პოსტის თქმით, ინტერნეტმა "სიძულვილის ვირტუალური საზოგადოება" გაზარდა.

ფსიქიატრ მარკ სეიჯმენის (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერაციების ყოფილი ოფიცერი და სწავლული ალ ქაიდას დარგში) და სხვების თქმით, პიროვნების თეორია ტერორიზმს სათანადოდ ვერ ხსნის - მხოლოდ ცალკეულ პიროვნებაზე დაჯგუფების ზემოქმედება ნათელყოფს ამ ფენომენის გამომწვევ მიზეზებს. ერთი თეორიის მიხედვით, როცა ადამიანი დაჯგუფების წევრია, ის უფრო იოლად იღებს სარისკო გადაწყვეტილებებს, რადგან რისკი ყველასთვის საერთოა და, შესაბამისად, საშიშროებაც ნაკლებია. და თუ დაჯგუფება რადიკალური ხდება, ასევეა ცალკეული პიროვნებაც, რომელიც, სავარაუდოდ, უზარმაზარი სოციალური წნეხის ქვეშ ექცევა, დაჯგუფების კონსენსუსს რომ დაეთანხმოს.

მორალური საკითხები: ჯონ ჰორგანი (პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერორიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი) ტერორისტების "შინაგან საზღვრებზე" საუბრობს. გასულ წელს გამოსული წიგნისთვის, დოქტორმა ჰორგანმა 29 ყოფილი ტერორისტის მონაყოლი შეაგროვა, რომელთაგან უმეტესობა ისეთი დაჯგუფებების დეზერტირი იყო, როგორცაა ირლანდიური რესპუბლიკური არმია და ალ ქაიდა. მისი აღმოჩენით, თურმე ტერორისტებს მთელი არსებით უნდა სწამდეთ, რომ მტრის წინააღმდეგ

განხორციელებული ძალადობა არ არის ამორალური. მაგრამ მათაც აქვთ შინაგანი საზღვრები, რომლებსაც მანამ არ აცნობიერებენ, სანამ დაჯგუფებაში სრულფასოვან წევრად არ იქცევიან. ზოგიერთ ტერორისტს, რომლისთვისაც შეგებულებაში მყოფი ჯარისკაცის მკვლელობა მისაღებია, ზიზღს ჰკვრის ცხოველის მკვლელობა. ზოგი - ადამიანების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით მკვლელობას ამართლებს.

თვითმკვლელი ტერორისტები: სუიციდური ქმედებები განპირობებულია გენეტიკური ფაქტორებით. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მკვლევარები მარტინ კოლის (Martin Kohli) ხელმძღვანელობით მაქს პლანკის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტიდან (Max Planck Institute of Psychiatry, მიუნხენი, გერმანია) და ასევე ჯონ ჰასმანის სახელობის ადამიანის გენომის ინსტიტუტიდან (John P. Hussman Institute for Human Genomics, მაიამი, აშშ). კვლევის შედეგების შესახებ ანგარიში გამოქვეყნებული იქნა ჟურნალში Archives of General Psychiatry.

მეცნიერები შეეცადნენ ეპოვნათ გენეტიკური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ სერიოზულ დეპრესიულ დარღვევას და სუიციდურ ქმედებებს. ამ მიზნით ისინი შეისწავლიდნენ NTRK2 გენის სხვადასხვა ვარიანტებს, რომლებიც იწვევენ ტვინის ნეიროტროფიკული ფაქტორის რეცეპტორის კოდირებას. ზ.ა. რეცეპტორი წარმოადგენს ცილას, რომელიც პასუხისმგებელია ნერვული უჯრედების ფორმირებასა და აქტივობაზე.

მკვლევარებმა გააანალიზეს დეპრესიის მქონე 394 პაციენტის გენომი, ამათგან 113 ეცადა ჩაედინა თვითმკვლელობა. მიღებული მონაცემები მათ შეადარეს 366 ჯანმრთელი მოხალისის მემკვიდრულ ინფორმაციას. ამას გარდა, ჩატარებული იქნა საკონტროლო კვლევა 744 გერმანელისა და 921 აფრო-ამერიკელის მონაწილეობით, რომელთაგანაც სუიციდური ქმედების ჩადენის მცდელობა ქონდა, შესაბამისად, 152 და 119 ადამიანს.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ის პაციენტები, რომლებიც იყვნენ გენის NTRK2 სამი "სახიფათო" მუტაციის მატარებლები, საშუალოდ, 4,5-ჯერ უფრო ხშირად ეცადნენ თვითმკვლელობის ჩადენას, ვიდრე პაციენტები, რომლებსაც აღენიშნათ ამ გენის ნორმალური ვარიანტი. ავტორების სიტყვებით, კვლევის შედეგები ამტკიცებს სუიციდური ქმედების ფორმირებაში მემკვიდრეობითი ფაქტორების როლს.

როდესაც ტერორიზმში შეტოპავ, ხშირად, უკან დაბრუნება ძნელია. ეს, ძირითადად, მომავალ თვითმკვლელ ტერორისტებს ეხებათ. დაინიშნებიან თუ არა ამ ფატალურ მისიაზე, მათ "მოსიარულე წამებულებს" არქმევენ. უკან დახევა მათთვის სირცხვილის ან დამცირების ტოლფასი იქნება. ფათალი მოგადემი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი, "ტერორიზმისკენ აღმავალ კიბეს", როგორც რადიკალიზმისკენ განვითარებულ პროცესს, აღწერს. საფეხურები ბოლოსკენ ვიწროვდება. და თითოეული ნაბიჯის გადადგმასთან ერთად, უკან დახევაც რთულდება. ერი კრუგლანსკის, მერილენდის

უნივერსიტეტის College Park-ის ფსიქოლოგიის პროფესორის (რომელმაც თვითმკვლელ ტერორისტთა უკანასკნელი სიტყვები და დედებთან მათი საუბრების ჩანაწერები შეისწავლა) აზრით, თვითმკვლელ ტერორისტთა მთავარი მოტივაცია თავიანთი პერსონალური მნიშვნელობის ძიებაა, ის, რომ ისინი იმ მრავალმნიშვნელოვანი ცხოვრების სასოწარკვეთილი კუთვნილებები არიან, რომელმაც მხოლოდ სიკვდილი უბოძა მათ.

ტერორიზმთან განშორება: იმ მიზეზების წყალობით, რატომაც ტერორისტები უარს ამბობენ თავიანთ სიცოცხლეზე, საშუალებას გვაძლევს, მათ გონებაში შევადწიოთ. მათი რწმენა ცვლილებისკენ, შესაძლოა, უფრო სუბიექტური იყოს, ვიდრე ჩვენ აქამდე გვეგონა, - ამბობს დოქტორი ჰორგანი.

ახალწვეულებს, ხშირად, ამაღელვებელ და ბრწყინვალე თავგადასავლებს და მსოფლიოს შეცვლის შანსს პირდებიან. მაგრამ, დოქტორ ჰორგანის თქმით, ხშირად ისინი ამ დაჯგუფებებში მხოლოდ შურსა და პირად პაექრობებს პოულობენ. ასევე იმას, რომ ცხოვრება მოსაწყენია. ზოგი, ასაკის მომატებისას, შესაძლოა მიხვდეს, რომ სხვა ღირებულებები გაუჩნდა - მაგალითად ის, რომ მას ოჯახის შექმნა სურს. ზოგმა, შეიძლება დაინახოს, რომ დაჯგუფების მიზნები მიუღწეველია და, რაც უფრო ექსტრემისტული გახდება ეს დაჯგუფება, დაინახოს, რომ შინაგან მორალურ ლიმიტს მიაღწია.

ალ ქაიდას ერთმა ყოფილმა წევრმა დოქტორ ჰორგანს უთხრა, რომ, როცა ავღანეთში სამომრად დაბრუნდა, შოკირებული იყო, როცა შეიტყო, რომ ბავშვებს და მოხუცებს ბრძოლაში ჩაბმა აიძულებს.

ეს კაცი იყო "იმ ყველაფრის მნახველი, უდიდესი ძალაუფლების და კეთილშობილების მქონე მოძრაობის პირველი დიდი დარტყმის განსახიერება," - განაცხადა დოქტორმა ჰორგანმა.

7.6. „მარტოხელა მგლის“ ტერორიზმის ფენომენი

ტერორიზმის მრავალნაირი ტიპოლოგია არსებობს მისი ხასიათის მიხედვით - კატასტროფული, სახელმწიფო, სუიციდური, განურჩეველი, „მარტოხელა მგლის“ (Lone Wolf Terrorism) და ა.შ. ეს საკითხი რომ აქტუალურია, ეს ჩანს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერების განცხადებებში, რომ ასეთი ტიპის ტერორისტები უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენენ. მაგალითად, ბრეივიკის თავდასხმიდან რამდენიმე დღეში გაკეთებულ განცხადებაში ა.შ.შ.-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „მარტოხელა მგლები“ უფრო დიდ საფრთხედ მოიხსენია, ვიდრე ტერორისტული ორგანიზაციების ფართომასშტაბიანი ოპერაციები. მსგავსი განცხადებები ისმის დიდ ბრიტანეთსა და სხვა ევროპულ სახელმწიფოებში.

“მარტოხელა მგელი” არის ინდივიდი, რომელიც ახორციელებს ასეთ წინასწარგანზრახულ ტერაქტებს. მარტოხელა მგლებს ახასიათებს 4 თავისებურება:

1. მოქმედებენ ინდივიდუალურად,
2. არ მიეკუთვნებიან რომელიმე ტერორისტულ ჯგუფს ან ორგანიზაციას,
3. მოქმედებენ ლიდერის ან იერარქიის პირდაპირი გავლენის გარეშე,
4. მათი მეთოდები და ტაქტიკები გამომდინარეობს მხოლოდ ინდივიდისგან და არა გარე ბრძანების ან დირექტივისგან.

ეს განმარტება შეიძლება მივაკუთვნოთ “მარტოხელა მგლის” ვიწრო დეფინიციას - მისი მიხედვით მარტოხელა ტერორისტს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე კავშირი რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციასთან. უფრო ფართო დეფინიციით მარტოხელა ტერორისტს შეიძლება ჰქონდა ოფიციალური ან არაოფიციალური კავშირები რომელიმე ორგანიზაციასთან. ტერმინ “მარტოხელა მგელთან” ხშირად აკავშირებენ “ულიდერო წინააღმდეგობის” კონცეფციას. მაგალითად, ჯეფრი კაპლანი მას განმარტავს როგორც “მარტოხელა მგლის” მოქმედებას რომელშიც ინდივიდი, ან ძალიან პატარა მტკიცე ჯგუფი ახორციელებს ანტისახელმწიფოებრიობრივ ძალადობას დამოუკიდებელად რომელიმე მოძრაობისგან, ლიდერისგან ან ქსელისგან. “მარტოხელა მგლის” ტერორიზმი - ეს არის წინასწარ განზრახული ძალადობრივი ქმედება, რომელსაც ახორციელებს ინდივიდი სამოქალაქო სამიზნეების მიმართულებით, რომელიმე მოძრაობის, ჯგუფის ან იდეოლოგიის მხარდასაჭერად და/ან სამთავრობო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად, თუმცა მოქმედებს მარტო, არ სარგებლობს მატერიალური მხარდაჭერით და არ ასრულებს რომელიმე სტრუქტურის ან იერარქიის ბრძანებას. ამ დეფინიციის თავისებურებები შემდეგია: მოქმედება არის ინდივიდის დამოუკიდებელი ნების შედეგი (ე.წ. Freelancer-ია), რომელიც მოქმედებს მარტო (ან უმთავრეს სამუშაოს მარტო ასრულებს), თუმცა შესაძლოა გააჩნდეს სიმპათიები რომელიმე ორგანიზაციისადმი და იდეოლოგიისადმი და ტერაქტებს მიმართავდეს მათ მხარდასაჭერადაც.

7.7. ცალკეული ისტორიები და მათი კლასიფიკაცია მოტივების მიხედვით

ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი (ნაგულისხმევია მეოცე საუკუნე) “მარტოხელა მგლის” მაგალითი, თუმცა ნაკლებად ცნობილი, ჯოზეფ პოლ ფრანკლინია, ამერიკელი ნეონაციისტი, რომელიც მოქმედებდა 1977-80 წლებში. მის სამიზნეებს ხშირად წარმოადგენდა შერეული რასის წყვილები. ფრანკლინს უნდოდა რასებშორისი ომის მოწყობა ა.შ.შ.-ში. მის თავდასხმებს 20 ადამიანი.

“მარტოხელა მგელი”, რომელიც ლამის ლეგენდად იყო ქცეული ა.შ.შ.-ში, 1978-96 წლებში, მთელი 17 წლის განმავლობაში ისე ატერორებდა მთელ ქვეყანას,

რომ აღმოსავლეთის შტატებში ჩვეულებრივ ადამიანებს ზოგჯერ წერილის გახსნისაც კი ეშინოდათ. ეს ადამიანი იყო თეოდორ კაჩინსკი (Theodore Kaczynski) - რომელსაც გამოძიების ფედერალურმა ბიურომ კოდური სახელწოდებაც კი - The Unabomber მიანიჭა. ამ დროის განმავლობაში მის გაგზავნილ წერილებს, რომლებშიც თვითნაკეთი ბომბები იყო ჩამონტაჟებული, 3 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 27 დაშავდა. ბოლოს მან FBI-ის გაუგზავნა 35 000 სიტყვიანი ესსე - "ანტიინდუსტრიული მანიფესტი" და მოითხოვა, რომ ის დაეებჭადათ The Washington Post-სა და The New York Times-ში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ტერაქტების გაგრძელებით. ბიურო ამას დათანხმდა, იმ იმედით რომ იქნებ რომელიმე მკითხველს ამოეცნო, რაც გამართლდა კიდე. 1996 წლის 3 აპრილს "უნაბომბერი" დააკავეს, მის ბინაში აღმოჩნდა 40 000 ხელნაწერი გვერდი და ერთი გასაგზავნად გამზადებული წერილი-ბომბი. ასე დასრულდა მისი, როგორც "მარტოხელა მგლის" "კარიერა". მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. FBI-ის რაპორტებში იგი მოხსენიებულია როგორც შეშლილი გენიოსი. ჩვენ შეგვიძლია იგი "მარტოხელა მგლის" კლასიკურ მაგალითად მივიჩნიოთ. კაჩინსკი იყო რადიკალი ევირომენტალისტი და ინდუსტრიულ განვითარებას და ტექნოლოგიურ წისვლას მიიჩნევდა ყოველგვარი უბედურების სათავედ. კიდეც ერთი მოტივი იყო ის, რომ საზოგადოებაში მას უგულვებელყოფდნენ; ზოგიერთი მისი ქცევის მიზეზად იმასაც ასახელებს რომ მას ქალთან ურთიერთობა არ შეეძლო.

1993-96 წლებში ავსტრიასა და გერმანიაში მოქმედებდა კაჩინსკის ავსტრიელი "ვერსია" ფრანც ფუხსი (Franz Fuchs) - ისიც, კაჩინსკის მსგავსად, წერილებით აგზავნიდა თვითნაკეთ ასაფეთქებლებს, საბოლოოდ დაიღუპა 4 და დაშავდა 15 ადამიანი, ზოგიერთი მათგანი მძიმედ. მის სამიზნეებს წარმოადგენდნენ იმიგრანტები და ის ადამიანები, რომლებიც უცხოელებისადმი მეგობრულად

განწყობილს მიიჩნევდა. ის იყო რადიკალი მემარჯვენე - ქსენოფობი და რასისტი. თავის წერილებში, ფუხსი ყურადღებას ამახვილებდა გერმანელი ავსტრიელების დისკრიმინაციაზე და სახელმწიფოსგან მოითხოვდა იმიგრანტული პოლიტიკის შეცვლას. ფუხსს ახასიათებდა საკუთარი თავისადმი და გარშემო სამყაროსადმი სიძულვილი, რაც ფსიქიური გადახრაა, თუმცა რადგან იგი თავის თავდასხმებს პოლიტიკური მოტივებით ხსნიდა (თუმცა ბევრი რამ მაინც გაუგებარი რჩებოდა), მაინც მიიჩნევა "მარტოხელა მგლად".

1994 წლის 24 თებერვალს, ებრაელი, დოქტორი ბარუხ გოლდსტაინი ჰებრონში თავს დაესხა მეჩეთს, სადაც 800-მდე მლოცველი რამაზანს აღნიშნავდა და ცეცხლი გაუხსნა ავტომატური იარაღიდან. რასაც 29 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო ასამდე დაშავდა. ტერაქტის შემდეგ გოლდსტაინმა თავი მოიკლა. იგი იყო ებრაელთა თავდავის ლიგის (Jewish Defence League) ყოფილი წევრი და კაჰანისტური (Kahanist) მოძრაობის მიმდევარი, რაც უკიდურესი ნაციონალიზმით

ხასიათდება.

მისი

მოტივები უცნობია, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ეს თავდასხმა მიმართული იყო ოსლოს სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩასაშლელად, რომელიც ისრაელსა და პალესტინას შორის მიმდინარეობდა.

1995 წლის 19 აპრილს ა.შ.შ.-ში განხორციელდა მანამდე არნახული ტერაქტი ქვეყნის ტერიტორიაზე. ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე სატვირთო ავტომანქანა აფეთქდა მიურას ფედერალურ შენობასთან (რომელშიც სამი ფედერალური სააგენტო იყო განთავსებული). ტერაქტის შედეგად დაიღუპა 168 ადამიანი, მათ შორის 19 6 წელზე მცირე ასაკის ბავშვი, დაშავდა 500-ზე მეტი ადამიანი, 16 კვარტლის რადიუსში დაინგრა და დაზიანდა 324 შენობა, განადგურდა 82 ავტომობილი, მთლიანად ზარალმა \$652 მილიონს მიაღწია. ტერაქტი ჩაიფიქრა, დაგეგმა და განახორციელა (ერთი ის იყო, ასაფეთქებლების შეზავებაში მეგობარი დაეხმარა) სპარსეთის ყურის ომის ვეტერანმა ტიმოთი მაკვეიმ. იგი იყო სურვაივალისტი (მომღვრება, რომლის მიმდევრები ემზადებიან საგანგებო სიტუაციებისთვის), თანაუგრძნობდა ანტისამთავრობო, რასისტულ და Militia-ს (ყოფილი სამხედროების მოძრაობა) ჯგუფებს, თუმცა არცერთი მათგანის წევრი არ ყოფილა. სასიკვდილო ინექციით დასაჯეს 2001 წლის 11 ივნისს. ის მიჩნეულია “მარტოხელა მგლის” კლასიკურ მაგალითად.

1999 წლის აპრილში დევიდ კოუპლენდმა ლონდონში ლურსმნებიანი ბომბების სამკვირიანი კამპანია მოაწყო (London nailbomber-ად მოიხსენიებენ). მის სამიზნეებს წარმოადგენდნენ აზიელები, შავკანიანები და გეები. სამკვირიანი დაბომბვების შედეგად დაიღუპა 3 (მათ შორის ფეხმძიმე ქალი) და დაშავდა 128 ადამიანი. მიუხედავად იმისა რომ ორმა ბრიტანულმა ნეო-ნაციისტურმა დაჯგუფებამ აიღო პასუხისმგებლობა ტერაქტებზე, კოუპლენდმა განაცხადა, რომ ის მარტო მუშაობდა და არავისთან არ განუხილავს თავისი გეგმები. მან ასევე განაცხადა, რომ ნეონაციისტი იყო და უნდა გაეწმინდა ბრიტანეთი სხვა რასებისგან და მოეხდინა რასათა შორისი ომის პროვოცირება (ისევე, როგორც ჯოზეფ ფრანკლინს ჯერ კიდევ შორეულ 70-იანებში), ასევე ხაზი გაუსვა რომ ძლიერი ჰომოფობი იყო (ჰომოსექსუალებს “გარყვნილ გადაგვარებულებად” მიიჩნევდა). აგრეთვე ამართლებდა მოტივებს რელიგიური თვალსაზრისით - ღმერთი კრძალავს ჰომოსექსუალიზმს. ის იმაშიც კი გამოტყდა რომ სურდა ტოპ-ნიუსებშიც მოხვედრილიყო.

2002 წლის 6 მაისს, არჩევნებამდე 9 დღით ადრე ვოლკერ ვან დერ გრააფმა (Volkert van der Graaf) მოკლა ჰოლანდიელი პოლიტიკოსი პიმ ფორტუინი. გრააფი იყო უკიდურესი ენვირომენტალისტი და ფორტუინს საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებად მოიხსენიებდა, რომ იგი მოქმედებდა ძალაუფლების გაზრდისთვის. გრაფი მოითხოვდა რომ ცხოველებს ისეთივე უფლებები ჰქონოდათ, როგორც ადამიანებს. ფორტუინი კი აპირებდა ნატურალური ბეწვის სამოსზე შეზღუდვების მოხსნას. შესაჩერებლად გრააფმა მოკლა იგი.

2009 წლის ნოემბერში, ტეხასში განთავსებულ სამხედრო ბაზაზე ფსიქიატრმა მაირომა ნიდალ მალიქ ჰასანმა ცეცხლი გახსნა, რასაც 13 ადამიანი ემსხვერპლა, 32 კი დაიჭრა. ეს მოვლენა ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ინციდენტი, რაც კი ოდესმე ამერიკულ სამხედრო ბაზაზე მომხდარა. მოტივები უცნობია.

ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული “მარტოხელა მგელი” ნორვეგიელი ანდრეს ბრეივიკი, რომლის თავდასხმებს ემსხვერპლა 77 ადამიანი. 2011 წლის 22 ივლისს ნორვეგიაში ერთმანეთის მიყოლებით ორი თავდასხმა განხორციელდა. ჯერ დედაქალაქ ოსლოში დაახლოებით 950 კგ თვითნაკეთი ასაფეთქებლებით დატვირთული მიკროავტობუსი აფეთქდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ოფისსა და ნორვეგიის ნავთობისა და ენერჯის დეპარტამენტის შენობებთან, რასაც 8 ადამიანი ემსხვერპლა. შემდეგ ოსლოდან 32 კილომეტრით დაშორებულ კუნძულ უტოიაზე, სადაც საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი იყო მოწყობილი მმართველი ლეიბორისტული პარტიის მიერ, პოლიციის ფორმაში გადაცმულმა შეიარაღებულმა პიროვნებამ ნახევრადავტომატური იარაღიდან და ჩვეულებრივი პისტოლეტიდან ცეცხლი გახსნა, რასაც 68 ადამიანი ადგილზევე ემსხვერპლა, ხოლო 60 დაიჭრა. ეს ჯოჯოხეთი მანამ გრძელდებოდა, სანამ პოლიცია კუნძულამდე მოაღწევდა, რასაც საათნახევარი დასჭირდა. დაკავებული აღმოჩნდა ვინმე ანდრეს ბრეივიკი, რომელმაც მოგვიანებით აღიარა ჩადენილი. გაირკვა, რომ მან თავდასხმებამდე ინტერნეტში საკუთარი მანიფესტი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ის რასისტი, ულტრამემარჯვენე, ულტრანაციონალი და “მარტოხელა მგელია”, თუცა იმუქრებოდა, რომ მისნაირი ბევრი იყო და თავდასხმები ამით არ დათავრდებოდა. მისი კრიტიკის ობიექტი ნორვეგიის ლეიბორისტი მთავრობაა, რომელიც მხარს უჭერს მულტიკულტურალიზმს, მუსლიმთა იმიგრაციას ნორვეგიაში და ამით სხვა ევროპული მთავრობების მსგავსად ანგრევს დიდ ევროპულ კულტურას.

ანდრეს ბრეივიკი დამნაშავედ არ მიიჩნევს, ბრეივიკი ნორვეგიულ მართლმსაჯულებას უნდობლობას უცხადებს და ამბობს, რომ 77 ადამიანი თავიანთი იდენტურობის გადასარჩენად დახოცა. ბრეივიკმა სასამართლოს განუცხადა, რომ მისი მსხვერპლი ადამიანები სულაც არ იყვნენ უდანაშაულოები, როგორც მათ ყველა იხსენიებს. ისინი იყვნენ პოლიტიკურად მოტივირებული ადამიანები, რომლებმაც, ბრეივიკის შეფასებით, საკადრისი სასჯელი მიიღეს. ანდრეს ბრეივიკი დანაშაულს არ ნანობს და ამბობს, რომ შანსი რომ ჰქონდეს, იმავეს გაიმეორებდა. ბრეივიკი დანაშაულის ჩადენის მოტივად საკუთარი ქვეყნის ისლამისა და მულტიკულტურალიზმისგან დაცვას ასახელებს. ბრეივიკი საკუთარ ქმედებას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განხორციელებულ ყველაზე ეფექტურ თავდასხმას უწოდებს. ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ ბრეივიკს ე.წ. სრულფასოვნების კომპლექსი აქვს. ეს კომპლექსი არასრულფასოვნების კომპლექსის ანტიპოდი და გამოიხატება მისწრაფებით, წარმოაჩინო, რომ

ყველაფერს შენს ჭკუაზე აკეთებ და "დედამიწა შენს ირგვლივ ტრიალებს". ამის მიზეზი საკუთარი თავის მანიაკალური სიყვარულია, რასაც ფსიქოლოგები ნარცისიზმს უწოდებენ. ბრევიკის შემთხვევაში, კი ამ კომპლექსმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

მიხეილ ვინოგრადოვი, ფსიქიატრი: "სპეციალური ექსპერტიზის გარეშე იმაზე საუბარი, ფსიქიკურად ავადაა, თუ არა ეს ტერორისტი, ძალიან რთულია. ის შიზოიდურ პიროვნებათა კატეგორიას განეკუთვნება - ასეთი ადამიანები თავიანთი მსოფლმხედველობით ყოველთვის საზოგადოებას უპირისპირდებიან. მათ შორის არიან გენიოსებიც: განდევილი-მეცნიერები, ავანგადრული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ასევე მარგინალებიც: ბრევიკს საკუთარი რომელიმე ნიჭის განვითარების ინტელექტი არ ჰქონდა. მას რიგით მოკვდავთაგან გამორჩევა ძალიან უნდოდა. ძველ დროში ამგვარ ქცევას "ჰეროსტრატეს კომპლექსით" ხსნიდნენ. ჰეროსტრატემ არტემიდას ტაძარი დაწვა, რათა ისტორიაში შესულიყო. ბრევიკიც მის კვალს მიჰყვა. ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებიან თვითმკვლელი-ტერორისტებიც, რომლებსაც თავიანთი თავის დამკვიდრება ნებისმიერ ფასად სურთ".

ფსიქოლოგთა აზრით, ბრევიკი ემოციურად ცივი ადამიანია - ამის გამო მას არ ჰყავდა მეგობრები და საყვარელი ადამიანები. ის საკუთარ თავში ძალიან ჩაკეტილია - რიგით ადამიანებთან ხშირ ურთიერთობას გაურბის. ამ კატეგორიის ადამიანები იდეოლოგიისა და რელიგიის ყველაზე აგრესიულ მიმართულებებს ირჩევენ. მას, შესაძლოა, ფსიქიკური აშლილობა აქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის შეურაცხადია. ის აცნობიერებს, რომ ბოროტმოქმედებას ჩადის, მაგრამ ამის გამართლებას "მაღალი იდეალებით" ცდილობს.

2013 წლის 15 აპრილს ბოსტონის მარათონზე მომხდარი აფეთქების შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა და 260 დაშავდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ცარნაევმა დალუპულებს შემთხვევითი მსხვერპლი უწოდა, ისევე როგორც ავღანეთსა და ერაყში ამერიკის მთავრობა დალუპულ მუსლიმებს მიიჩნევს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტერორისტები თავად არ ცნობენ მათ ქმედებებს, როგორებიც მათ სხვები აფასებენ. ტერორისტები თავიანთ თავს აფასებენ, როგორც იძულებითი წესით მეზრძოლთ, რომელთაც სხვა გზა არ დაუტოვა ან მხეცურმა ხელისუფლებამ, ან დაპირისპირებულმა ხალხმა, ან რაიმე პოლიტიკურმა ძალამ და მათ სხვა გზა არ აქვთ, თუ არა რომ იბრძოლონ იარაღით ხელში. ტერორისტები სხვა უკანონო საქმეებით დაკავებული ხალხისგან სწორედ იმითიც განსხვავდებიან, რომ თავიანთ საქმის უკანონობას არ ცნობენ, ან თუ ცნობენ – გამართლებულად თვლიან. ტერორისტებს რომ ჰკითხოთ, "ტერორისტები" სწორედ არიან მთავრობები, საერთაშორისო სისტემა, სოციალ-ეკონომიკური სისტემა და ზოგადად ხალხი. იქნებ მართლებიც არიან?

დასკვნა

1. ზრდასრული პიროვნების ფსიქოლოგიურ მიდრეკილებებს საფუძვლად უდევს ბავშვობაში ჩამოყალიბებული ფსიქონერვიული სისტემა, რომელიც იქმნება ოჯახურ ატმოსფეროში. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ იმ ოჯახში, სადაც ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ხშირად ვლინდება ბავშვის ან სხვა ოჯახის წევრების მიმართ, იქმნება ძალადობირვი ატმოსფერო, რომლის ფონზეც ყალიბდება ბავშვის ფსიქოლოგია. შედეგად, მას მიდრეკილება უჩნდება ძალადობისკენ, მისი ფსიქოლოგიური სისტემა უფრო აგრესიულადაა განწყობილი, ვიდრე ნორმალური ოჯახის პირობებში გაზრდილი ბავშვისა. ასეთ სიტუაციაში გაზრდილი ბავშვები მომავალში თვითონ ხდებიან მოძალადეები. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ოჯახურ ატმოსფეროს სადაც ბავშვი იზრდება. ამავე დროს, ნაშრომში ნათლად გამოჩნდა, რომ მისი ნორმალური საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებაში პირველი და ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით მშობლებს.

2. ოჯახურ ატმოსფეროზე ზეგავლენას ახდენს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორი. ოჯახში არსებული სიტუაცია დამოკიდებულია ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ მგდომარეობაზე, რომელზეც გავლენას ახდენს ოჯახის წევრების რაოდენობა, სამუშაოს ქონა არ ქონა, ვალი, პრობლემები კანონთან, გადასახადები, მატერიალური-ფიზიკური შესაძლებლობები და ოჯახის წევრების განათლების დონე. აქედან გამომდინარე ოჯახური ძალადობის შემთხვევები დიდია იმ ქვეყნებში, სადაც არასტაბილური სოციალური და ეკონომიკური პირობებია, განათლებისა და მენტალური გაგების დონე დაბალია და არ არსებობს ცივილიზებული სოციალური ნორმების მაკონტროლირებელი სისტემა. ბავშვები რომლებიც ასეთ პირობებში იზრდებიან უჩნდებად დაბალი თვითშეფასება, მომავლის შიში, იზიანებენ საკუთარ თავს, უქვეითდებათ სასკოლო უნარები. ხშირია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის დარღვევები, ხშირად სახლიდანაც გარბიან, ეძალებიან ალკოჰოლს და ხდებიან ნარკოტიკების მომხმარებლები, ექცევიან კრიმინალური და ტერორისტული დაჯგუფებების გარემოცვაში, მისდევენ პროსტიტუციას და თავადაც ხდებიან მოძალადეები. თუ გავითვალისწინებთ ტერორისტული დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მოძიება-შევისების მეთოდებს, სწორედ ასეთი აზალგაზრდები ხდებიან მათი ყურადღების არეალში. ამის შემდეგ სხვადასხვა საფასურის სანაცვლოდ (პატივისცემა, დაფასება, ფინანსური მხარდაჭერა, პრობლემების მოგვარება, ძალაუფლება, აღიარება და ა.შ.), ზოგჯერ ჩათრევის მეთოდის გამოყენებით მათ თავის რიგებში აწევრიანებენ.

3. თანამედრო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ტერორიზმს კიდევ ერთი განზომილება დაემატა-ინტერნეტი. მისი გამოყენებით უფრო სწრაფად და ფართო არეალზე ავრცელებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას, პროპაგანდას და იდეოლოგიას. როგორც ავლნიშნეთ, ტერორისტები სხვადასხვა ტერაქტებს

ახორციელებენ საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობისთვის და მიზნად ისახავდნენ საზოგადოებაში შიშის ფაქტორის დანერგვას. მათთვის მსხვერპლი მხოლოდ საშუალებაა, მთავარი მიზანი კი იმ ხალხზე ზეგავლენის მოხდენაა ვინც ტელევიზორს უყურებს ან ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით იღებს. ამიტომ, თუ მათი ნამოქმედარი გაზეთში არ დაიბეჭდება, ტელევიზორში არ გამოცხადდება და ინტერნეტ საიტებზე არ დაიდება, ანუ ამ მხრივ გატარდება მკაცრი ცენზურა, მაშინ მათი მიზანი განუხორციელებელი დარჩება. ამდაგვარი ღონისძიებები შეზღუდავს როგორც ტერორიზმს ასევე მის იდეოლოგიურ გავრცელებას, ხელს შეუშლის იმ პირებს რომელსაც მიდრეკილება გააჩნია ტერორიზმისკენ და ინტერნეტიდან სწავლობს ტერაქტების მოწყობას, მძევლების აყვანისა და ბომბის დამზადების მეთოდებს.

5. ირლანდიის ტერორისტული ორგანიზაციის IRA-ს ჩამოყალიბება ძირითადად განაპირობა პატრიოტიზმმა და ნაციონალისტური თვითშეგნების ზრდამ. IRA-ს სურს რომ ჩრდილოეთ ირლანდია გახდეს ირლანდიის შემადგენელი ნაწილი და შედგეს ერთიანი ირლანდიის სახელმწიფო. მიზნის მისაღწევად იგი იბრძვის ტერორიზმით და ახორციელებს ტერორისტულ დავდასხმებს. მისი მოქმედების ამგვარი სტრატეგია გამოიწვია ბრიტანეთის მიერ საუკუნეების განმავლობაში ირლანდიაში გატარებულმა პოლიტიკამ, რომელიც გაამწვავა რელიგიურმა ფაქტორმა.

6. ესპანეთში არსებული ტერორისტული ორგანიზაცია ETA შექმნილია ნაციონალისტური მისწრაფებების საფუძველზე. თავდაპირველად იგი იყო შეიარაღებული ბრძოლა ეროვნული, სოციალური და რელიგიური სამართლიანობისათვის, რომელიც გაამძაფრა ფრანკოს დიქტატორულმა რეჟიმმა. შემდგომში მან ვერ შეძლო საკუთარი თავის კონტროლი და ვერ მოახდინა ადაფტირება შეცვლილ სახელმწიფო პოლიტიკასთან, ამის გამო პირველ რიგში დაკარგა ბასკების მხარდაჭერა, შემდეგ კი მისი მიზანი გახდა ტერორი ტერორისათვის.

7. ჰამასი არის ტერორისტული ორგანიზაცია რომელზეც მორგებულია პალესტინის სახელმწიფო სტრუქტურა. მიზნად ისახავს პალესტინის განთავისუფლებას ისრაელისაგან, რადგან ისრაელი მიაჩნია ბოროტ ძალად რომელიც უნდა განადგურდეს. ეს ორგანიზაცია მოქმედებს საკმაოდ რაციონალურად შექმნილ გრძელ ვადიანი სტრატეგიით, რომლის საფუძველი და არსი არის რელიგია. მათი აზრით პატრიოტიზმი არის რელიგიური იდეოლოგიის ნაწილი და გაიგივებულია ჯიჰადთან. იგი ეროვნულ და რელიგიურ ასოციაციებს, ინსტიტუტებს, ინტელიგენციას, არაბულ და ისლამურ სამყაროს, ყველა მოჯაჰედს, მწერლებს, მეცნიერებს, ჯურნალისტებს, ექიმებსა და მასწავლებლებს მოუწოდებს მხარდაჭერისაკენ, რათა გააქტიურდეს მუსლიმი ხალხისა და მისი დამხმარეთა ძალა, გაძლიერდეს მისი სტრატეგიული სირღმე სულიერ და მატერიალურ სფეროში, ასევე ინფორმაციაში, დროსა და სივრცეში. მასზე შეიძლება ითქვას, რომ

იგი თვითონ არის სახელმწიფო, მისი ყველა მოქალაქე - ბავშვიდან მოხუცამდე, ქალიდან კაცამდე - არის რელიგიური მოტივებით გაბრუნებული მოჯაჰედი.

8. ვაჰაბიზმი (მეორე სახელწოდებით სალაფიზმი) გასული საუკუნის 90 იანი წლებიდან გავრცელდა კავკასიაში. მისთვის რელიგიური მრწამსი პირველ ადგილზეა, სხვა დანარჩენი, ისევე როგორც ეთნიკური წარმომავლობა, მეორე ხარისხოვანია. ამიტომ, ჩრდილოეთ კავკასიაში შეძლეს გაერთიანებული სახელმწიფოს, კავკასიის ემირატის ჩამოყალიბება, რომელიც იმართება ვაჰაბისტური მრწამსის საფუძვლებით. იგი ქადაგებს ისლამს პირველადი სახით, რის გამოც უპირისპირდება გავრცელებულ ისლამურ რელიგიებს. მასში დევს ორი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც საშიშ ძალად აქცევს. მისი რწმენა მოუწოდებს სალაფიზმის მიმდევრების გარდა ყველა სარწმუნოების მიმდევრების განადგურებას ჯიჰადის წესებით. მეზობლებს სანაცვლოდ პირდება ზეციურ ჯილდოს სამოთხის სახით. დაღესტანში მის გავრცელებას ხელი შეუწყო მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, რუსეთის ფედერაციის მიერ გატარებულმა უსამართლო, დაუნდობლობის და განუკითხაობის პოლიტიკამ. შურისძიების მიზნით გაუჩნდა უამრავი მიმდევარი, ეყრდნობა მოსახლეობის მხარდაჭერას, იყენებს პატრიოტიზმის გრძნობებს. მათი მიზანია რუსეთისგან დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს შექმნა.

9. როგორც უკვე ავლნიშნეთ ტერორიზმი გავრცელებულია მთელს მსოფლიოში და წარმოადგენს გლობალურ პრობლემას. ამ პრობლემის მოგვარებას სხვა ბევრ ფაქტორთან ერთად ამწვავებს ისიც, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მხარს უჭერს სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს, უშუალოდ მონაწილეობენ ოპერაციების ინიცირებითა და მართვით, ან ახორციელებენ ტერაქტებს საზღვარგარეთ საკუთარი ოფიციალური შენაერთების საშუალებით, რათა ამა თუ იმ ქვეყანასთან პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიონ ომის გამოცხადებისა თუ სხვა პირდაპირი დაპირისპირებების გარეშე. მათი მხარდაჭერა ტერორისტული ორგანიზაციებისა გამოიხატება დაფინანსებით, თავშესაფრისა და საწვრთნელი ბაზების მიცემით, იდეოლოგიური მხარდაჭერით, საჭირო დოკუმენტაციის უზრუნველყოფით, იარაღის მომარაგებითა და საბრძოლო მომზადებაში დახმარებით. ტერორიზმს ეროვნული ინტერესებისათვის იყენებენ და მხარს უჭერენ როგორც სუსტი, ასევე ძლიერი სახელმწიფოები. ტერორიზმის მხარდაჭერა ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას ისეთი გარემოებების არსებობის დროს, როდესაც შეიარაღებული ძალების გამოყენება არის არაეფექტური, ზედმეტად სარისკო და რთული. ეს ყველაფერი თავისთავად ტერორიზმის გავრცელებას ხელს უწყობს, რის შედეგადაც იზრდება ტერორისტული ორგანიზაციების რაოდენობა და შესაბამისად მრავლდებიან ტერორისტები.

10. ტერორისტთა ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტებია: საზოგადოებაში დამკვიდრების და საკუთარი თავის გამოვლინების მცდელობა; საკუთარი

თავისთვის და სხვებისთვის პიროვნული სიძლიერისა და ღირებულებების დამტკიცება; წარუმატებლობა კარიერაში, რის გამოც პიროვნებას უჩნდება სტრუქტურისადმი შურისძიების სურვილი და აგრესიას გადააქვს სხვაზე; ნეკროფილია (ლტოლვა სიკვდილისაკენ) და სიკვდილის შიში; ქსენოფობია, გამძაფრებული რასიზმი და ნაციონალიზმი; საკუთარი თავისა და გარშემო მყოფებისადმი სიძულვილი. ტერორისტებისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი ღირებულებების უარყოფა (ანომია), აგრესიულობა და სისასტიკის მაღალი დონე. მათგან ბევრს ახასიათებს ნარციზმი, განსაკუთრებით მძიმე შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფურმა ნარციზმმა, რადგან მისი რეალობა ანუ რწმენა გამყარებულია ჯგუფური სოლიდარობით. ნარციზმის ფსიქოლოგიური საფუძველი არის რომელიმე ერზე, რელიგიაზე ან სოციალურ ჯგუფზე მიკუთვნება, მათი გადმერთება, მათით აღფრთოვანება, რაც აღიქმევა პატრიოტიზმით. განსაკუთრებულად საშიშები არიან რელიგიურად ფანატიკოსი ტერორისტები, რადგან ისინი მზად არიან თავი შესწირონ მათ იდეებს. ტერორიზმი ცნობიერების სფეროდან მომდინარეობს როგორც პირდაპირი შედეგი ფიზიოლოგიური ინსტიქტებისა, პირველ რიგში სქესობრივი და აგრესიის ინსტიქტით. ამიტომ, ადამიანის ტერორისტად ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს არა მარტო სოციალურ ფონზე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგია, არამედ ბიოლოგიური ფაქტორიც-გენები.

საქართველოს პატრიარქი ილია მეორე ტერორიზმის შესახებ

მსოფლიოს ხალხებთან ერთად ტერორიზმთან იდეოლოგიური ბრძოლისათვის პირადად ძალზე ყურადსაღებია საქართველოს პატრიარქის ილია მეორეს ქადაგებები, რომელიც აღნიშნავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და კომპიუტერი (ინტერნეტი) “ახალ ნოყიერ ნიადაგს ქმნიან მსოფლიო კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგისათვის”. ტექნიკა-ტექნოლოგიების განვითარებამ დამანგრეველი ძალა შეიძლება შეიძინოს, თუ ის ჭეშმარიტ რწმენასთან ერთად არ მიმდინარეობს. თავის მხრივ, უფლის თხოვნითა და შეწევნით, სულ უფრო მნიშვნელოვანი და სასიკეთო აღმოჩენები მიიღწევა ხალხის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

ტერორიზმთან მიმდინარე თანამედროვე ომის ერთ-ერთი უმთავრესი სირთულე ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში მტერი უხილავია – არ ვიცით საფრთხე კონკრეტულად რომელი ქვეყნიდან და ქვეყნების ჯგუფიდან მოდის.

ჭეშმარიტ რელიგიას შესწევს უნარი დაანახოს საზოგადოებრიობას ტერორიზმის ლიდერების დიდი ავანტიურა, რომელიც ბნელი (გაუნათლებელი) ფანატიკოსებით საზრდოობს. მილიონობით უდანაშაულო ადამიანი ხომ ტერორიზმის ამ ბნელი ძალის მსხვერპლი გახდა.

ტერორისტები უკავშირდებიან იარაღითა და ნარკოტიკით ვაჭრობის ბარონებს განვითარებულ ქვეყნებშიც კი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში გამარჯვება მხოლოდ სიკეთის ძალების გაერთიანებული ძალისხმევითაა შესაძლებელი.

სახიფათოა ტერორისტების ხელში არსებული “შავი” ბიზნესის ფინანსური წყაროების მასშტაბები. მათი ზუსტი შეფასება შეუძლებელია, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ტერორისტული მაფია ძალზე მომგებიან სფეროებს აკონტროლებს.

ძალზე მახარებს, რომ ჩემი თაობის ახალგაზრდობა სულ უფრო თამამად და მასიურად ღებულობს მონაწილეობას ანტიტერორისტულ კოალიციაში, რომელიც ერაყში, საუდის არაბეთსა და სხვა ქვეყნების ტერორიზმის კერების აღმოჩენისა და ჩაქრობის პროცესში მონაწილეობს.

ჩემი აზრით, ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ გამძაფრებული ტერორიზმის აღნიშნულ ქვეყნებში შემოვიკრიბოთ ახალგაზრდობის პროგრესული ძალები, რაშიც საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, კულტმასობრივი ღონისძიებები და ახალგაზრდული ბანაკების პრაქტიკა შეიძლება გამოვიყენოთ.

ბევრს ვლოცულობ, რომ ღმერთმა დაიფაროს მსოფლიო ტერორიზმის სახიფათო ურჩხულისაგან და რაც შეიძლება მალე ამოიყვანოს მრავალი მოტყუებული ახალგაზრდა მისი ვერაგი ჭაობიდან.

მწამს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო ქრისტიანობის უდიდეს გზაზე თავის ტრადიციულ და ახალ მოკავშირეებთან ერთად მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ტერორიზმის დამარცხებაში.

მჯერა, რომ ჩვენი თაობა რწმენითა და პროფესიონალიზმით შეძლებს გათიშოს და დაამარცხოს გლობალური ტერორიზმი.

ტერორიზმის დამარცხება მძლავრ სტიმულს მისცემს საყოველთაო აღმშენებლობას, მათ შორის ჩემს პატარა განვითარებად საქართველოში. გენიალურად არის ნათქვამი ჩვენი პატრიარქის სიტყვებში: “ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული პრიორიტეტების განსაზღვრა. ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებით. ვფიქრობთ, მომავალმა თაობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სამეცნიერო, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროს, რომ ჩვენი ქვეყანა სრულფასოვან ქვეყანად იქცეს... მომავალი ეკონომიკური განვითარება, ალბათ დაკავშირებული უნდა იყოს წყალთან, კერძოდ, წყლის მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ადგილის მოპოვებასთან. დღეს კი უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. უნდა შეიქნას სამუშაო ადგილები, რომ ხალხი დასაქმდეს და გამოვიდეს იმ მძიმე სოციალური პირობებიდან, რომელშიც ის დღეს იმყოფება”.

ღმერთს ვთხოვ დაიფაროს და გააძლიეროს ჩემი საქართველო, მასთან ერთად მსოფლიოს ყველა ხალხები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბილისი, 2004.
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საადდგომო ეპისტოლე. ქაროზი, 2006, #3.
3. ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი. თბილისი, 2005
4. „აგრესია“ - თენგიზ ვერულავა, 2010 წ. 24 ივნისი, [24/06/2010<http://burusi.wordpress.com/2010/06/24/agression/>]
5. „ვისი ან რისი ბრალია ოჯახში ძალადობა?!“ - დაკო ბახტურიძე, თბილისი, 2010წ. [<http://www.ucss.ge/bakhturidze%20dariko.pdf>]
6. „ბავშვი და გარემო“ - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, #1 (33), 2010წ. იანვარი [<http://www.civilin.org/welfare/pdf/newsletter32.pdf>]
7. „მედიასამართალი“ - სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე, თბილისი 2014 წ.
8. „კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან პედაგოგიური საქმიანობის ასპექტები“ - გენადი გელაძე, ბათუმი 2012 წ.
9. „ბავშვებზე ძალადობა“ – 19 ნოემბერი 2009 [<http://www.24saati.ge>]
10. „ბავშვებზე ძალადობა: ძალადობის მიზეზები და შედეგები“ – ქეთევან ოდიშარია, 22 თებერვალი 2015 წ. [<http://kids.ge>]
11. ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელება საქართველოში, 2007 წლის კვლევა, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი [http://phmdf.ge/?page_id=133]
12. ტელევიზიის გავლენა ბავშვთა ფსიქიკაზე, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი [http://phmdf.ge/?page_id=143]
13. „რით იკვებება აგრესია?“ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სტუდენტური გაზეთი. 16 ნოემბერი 2011 წ.
14. „ბავშვების/მოზარდების ძალადობრივი ქცევის გაგება“ - 2 თებერვალი 2012 [<https://safariGeorgia.wordpress.com>]
15. „ინტერნეტისა და მედია საშუალებების როლი თანამედროვე ტერორიზმში“ - კოსტანტინე შუბითიძე, 24 თებერვალი 2013 წ. [<http://socium.ge/index.php/articles/student-articles/25-internetisa-da-media-sashualebebis-rolis>]
16. „ტერორიზმი ინტერნეტში“ - სიმონ გურეშიძე, 10 დეკემბერი 2012 [<http://simongureshidze.blogspot.com/2010/12/blog-post.html>]
17. „კიბერ დანაშაული და კიბერუსაფრთხოების პრობლემატიკა“ - ელენე კავთუაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.
18. „ჩრდილო ირლანდიის კონფლიქტი და ირა“ - ნუკრი შოშიაშვილი, 24 თებერვალი 2013 წ. [http://nukriko.blogspot.com/2013/02/blog-post_8240.html]

19. „ეტა (ორგანიზაცია)“ [<https://ka.wikipedia.org>]
20. "ირლანდიის გაყოფის და ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე კონფლიქტების საფუძვლები" - მარიამ აფრიაშვილი 12 თებერვალი 2013. [<http://intermedia.ge>]
21. „კავკასიური ვაჰაბიზმი და მისი თავისებურებების მოკლე ანატომია“ - გიორგი არდაზიშვილი. 10 აგვისტო 2012 წ. გაზეთი ტაბულა [<http://www.tabula.ge/ge/tablog/65731-kavkasiuri-vahabizmi-da-misi-taviseburebebis-mokle-anatomia>]
22. „ვაჰაბიზმი და მისი გავრცელება კავკასიაში“ - გიორგი არდაზიშვილი. 12 ივნისი 2010 წ. [<http://burusi.wordpress.com/2010/06/12/giorgi-ardazishvili-2/>]
23. „ვაჰაბიზმი საკმარისი ძალაა, რომ პანკისის ხეობაში არაჯანსაღი მდგომარეობა შეიქმნას“ - მამუკა არეშიძე 13 აგვისტო 2013 წ. კახეთის საინფორმაციო ცენტრი
24. „სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში“ - თამარ ჯაფარიძე, თბილისი 2006.
25. „კავკასიის იმარატი - რეალური თუ ვირტუალური ძალა“ - გოჩა გუნიავა, 06 იანვარი 2010. [http://expertclub.ge/portal/cnid__3031/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx]
26. „ვაჰაბიზმმა პანკისში თაობები დააპირისპირა“ - ეკა ბასილაია, 19 დეკემბერი 2013 წ. [http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=18492]
27. „ტერორიზმი - გლობალური პრობლემა“ - შალვა სხირტლაძე, 27 იანვარი 2013 [<http://terorizmiglobaluriproblema.blogspot.com/>]
28. „terörü destekleyen ülkeler“ - [<http://www.uludagsozluk.com/k/ter%C3%B6r%C3%BC-destekleyen-%C3%BClkeler/>]
29. „Terörizm Dosyası: III. Terörizm Dalgaları ve Çeşitleri” – Mehmet AKÇA. 18 ნოემბერი 2013. [<http://akademikperspektif.com/2013/11/18/terorizm-dosyasi-iii-terorizm-dalgaları-ve-cesitleri/>]
30. „Terörizm ve Terörist Algısı: Silahı Kimin Tuttuğu Ne Kadar Etkili?” - Zuhâl Yeniçeri, Ali Dönmez. Türk Psikoloji Dergisi, Aralık 2008
31. „Bir teröristin psikolojisi” - Prof.Dr. Nevzat TARHAN. 19 Eylül 2011 [<http://www.e-psikiyatri.com/bir-teroristin-psikolojisi-25425>]
32. „ეტა (ბასკური ნაციონალისტური და სეპარატისტული ორგანიზაცია)“ – ტორნადო, 10 აპრილი 2011 [<http://armada.ge/?p=2076>]
33. „კატალონური სეპარატიზმი“ - პავლიკა, 9 დეკემბერი 2014 წ. [<http://www.tabula.ge/ge/tablog/90619-kataloniuri-separatizmi>]
34. „ევროკავშირში სეპარატისტული მისწრაფებები მატულობს“ - ანი ჩხიკვაძე, ტაბულა 2013 #121.

35. „აგრესიის წყაროები“ – 25 ოქტომბერი 2013 წ. [<http://eva.ge/2011-12-29-09-43-09/saintereso-ambebi/1437-agresiis-wyaroebi>]